



N20 (519) 20/V-26/V-2010 ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკო



**ტომი №12**  
**ბრიგოლ აბაშიძე**

წიგნი I  
უპეიქლიათ უნიქილოთ  
„გზის“ ამ ნოვერთან ვრთაქ!  
წიგნი და „გზა“ ერთად  
4 ლარი ღირს

უპეიქლიათ ტომი  
**ბრიგოლ აბაშიძე**  
წიგნი II

**ვინ ჩააბლო რაბი**  
**დუბლიუვილი**  
**დაერესიუვი**

**„რაბ დღევი უვიუვარღა“ ...**

**ვინ გაუიუვლებას**  
**აპირებს ია ფარულავა**


**ქეთათო ჩარკვიანი**  
**გავუვივის აყვანაზე**  
**ოცნებოვს**

ვინ მიუქღვანა  
ნიკო გოქალაურობა  
უკანასკნელი ლექსი



**რაბოი**  
**დაინებრესდა**  
**ვანო მერაბიუვილი**  
**პავაროტის**  
**ორაულით**

**„აოლონეთის პრემიერ-მინისტრს**  
**ტრაგედიაგღა ორი კვირით ადრე**  
**გავუვასინქლი“**



**მუსრან მატავარკინანვა**  
**სიკვდილის წინ**  
**სამარტოვალის დაუროქა**



**გოლივუდის ქართული მსახირობი**  
**და პრტი**  
**მოტოციკლად**  
**გაყიდული**  
**პატარკალი**

**„დაღაითილი სხვირიღან**  
**საყურის მოსნენს მიპრკალავს“**



**SOS! ფრთხილად, „დამსაქმებულთა“ მახევი არ გაეგათ!**



უაღრესი ხარისხის  
ფაქტო აჩვენანი  
ხანსიუხი და მოქონის  
სტილი ბაღანყვაბილი  
ღოზონის უახლესი  
მოქონები

საძინებლები  
710 ლარიდან



სამზარეულოები  
400 ლარიდან

კედლები  
540 ლარიდან

ოფისი  
ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. №1  
ტელ: (995 32) 664-458  
ფაქს: (995 32) 664-522  
მალაზია სალონი "პანცილიონი":  
1. თბილისი, ერისთავის ქ. №2 (მე-2სართული)  
ტელ: 66-41-90

2. თბილისი, ერისთავის ქ. №5  
(ავეჯის სავაჭრო ცენტრი "საბა")  
ტელ: 69-29-20

3. ლილოს სავაჭრო ცენტრი  
(ლილოს საბითუმო ბაზრობა)  
ტელ: 14-36-41

e-mail: ccpp@inbox.ru  
www.senator-panci.ge



სასწავლო ცენტრი

# “British Connection”

გთავაზობთ სხვადასხვა სასერტიფიკატო  
გამოსდებისათვის მოსამსახურებელ კურსებს:

- FCE (B1-B2)
- CAE
- TOEFL
- IELTS

მაგისტრატურის ინგლისური ენის გამოსდებისათვის  
მოსამზადებელი ჯგუფები  
ფუნქციონირებას იწყებენ 1 – 7 ივნისიდან. კურსის  
ხანგრძლივობა – 12 კვირა.

სასწავლო ცენტრი - ინტერნეტ საიტი

[www.britishconnection.ge](http://www.britishconnection.ge)

British Connection-ი ბევრ საინტერესო  
პროექტს გთავაზობთ  
მაგალითად: ერთობლივი პროექტი  
(British Connection & Etcetera education)  
ინგლისურენოვანი ბანაკი კვარიათში

მისამართი: ბუღაგუბის 1


ტელეფონი: 308 135 / 855 301 390  
[www.etcetera.ge](http://www.etcetera.ge) T: 8 907 907 07




# „ქართული პროზის საგანმეურნი“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!


უახვე გამოცემული ტომების შეძენა შეგიძლიათ წიგნის ფასტივალზე  
**18-21** მაისს თბილისის საოცნობრო ღარბაზში (ფილარმონია),  
პალიტრა L-ის სტანდზე




წიგნი I



წიგნი III



არჩილ სულაკაური



ნიკო ლორთქიფანიძე

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად  
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი  
ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

## ტომი №12 - ბრიგოლ აბაშიძე

წიგნის ფასი **3!** ღიას, სამი ღარი!



ეს ფასი, მეტორმეტე ტომისთვის,  
ძალაშია მხოლოდ

**20-დან - 27 მაისამდე!**

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ

„ელვაჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებსთვის



### დამსაქმებლები და დასაქმებულები

საბჭოური წესწყობილების მოშლის დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა... განცალკევებით სამსჯელო პრობლემაა დასაქმებულთა უფლებების დაცვა და ამ მხრივაც ვითარება ჩვენში საკმაოდ მძიმეა. იშვიათობაა სტაბილური სამსახური; გარდა ამისა, დამსაქმებელი თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევს დასაქმებულის ინტერესებს.

6

### სახე



### სახალხო თაგაუის შექმნის მსდელობა

„საქმე ის არის, რომ მე ოპერაციის ნახევარი მაქვს გაკეთებული — თმა მხოლოდ წინა მხარეს გადამინერგეს, უკანა მხარეს კი ჯერ არ გადაუნერგავთ და კიდევ ერთი ოპერაცია მელოდება.“

18



### ცხოვრება

### ლუჩანო პავაროტის „ასლი“ და მსხენელის ბარაზე დარჩენილი კირკოროვი



„პირველად „ო სოლე მისი“ ვიმღერე — ძალიან მომეწონა! მაშინ დაახლოებით 20 წლის ბიჭი ვიყავი. ახლა ჩემს რეპერტუარში პავაროტის ოცდახუთამდე სიმღერაა.“

28



- **მინიატიურები** 5  
„...და მიგდებულ“ ქვეყანა
- **საზრდო** 6
- **დანაკლისი** 9
- **თემა** 10  
დამსაქმებლები და დასაქმებულები
- **პოლიტიკა** 16  
კულტურული გარიგებები, მოქრთამული ოპოზიცია და დოყლაპია დამკვირვებლები
- **პროექტი** 18  
როგორ „შეახვედრა“ ერთმანეთს თამრიკო ჭობონელიძემ რევაზ ლალიძე და პეტრე გრუზინსკი ანუ ქართული სულის ზემი
- **ეკანს ვიღა** 20  
სახალხო თამაშის შექმნის მცდელობა და „განახლებული“ მოხდენილი ტელენამყვანი
- **ამაღვა** 22  
ვის „გამიშვლებას“ აპირებს ია ფარულავა
- **ფსიქოპორტრეტი** 24  
რით დაემსგავსა რატი დურგლიშვილი გიგი უგულავას
- **საზაღისი** 26  
„ევროვიზიის“ ქართველი ბექ-ვოკალისტები და ტრაგედიასთან დაკავშირებით უპასუხოდ დარჩენილი კითხვები
- **პარსკვლავები** 27
- **ქარიერა** 28  
ზურაბ ჟვანიასადმი ნაყენებული ბინძური ბრალდება და მიშა მაჭავარიანის სიმღიდრე
- **ოკაული** 30  
ლუჩანო პავაროტის ორეული და მსმენელის გარეშე დარჩენილი კირკოროვი
- **მინირომანი** 32  
სამნი

### მშენებნილები

### მუროველი ქრონაბი და სანაქეო რძალი




„ჭორობითა და ყავის წრუპვით გული რომ იჯერეს, ერთ-ერთ დაქალს უკითხავს, როგორ გადავარდიო? ეს საბრალოც მისულა აივანთან და, — აი, ასე, ვფენდი სარეცხსო, — აჩვენა და ისევე გადავარდა და დაიღუპა.“

76

საბჭოთავლოს  
პარლამენტის  
აროვნული  
ბიბლიოთეკა

■ <b>სულის სიმბოლო</b>	<b>35</b>
„სკაიპით“ მოჩაჩავე ბებო და დედის სიცოცხლის სანაცვლოდ გადახდილი 10 ათასი დოლარი	
■ <b>კვალნი</b>	<b>36</b>
სერგო ფარაჯანოვი ჩვენ დაუკარგეთ თბილისს	
■ <b>ეს საყვარელი</b>	<b>39</b>
■ <b>ავტო</b>	<b>41</b>
■ <b>ანტიდეპრესანტი</b>	<b>42</b>
■ <b>საკითხავი ქალაქისათვის</b>	<b>42</b>
■ <b>ისტორიის ლაბირინთები</b>	<b>44</b>
1864-1867 წლების ჩერქეზთა მუჰაჯირობა	
■ <b>ბაკარი</b>	<b>47</b>
„ჭეშმარიტება არის ერთი და ეს არის მართლმადიდებლობა“	
■ <b>ჯანმრთელობა</b>	<b>49</b>
■ <b>ერთი კითხვა</b>	<b>52</b>
ბევრი ფული რომ მქონდეს	
■ <b>ჩვენი სსოვრების გზა</b>	<b>52</b>
უცნაური სახლის სახელგანთქმული ბინადრები	
■ <b>ვიზიტები</b>	<b>57</b>
ინდოელების ქართველი რძალი, დელიში ნაპოვნი ქართული ჩანანერები და ერთ მოტოციკლად გაყიდული პატარძალი	
■ <b>თინეიჯერული პოეზიები</b>	<b>58</b>
■ <b>წვეთი პოეზია</b>	<b>60</b>
■ <b>ავტოპორტრეტი</b>	<b>61</b>
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ <b>შანტაგისკარი დეპუტატი</b>	<b>65</b>
რუსუდან ბერიძე. ცალთვალა ეშმაკი (დასასრული)	
■ <b>ნაძვილი ამბავი</b>	<b>68</b>
■ <b>რომანი</b>	<b>69</b>
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)	
■ <b>რეალური</b>	<b>73</b>
ULTRIX (გაგრძელება)	
■ <b>ყველა ერთისათვის</b>	<b>80</b>
■ <b>მოგილი-ზასია</b>	<b>82</b>
■ <b>მოზაიკა</b>	<b>86</b>
■ <b>მუნდიალი</b>	<b>89</b>
■ <b>ერუდები</b>	<b>92</b>
„სულ მინდოდა, კონსტანტინე გამსახურდიას შორენა კოლონკელიძე ვყოფილიყავი...“	
■ <b>გასართობი</b>	<b>94</b>
■ <b>ასტროლოგია</b>	<b>96</b>
■ <b>სკანოვრდი</b>	<b>97</b>
■ <b>საუბრობი</b>	<b>98</b>

**საყვარელი**




**გზაში საკითხავი კოლაჟი**

ადამიანის ტვინში დაბადებისთანავე დაახლოებით 14 მილიარდი უჯრედი და მათი რაოდენობა სიცოცხლის ბოლომდე აღარ იზრდება. 25 წლის ასაკიდან უჯრედების რაოდენობა დღეში 100 ათასით კლებულობს.

**36**

**ადამიანი**



**უხნაური სხლის სახელგანთქმული ბინადრები**

„ჩემო ნარგიზ, მინდა, სიყვარული ავიხსნა. 40 წელია ვიცნობთ ერთმანეთს და ერთი პატარა წყენაც არ მახსოვს შენგან. მახსოვს შენი ყურადღება, შენი სიყვარული, გაჭირვებაში მხარში დგომა, უანგარო დახმარება“.

**52**

**გიბლუსი**



— ნახავ მალე! — მრავლისმთქმელად ჩაილაპარაკა მიშამ, — შო, მართლა, რა უნდა გკითხო, იმ შენს გორელს თავი არ დაანებე? — შენ შენს გორელს? — ვუკბინე მე. — არ იცი, რომ ყველა სპორტსმენი

კრიმინალია? შეეშვი, სანამ დროა! — ჯერ შენ! თორემ გაგიგებს სანდრა და გაქცევს „ნი-თელი კვარტალის ლამპიონად!“

**60**

**ბაიბ-აუბი**



**მწუხარებისა და ბედნიერების ფერები**

ამერიკაში სიმხდალესა და ლაჩრობას ყვითლით გამოსახავენ. ჩინელისთვის ყვითელი (ოქროსფერი) ბედნიერებისა და სიმდიდრის, ხოლო იაპონიაში გრაციოზულობისა და დახვეწილობის, ინდიელებისთვის — წარმატების ფერია.

**86**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
 გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე  
 მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,  
 რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com  
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# „...და მიგდებულს“ ქვეყანა



**შესავლის ნაცვლად** (ამ ბოლო დროს უზამ-  
სი ლიტერატურაა მოდ-  
ში და რატომ უნდა ჩამოვრჩე ტენდენციას?)

ძველად, რევოლუციამდე, „ბნელი რომ იყო ხალხი, მაშინ“, ანუ სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ „აკრედიტაციას გაუუქმებდა ქალიშვილობის ინსტიტუტს“, იმ შემთხვევაში, თუ კაცი ისეთ რამეს უზამდა ქალს, ჩვენმა ხელისუფლებამ რომ უყო საკუთარ ქვეყანას, ყველაფერი ქორწილით მთავრდებოდა (თუკი ამ კაცს ცოტა პატიოსნება შერჩენილი ჰქონდა, თუკი ეს ქალი მთლად მაჩინჯი არ იყო და თუკი მას ვინმე ყვაფი-ჩხიკვის-მამიდა პატრონი მაინც ჰყავდა!) თუ არა და, ასეთ ქალს „გაუპატიურებულს და მიგდებულს“ ეძახდნენ...

ეჰ... არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არც ეს ქვეყანაა მაჩინჯი „კრაკადილი“, არც ჩვენი მთავრობაა დურუ ძიგუსა დუქანში შევარდნილი ბოდლო ყვალთავა და მისი ძმაკაცები და ის „ყვაფი-ჩხიკვის-მამიდაც“ მეგულებოდა ოკეანის გაღმა, მაგრამ... რალა ჩვენ და რალა ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“ — „გაუპატიურებულიც“, „მიგდებულიც“...

„კრაკადილზე“, ოკეანის გაღმელებსა და მამიდებზე გამახსენდა: იცით, ვინ არის ქალბატონი ზეითუნო ნინაგი (მართლა ასე ჰქვია)?.. მეც არ ვიცოდი, უფრო სწორად — არ მახსოვდა. ვინ არის და — ობამას კენიელი მამიდა, რომელმაც, როგორც იქნა, მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი ამერიკაში! აქამდე არალეგალურად ცხოვრობდა იქ მთელი 20 წელი(!).

ჰოდა, რატომღა გვიკვირს ობამას ბოლოდროინდელი განცხადება, — საქართველოს საკითხი რუსეთთან მეგობრობაში ხელისშემშლელი ფაქტორი აღარ არისო?! ეტყობა, მედვედევმა (მედვედევმა რა, იმ მეორემ) უთხრა, მაგ ქართველებს ერთი კარგი ანდაზა აქვთ და გაითვალისწინე: ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო!..

ნათქვამია, „გული გულობდეს და ქადა ორივე ხელით იჭმებო“: მაგ ობამას თავიდანვე „ვეკიდეთ“, თორემ ნინაგ მამიდამის ამერიკაში დასარჩენი ისეთი მიზეზი გამოუგონეს, ამ გამწარებულზეც კი გამეცინა: კენიაში შეიძლება, ტომთაშორისი შუღლის მსხვერპლი გახდესო! თურმე „ნინაგების ტომი“ და „ბეჰემოთების ტომი“ დიდი ხანია, მტრობენ ერთმანეთს.

ჩვენ კი რუსები არ „მიგვაგდებენ“, ბურჯანაძე და ნოლაიდელი მიეხმარებიან. ჰო, მართლა, მოსკოვში სიარული თურმე მეხსიერების აღდგენას უხდება — ბურჯანაძე ერთი-ორჯერ ჩავიდა მოსკოვში და „გაახსენდა“: 2008-ში გორი რუსულ კი არა, ქართულ ავიაციას დაუბომბავს!!! ჰმ, გაიჩალიჩებენ რალაცას და მერე უკვირთ და სწყინთ; გახსოვთ „ვერის უბნის მელოდიებიდან“ დოდო

აბაშიძე? „ეხლა ჩაგაყუდებ იქ, ჩემთან, და ქურქის ზლაპარიც გაგახსენდებაა...“

ისე, რა ცუდია, როდესაც ქვეყნის ბედი სულ სხვაგან და სულ სხვა მიზეზით წყდება ან ასე, ან ისე — ზემოთ რატომ ვთქვი ობამას მამიდაზე, აღარ მახსოვდა, თორემ ვიცოდი-მეთქი, იცით?.. რატომ და, ბედი რომ არ ექნება კაცს (ქალს, ქვეყანას): როდესაც მაქვეინმა არჩევნები წააგო, მანამდე რამდენიმე დღით ადრე გაჟონა იქაურ პრესაში „ნინაგი მამიდის“ ამბავმა, — დაჭერას უპირებდნენ და ეს რომ ოფიციალურად გაბაზრებულიყო, ახლა ობამა და მამიდამისი კენიაში იქნებოდნენ, ჩვენ კი — ნატოში, მაგრამ ბუშის ადმინისტრაციამ უარყო ეს ინფორმაცია. ახლა კი ნანობენ, მაგრამ ასე ხსნიან: ქვეყნის პრესტიჟს გაუფრთხილდითო(!). ჰოდა, ჰყავდეთ ახლა პრეზიდენტად „ბიძია თომა“...

...ამასობაში კი, აქ ვითომ არაფერი მომხდარა, ისე იქცევიან, — ყველა ძველებურად განაგრძობს ცხოვრებას: უგულავამ დაამთავრა „პროფტექნიკუმი“, ყველა ხელობა აითვისა და ამჯერად, მოდლებთან ერთად გაისეირნა დედაქალაქის დედაქუჩაზე; ვილაც „გენმოდინფორციონული ტიპები“ ისევ ერჩიან ეკლესიას და პირადად პატრიარქს; სააკაშვილი ისევ საზღვარგარეთ წასვლას აპირებს, ამჯერად — ლიტვაში და მალტაზე (ჰმ, მაგარი მარშრუტია, ერთი რუკას დახედეთ, რა — ეტყობა, მალტა, ლატვია ან ესტონეთი ჰგონიათ...); მანამდე აქ „მიხედა საქმეს“, როგორც სჩვევია: ქუთაისში აუზი გახსნა (წყალს არჩევნების წინადადეს ჩაასხამენ), ბათუმში — „შერატონი“, თბილისში — სკოლის „ბუფეტი“ და „კორუიკები“ შეუჭამა ბავშვებს...



**P.S.**

(ბავშვებს არ წააკითხოთ) კაცი და ქალი ლოგინში წვანან და „არიან ერთ ამბავში“.

უცებ, სრულიად „უდროო დროს“, ქალი ეკითხება კაცს:

— ძვირფასო, გიყვარვარ?

შეცბუნებული და „საქმეს მოწყვეტილი“ კაცი გულწრფელი გაოცებით პასუხობს:

— აბა, ახლა მე რას ვაკეთებდი, რომ არ მაცადე?!

P.P.S. ჰოდა, რა ქნან ზოგიერთებმაც? სიყვარულისგან მოსდით! თანაც, მგონი, ჩვენი „ცოლად მოყვანაც“ გადანწყობილ: ყოველ შემთხვევაში, ახალი „მშვიდობის ხიდი“ უკვე გვაჩუქეს, რომელიც სინამდვილეში (კარგად დააკვირდით), ახალი „ოლგის ულტრაა“, თანაც, მთელ ქვეყანას რომ გასწვდება, ისეთი...

**პროვოკატორი**



# ქვეყანა

## კარცერი-ლუქსი — ოცნება წიგნის ყველა მოყვარულისთვის

„მთელ ქალაქს კარცერებით მოვფენდი... ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით, ეს იქნება კარცერი-ლუქსი... არის ქვეყნად სიტყვები, რომლებსთვისაც ძალიან ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად „კარცერი“ და სად „ლუქსი“, მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა, — ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებული სავარძლით, კონსტა მაგიდაზე ნათურა-სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი-ოცნება ყველა წიგნის მოყვარულათვის“, — ამბობს გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟი ნაწარმოებში — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

18 მაისს საგამომცემლო სახლმა „პალიტრა L“ — წიგნის მოყვარულებს ოცნება აუსრულა — წიგნის XII საერთაშორისო ფესტივალზე კარცერი-ლუქსი მოაწყო, ისეთი, როგორზეც დოჩანაშვილის გმირი ოცნებობს, მონოდებით — „ამოღით ნებით!“

### თაშუა კინიკაპი

**მარიკა დარჩია**, კომპანია „მედია პალიტრას“ კრეატიული დირექტორი:

— კარცერი-ლუქსის მოწყობის იდეა წიგნების კითხვისას დაიბადა. ავტორს ვეთანხმები — პერიოდულად ადამიანი მართლა უნდა ჩასვა კარცერი-ლუქსში; მერწმუნეთ, კარცერიდან უკეთესი პიროვნება გამოვა, ვიდრე შესვლისას იყო. ჩვენს კარცერს გისოსებიც უცნაური აქვს.

— ...სადაც ადამიანები ნებაყოფლობით შედიან. იქდან კი საჩუქრით ხელდამშვენებული გამოდიან.

— გვინდოდა, ფესტივალზე განსხვავებული ფორმით წარვმდგარიყავით. დაინტერესება მართლაც დიდია; მგონი, ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა.

— **კარცერი მწერლების ფოტოებითაა გაფორმებული; გვერდით ზის „კაცი“, რომელსაც უურნალ „გზის“ ლოგოიანი ქუდი ახურავს და წიგნს კითხულობს.**

— დიას, ეს არის ადამიანი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს.

— **კარცერში მხოლოდ „ქართული პროზის საგანძურა“?**

— წიგნის მოყვარულებს საშუალებას ვაძლევთ, ამა თუ იმ ნაწარმოების ეპიზოდის გამოთქმით წაკითხვის შემთხვევაში, სასურველი ტომი საჩუქრად გადაეცეთ. ლიტერატურასაც და საჩუქარსაც თავად ირჩევენ.

„პალიტრა L“-ის კარცერის მიმართ ყველამ დიდი ინტერესი გამოიჩინა. მკითხველებმა აღნიშნეს, რომ სტენდ-

თან გულგრილად ჩავლა შეუძლებელია.

**სანო (მერაბ სანოძე)**, მუსიკოსი:

— კარცერი-ლუქსის ნახვამ აღმაფრთოვანა. გამოფენაზე ყველაზე მეტად ეს მომეწონა. ტუსალი სიამოვნებით გავხდები, ოღონდ — ჯერ არ ვიცი, რას წავიკითხავ. კარგი იქნება, თუ ასეთ კარცერებს ქუჩებშიც დადგამენ. იყო დრო, როცა ძალიან აქტიური მკითხველი ვიყავი. სამწუხაროდ, ახლა იმდენს ვეღარ ვკითხულობ, მაგრამ აუდიოჩანაწერების მოსმენას მაინც ვახერხებ.

**ტუსალი №4 — სტუდენტი გოჩა გაბოძე აღმოჩნდა. მან კარცერში შესვლისთანავე მიკროფონი მოიმარჯვა და დაიწყო „ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.** „...ნებისმიერი ნაშრომის დასურათხატებას მხოლოდ სამი უბრალო რამ სჭირდება — ქალაქი, მელანი და შვინდისფერი კალამ-კალმისტარნი...“

— **გოჩა, თუ იცი, რომ გურამ დოჩანაშვილმა ეს ნაწარმოები მართლა შვინდისფერი კალმით დაწერა?**

— მართლა?! არ ვიცოდი. ეს ავტორი ძალიან მიყვარს.

— **კარცერში თავს როგორ გრძობდი?**

— მაგარი განცდაა! ყველა პირობა იმისთვის შექმნილი, რომ ჩაუჯდე და „გემრიელად“ იკითხო. სახლში რომ მივალ, ამ წიგნს აუცილებლად წავიკითხავ.

— **იცოდი, რომ აქ კარცერი დაგვხვებოდა?**

— ეს ინტერნეტით გავიგე და სპეციალურად წამოვედი — იდეა მომეწონა. ტუსალობისკენ სხვებსაც მოვუწოდებ.

„ბიბლუსის“ გაყიდვების მენეჯერმა, ირმა ბახტაძემ მითხრა, რომ წიგნის ფესტივალზე „პალიტრა L“ მკითხველებს 10-დან 50%-მდე ფასდაკლე-



გაგრძელება იხ. გვ. 8



სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე

წარმოებიდან: აუდიო ჩიგნს



ქ ა ე გ ი ა

10 ნი დისკი - რჩეული ლემსაჟი

მხელთდ „ბობლუსის“  
წიგნის მადლობათა ქსელში

ფასი 28 ლარი

პოუსტინო, გაბსუნე

გოგის ხიბლო!..

წიგნები მისამართზე მიზანით. ტელ: 38-26-74; 14-09-91 „ელვა.ჯი“

ბას სთავაზობს. ყველაზე დიდი მოთხოვნა „ქართული პროზის საგანძურ-სა“ და ენციკლოპედიებზეა.

**ინფო კვირიკაშილი, ჟურნალისტი:**

— ამ ფესტივალზე „პალიტრა L“ ყველაზე ორიგინალურადაა წარმოდგენილი. ეს წუთია, კარცერიდან გამოვდი. საჩუქარმა ძალიან გამახარა. ნეტავ, ყველა კარცერი ასეთი ინტელექტუალური იყოს! მინდა, „ქართული პროზის საგანძურში“ ოთარჭილაძის და ნიკო ლორთქიფანიძის წიგნებიც ვიხილო.

**ზაალ საგანძურშილი, მწერალი:**

— თბილისის კულტურულ ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა.

— **კარცერში შესვლას ხომ არ აპირებთ?**

— (იცინის) არა, მე წიგნებს კარცერის გარეშეც ვკითხულობ. მის-



არია, რომ ამ ფესტივალზე ხალხის რაოდენობა ყოველ წელს მატულობს. ეს ერთგვარი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება. იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევს.

**თაზ ოშიაძე, კინომცოდნე:**

— იმის შესახებ, რომ „ქართული პროზის საგანძური“ ჟურნალ „გზასთან“

ერთად გამოდიოდა, არაფერი ვიცოდი. კარგია, რომ დღეს აქ მოვედი და ეს სასიამოვნო სიახლე შევიტყვე. კარცერში ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივიდან“ ნაწყვეტი წავიკითხე. ეს წიგნი მაჩუქეს. მადლობა „პალიტრა L“-ს, მადლობა ამ იდეის ავტორებს! ხვალ აქ აუცილებლად ჩემს შვილთან ერთად დავბრუნდები. მინდა, კარცერულუქსი მასაც ვაჩვენო.



### ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი „ნიჭიერთა ათწლილი“

ზ.ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი („ნიჭიერთა ათწლილი“) განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოზარდებს სთავაზობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე დაფუძნებულ, საერთაშორისო სტანდარტების დონის სამუსიკო განათლებას, რომლის მიზანია: საშემსრულებლო კულტურისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომწევა; უმაღლესი სამუსიკო განათლების მისაღებად აუცილებელი საბაზისო ცოდნის მიცემა. აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სასწავლებელს გააჩნია ვალდებულება მოსწავლეებს შეუქმნას სწავლის შესაბამისი პირობები.

**ყურადღება: სასწავლებლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლისგარეშე სამუსიკო განათლების აპარატურად, სპეციალური შემთხვევებით უზრუნველყოფილნი იყვნენ განათლება იმავე უნარზე №44 საჯარო სკოლის მიერ მართვის საგანგაო შემთხვევაში სასწავლო ცხრილის მიხედვით.**

2010-2011 სასწავლო წლისთვის ცხადდება მიღება შემდეგ განყოფილებებზე: **საუნგრულალო – ფორტეპიანოს ვიოლინოს, ალტის, ჩელო და ბლოკ-ფლაუტის სასწავლებლები** მიიღებიან

1-დან მე-12 კლასის ჩათვლით: **ფლეიტის, კორნეტის, კლარინეტის, ფაგოტის, პალოდინის, საჰარის, ბრონის, კონტრაბასის, არფის და დანარბაზის საკრავის** სპეციალობებზე მოსწავლეები მიიღებიან მე-5-დან მე-12 კლასის ჩათვლით, **ჯაზის იმპროვიზაციის** განხრით მოსწავლეები მიიღებიან მე-7-დან 12 კლასის ჩათვლით.

ამ სპეციალობების მისაღები მოთხოვნებია: 1 კლასში – ზოგადი მუსიკალური მონაცემების (სმენისა და რიტმის გრძობის) შემოწმება; მე-2-12 კლასებში – საშემსრულებლო უნარ-ჩვევების შემოწმება და გასაუბრება (სმენითი უნარების, ზოგადი მუსიკალური და თეორიული ცოდნის შემოწმება).

**ოპერის სასწავლო განყოფილება** მოსწავლეები მიიღებიან ხმის გარდატეხის პერიოდის შემდგომ მე-12 კლასის ჩათვლით. მისაღები მოთხოვნებია: ხმის შემოწმება და გასაუბრება (სმენითი უნარების, ზოგადი მუსიკალური და ელემენტარული თეორიული ცოდნის შემოწმება).

**კომპოზიციის, მუსიკის თეორიისა და ინსტრუმენტალური-სადირიჟორო სასწავლო განყოფილება** მოსწავლეები

მიიღებიან მე-2-დან მე-12 კლასის ჩათვლით. განყოფილების მისაღები მოთხოვნებია:

საკომპოზიტორო სპეციალობაზე – მე-2-8 კლასებში, შემოქმედებითი პოტენციალის შემოწმება; მე-9-12 კლასებში, საკუთარ ნაწარმოებთა წარდგენა და საშემსრულებლო უნარების შემოწმება.

**საინსტრუმენტალური სასწავლო განყოფილება** – ერთი სიმღერის შესრულება, ფურცლიდან კითხვა და

ფორტეპიანოზე დაკვრის უნარ-ჩვევების შემოწმება. **მუსიკის თეორიისა და ინსტრუმენტალური სასწავლო განყოფილება** – გამოცდა მუსიკის თეორიისა და პრაქტიკაში და საშემსრულებლო უნარების

შემოწმება. ყველა ამ სპეციალობის დაუფლების მსურველებმა დამატებით უნდა გაიარონ

გასაუბრება, სადაც მოხდება მათი სმენითი უნარების, ზოგადი მუსიკალური და თეორიული ცოდნის შეფასება.

## სწავლა უფასოა!

**განსაკუთრებული ყურადღება** 5-6-დან და წყდება გამოცდის წინა დღეს (კვირის გარდა), დღის 11 საათიდან 17 საათამდე. **გამოსვლილი დრო** 31 მაისიდან 6 ივნისამდე (საბუთების მიღება წყდება 28 მაისს). სასწავლებლის მისამართია აჭავჭავაძის №194 (№44 საჯარო სკოლის შენობა) დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 98-36-96; 93-10-97; 93-61-49.



# ქართული სისხლი, როგორც საკრალური სწავლება...

მეგონა, საუკუნეების მიღმიდან მესმოდა მისი ხმა. ხმაც ისეთი ჰქონდა — რაღაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ძეხორციელის ყელიდან ამოსული... თითქოს ეს ხმა სიტყვების გარეშეც საბრძოლველად გეძახდა. თითქოს მისი გულიც მხოლოდ იმიტომ ძგერდა, რომ შენს მკერდქვეშაც აეჩქარებინა სისხლი „სად არ დაღვრილი... ნადიდგორალი, ნაშამქორალი“. სახელიც ისეთი ჰქონდა — ძალიან ქართული და ჟღერადი, ხმადაბლა თქმა რომ არ მოუხდებოდა არაფრით. ამიტომ, თუ დაასახელებდი, ომახიანად უნდა დაგესახებინა — მუხრან მაჭავარიანი!

ვერც კი წარმომედგინა, როგორი იყო ახალგაზრდა: მისი სიბრძნე ასაკისა და გამოცდილების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ჯერ კიდევ ათეული წლების წინ, როცა ასაკოვნობამდე დიდი გზა ჰქონდა სავალი. ეს „ასაკი და გამოცდილება“ მის ყველაზე ადრეულ ლექსებშიც ჩანდა.

კიდევ, ვერ წარმომედგინა მუხრან მაჭავარიანი სახლში, სავარძელში მოკალათებული, მოშვებული და განცხრომილი. ის ხმალივით იყო, რომელსაც ვადაში ჩაგების ჟამი ჯერ არ დასდგომოდა... მისი აზიდული წარბები თითქოს მომართულ და დაჭიმულ სხეულსა და სულს ბოლო შტრისს მატებდა. მისი სიტყვა მაშინაც კი საბრძოლო ყიჟინასავით ისმოდა, როცა ბრძოლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა ისტორიულად ომებით გადაღლილსა და ძლიერი მეზობლის წნეხის ქვეშ მოყოლილ საქართველოს.

ის მოდიოდა და თავისი ქართული სისხლი მოჰქონდა, როგორც ჩაუშქრალი ცეცხლი და როგორც საკრალური სწავლება, ისე უნდა გადაეცა შთამომავლობისათვის. მოჰქონდა სისხლი, რომელსაც

*„გზადაგზა სვამდნენ,  
ამღვრევენდნენ,  
ღვრიდნენ,  
ულმერთოდ ჰრყვნიდნენ,  
უგულოდ ჰყიდნენ,  
და...  
მიუხედავად ამისა, მაინც —  
გამოიარა  
რუსთველის გული,  
გამოიარა  
ვახტანგის გული,  
გამოიარა  
თამარის გული,  
გამოიარა  
სულხანის გული“...*

საკრალური სწავლება შემთხვევით არ მისხენებია. გენი და სისხლი, რასაც ასე ხშირად ვახსენებთ ხოლმე, სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერება შენი ერის ფესვის ცოდნა-ცნობითა და



წინაპრის სიბრძნით ნაკვები. ეს გენებთან ერთად კი გადმოგვეცემა, მაგრამ შესაბამისი სწავლებით თუ არ განმტკიცდა, ისე იკარგება, როგორც პეშვში ჩასხმული წყაროს წყალი.

მასსოვს დაღლილი, გაბრაზებული და განგებ მდუმარე პოეტი. ის დრო იყო, როცა უკვე საკუთარი თვალთნახა — იქ, სადაც საქართველოს გადასარჩენი ომი უნდა ყოფილიყო, ერის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სულ სხვა მიზნებისთვის დულდა ცხოვრება.

— როგორ მინდა, გესაუბროთ... — ვუთხარი მოკრძალებით.

— არ შემეძლია! მართლა არ შემეძლია... ვნახოთ, დრო გავიდეს, იქნებ გულმა სხვა მითხრას და მათქმევინოს კიდევ... ახლა რა უნდა ვთქვა?

გარეთ ზაფხულის სვავი იდგა, ქანც-განწყვეტილი ქართველი ქალები ვინ იცის, რომელი ქვეყნიდან ჩამოტანილი უხარისხო ტანსაცმლით სასვე დიდ ჩანთებს დაათრევდნენ... გადაგვარებამდე მისული უმუშევარი კაცები იქვე, დახლთან ახლოს, სადაც ქალები ჭინჭებითა და ბოსტნეულით ვაჭრობდნენ, სახელდახელო სუფრასთან ისხდნენ და სადღეგრძელოებს აფრქვევდნენ. სუფრა იყო საჯაყი, ისეთი, როგორზედაც ადრე

ძლიერ მეზობლებს დავცინოდით, — ძეხვი, პური და არაყი... ან — ლუდი, გამხმარი თევზი და პურის ყუა...

ქუჩაში გაჭირვებასა და პოლიტიკას დაესადგურებინა, პოლიტიკაში — კეთილდღეობასა და განურჩევლობას. მას შემდეგ ლამის 10 წელიც გავიდა. რა შეიცვალა და რა — არა, მკითხველი თავად მიხვდება. მუხრან მაჭავარიანმაც, მართალია, ძუნწად, მაგრამ რამდენიმე სიტყვა თქვა...

80 წლის იუბილარს პრეზიდენტი ეწვია. მაშინ მთელმა საქართველომ მოისმინა, რა ისურვა პოეტმა — წყარო გამოიყვანეთ ამ ულამაზეს სოფელში... ხალხს სასმელი წყალი შორიდან მოაქვსო. წყარო — სიცოცხლისა და სისუფთავის სიმბოლო — სიმბოლურად დაუტოვა მათ, ვისზეც ლოცულობდა: „იარონ, იარონ, იარონ! ამინ!“-ო

სხვა სურვილი ლექსით ჰქონდა ნათქვამი:

*„ვერ მივალნიე,  
ვერ ველირსე უკეთუ მიზანს,  
ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, —  
რა ბედენაა დიდუბის და  
მთანმინდის მიწა!..“*

*თუ სიკვდილია, —  
აი, წოლა მესმის შამქორში!“*

ოლონდაც სად შამქორი იყო და სად „შამქორს“ გვალანდებდნენ, ამის გარჩევა უნდა შეგეძლებოდა...

ვერაფრით წარმოვიდგენდი მუხრან მაჭავარიანს დაწოლილს, სიკვდილთან შეხვედრის მომლოდინეს... ზეციურმა უკეთ იცის, ვის როგორ დასასრულს მიაგებს. მისი დასასრული რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა. ფრიდონ ხალვაშის 85 წლის საიუბილეო საღამო მიმდინარეობდა. ის სიტყვით გამოვიდა. სიტყვა იყო ხმამაღალი და ომახიანი — ისეთივე, როგორც მისი სახელი — მუხრან! 81 წლის პოეტი იდგა სცენაზე და მას არ ჰქონდა ასაკი, ვერაფრით დაარქმევდი მოხუცებულს ან ხანდაზმულს, როგორც ამ ხნის ადამიანს ეგება.

იდგა დროზე მალლა და ხმალივით შემართული. მერე შეტორტმანდა და ბოლო ამოსუნთქვა ვიდრე დადგებოდა, ვიდრე დაეცემოდა, სულ რაღაც წამით, მაგრამ მაინც დაიჩოქა... საქართველოსთვის, ცხადია...

*„ნასანერი საფლავის ქვის  
ორივე მხარეზე:  
(ქვედაზეც და ზედაზეც, —  
მკვდარმაც რომ წაიკითხოს  
და ცოცხალმაც)  
შენი არ იყოს, — ჩემო ირაკლი! —  
ვერ ვიდევგმირე! — ვერ ვინწინაპრე! —  
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ! —  
მამულმა შენებრ შემინირა მე.“*

ლელა ჯიყაშვილი  
იხ. საიტი [www.kvirispalitra.ge](http://www.kvirispalitra.ge)

# დასაქმებულები და დასაქმებულნი

## რატომ ირღვევა დასაქმებულთა ინტერესები?!

საბჭოური წესწყობილების მოშლის დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა... განცალკევებით სამსჯელო პრობლემაა დასაქმებულთა უფლებების დაცვა და ამ მხრივაც ვითარება ჩვენში საკმაოდ მძიმეა. იშვიათობაა სტაბილური სამსახური; გარდა ამისა, დასაქმებელი თითქმის ყოველ ფხვის ნაბიჯზე არღვევს დასაქმებულის ინტერესებს, თუმცა ხშირად ამას დარღვევად არც მიიჩნევს... ამ სფეროში არსებული სურათის გადმოსაცემად, სხვადასხვა საწარმოში მომუშავე ადამიანებს ვესაუბრეთ. მათი თხოვნით, სამსახურში მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებების ვინაობას არ ვამხელთ...

### ლალი პაპასკირი

ნანა, 42 წლის:

— უკვე რამდენიმე წელია, თონეში ვმუშაობ. მეპატრონემ ჯერ პურის ცხობა დაიწყო, შემდეგ კი, როცა მოგება ნახა, ხაჭაპური, ლობიანი და მოგვიანებით, ფუნთუშებიც დაამატა... შესაბამისად, საქმეც მოგვემატა. სამუშაო დღეს დილის 7 საათზე ვინწყებთ და შესვენება მხოლოდ ერთი საათი გვაქვს — შუადღეს, საუზმისთვის — მერე, საღამოს 10 საათამდე ისევ ფეხზე დგომა გვინევს. განსაზღვრული არ არის საქმე, ყველანი ყველანაირ საქმეს ვაკეთებთ. შეთანხმების თანახმად, დღის ბოლოს 10 ლარი უნდა მოგვცენ, მაგრამ ჩვენი უფროსი ხასიათის მიხედვით მოქმედებს: თუ უნდა, კვირის ბოლოს ერთდროულად გადაგვიხდის, ან დღის ბოლოს გადაგვიხდის, ოღონდ თანხის ნახევარს; თუ არ უნდა, საერთოდ არ მოგვცემს... დღესასწაულებზე უამრავი ხაჭაპურის შეკვეთა გვაქვს, რასაც გოჭი და ქათმები ემატება და ასეთ დღეებში დილის 6-დან 11-მდე, ხშირად — 12-მდეც გვიმუშავია... ხმის ამოღებას ვინ გაბედავს?! დღეს სამუშაოს შოვნა, ყველამ კარგად ვიცით, რამდენად ძნელია. ერთი კვირის ნამუშევარი საერთოდ არ მოგვცა, — მერე ერთად აგინაზღაურებთო, — მაგრამ მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. ერთ-ერთ ცომის მზელავ ქალს უსაყვედურია, — იმ ერთი კვირისას როდის გვადირსებენო? — და მეორე დღესვე დაითხოვეს, — სადაც უკეთ გადაგიხდიან, იქ მიბრძანდითო. არადა, ძალიან კარგი ხელი ჰქონდა; მაგრამ ქალაქში იმდენი უმუშევარია, ხალხი მზად არის, 5 ლარზეც იმუშაოს... ეს ხომ ჩვენთვისაც

გაკვეთილია: თუ გააპროტესტებთ, თქვენც იგივე ბედი გენევათო. დღის განმავლობაში 5 ქალი მაინც მოდიოდა, ზოგი დამლაგებლობას გვთავაზობდა, ზოგი — ლამისთევით მუშაობას. ანუ ჩვენმა უფროსმა იცის, რომ დასაქმების მხრივ მძიმე სიტუაციაა და ისეთ რეჟიმში გვაშუაავებს, რომ მუდმივად გვქონდეს სამსახურის დაკარგვის შიში. ამას ისიც ემატება, რომ გარშემო მალაზიები და საცხოვრები ერთმანეთის მიყოლებით იხურება.

**ელენე, 22 წლის, მალაზიის გამყიდველი:**

— სწავლის ქირა ვერ შევიტანე და აკადემიური ავიღე. დედა ავადმყოფი მყავს; მესამე წელია, მამა გარდაამცვალა. ძმას თავისი ოჯახი აქვს და ჩემთვის არ სცალბა. ასე რომ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მაქვს, როგორღაც უნდა შევძლო, ყველაფერი მოვიკლო



და სწავლის ქირის ნახევარი მაინც მოვაგროვო. არ მინდა, მთელი ცხოვრება სხვისი ხელის შემყურე ვიყო... მეშიდღე თვეა უკვე, მალაზიაში ვმუშაობ. არ ვიცი, სხვაგან რა სიტუაციაა და უფროსები როგორ ექცევიან თავიანთ ხელქვეითებს, მაგრამ აქ, რომ იტყვიან, უკვე გაძლებათ ვარ. მალაზიის მეპატრონეს ორი წინა არ ექნება ნაკითხული, ჩვენზე 2-3 წლით უფროსია და თავის თანატოლ გოგონებს ისე ზემოდან გვიყურებს, თითქოს ლექტორი იყოს, ხოლო ჩვენ — ოროსანი სტუდენტები... არადა, ერთადერთი სტუდენტი მათ შორის, მე ვარ, დანარჩენები — მაგისტრატურადამთავრებული, ძალიან განათლებული გოგონები არიან. მათ რომ ვუყურებ, ლამის მეც დაკვარავ სწავლის სურვილი. ამდენი ნვალების შემდეგაც თუ სამსახურის შოვნის პრობლემა მექნა, რაღა აზრი აქვს სწავლას?! ფსიქოლოგიურ მხარეს თავი დავანებოთ — იმდენად მოსწონს უფროსობა, მთელი დღე, დილის 10-დან 7 საათამდე ფეხზე დგომას გვთხოვს, კლიენტი არის თუ — არა, მარტო ვართ თუ — არა, მაინც ფეხზე უნდა ვიდგეთ... თუ „გამოგვიჭირა“, ფეხსაცმლის მტკრიან ძირს დავგვანახებ, რომელიც კლიენტმა ჩახოშობის დროს გააჭუჭყიანა, ან ერთიმეორის მიყოლებით ჩამოკიდებულ საკიდარს გაასწორებს. იცის, რა დღეშიც ვართ და ისიც იცის, რომ წასასვლელი არსად გვაქვს და ცდილობს, უფროსობა ბოლომდე შეიფეროს... მასთან ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია, უბრალოდ, ახლობელმა მიმიყვანა და ჩემი სამუშაოს გრავაციო და შრომის ანაზღაურება გამაცნო. ეს გოგო კი დამატებით ისეთ რამეებს გვაკეთებინებს, ბრაზს ძლივს ვიკავებ, — საპირფარეშოს დალაგებიდან დანყბული, ყველაფრის კეთება ჩვენ გვინევს. საქმლის ფულს, თითოეულ გამყიდველს, 2 ლარს გვითვავს და ხშირად იმასაც გვაყვედრის. იმ დღეებში, როცა მალაზიაში არაფერი იყიდება, ხან 5 ლარს გვაძლევს, ხან საერთოდ არაფერს. მაგრამ რომ წავიდე, სად წავიდე?! სხვა ახლობლებისგან ვიცი, რომ ამ სფეროში ყველგან ასეთი სიტუაციაა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, — ამას კიდევ რა უშავს?! ის ქალი, ვისთანაც ადრე ვმუშაობდი, ყავის დალევის უფლებას არ გვაძლევდა, — ტანსაცმელში სუნის ჯდებამო...

**გიორგი, 24 წლის, ერთ-ერთი სასტუმროს დაცვის თანამშრომელი:**

— ეს ყველაზე საზიზღარი საქმეა, რაც კი შეიძლება წარმოიდგინო, — მთელი დამე მთვრალი ხალხის ცქერა და პატრონობა გინევს. ვილაც შარინამა დედაც რომ შეგაგინოს, მაინც „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე“ უნდა უთხრა; თუ პირდაპირ შეტევაზე არ გადმოვიდა, ხმას არ უნდა აუწიო,



პირიქით — ტაქსი უნდა გამოიძახო და ჩააბრძანო... მაგრამ დავანებოთ ამას თავი. სასტუმროს მეპატრონე ჩემს მორიგეობაზე 25 ლარს მიხდის და ყველაფერი მე უნდა შევითავსო: მისი და მისი ცოლ-შვილის მძღოლობა, საკუთარი სახლის საქმე, „ეს მომიტანე, ის წაიღე, იქ რაღაც გაფუჭდა და შეაკეთებინე ან შენ შეაკეთე“... „იქ“ ეხება — სახლს, სასტუმროს, სადაც მე ვმუშაობ, კაფეს, სადაც მე არ ვმუშაობ, მაგრამ სასტუმროს მეპატრონის მფლობელობაშია და სანდო კაცი სჭირდება... ამას წინათ რემონტი გააკეთა სახლში, ახალი ავეჯი შეიტანა, უფრო სწორად, ჩვენ შეგვატანინა. ბიჭები მთელი ღამის ნათევები ვიყავით და სანოლი შორიდანაც რომ დამენახა, გული წამივიდოდა. მაგრამ დაღლის უფლება არ გვაქვს. ჩემი ბიჭები მოვლენ და წაიღებენო, — დაიბარებს, სადაც უნდა, მერე დაგვირეკავს, მისამართს ჩაგვანერინებს და ჩვენ, გვცალია თუ არა, შეგვიძლია თუ არა, არც ადარდებს; არ გაუკეთებ და სამსახურს დატოვებ. სანდო ხალხი სჭირდება და თუ დაინახა, რომ ძალიან გიჭირს და იმ „კაპიკების“ გულისთვის ბევრ რამეზე თანახმა ხარ, ლიმონივით ბოლომდე გამოგნურავს... ერთ-ერთ თანამშრომელს თავისი ცოლის თვალთვალის დაავალა. იმ ბიჭმა სამსახური დატოვა: 350 ლარის გულისთვის ყველაფერს ვერ ვიკადრებო!... ერთი ბიჭი კი იმიტომ გაათავისუფლა, რომ დედა ჰყავდა ცუდად და ერთი საათით ადრე დატოვა პოსტი... ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია, უბრალოდ დაგველაპარაკა, ჩვენი წარსულის შესახებ გაიგო, ფიზიკურადაც მოვეწონეთ; დარბაზში რომ შემოხვალთ, ხალხს თქვენი რიდი უნდა ჰქონდესო, — გვითხრა და ჩვენი ფუნქციები აგვისსნა... ზოგჯერ თავი „ბაბაჯანა“ მგონია... არა, ალბათ უფრო — მოურავი: ბაბაჯანა მხოლოდ წყალს დაათრებს გამოემეებით, მე კი ყველაფერს ვაკეთებ... ხანდახან მზად ვარ, ყველაფერს თავი დავანებო და სახლში წამოვიდე, მაგრამ შინისკენ მიმავალს გზად სიგარეტის მათხოვარი ბიჭები რომ გადამელობებიან, მირჩენია, ის ჯოჯოხეთური ვითარება და თავის დამცირება ავიტანო და ვიმუშაო.

**პასტანო, 53 წლის, სამარშრუტო ტაქსის მძღოლი:**  
— სამარშრუტო ტაქსის ხაზი ვისაც ეკუთვნის, მას დღემდე 60 ლარს ვუხდით. თან, მანქანაც მისია და თუ რაღაც გაფუჭდა, ჩემი გასაკეთებელია, ეს მის ხარჯებში არ შედის; თუ მისი პირობები არ მომწონს, არავინ მაკავებს, მაგრამ ხომ იცით, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ!... თუ სადმე ვინმე არ გყავს, ვერაფრით შეძრებები... კარგი უფროსი არ არსებობს, შეილო, ყველა უფროსი ერთ-

ნაირია — თავის მოგებაზე ზრუნავს, შენზე თავს არავინ შეინუხებს. ამიტომაც გარბის ყველა საქართველოდან... ჩემი ორივე შვილი უცხოეთში ცხოვრობს და მუშაობს. მათაც მძიმე გრაფიკა აქვთ, მაგრამ ეს ყველაფერი ჩადებულია ხელშეკრულებაში, რომელსაც წინასწარ აცნობენ. გოგონა ბარში მიმტანად მუშაობს. ამას წინათ დამირეკა და მითხრა, — მამა, ღამე სახლში რომ მივდივარ, ხელში ტელეფონის ალებისა და თქვენთან დარეკვის თავიც კი არ მაქვსო; სამაგიეროდ, შრომის ანაზღაუ-

ერთი, იმის შიში გვაქვს, უფროსი რომ შეიცვლება, ჩვენც არ მიგვაყოლონ. ჯერჯერობით გადავრჩი და ანი რა იქნება, არ ვიცი.  
არღვევენ თუ არა დასაქმებულებთან შეთანხმებას? — ამის გასარკვევად, რამდენიმე მცირე მენარმეს დავუკავშირდი. როგორც ისინი გულახდილად საუბრისას ამბობენ, შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, თვითონ დასაქმებული დაარღვევს სანარმოს შინაგა-

**ორი წიგნი არ ექნება წაკითხული, ჩვენზე 2-3 წლით უფროსია და თავის თანატოლ გოგონებს ისე ზემოდან გვიყურებს, თითქოს ლექტორი იყოს**

რება „კაპიკები“ კი არ აქვთ, საკმარის თანხას იღებენ. ჩვენთან, ხშირ შემთხვევაში, დამცირებაც არის, მცირე ანაზღაურებაც და თავი დასაქმებულადამიანად კი არა, „კაპიკებზე“ მომუშავე მონა გგონია. ეს არის განსხვავება.

**ბარინა, 55 წლის:**  
— სახელმწიფო უწყებაში ვმუშაობ და ღმერთს ამისთვის ყოველდღე მადლობას ვწირავ: იმასთან შედარებით, რაც ჩემი ახლობლებისგან მესმის, არაჩვეულებრივი სამსახური მაქვს. ხელფასის დღე არასდროს გადაუცილებიათ, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ფარავს ჩვენი ხელფასი საარსებო მინიმუმს... ერთხელ უფროსის კარადიდან რაღაც ნივთი დაიკარგა, 2-ლარიანი ყოფილა და ახლის საყიდლად ფულის შეგროვებამ ჩვენ მოგვინია, რადგან იმ მონაკვეთში იმ დროის დენი არ იყო და სათვალთვლო კამერებმა ვერაფერი დააფიქსირა... ასეთი რაღაც ათასში ერთხელ ხდება და ავიტანთ, უმუშევრობას მაინც სჯობია... ერთად-

ნანესს, რადგან, მათი თქმით, „ჩვენი ხალხი კანონმორჩილი არ არის“...

**თიფური, 38 წლის:**  
— ყოფილა შემთხვევა, როცა მოსამსახურე 9 საათზე უნდა გამოცხადებულიყო დანიშნულების ადგილზე, მაგრამ აბსურდული მიზეზის გამო, 10 საათისთვის მოსულა. ასეთ შემთხვევაში, ჩემი საქმე ფუჭდება. მე კი ისლა დამრჩენია, ასეთი არაპუნქტუალური ადამიანი პირველ ჯერზე დავაჯარიმო, მომდევნოზე კი — იძულებული ვარ, სამსახურიდან გავუშვა... ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სამუშაო არ არის და ასეთ დღეებში მოსამსახურეებს ნახევარ თანხას ვუხდით, მაგრამ სრულად რომ გადავუხადო, წაგებაზე უნდა ვიმუშაო და ბიზნესი დავხურო... ჩემს მდგომარეობაშიც ხომ უნდა შემოვიდნენ?! არ ვამბობ, არაჩვეულებრივი უფროსი ვარ-მეთქი, მაგრამ სიმართლე სადღაც შუაშია. თავიდან მზად არიან, დღე და ღამე თავდაუზოგავად იშრომონ, მაგრამ მერე თანდათან უკვე

**ტყავის სამეულები 2300 ლარი**



**ფართა არჩივანი**

- კრემისფარი
- აორღოსფარი
- ყავისფარი

www.classica.com.ge

**ალ. ყაზაგვის ბაზ.14**  
**პაშა-ფშაველას ბაზ.25**

☎ **38 88 11**  
**37 11 11**



ამბიციები უჩნდებათ: ზოგი დღეში 10-ჯერ სიგარეტს ეწევა, ზოგი „პანმელიაზა“, ზოგს თავი სტკივა ან პანმანზე ეჩქარება და ასეთ რაღაცებს მე ვითვალისწინებ. მეც ჩემი ინტერესები მაქვს. სახლი მაქვს ამ ბიზნესის გამო ბანკში ჩადებული...

როგორც სამოქალაქო სამართლის სფეროში კარგად გარკვეული ადვოკატი, ციცირო ცხვედიანი ამბობს, სამსახურში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით ადამიანები ხშირად მიმართავენ, მაგრამ ეს, უმეტეს შემთხვევაში, შინაგანანებისა და შრომითი ხელშეკრულების დარღვევას (კონკრეტულად, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით) არ ეხება.

— მას შემდეგ, რაც შრომის კოდექსი შეიცვალა, უამრავი ცვლილება შეიტანეს და ასეთ საქმეებზე მუშაობას თავს ვარიდებ... ამჟამინდელი შრომის კოდექსი ისეა შედგენილი, რომ მოსამსახურის ინტერესებს თითქმის არ იცავს. კოდექსი ძალიან კარგად არის შედგენილი სამუშაოს მიმცემისთვის (დამქირავე ბლისთვის), მაგრამ საკმაოდ ცუდად — დასაქმებულისთვის (დაქირავებულისთვის)... რამდენჯერმე მომმართეს მოქალაქეებმა, რომლებსაც კონტრაქტით დავთვალისწინებული ვადის ამონურვამდე დაატოვებინეს სამსახური. რამდენიმე თვის წინ, ყოფილი მეოთხე საავადმყოფოს ცნობილი, პროფესიონალი ქირურგი გია დათუაშვილი შინაგანანების დარღვევისთვის (ადმინისტრაცია რაღაც ოპერაციის გაკეთებას ედავებოდა) გაათავისუფლეს სამსახურიდან. ეს პროცესი მოვიგეთ. სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერჯერობით ძალაში არ არის შესული, მაგრამ სასამართლომ გააუქმა ბრძანება, რომლის საფუძველზეც ექიმი გაათავისუფლეს და იმედია, მას სამსახურში დააბრუნებენ... ამ შემთხვევაში, დარღვევა არ ყოფილა და ამიტომაც მოვიგეთ პროცესი.

**ქალბატონო ციცირო, ისეთი მოქალაქეები თუ მოგმართავენ, რომელთა ხელშეკრულების პირობები ირღვევა?**

— თუ სამუშაო საათების დამატებას, ხელფასის შემცირებას ან დაგვიანებას გულისხმობთ, გიპასუხებთ — არა; პირიქით — ოღონდ სამსახური იშოვოს ხალხმა და ასეთ ნვრილმანებზე პრეტენზიას არავინ გამოთქვამს, დღე და ღამის „გაერთიანებაზე“ კი თანახმანი არიან... უამრავი ადამიანი მოსულა და შემოუჩივლია, — გამათავისუფლეს და მიზეზი არ ვიციო. ამ დროს ვეკითხები, — ერთი თვის ხელფასის კომპენსაცია თუ მოგცეს-მეთქი?! სხვა მხრივ, ვერაფრით ვშველი... ყველანი ვხვდებით, თუ რა დაგას ამის უკან, მაგრამ მხაგესი გადაწყვეტილება ადმინისტრაციის მხრიდან კანონის ფარგლებს არ სცილდება — კოდექსია ასე შედგენილი...

# დასაქმებულები და დასაქმებულები

## სხვისი ბასაჭირით „გულდათუთქული“ კულტურული აფერისტები...

უმუშევრობის პრობლემას მრავალგვარი „განშტოება“ ახლავს თან. მათ შორისაა იმ ადამიანებისა თუ ჯგუფების მომრავლება, რომლებიც მოქალაქეებს დასაქმებას ჰპირდებიან. ბოლო წლებში დაარსდა არაერთი ფირმა, რომელიც სამუშაოდ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს იწვევს. თუკი რომელიმე ადამიანი საკუთარ მონაცემებს ინტერნეტში განათავსებს, ეს კომპანიები მათ გულგრილად გვერდს ვერ აუვლიან, თითქმის ყველა მათგანს დაუკავშირდებიან და გასაუბრებაზე დაიბარებენ. თუ რა პირობები აქვთ მათ, სამუშაოს დასაწყებად, — ამას ჩემი რესპონდენტები გვიამბობენ...

### ნათია ჟივიკა

კახა ალდოგილაშვილი, 26 წლის:

— სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე. ოფიციალურ სამსახურში არასოდეს მიმუშავია. სტუდენტობიდანვე მცირე ბიზნესით ვარ დაკავებული. ცოტა ხნის წინ დავექორწინდი, დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე და ოჯახის უზრუნველყოფის მიზნით, მუშაობის დაწყება გადავწყვიტე. საკუთარი მონაცემები ინტერნეტის ერთ-ერთ საიტზე განვათავსე. ძალიან მალე ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინება მოვიდა. ერთ-ერთ კომპანიას გაყიდვების მენეჯერი სჭირდებოდა და გასაუბრებაზე მიბარებდნენ. მეორე დღეს მართლაც წავედი. ისინი ჩემი ოჯახური მდგომარეობითა და განათლებით დაინტერესდნენ. დამპირდნენ, რომ 3 დღეში დამიკავშირდებოდნენ. 3 დღის ნაცვლად, იმავე საღამოს დამირეკეს და მითხრეს, რომ მეორე დღეს მათ უფროსს ჩემთან შეხვედრა სურდა. ისევ წავედი. უფროსი, ასაკოვანი ქალბატონი გახლდათ. ის ჩემი შემოსავლითაც დაინტერესდა. ისიც მკითხა, თუ რატომ მსურდა მუშაობის დაწყება? მერე კი მითხრეს, რომ სამსახურში იმ პირობით ამიყვანდნენ, თუ მათთან ერთ-კვირიან ტრენინგებს გავივლიდი, რომელსაც, მათივე თქმით, წარმატებული ბიზნესმენები ჩამიტარებდნენ. ტრენინგის ფასი თურმე 300 ლარი ყოფილა. ამ თანხას კი რატომღაც, კომპანია ფარავს. ისიც მითხრეს, რომ ერთი კვირის შემდეგ 10-დღიან სამუშაო ვადას მომცემდნენ; ამ 10 დღეში მათი ფირმის 300 ლარის ღირებულების პროდუქცია უნდა გამეყიდა, რათა

ამით კომპანიას ჩემი ტრენინგისთვის გაღებული თანხა ამოეღო.

— რა პროდუქციაზე იყო საუბარი?

— მაგალითად, 26 ლარად ღირებულ უთოზე, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ ბაზრობაზე 16 ლარი ღირს... გარდა ამისა, აქვთ თმის საშრობი ფენი, მტვერსასრუტი, მიქსერი და სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც ბაზრობაზე გაცილებით იაფია. მითხრეს, — 10 დღეში 300 ლარის პროდუქციას თუ გაყიდი, მუშაობას დაგაწყებინებთო. ასეთ დროს ადამიანი ფიქრობ, შინ ჯდომას ხომ სჯობია, 300 ლარად მუშაობა დავინყო, — და ცდილობ, ყველაფერი გააკეთო და ეს პროდუქცია გაყიდო. მეც ასე ვიფიქრე და შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდი. თანხმობისთანავე მითხრეს, რომ თუ მათთან მუშაობის დაწყება მსურდა, უნდა შემეძინა საშვი, რომელიც 5 ლარი ღირდა; პატარა ქალაქის ნაგლეჯზე კალმით ჩემი სახელი და გვარი დანერეს და ამაში გადამახდევინეს 5 ლარი. მერე ისიც დასძინეს, რომ პროდუქციის გასაყიდად, აუცილებელი იყო, ამავე ნივთების ჩამონათვალი — ე.წ. ბიზნესპაკეტიც მეყიდა, რომელიც 25 ლარი ღირდა. წარმოგიდგენიათ? სულ რაღაც 10 წუთში ჩემგან 30 ლარი უნდა აეღოთ და, დავინყებდი თუ არა მუშაობას, ეს კიდევ საკითხავი იყო. ვერ მივხვდი, თუ 300-ლარიანი ტრენინგი ჩემთვის უფასო იყო, 25-ლარიანი კატალოგი რალასთვის უნდა შემეძინა?! ამ ანკესზე აღარ წამოვეგე, კატალოგი არ შევიძინე და შინ წამოვედი.

— გასაუბრებაზე დაახლოებით რამდენი ადამიანი იყავით?



— ჩვენს ჯგუფში 20-მდე ადამიანი ვიყავით. დღის განმავლობაში რამდენიმე ასეთი ჯგუფი ჰყავდათ დაბარებული. ეს მათივე საუბრიდან შევიტყვე, რადგან ტელეფონით რომ დამიკავშირდნენ, მითხრეს, — ზუსტად 10 საათზე აქ იყავი, არ დააგვიანო, თორემ შემდეგ სხვა ჯგუფი უნდა მოვიდესო.

**— იმ 19 ადამიანიდან რომელიმეს სამსახურზე უარი უთხრეს?**

— არა, რას ამბობ?! იქ მისაყვან ხალხს სანთლით ეძებენ და უკან ვის გამოუშვებდნენ?! საშვის თანხა ყველამ გადავიხადეთ და როგორც ვიცო, კატალოგიც, ჩემი და ერთი ბიჭის გარდა, ყველამ შეიძინა. მერე რა ქნეს, ეს უკვე აღარ ვიცი.

**— მას შემდეგ აღარ დაგკავშირებია?**

— როგორ არა. ასე ადვილად თავს ვინ დამანებებდა?! არ ვიცი, ჩემი ბიზნესმენობით დაინტერესდნენ თუ ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში უამრავჯერ დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მათთან მივსულიყავი. დამპირდნენ, — მენეჯერი იქნები, შენი ჯგუფი გეყოლება, რომელსაც უბრალოდ გააკონტროლებ; ისინი რასაც გაყიდნიან, იმის პროცენტები შენ დაგერიცხებაო. ასეთი ჯერ არაფერი მსმენია. სხვამ უნდა იწვალოს, საქონელი გაასალოს და მე მისი პროცენტები დამერიცხოს?!

**— ვიდრე მენეჯერობას შემოგთავაზებდნენ, მანამდეც გითხრეს, რომ გაყიდული პროდუქციის გარკვეულ პროცენტს აიღებდი?**

— არა, რას ამბობ?! თავიდანვე ხომ მითხრეს, რომ გაყიდვების მენეჯერის ვაკანსია ჰქონდათ. როცა შევიტყვე, რას მთავაზობდნენ, იმ ქალს ვკითხე, — გაყიდვების მენეჯერი რას ნიშნავს-მეთქი? — ჩვენს პროდუქციას რეკლამას რომ გაუკეთებ და გაყიდო, — მიპასუხა. — მაგას მენეჯერი კი არა, კონსულტანტი ჰქვია-მეთქი, — ვუთხარი. სმა ვეღარ ამოიღო. აი, მერე კი უკვე მართლაც, მენეჯერობა შემომთავაზეს, ოღონდ სხვისი ნაშუქვარი უნდა მიმესაკუთრებინა. ასეთ ნინადადებსას ნამდვილად ვერ დავთანხმდებოდი, ამიტომ ელექტრონული ფოსტით მივწერე, — მე რეალურ სამსახურს ვეძებ, არარეალური არ მჭირდება-მეთქი... თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი წერილი უპასუხოდ არ დაუტოვეთ: წარმატებას გისურვებთო, — მომწერეს. მოკლედ, კულტურული აფერისტები არიან...

ჩემს მეორე რესპონდენტს აბსოლუტურად სხვა კომპანიამ ზუსტად იგივე პირობები შესთავაზა, ოღონდ სხვა სახის პროდუქციის გაყიდვა მოუხდა, ამიტომ საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა: მეგობრები რომ წაიკითხავენ, დამცინებენო, — მითხრა. ინტერვი-

**უზე კი სიამოვნებით დამთანხმდა. დათო, 24 წლის:**

— კახეთის ერთ-ერთ სოფელში დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში რამდენიმე ნათესავი მყავს, მათ შენუხე-



ბას, ქირით ცხოვრება ვარჩიე. მერე ჩემს, ასევე რეგიონიდან ჩამოსულ კიდევ ერთ ჯგუფელ ბიჭს დავუმეგობრდი და მეორე კურსიდან გადავწყვიტეთ, ერთი ბინა გვექირავა. ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩემთვის არაფერი მოეკლათ, მაგრამ მე მაინც მუშაობის დაწყება მსურდა. ინტერნეტში ჩემი მონაცემები განვათავსე და სულ მალე შეტყობინებაც მომივიდა, რომ ერთ-ერთ კომპანიას კონსულტანტი სჭირდებოდა. რასაკვირველია, ამ

ნინადადებით დავინტერესდი და გასაუბრებამე წავედი. მითხრეს, რომ 5-ლარიანი საშვი და 25-ლარიანი ბიზნესპროექტი უნდა შემეძინა. გარდა ამისა, უნდა გამეწყო ერთკვირიანი ტრენინგი, რომელსაც ცნობილი ბიზნესმენები ჩამიტარებდნენ. ტრენინგის თანხას კომპანია დაფარავდა. ამ შემთავაზებამ ისე აღმფრთოვანა, რომ მაშინვე დავთანხმდი. საშვიც ვიყიდე, ბიზნესპროექტიც და მომდევნო კვირიდან ტრენინგზეც გამოვცხადდი.

**— ტრენინგი მართლა ცნობილმა ბიზნესმენებმა ჩაიტარეს?**

— კარგი, რა, თქვენც ჩემსავით გულუბრყვილო ხომ არ ხართ!.. ცნობილი ბიზნესმენები კი არა, ვიღაც დაქირავებული პატარა ბიჭები ერთი კვირის განმავლობაში გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა გავგვსალებინა მათი პროდუქცია.

**— რა სახის პროდუქციაზე იყო საუბარი?**

— პრეზერვატივებზე.  
— მერე, გაყიდეთ?  
— ბიზნესპროექტის შექმნისთანავე მივხვდი, რა პროდუქციაზეც იყო საუბარი. ამის გამო, ცოტა შევშოვთდი, მაგრამ ვიფიქრე, მუშაობის დაწყება თუ მინდა, არაფერი უნდა ვითაკილო-მეთქი.


**— ბიზნესპროექტში რა ეწერა?**

— არაფერი. ჩამოთვლილი იყო პროდუქციის დასახელებები და ფასები.

**— ისეთი მრავალფეროვანი პროდუქცია ჰქონდათ, რომ მთელი კატალოგი შეადგინეს?**

— რა თქმა უნდა. სხვადასხვა არომატის მქონე, სხვადასხვა ხარისხისა და ფასის პრეზერვატივები იყო ჩამოთვლილი. ტრენინგის დასრულების შემ-

**ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“**  
**პჯრ (PCR) — მეთოდი**



1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მეგვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
  - ორევე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
  - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმანჯრების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
  - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომაავირუსის გამოვლენა;
  - B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
  - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

**კონსულტაცია უფასოა**

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna\_diagnostics@hotmail.com



დეგ მითხრეს, რომ მაძლევდნენ 10 დღის ვადას და ამ დროში 300 ლარის პროდუქცია უნდა გამოეყიდა. სად გინდა, გაასაღო 300-მდე პრეზერვატივი? ის ხომ ნებისმიერ აფთიაქში იყიდება! ავტობუსის გაჩერებაზე ხომ არ დადგებოდით და გიჟივით ხალხს იქ ხომ არ შევთავაზებდით?! ან იქნებ, კუს ტბაზე მდგომ მანქანებზე მიმეკაკუნებინა და იქ მყოფნი დამემოძღვრა უსაფრთხო სექსის თაობაზე?.. ვერც ჩემს მეგობრებს ვეტყოდი ამის შესახებ, რადგან მათგან დაცინვის მეტს ვერაფერს მივიღებდი... მეცხრე დღეს ვიფიქრე, — თუ 300 ლარად მუშაობას დავიწყებ, ჯანდაბას ამათი თავი-მეთქი! ჩემი მშობლების მიერ ბინის ქირისთვის გამოგზავნილი თანხა და სახარჯო ფული მქონდა; ავიღე 300 ლარი და ოფისში მივიტანე. ვუთხარი, სულ გავყიდე-მეთქი... ჩემთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურეს. იქ მყოფ რამდენიმე ახალბედა თანამშრომელს ისიც კი უთხრეს, — მუშაობის დაწყება თუ გინდათ, მაგალითი ამ ბიჭისგან აიღეთო და ბედნიერი სახით გამომიცხადეს, რომ ამჯერად, ორი კვირის ვადას მაძლევდნენ, ოღონდ ამ ორ კვირაში უკვე 500 ლარის პროდუქცია უნდა გამოეყიდა. კინალამ გული გამიჩერდა. ვუთხარი, — აღარ მინდა თქვენთან მუშაობა-მეთქი, — და შინისკენ წამოვედი. დამატებით კიდევ 500 ლარის პრეზერვატივი წამდვილად, აღარ მჭირდებოდა, ისედაც ოხრად მქონდა.

**— და შენი 300 ლარი მათ დარჩათ?**

— რა თქმა უნდა. აბა, მერე ხომ არ ვეტყოდი, — მოგატყუეთ და არ გამიყიდიან-მეთქი. 300 ლარი მათ დარჩათ, მე კი უამრავი პრეზერვატივი მაქვს, რომელიც ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მეყოფა (იცინის).

— შენი გაყიდული პროდუქცი-

**იდან პროცენტი არ დაგეროცხა?**

— არა, პროცენტი არავის უხსენებია. თავიდანვე მითხრეს, რომ თუ ამ ნივთებს გავყიდი, მერე მუშაობას დაამწყობინებდნენ. მას მერე, თუკი რომელიმე კომპანია გასაუბრებაზე დამიბარებს, ჯერ კარგად ვარკვევ, რა კომპანიაა, რის გაცეობას მთავაზობენ და გასაუბრებაზე მერე მივდივარ. სამწუხაროდ, სამსახური ჯერ კიდევ ვერ ვიშოვე...

რესპონდენტებთან საუბრის შემდეგ, გადავწყვიტე, ერთ-ერთ ასეთ კომპანიას თავად ვწვეოდი. კახა აღდგომელაშვილი არ დამზარდა და ვერაზე მდებარე, თავის ყოფილ „პერსპექტიულ“ სამსახურამდე მიყვავა. მანვე მითხრა, — ვიდრე ზემოთ ახვალ, ცოტა ხანი აქ გაჩერდეთ და დავითვალოთ, რამდენი ადამიანი გამოვა იქიდან, ბიზნესპროექტით ხელშიო... ასეც მოვიქეცი. ნახევარი საათის განმავლობაში ოფისიდან 15 „ბიზნესპროექტის“ ადამიანი გამოვიდა. კახას თქმით, კატალოგს ისე ვერ იყიდდნენ, თუ 5-ლარიან საშვს არ შეიძენდნენ. შესაბამისად, იქიდან გამოსულმა თითოეულმა ადამიანმა ოფისში 30 ლარი დატოვა, — ე.ი. კომპანიამ, სულ რაღაც ნახევარ საათში, საკუთარი ბიუჯეტი 450 ლარით შეავსო. ამის შემდეგ, მათი პროდუქცია სულ რომ არ გაიყიდოს, რამეს იზარალებენ?! რა თქმა უნდა, არა. ამიტომაც არის მათი ოფისი კეთილმოწყობილი და თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანშიც მდებარეობს...

კომპანიაში შესვლისთანავე იქ მსხდომ ორ მდივან გოგონას ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვარ და მათ უფროსთან საუბარი მსურდა. ერთ-ერთმა მითხრა, — საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ვარ და შეკითხვებზე მე გიპასუხებთო. დიქტოფონის დანახვისთანავე, მკაცრად გამაფრთხილა,

— ინტერვიუზე არ დაგთანხმებივარ და უფლებას არ მოგცემ, ეგ ჩართოო... — კი, ბატონო, ისე ვისაუბროთ-მეთქი, — ვუთხარი და კვითხე, თუ რას საქმიანობს მათი კომპანია?

— ერთ-ერთი ჩვეულებრივი ფირმა ვართ და საკუთარ პროდუქციას ვყიდით. რა არის ამაში განსაკუთრებული და ჩვენით რატომ დაინტერესდით, ვერ ვხვდები.

**— თქვენთან მოსულ ახალგაზრდებს საშვისა და კატალოგის შექმნას ავალდებულებთ; პროდუქციას ასალბინებთ და მერე პროცენტს არ უხდით...**

— როგორ გეკადრებათ?! ფირმაში დარეგისტრირება ფასიანია და საშვს იმიტომ ყიდულობენ. თუ მათ ამის სურვილი არა აქვთ, არავინ არაფერს აძალბებს. კატალოგიც ფასიანია და ეს ჩვეულებრივი ამბავია. სამაგიეროდ, 300-ლარიან ტრენინგს გადაიან ფირმის ხარჯზე. რა, ახლა თბილისში მოდაში რომ შემოვიდა პარფიუმერიული კომპანიები, იქ ასე არ ხდება? იმ ფირმებთან რატომ არ გაქვთ პრეტენზია?

**— იქ კონსულტანტი გაყიდული საქონლის პროცენტს იღებს.**

— პროცენტს ჩვენც ვაძლევთ. მითხარით, ვინ გითხრა, რომ პროცენტი არ მივეცი? სახელი და გვარი მითხარით, მონაცემთა ბაზაში გადავამოწმებ, ალბათ რაღაც შეცდომაა და გამოვასწორებთ. ეს პრობლემა არ არის. ფირმაში დარეგისტრირება კი მთელ მსოფლიოში ფასიანია.

რასაკვირველია, იმ ქალბატონს ჩემი რესპონდენტის ვინაობა არ გავუმხილე. სუბიექტურობაში რომ არ ჩამომრთმეოდა, ერთ-ერთ პარფიუმერიულ კომპანიას მივაკითხე და ვუთხარი, რომ მათთან თანამშრომლობა მსურდა. სიამოვნებით დამთანხმდნენ, სრულიად უფასოდ დამარეგისტრირეს, არანაირი ტრენინგის გავლა არ დამჭირებია, პროდუქციის კატალოგიც (3 ცალი და არა — 1) უფასოდ გადმომცეს და 2 კვირის შემდეგ, გაყიდული პროდუქციის თანხის 25%-იც ანგარიშზე დამირიცხეს. ასე რომ, ამ მასალაზე მუშაობის პერიოდში პირადად მე, დამატებითი შემოსავლის წყაროც მოვანახე. უმუშევარ ახალგაზრდებს კი ვურჩევ — ვიდრე რომელიმე კომპანიაში საშვისა და ე.წ. ბიზნესპროექტის ყიდვის ფასად, „უფასო“ ტრენინგს დათანხმდებიან, ჯერ ამ ფირმის საქმიანობა დაწვრილებით გაარკვიონ და მუშაობის დაწყება მერე გადაწყვიტონ...

**ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა !**

გსურთ, ისწავლოთ ერთ-ერთი პრესტიჟული, სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში?

**მუ გაუშვებთ შანსს!!!**

გინვეთ თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტში სპეციალობაზე — ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მხოლოდ 25 ადგილზე, სწავლის საფასური — მხოლოდ 1700 ლარი.

**სტაჟირება მე-2 კურსიდან.  
წარჩინებული დანაქმლებიან.**

სააუთოვის ვიდეოს ზოლო ვადაა 10 მინი.  
ტელ: 96-36-41



# “გზრდი ბარათის” გათამაშების გამარჯვებულები დაჯილდოვან



18 აპრილს "ავერსის კლინიკის" ცენტრალურ ოფისში "ავერსის" დაგროვებითი ფასდაკლების ბარათის მფლობელთათვის წამახალისებელი გათამაშება გაიმართა. 12 მაისს კი გამარჯვებულებს გათამაშებაში მოგებული პრიზები გადასცეს.

გათამაშებაში მონაწილეობა შეეძლო ყველას, ვინც 2009 წლის 22 მაისიდან 2010 წლის 11 აპრილის ჩათვლით "მტრედი-ბარათზე" 500 ლარი მაინც დააგროვა. ყოველი მომხმარებელი, რომელმაც კი ამ წნის განმავლობაში "ავერსის" სააფთიაქო ქსელში 500 ლარის ღირებულების მედიკამენტები, ბავშვის საკვები, კოსმეტიკური თუ ჰიგიენური საშუალებები შეიძინა, ერთი ბილეთის მფლობელი გახდა, ვინც "მტრედი-ბარათზე" 1000 ლარი დააგროვა - ორისა და ასე შემდეგ.

"მტრედი ბარათის" მფლობელთათვის შესანიშნავი პრიზები გათამაშდა: "აპავასა" და "დოლივას" 300-ლარიანი ნაკრები, "ავერსის კლინიკის" 500-ლარიანი მომსახურების ბარათი, პერსონალური კომპიუტერები, ასევე საგზურები ევროპისა და საქართველოს კურორტებზე და მთავარი პრიზი - "სუზუკის" ჯიპი "გრანდ ვიტარა".

მთავარი პრიზის, ავტომობილის "სუზუკის" ჯიპი "გრანდ ვიტარას", მფლობელი გახდა გარდაბნის რაიონის სოფელ მულანლოს მკვიდრი ეთიამდ გაჯიროვი, რომელსაც გათამაშების დღისთვის "ავერსის" აფთიაქებში 2000 ლარის ღირებულების პროდუქცია ჰქონდა შექმნილი და, შესაბამისად, ოთხი ბილეთის მფლობელი გახლდათ. "ჩემი ოჯახი მედიკამენტებს მხოლოდ "ავერსის" აფთიაქში ყიდულობს. ბევრ სხვა აფთიაქშიც შემიძინია წამალი, - გვითხრა ბატონმა ეთიამდმა, - მაგრამ "ავერსის" ყველაზე მეტად ვენდობი. მედიკამენტების ხარისხი, შენახვის პირობები, მომსახურება, ფარმაცევტების ცოდნის დონე მართლაც საუკეთესოა. მოგებას კი ნამდვილად არ ველოდი, მეგონა, ვილაც მესურებოდა... დამირეკეს და ასეთი სასიხარულო ამბავი მაცნობეს. ვერ დავიჯერე, ცხოვრებაში ასე არ მიმართლებს ხოლმე".

"ავერსის" ორ ერთგულ მომხმარებელს, აზა დანელიასა და თამარ გოჩოლეიშვილს, ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა ერგო ნილად. ქალბატონი აზა თბილისელია. ისიც ოთხი ბილეთის მფლობელი გახლდათ, მაგრამ, როგორც გვითხრა, პრიზს არ ელოდა, თუმცაღა

გათამაშებაში მოგების შანსი ყველას აქვს. "ავერსი" მართლაც უმაღლესი დონის კომპანიაა - გვითხრა მან, - ხშირად ვყიდულობ მის ჟურნალს და ძალიან მომწონს, ასევე აღფრთოვანებული ვარ "ავერსის" კლინიკით, ხოლო "მტრედი-ბარათის" გათამაშებამ სამუდამოდ შემაყვარა ეს კომპანია".

მეორე გამარჯვებული, ქალბატონი თამარი, ასევე თბილისელია, პროფესიით ბიოლოგია და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში მუშაობს. მას მხოლოდ ერთი ბილეთის შესაბამისი თანხა ჰქონდა დაგროვილი, მაგრამ ბედმა გაუღიმა: "იმდენად არ მოველოდი მოგებას, რომ სასაჩუქრე თანხაც კი არასოდეს შემომოწმებია, არც რეკლამისთვის მიმიქცევია ყურადღება, თუმცა ბარათით შესანიშნავი საჩუქრები მივიღე სახალწლოდ - შევარჩიე შამუნები, კოსმეტიკური საშუალებები... მიმაჩნია, რომ "მტრედი-ბარათის" იდეამ უდავოდ გაამართლა, მართლაც ძალზე წარმატებული პროექტია".

საქართველოს კურორტების საგზურები საგარეჯოელმა ნინო მარხვაშვილმა და საჩხერის რაიონის სოფელ მერჯვეში მცხოვრებმა ლიკა ქემერტელიძემ მოიგეს. ორივე გამარჯვებული გათამაშებაში თითო ბილეთით მონაწილეობდა.

ორი პერსონალური კომპიუტერი თბილისელებს ირმა მიქაძესა და ლელა მეტონიძეს ხვდათ ნილად. ქალბატონმა ლელამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: "ყოველთვის "ავერსის" აფთიაქის მომსახურებით ვსარგებლობ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ აქ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას შევიძენ. კომპანია საუკეთესო ფარმაცევტულ ბაზარზე, ხოლო გათამაშებაში მოგებულმა პრიზმა იმდენად გამაზარა, რომ მუდამ "ავერსის" ერთგული დავრჩები".

ირმა მიქაძემ კი ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ გამარჯვება მისთვის მართლაც მოულოდნელი იყო, თუმცა ინტერესით ადევნებდა თვალყურს, აინტერესებდა რა შედეგით დასრულდებოდა გათამაშება.

გათამაშდა "ავერსის კლინიკის" 5 ხუთასლარიანი ბარათი, რომლებიც ქუთაისის მკვიდრ ნინო ესაკიას, თბილისელებს თემურ მაჭარაშვილსა და მაია ფიფას, ბათუმელ აზა ლატარისა და რუსთაველ ეკატერინე ბაინდურაშვილს ერგოთ. ოთხ მათგანს გათამაშების თითო ბილეთი ჰქონდა, მხოლოდ ქალბატონმა ნინო ესაკიამ დააგროვა "მტრედი-ბარათზე" 1000 ლარი და, შესაბამისად, 2 ბილეთის მფლობელი გახლდათ. ქალბატონი აზა კი "ავერსის" ერთგული მომხმარებელია და მისი საქველმოქმედო პროგრამითაც არაერთხელ უსარგებლია. ქალბატონი აზა მრავალშვილიანი დედაა. მას რვა შვილი ჰყავს და "ავერსის" მრავალშვილიანთა დახმარების პროექტის ფარგლებში კომპანიისგან



სამჯერ მიიღო დახმარება. "მოსარული ვარ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი კომპანია არსებობს. ავერსმა სამჯერ გადმომცა ფულადი თანხა და დღეს კი შესანიშნავი პრიზი გადმომცეს. საერთოდ მხოლოდ ავერსის კლინიკის მომსახურებით ვსარგებლობ მეც და მთელი ჩემი ოჯახიც. არაჩვეულებრივი პირობებია, შესანიშნავი გარემო, უმაღლესი დონის ექიმები. ავერსის ერთგული ვარ და მომავალშიც ასე გაგრძელდება, რადგან "ავერსი" საუკეთესო კომპანიაა. დიდი მადლობა მას ასეთი შესანიშნავი პრიზისთვის" - გვითხრა ქალბატონმა აზამ.

"აპავასა" და "დოლივას" სამკურნალო კოსმეტიკის 300 ლარის ღირებულების ნაკრები ნილად ხვდათ თბილისელებს ია შამუგიას, სათუნა კახიანს, ქეთინო ჩხარტიშვილს, ვლადიმერ ხაჩიძეს და ნათია გურულს.

მოგებული პრიზები გამარჯვებულებს "ავერსის" დამფუძნებელმა ბატონმა პაატა კურტანიძემ თავად გადასცა: "მოგესხენებათ, რომ ავერსის სააფთიაქო ქსელს აქვს დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათი, რომელზეც შექმნილი მედიკამენტების ღირებულების 10% გიგროვდებათ და შესაძლებელია, ამ თანხის შესაბამისი საჩუქრების არჩევა. მისარია, რომ საშუალება მაქვს თავად გადავცე 17 გამარჯვებულს ეს შესანიშნავი პრიზები, მათ შორის მთავარი პრიზი "სუზუკის" ჯიპი "გრანდ ვიტარა" და იმედი მაქვს რომ მომავალშიც შევძლებთ ჩვენი მომხმარებლები კმაყოფილები იყვნენ "ავერსის" სააფთიაქო ქსელის მომსახურებით" - აღნიშნა ბატონმა პაატამ.

მტრედ ბარათზე თანხა კვლავ დაგროვდება, ასე, რომ იყავით ავერსის ერთგული მომხმარებელი და მიიღეთ უამრავი პრიზი.





# კულუარული გარიგებები, მოქრთაეული ოპოზიცია და დოყლაპია დაგკვირვებლები

„ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადგილობრივ არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატმა გაიმარჯვოს“, — ამბობს ექსპერტი სოსო ცისპარიშვილი და ოპოზიციონერ ლიდერთა უმრავლესობას „უთავმოყვარეოს“ უწოდებს. ბატონი სოსოს აზრით, სახელისუფლებო გუნდი უკვე გამარჯვებისთვის ემზადება, ოპოზიცია კი — დამარცხებისთვის. როგორც ის ამბობს, „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ სხვა წევრებთან ერთად, რეგიონები მოიარა, თბილისში არსებულ ვითარებასაც გაეცნო და ხელისუფალთა მხრიდან უამრავი დანაშაულებრივი ქმედების მომსწრე გახდა.



ბათუმსა და ქუთაისში გეგმავს, დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ ამომრჩევლებს ისლა დარჩენია, რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, საკუთარ სამხარეოლოში, ოჯახის წევრებთან ან მეზობლებთან საუბრისას განიხილოს ეს პრობლემა.

— თქვენი აზრით, ოპოზიცია ასეთ ფაქტებს რატომ არ აპროტესტებს?

— ოპოზიციამ რამდენიმე ასეთი ფაქტი უკვე გააპროტესტა. მარტო თბილისში 12000 ცრუ-ამომრჩეველი ამოაღებინა ცესკოს სიიდან. ოღონდ ცესკომ დასახელმწიფომ დიდი მსჯელობის შემდეგ ეს ისე გააკეთეს, თითქოს მათი კეთილი ნება იყო.

— თუ ოპოზიცია ცესკოსა და ხელისუფლების ამა თუ იმ დარღვევას აპროტესტებს და გარკვეულ შედეგსაც აღწევს, რატომ ფიქრობთ, რომ არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებას უწყობს ხელს?

## სათუნა გახტურია

— ბატონო სოსო, კონკრეტულად რა დანაშაულებრივი ქმედებების მომსწრე გახდით?

— თუ საარჩევნო სიების გადამოწმებას მოინდომებთ, ნახავთ, რომ იქ სრული ქაოსია, ათასობით ამომრჩეველი ეკლესიება და რესტორნებშია დარეგისტრირებული, ხელისუფლება კი ამ ქაოსის მომწყობ ადამიანებს, დასჯის ნაცვლად, აწინაურებს. ჩვენ, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა მოვიარეთ: გორი, ლანჩხუთი, ქობულეთი, ბათუმი. საოცარი ფაქტები ვნახეთ: მაგალითად, ქობულეთში ცხინ-

ვალიდან დევნილ მოქალაქეს შევხვდით, რომელმაც გვითხრა, რომ წინა წლებში საარჩევნო სიაში, სხვების მსგავსად, ისიც იყო რეგისტრირებული, წელს კი მისი სახელი და გვარი იქიდან უკვალოდ გააქრეს, სამაგიეროდ, სიაში, ომის დროს დაღუპული მისი დამა მოხვდა. ადგილობრივი საარჩევნო კომისია ალბათ ამასაც უზუსტობას დაარქმევს და სურვილიც კი არ გაუჩნდება, გამოიძიოს, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებისთვის ვიდეოთვალის დამონტაჟებას მხოლოდ თბილისში,

— მე ხომ მთელ ოპოზიციურ სპექტრზე არ ვლაპარაკობ! ოპოზიციაში არის სერიოზული ძალაც, მაგრამ მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც თავიანთი ყველა გადადგმული ნაბიჯით ხელისუფლების ნისქვილზე ასხამენ წყალს. სხვა თუ არაფერი, შეხედეთ აჭრელებულ ბანერებს: იქიდან მომზირალთა დიდ ნაწილს საერთოდ ვერ ვაჭყობ, რომ აცნობიერებს, თუ რატომ კიდია მისი ფოტო ქუჩაში. ამ ადამიანებმა თავიანთი უთავმოყვარეობით, ისეთი საარჩევნო გარემო შექმნეს, როგორც ხელისუფლებას ერთი თვის წინ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ რამდენიმე ე.წ. ოპოზიციურ პარტიას თავის საარჩევნო სიაში შეჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც მეზობლებისა და მეგობრებისთვის თავგადაკლულ „ნაც-მოდრაობის“ მომხრეებად არიან ცნობილი. დარწმუნებული ვარ, ამ პარტიების ლიდერებს, არჩევნების შემდეგ, საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევთ?

— რომელ პარტიებს გულისხმობთ?

— მოდი, ამას, ცოტა მოგვიანებით გაგიმხელთ...

— ამბობთ — როგორც რეგიონებში, ისე თბილისში, საზოგადოება სახელისუფლებო გუნდის ქმედებებით აღშფოთებულიაო. მაშინ, რით აიხსნება ის ფაქტი,

## პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

ბთავაჯოვთი ფსიქოლოგიურ დახმარებას:



- ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოლოგიური კონსულტირება
- საჭიროთი თერაპიის განხორციელება
- სასწავლო ტრენინგ-კურსები

მისამართი: თბილისი, ბარნოვის 71.  
ტელ.: 895 28 60 40; 890 246 777

www.piki.ge



რომ თბილისში ჩატარებული ყველა რეიტინგის მიხედვით, მერობის კანდიდატებს შორის, უგულავა ლიდერობს?

— იმ უზარმაზარი რესურსით, რომელიც უგულავას კანდიდატურის წარმოჩენაშია ჩადებული. გარდა ამისა, არც ამ რეიტინგებზე დაყრდნობა შეიძლება, რადგან არ მეგულება ისეთი ქართველი ამომრჩეველი, რომელიც ჯერ იმას არ იკითხავს — ვინ, რომელი უწყების ან ორგანიზაციის წარმომადგენელი მისვამს კითხვას? — ქვეყანაში არსებული ავტორიტარიზმის გამო კი ძალიან ცოტა ადამიანი მეგულება, რომელიც იტყვის, — სახელისუფლებო კანდიდატს არ ვაძლევ ხმასო... ამ ყველაფრიდან გამომდინარე, წინასწარ გამოკითხვებს აზრი არა აქვს, სიმართლეს მხოლოდ არჩევნების შემდეგ, ხმების სამართლიანად დათვლის შედეგად გავიგებთ, თუმცა ისიც საკითხავია — დაითვლება კი ხმები სამართლიანად?... ასეთი პრეცედენტი „ნაციონალებს“ ჯერ ხომ დაუშვიათ!

— ხმების სამართლიანად დათვლის იმედს არ გაძლევთ ის ფაქტი, რომ ამჯერად ჩვენს ქვეყანაში არჩევნების სამართლიანად ჩატარებით საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულად არიან დაინტერესებულნი?

— ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არ სვამენ კითხვას — ვინ არის და რა გვარია ის ადამიანი, ვინც ათასობით ამომრჩეველი დაარეგისტრირა რესტორნებისა და ეკლესიების მისამართებზე?! რადგან ასეთი კითხვა არ უჩნდებათ, შეიძლება ვთქვათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს დოკუმენტები წარმომადგენლები ჰყოლიათ. დოკუმენტების იმედად კი ჩემი მტერი იყოს.

— ბატონო სოსო, ადრე პოლიტიკური ექსპერტები სულ იმას ამბობდით, საზოგადოება პარტიების საარჩევნო პროგრამებს არ იცნობდა და არჩევანს მხოლოდ პირადი სიმპათიების მიხედვით აკეთებდა; ამ მხრივ თუ არის რაიმე წინსვლა?

— ამჯერად საზოგადოება კანდიდატთა პროგრამებს კი არა, ლოზუნგებს იცნობს. რასაკვირველია, კანდიტებს აქვთ მეტ-ნაკლებად სერიოზული საარჩევნო პროგრამები, მაგრამ მათი საჯარო ანალიზი ჯერ არ მომხდარა. საზოგადოების დიდ ნაწილს ნამდვილად აქვს იმის სურვილი, რომ ინტერნეტსაიტებზე ცალკე ეძიონ ესა თუ ის პროგრამა და შესაბამისად, ანალიზი აკეთონ. ეს შესაბამის ჯგუფებს უნდა გაეკეთებინათ.

— როგორ ფიქრობთ — თუ ქალაქის მერი ოპოზიციონერი გახდება, ხელისუფლება მუშაობაში ხელს არ შეუშლის?

— ეს ხელისუფლება ოპოზიციონერ მერს მუშაობაში აუცილებლად შეუქმნის ხელოვნურ ბარიერებს, მაგრამ ხალხი ბეცი არ არის, აუცილებლად მიხვდება ხელისუფალთა ვერაგულ ჩანაფიქრს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას ოპოზიციონერი მერის წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი დესტრუქციული ნაბიჯი ბუმერანგით დაუბრუნდება, თანაც — ბევრად უფრო მძიმე შედეგით.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ხელისუფლების ან ოპოზიციის მიერ მიღებულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ სერიოზული გავლენა მოახდინოს?

— გააჩნია, ეს გადაწყვეტილება რასთან იქნება დაკავშირებული.

— გაფრცხლებული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ პოლონეთის ექსპრეზიდენტ ალექსანდრ კვასნიევსკისთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე დაიწყოს დიალოგი რუსეთთან. ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმ ხელისუფლების მხრიდან, რომელიც რუსეთთან დიალოგის დაწყების ყველა მსურველს მოლაღატედ რაცხავდა, საზოგადოებას არ გააღიზიანებს?

— ვაშაძეს ვინ რას ჰკითხავს?! ისე, ხომ ვერ გაგვიმხელს ბატონი ვაშაძე — ასეთ განცხადებას საქართველოს მოქალაქის რანგში აკეთებს თუ — რუსეთის?... ხუმრობა იქით იყოს და, რუსეთი სააკაშვილის ხელისუფლებას არც წინა პირობით და არც უპირობოდ არ დაელაპარაკება. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ასეთი ვითარება მომწონს. რუსეთის ხელისუფლება არაფრით სჯობია საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას. გვინდა

თუ არ გვინდა, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარების პერსპექტივა მხოლოდ მაშინ გახდება რეალური, როდესაც ამ ქვეყნების ხელისუფალნი შეიცვლებიან.

— საქართველოს მხრიდან, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე რუსეთთან დიალოგის დაწყებას რამდენად მართებულად მიიჩნევთ?

— ე.ი. თავს ზემოთ ძალა არ არის... უბრალოდ, მე იმედიც არა მაქვს, რომ რუსეთთან დიალოგის უპირობოდ დაწყებას ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ისევე სათავესოდ არ გამოიყენებენ. საკმაოდ საეჭვოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ ბოლო დროს რუსული მედიის წარმომადგენლებს ძალიან „შეუყვარდათ“ ვანო მერაბიშვილი — მასზე აღმატებით ხარისხში საუბრობენ და დიტირამბებს უმღერენ... რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელისუფალნი უკვე დიდი ხანია, უპირობო დიალოგს მართავენ რუსეთის ხელისუფლებასთან... არც ის მგონია, რომ ამის გახმაურებამ საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვიოს, იმიტომ, რომ ხალხი პოლიტიკოსების მიმართ უკვე ნიჰილისტურადაა განწყობილი. როგორც მოსკოვს ცრემლების, ისე თბილისს პოლიტიკოსთა დაპირებების აღარ სჯერა...

**გინდათ გახდეთ მსახიობი?**  
**აი უანსი!**  
**განადიოხული საერთაშორისო პროექტი**  
**საქართველოში!**  
**ნიჭიერი ახალგაზრდაებისთვის სწავლის**  
**და**  
**დასაქმების უსაქლოვლა!**

**ტელ: 890 69-04-10** **მის: სანაპიროს №8**  
**გ.კანატაშვილის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი.**



# სახე

## როგორ „უახვედრა“ ერთმანეთს თაბრიკო ჟოსონელიძემ რევაზ ლალიძე და პეტრე ბრუზინსკი ანუ ქართული სულის ზეიმი

„უდიდესი პასუხისმგებლობით ვარ განმსჭვალული იმ საქმის მიმართ, რომელსაც ბავშვობიდან მოყოლებული ვაკეთებ. აქ მხოლოდ სცენასა და ესტრადას არ ვგულისხმობ. ჩემთვის საქმე არის საკუთარი პროფესიაც, რომელსაც ასეთივე ერთგულებით ვემსახურები. მაგრამ პასუხისმგებლობის ხარისხი გაცილებით მაღალია მაშინ, როდესაც საქმე სოლო კონცერტის ჩატარებას ეხება. ამიტომაც არის, რომ დიდი ხანა, სოლო კონცერტი არ გამიმართავს. ის 11 წლის წინ, 29 მაისს მქონდა. წელს კი 23 მაისსაა დაგეგმილი, რომლითაც დიდი ხნის ნაფიქრსა და ნაოცნებარს ავირრულებ“, — მითხრა მომღერალმა თაბრიკო ჟოსონელიძემ, რომელსაც მართლაც საპასუხისმგებლო მისია აკისრია. მან სოლო კონცერტის თემად, კომპოზიტორ რევაზ ლალიძის შემოქმედება აირჩია და პროგრამა მთლიანად ბატონი რეზოს სიმღერებით შეადგინა...

### ლალი ფასია

— რევაზ ლალიძე „დიდი ზეიმი“ საქართველოსთვის, რადგანაც მისი ყველა სიმღერა მაღალმოდ ედება სულს. ამიტომ ვფიქრობ, 23 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში მისი სიმღერების აულერებით, ქართული მელოდიისა და სულის დღესასწაული გაიმართება.

— კონცერტზე სიახლე რა იქნება?

— საერთოდ, ბატონ რეზოს ყოველთვის უზღვავი მელოდია ჰქონდა. გარდა იმ სიმღერებისა, რომლებიც ხალხმა შეიყვარა და გაითავისა, აქვს ისეთი მელოდიები, რომლებიც ფილმებში („გლახის ნაამბობი“, „ხევსურული ბალადა“, „ხევისბერი გოჩა“)... ჟღერს. გარდა ამისა, არის ისეთი ფილმებიც, რომლებიც ჩვენი შვილების თაობამ საერთოდ არ იცის, რადგანაც მათ ტელევიზიით იშვიათად უჩვენებენ. სწორედ ამ ფილმებში მარგალიტებივითაა გაბნეული კომპოზიტორის კინომუსიკა. ამიტომ სურვილი მქონდა, ეს მელოდიები მსმენელამდე სიმღერის სახით მიმეტანა. კონცერტზე 5 ასეთი ახალი ვერსია აულერდება და ალბათ აღსაქმელად გარკვეული სიახლეც არის.



— კარგია, როდესაც მომღერალი ასეთ სერიოზულ პროექტზე იწყებს მუშაობას, მაგრამ საინტერესოა, მაინც რამ გადაგაწყვეტინა რევაზ ლალიძის შემოქმედებისთვის მოგეკიდა ხელი?

— მთელი ბავშვობის განმავლობაში მეგონა, რომ ყველა სიმღერა მან ჩემთვის დაწერა და ჩემი სათქმელი თქვა, რადგანაც თითოეულ სიმღერაში საოცარი სიყვარული დევს. ეს ზღვა სიყვარული იმდენად მაჯსება, ვფიქრობდი, მეც დაწერდი მსგავს სიმღერას და კომპოზიტორის გენიალურო-

ბაც სწორედ ამაშია! ჩემნაირად ბევრი ქართველი ფიქრობს. ასე რომ, იმდენად ახლობელი გახდა ეს ადამიანი ჩემთვის, ზოგჯერ მეგონა, ჩემი ოჯახის წევრიც კი იყო. თუ კონცერტმა გაამართლა, ჩაფიქრებული მაქვს, ხელი მოვიკიდო კომპოზიტორების — შოთა მილორავას, არჩილ კერესელიძისა და სხვათა შემოქმედებასაც.

— გამოდის, კომპოზიტორი გარდაცვალების შემდეგ მსმენელს კვლავაც უძღვნის მელოდიებს...

— დიას, ასეა. ტყუილად არ უთქვამთ, რომ მელოდია სულის სარკეა. ის მართლა კეთილს გხდის. ჰოდა, გვინდა, კიდევ უფრო კეთილები გავხდეთ, ავივსოთ დიდი ენერგიით და მეტი კარგი საქმე ვაკეთოთ. ალბათ ჩემი ფოლკლორისტული ბუნებიდან გამომდინარე, ძველში ქექვა და მივიწყებულის განახლება მიყვარს...

— რეზო ლალიძე იმითაც არის გამორჩეული, რომ მის შემოქმედებაში ხალხური შემოქმედების დიდი ცოდნა ჩანს...

— ასეა, მაგრამ ფაქტობრივად, ვერც ვისხენებ სიმღერას, სადაც ციტირებული აქვს რაიმე, ქართული ფოლკლორიდან, რადგანაც ღრმად აქვს გამჯდარი საკუთარი ფესვების შეგრძნება... კონცერტზე გაიჟღერებს ის მელოდია, რომელიც ფილმში — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ — სრულდება. ეს არის ის ნაშუშევარი,

რომელიც „მანონი, მანონის“ ფონზე ისმის. მიხეილ ჭიაურელს ფილმზე მუშაობისას, რეზო ლალიძისთვის თურმე ერთი ქალაქური თემა ნაშუშევრია და არ უთქვამს, რომ მას ავტორი (ჩუბინიშვილი) ჰყავდა. ბატონი რეზო იმდენად კეთილსინდისიერი ადამიანი იყო და იმდენად პატივს სცემდა სხვათა შემოქმედებას, რომ მის მიერ გაორკესტრებულ ვარიანტზე, სანოტო ფურცელზე „ქალაქური მელოდია“ — ასე წაუწერია. ეს ხელნაწერი მაშინ ვნახე, როდესაც პროექტზე ვმუშაობდი; ის ქალბატონმა ლელა ლალიძემ, მისმა



ჩემთვის, პიროვნულადც საამაყო და მისაბაძი ადამიანია

ხომ ტექსტი სჭირდება?

— მკითხველმა კარგად იცის, თუ როგორი ტანდემი ჰქონდათ რეზო ლალიძესა და პეტრე გრუზინსკის. მათ არაერთი შესანიშნავი ნამუშევარი აქვთ შექმნილი ერთად. მინდოდა, რომ მათი ასეთი „შეხვედრა“ გარდაცვალების შემდგომ კიდევ ერთხელ შემდგარიყო. ამიტომ, მივედი ბაგრატიონების ოჯახში და ჩემი ნაილი გავანდექა ჭაბუაძისმა ლიკამ, პეტრე გრუზინსკის მე-

ქალიშვილმა მიჩვენა (აქვე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას მხარდაჭერისთვის და საერთოდ, ყველაფრისთვის, ძალიან შემიწყობს ხელი). არადა, ბატონ რეზოს ხომ შეეძლო, ეს ნამუშევარი საკუთარი თავისთვის მიენერა?! მაგრამ ეს არ გააკეთა. საოცარი ბუნების ადამიანი იყო. ჩემთვის, პიროვნულადც საამაყო და მისაბაძი ადამიანია.

პროექტზე დიდხანს მუშაობდი? მოსამზადებელ ეტაპს რა დრო დასჭირდა?

— სხვათა შორის, ეს იდეა 7 წლის წინ გამიჩნდა და მაშინვე მამას გავანდექე. ის იშვიათად იწონებდა რამეს და არ მაგინყდებდა მისი გაბრწყინებული თვალები. მითხრა: კარგი იდეაა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო!.. მამა 6 წელია, რაც ცოცხალი აღარ არის... დიდი მადლობა სახელმწიფო არქივს, სადაც თვე-ნახევრის მანძილზე ვიჯექი, ბატონი რეზოს ჩანაწერებს ვეძებდი და ვეცნობოდი. ვინერდი სწორედ იმ მელოდიებს, რომლებზეც ვისაუბრე. არქივის თანამშრომლები ძალიან დამეხმარნენ. იქ ბატონი რეზოს ხმაც (აუდიოჩანაწერი) ვიპოვე, სადაც საუბრობს, ხუმრობს, მღერის... შემდგომ, ქაბლაძის ლელასაც გავანდექე, რომ ეს ხმა გადმონერული მსჭვს. მზადების პერიოდში, თავიდან ვფიქრობდი, რომ ყველაფერს მართლაც გავუძღვებოდი და მარტომ მართლაც, რთული ეტაპები გავიარე. შემდეგ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც, მივხვდი, ჩემ გვერდით უნდა ყოფილიყო. ეს არის ახალგაზრდა კომპოზიტორი — ნიკა ნიკვაშვილი. კონსერვატორიას წელს ამთავრებს, ბიძინა კვერნაძის შეგირდია (ეს ალბათ ბევრ რამეზე მეტყველებს). მივხვდი, რომ ნიკა კარგი საქმეების გამკეთებელია. არადა, 23 წლის ახალგაზრდისთვის ადვილი არ იყო, რეზო ლალიძის შემოქმედებისთვის მოეკიდა ხელი. მან ჩემთან ერთად, დიდი სირთულეები გადალახა. არქივში მოძიებული მასალა გულისყურით შეისწავლა. ბატონი რეზოს საორკესტრო ხერხებსა და აზროვნებას გაცნო. ახალი ვერსიებისთვის პარტიტურები დანერგა, ასევე — გუნდის პარტია. და საერთოდ, სიმღერების შეკვრა — მისი დამსახურებაა. ასე რომ, ნიკა ჩემი კონცერტის ერთ-ერთი მთავარი გმირი იქნება.

— კი, მაგრამ ამ მელოდიებს

უღლემ, ვაჟმა — ნუგზარ ბაგრატიონმა სიამოვნებით მომცეს კრებული, სადაც ბატონი პეტრეს გამოუქვეყნებელი ლექსებია თავმოყრილი. დამრთეს ნება, ეს ლექსები გამოვეყენებინა და ვფიქრობ, ტანდემი ისევ შედგა. ერთ-ერთი სიმღერა სწორედ გრუზინსკის ტექსტზე იქნება შესრულებული. აქვე არ შემიძლია, განსაკუთრებული სითბოთი, მადლიერებითა და გულისტკივილით არ ვთქვა ერთი რამ. ამ პროექტის შესახებ მოუწყვეი ნიკო გომელაურსაც, რომელიც საოცრად აღფრთოვანდა. მინდოდა, ბატონი რეზოს მელოდიებზე მასაც დაეწერა ლექსები. მითხრა: მელოდიები რაც შეიძლება მალე მომიტანე, რომ ავარჩიოო... რომ მიუტანე, მათგან ორი შეარჩია და იქვე ვუთხარი, — მართალია, მეჩქარება, მაგრამ თავი არ დაიტივრო და იჩქარო-მეთქი (ეს იყო მისი სიცოცხლის ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში). არ მაგინყდებდა მისი თვალები — ამოხვდა და მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: „მე ყჩქარობ!..“ ნიკომ მხოლოდ ერთი ლექსი დანერგა. მადლობელი ვარ მისი მუულის, რომელმაც მითხრა: ლექსი რომ დანერგა, რამდენჯერმე მომასმენინა და თქვა, — ესეც ბოლო ლექსი დავწერე... ფაქტობრივად, ნიკოს ბოლო პოეტური ნამუშევარი რევაზ ლალიძის სიმღერისთვის შეიქმნა. მეორე მელოდია ვეღარ მოასწრო... ნიკო უნიჭიერესი ადამიანი იყო...

ვინ არის კონცერტის რეჟისორი?

— კონსულტაციისთვის დათო დოიაშვილს დავურეკე. ვალიარებ, რომ მანამდე თურმე კარგად არ მცოდნია დათოს პიროვნება. მის ნიჭიერებას კი ყოველთვის ვეთაყვანებოდი. მაგრამ უდიდესი ნიჭიერება იმაში გამოავლინა, რასაც მორალურად თუ ფიზიკურად გვერდში დგომა ჰქვია. რაც დიდი ხანია, გასცდა კონსულტაციის ფარგლებს. ის ამ საღამოს რეჟისორია. დიდ მადლობას ვუხდის მას!.. ალბათ არ სჭირდება ბევრი ლაპარაკი იმას, თუ როგორი იქნება ორკესტრის ჟღერადობა, როცა პულტთან უნიჭიერესი ნიკა მე-

მანიშვილი დგას. მხატვარი დათო აფციანური გახლავთ, ფონდ „იანვანას“ მხატვარი. მხარში მიდგას გია კიტია. საოცარი შემოქმედებითი ჯგუფი შეიკრა. მათი გულშემატყვივრობა გულს მიჩუყებს. კონცერტს ასევე უდირიყორებს ახალგაზრდა დირიჟორი — კობა მერმანიშვილი.

სცენაზე შენთან ერთად კიდევ ვინ იდგება?

— რეზო ლალიძეს სიმღერებში გამოყენებული ჰყავს კაპელა ანუ შერეული გუნდი. რადგანაც სოლისტი — ქალია, აშვერად გადავწყვიტეთ, მამაკაცების ხმები აჟღერებულყო და საპატრიარქოს გუნდი მოვინვიეთ. ყველაფერი კი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ხდება. რომ არა მისი ლოცვა, ალბათ არაფერი გამოვიდოდა. ძალიან მგულშემატყვივრობს... ამასთან, ჩემთან ერთად იმღერებენ ჩემი დები — სოფიკო და თინიკო. სცენაზე იდგება მარიამიც. ჩემი მიზანიც ის იყო, რომ სცენაზე ახალგაზრდები დამდგარიყვნენ, რევაზ ლალიძესა და მისი თაობის შემოქმედებას ახალგაზრდებმა უნდა უპატრონონ... ასევე იქნება რაღაც სიურპრიზებიც.

კონცერტი წინასაარჩევნო პერიოდში იმართება. რომელიმე პოლიტიკური პარტია ხომ არ გამოიყენებს მას სათავისოდ?

— დასახმარებლად, არც ერთი პოლიტიკური პარტიისთვის არ მიმიმართავს, რომ ამ საღამოს წინასაარჩევნო კამპანიასთან რაიმე კავშირი არ ჰქონოდა. ალბათ არც ერთი პარტია არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ მინდა, ყველანი, ისევე და ისევე სიმღერამ, მელოდიამ, კეთილშოვანებამ გააერთიანოს. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი თანხები გაიღეს და არც ისურვეს, რომ მათ შესახებ მეთქვა. რეზო ლალიძის წინაშე ვალდებულიადაც მივიჩნვეთ თავსო, — მითხრეს. მადლობა „ტოიოტას“ ცენტრს, რომელიც ფაქტობრივად, გენერალური სპონსორის როლში გვევლინება. საოცრად მგულშემატყვივრობს პაატა ბურჭულაძე, ასევე არ შეიძლება, არ ვახსენო „იანვანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძე.



ძალიან ნერვიულობს მარიამიც



მან ამ ფონდში მოღვაწეობისას როგორც სცენარისტის, იდეების ავტორისა და ზოგადად ორგანიზატორის უდიდესი ნიჭი გამოავლინა. მაგრამ მას ერთი მთავარი პროფესია აქვს — ეს არის ჭეშმარიტი მეგობარი, რომელმაც იცის, რას ნიშნავს გვერდში დგომა.

— ოჯახის წევრები, გარდა იმისა, რომ შენთან ერთად სცენაზე იდგებიან, მანამდე თუ გესმარებოდნენ?

— ამას წინათ სოფიკომ იხუმრა: თამარიკო ამ კონცერტს რომ ჩაატარებს, მე და თინიკო პენსიაზე გავდივართო. ძალიან წერვილობენ. განიცდის კოკოც და მარიამიც...

— თან, როგორც ვიცი, ის ახლა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, რადგანაც მალე დედა გახდება.

— მარიამმა საოცარი ლეღვა იცის, რაზეც ახლა მე ვწერვილობ... დებიც ვაჟაცურად მიდგანან მხარში და მათი მეუღლეებიც. მაგრამ ვიცი, ყველაფერი კარგად იქნება.

— რას მეტყვი მარიამის ქმარზე?

— გორგი მახარაძე არაჩვეულებრივი ბიჭია. მგულშემატივრობს არა მარტო გიორგი, არამედ მისი — მშობლებიც. მათი სახით, ახალი ოჯახი შევიძინე და ჩემი გულშემატივრების წრეც უფრო გაიზარდა.

— ესე იგი, სიძე გვერდში უდგას სიდედრს, სომ?

— კი და ისე, რომ სიდედრს ჯერ სახელს ვერ ეძახის (ილიშუბა), ამიტომ სასაცილო სიტუაცია იქმნება: რაღაც რომ უნდა მითხრას, შორიდან მივლის... კარგი ბიჭია. ეს კი მისი მშობლების დამსახურებაა.

— კოკოზე, შენს ვაჟზე რას გავტყვი?

— საოცრად მგულშემატივრობს. რაღაც ლექსის გადასხვადება დაგვჭირდა და ისე კარგად გართავს თავი, ტაში დაეუკარი. ამასთან, ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი შემფასებელი, დედაჩემთან ერთად, სწორედ კოკოა. პირველად ყველაფერს მათ ვასმენინებ სოლმე. აქვე სხვა ტექსტის ავტორებსაც მინდა, ვუთხრა მადლობა, ქალბატონებს — ნანა ცინცაძესა და მანანა გურგენიძეს. ვარ ძალიან ამაყი და იმედიანი, რომ ამდენი ნიჭიერი ადამიანი შეიკრიბა ჩემ გარშემო. დღეს ყველას თავისი საქმე აქვს, მაგრამ მაინც ყველანი ერთად ვართ. სხვათა შორის, კანონის უზენაესობასაც პატივი ვეცი — მივედი საავტორო უფლებების სააგენტოში და ბატონ ელგუჯა შაფათავასთან ხელშეკრულება გავაფორმე. ასე რომ, ყველაფერი ოფიციალურადაც მოგვარდა, მაქვს კონცერტის ლიცენზია. სულ ბოლოს, ისევ და ისევ, მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ლელა ლალიძეს. იოლი არ არის, მამის შემოქმედება რაღაც შტრისშემატებული მოისმინო. მინდა ვუთხრა, მას არაფერი აქვს სანერვიულო, მით უმეტეს, როცა საქმეს არა ქუჩიდან მოსულები, არამედ პროფესიონალი მუსიკოსები აკეთებენ. იმედ მიქვს, მსმენელი კომპოზიტორის ამ სიმღერებსაც შეიყვარებს.

# სახალსო თაგაშის უეჭმინის მსდელობა და „განახლებული“ მოსდინილი ტელეშაგეჟანი

გასულ კვირას, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ახალი გადაცემის — „ინტუიცია“ — პრემიერა შედგა, რომლის წამყვანადაც საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი, ნიკა ქაშვიარაძე მოგვევლინა. მართალია, ნიკა რამდენიმე წელია, საკუთარ შოუებს აღარ გვთავაზობს, მაგრამ ცოტა ხნის წინ მან მთელი საქართველოს დასახანავად თმა გადაინერგა და მთელი ამ ხნის მანძილზე მისი გულშემატივრები მოუთმენლად ელოდნენ, თუ რა შედეგს გამოიღებდა ეს ოპერაცია. ტელეწამყვანი კი ეკრანზე კვლავ თავგადაპარსული გამოჩნდა. ვინ შეუცვალა მას იმიჯი, რატომ გადაიპარსა თავი და როგორ გრძნობს თავს ახალ გადაცემაში — ამ ყველაფერზე თავად გვიამბობს.

## ნათია ჟივიკი

— ნიკა, უკვე რამდენიმე წელია, ტელეეკრანს ჩამოშორდი. ახლა კი ეთერში ახალი გადაცემით დაბრუნდი. იქი იდეა იყო, რომ კვლავ წამყვანის როლი მოგერგო?

— გადაცემის — „ინტუიცია“ — ფორმატი „ემისის“ ეკუთვნის. ტელეკომპანია „იმედმა“ მისი ლიცენზია იყიდა, გადმოაქართულა და ეთერში გაუშვა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს გადაცემა ძალიან ბევრ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც მალე გახდება აქტუალური. გადაცემის ავტორები, პროდიუსერები და ხელმძღვანელები „იმედის“ თანამშრომლები არიან, მე მხოლოდ წამყვანი ვარ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროექტის წარმატება არ მინტერესებს. პირიქით, საქმეში ჩართული ვარ და ვცდილობ, ამ პროექტისთვის ბევრი რამ გავაკეთო. სხვათა შორის, სცენარზე ჩემი მეგობრები, სტუდიის — „ფორმულა კრეატივი“ — ბიჭები მუშაობენ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, გადაცემის წამყვანის როლზე გაა ცინაძის, იმავე მყუდროს კანდიდატურა განიხილებოდა. რატომ შეაჩერეს არჩევანი შენზე?

— როგორც ვიცი, გადაცემის წამყვანის შესარჩევად, დაახლოებით 38 „პილო-

ტი“ ჩაინერა და შესაბამისად, 38 ადამიანის კანდიდატურა განიხილეს. არ ვიცი, კონკრეტულად რა მიზეზით შეაჩერეს ჩემზე საბოლოო არჩევანი. არხის მესვეურებსა და გადაცემის პროდიუსერებს ინტუიციამ უკარნახა, რომ წამყვანი მე უნდა ვყოფილიყავი, მე კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათი არჩევანი გავამართლო.

— საკმაოდ დიდხანს არ ჩანდი ეკრანზე. რატომ გქონდა ამხელა პაუზა?

— ადამიანი, რომელიც მაყურებელთან ურთიერთობას არის მიჩვეული, ეკრანიდან ნასვლას ყოველთვის განიცდის. რომ გითხრა, ამ დროის განმავლობაში ხალხს დავავინწყდი-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ სატელევიზიო ეთერში ხელახლა დაბრუნება კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მძლევს და მისი წინა პირობას მიქმნის, რომ მაყურებლის წინაშე ახალი ენერჯით, სტილითა და იმიჯით წარვდგე. მიმანია, რომ ჩემი რამდენიმეწლიანი პაუზა გამართლებული იყო. თუმცა ამ დროის განმავლობაში უამრავ შოუში ვმონაწილეობდი და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს საქმეს ყოველთვის ვაკეთებდი. შესაძლოა, წამყვანობა ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ ეს ჩემი ერთადერთი საქმე არ არის. ბევრ სხვა რაღაცას ვაკეთებ. ის დრო, რაც ეკრანზე არ ვჩანდი, მეტი ფიქრისა და საკუთარი ძალების მობილიზებისთვის იყო საჭირო.

— პირველი გადაცემის ჩაწერას თავს როგორ გრძნობდი? სომ არ წერვილობდი?

— პირველი გადაცემა ძალზე ენერჯიული, დინამიური, დრამატული და ამავედროულად, მხიარულიც იყო. როცა პირველად აკეთებ რაღაცას, რაც ბევრმა ადამიანმა უნდა ნახოს, ამას წერვილობა ახლავს თან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეასე გადაცემას რომ ჩავწერ, მაშინაც ისევე ვინერვიულებ, რადგან პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა მაქვს და საქმის კეთებისას საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევ. ჩემს გადაცემებს ყოველთვის კრიტიკული თვლით ვუყურებ და სულ ვფიქრობ იმაზე, თუ რისი გამოსწორება შეიძლება. ახლა კი, რადგან ეს გადაცემა ჩემთვის პირველი იყო,





ისევე, როგორც ყველაფერს პირველს, ცოტა „უცხოობის“ შეგრძნება ახლდა თან...

— როგორც ვიცო, „ინტუიციის“ ჩანერას მაყურებელიც ეძნებოდა როგორ შეგხვდა ამჯერად დარბაზი?

— მგონი, ძალიან კარგად. მიმაჩნია, რომ სტუდი-აში ყოფნა და მაყურებელთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების წესია. ჩემმა ახლობლებმა კარგად იციან, რომ ყველაზე მეტად, სწორედ ადამიანებთან კონტაქტი მანიჭებს სიამოვნებას. პირველი გადაცემის ჩანერას ჩემი ბევრი ახლობელი დაესწრო, რადგან ყველას უნდოდა, „ექსკლუზიური“ სიამოვნება მიეღო. ამათ კიდევ უფრო გაგვი-იოლა საქმის გაკეთება, თუმცა ჩვეულებრივ, უცნობ ხალხთან ურთიერთობაც არ მიჭირს. ყოველთვის ვგრძნობ, თუ რას ელიან ჩემგან და ცდომილება თითქმის არ მაქვს.



— თავად მოგონს „ინტუიციის“?

— რა თქმა უნდა! ეს ნიკა ქავთარაძის კი არა, სახალხო გადაცემაა, რადგან „ინტუიციის“ მონაწილე, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს.

— გადაცემის მოთამაშეები მხოლოდ ცნობილი ადამიანები იქნებიან თუ უბრალო მაყურებელსაც შეეძლება საკუთარი ინტუიციის გამოცდა?

— გადაცემაში 12 უცნობი ადამიანი გამოდის და ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ რიგითი მონაწილეებიც თამაშობენ. ისე კი ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ახლა მხოლოდ ის არის გადაწყვეტილი, რომ სეზონის ბოლომდე ანუ ზაფხულამდე მხოლოდ ცნობილი ადამიანები ითამაშებენ, მერე — ვნახოთ. პრინციპში, მაყურებელი ახლაც თამაშობს, რადგან შეუძლებელია, გადაცემა ყოველგვარი ემოციის გარეშე უყურო. როცა „ინტუიციას“ უყურებ, შენდა უნებურად თამაშობ, შენს ვარაუდებს აკეთებ. აქედან გამომდინარე, „ინტუიციას“ აქვს ძალა, რომ გახდეს სახალხო თამაში. ჩანერის დროსაც კი, სტუდიაში უმეტესი მაყურებელი თამაშობდა. მერე შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებდნენ. ეს მაძლევს საფუძველს, ვიფიქრო, რომ „ინტუიციას“ მასობრივი და სახალხო პროექტი იქნება. მისარია, რომ ჩვენი მაყურებლები ამ თამაშში ჩაბმით, განიცდიან კარგ ენერჯის მიიღებენ, მხიარული და ხალასი ცხოვრებით იცხოვრებენ, თუნდაც მხოლოდ სუთმებათობით, საღამოს 10 საათიდან.

— ბევრს გაუვირდა, როცა ახალი გადაცემა ეთერში შუა სეზონში გავიდა. თანაც იმ დროს, როცა წინ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი გველოდებოდა...

— დროა, დაინგრეს სატელევიზიო ბადის შევსების ასეთი ხედვა. მერე რა, თუ ახალი სეზონი არ არის?! ხალხი ხომ 12

თვის განმავლობაში უყურებს ტელევიზორს. შესაბამისად, მაყურებელს რაც უფრო მეტჯერ შეეთავაზებთ გარკვეულ სიხალხებს, მით უფრო კარგია. შესაძლოა, აგვისტოში დავისვენოთ, იმიტომ, რომ დას-

ვენება გვჭირდება, მაგრამ დანარჩენ დროს ნებისმიერი პროექტის დაწყება სწორად მიმაჩნია. კარგად მოიქცა „იმედის“ ხელმძღვანელობა, რომ ეს გადაცემა სწორედ ასლა გაუშვა ეთერში. არა მგონია, ფეხბურთმა მას ხელი შეუშალოს. მინიმუმ 3 თვის განმავლობაში ეთერში გავალთ. ვიცით, რომ მაყურებელი ამ თამაშში ინტენსიურად ჩაებმება და რატომ უნდა დაუშვარგოთ მას ეს ბედნიერი და მხიარული 3 თვე?!

— ტელევიზიაში დაბრუნებისთანავე იმიჯი შეიცვალე. მანამდე ცოტა წონაში მოიმატე. ულვაშიც გქონდა და მთელი საქართველოს თვალწინ თმაც კი გადაინერგე. მაშინ, როცა მაყურებელი შენს ახალ ქოჩორს ელოდა, ისევე თავგადაპარსული გამოჩნდი ეკრანზე. ეს გადაცემის გამო გააკეთე?

— საქმე ის არის, რომ მე ოპერაციის ნახევარი მაქვს გაკეთებული — თმა მხოლოდ წინა მხარეს გადამინერგეს, უკანა მხარეს კი ჯერ არ გადაუნერგავთ და კიდევ ერთი ოპერაცია მელოდება. იმის გამო, რომ გა-

დაცემის წამყვანობა მოულოდნელად შემომთავაზეს, თმის გადანერგვა კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ბოლომდე უნდა მივიდეს, რათა გარკვეული ეფექტი მოგვცეს, თავის გადაპარსვა მომიხდა და ეს ჩემმა

ექიმმა ძალიან განიცადა... ეს თმისთვის ცუდი კი არ არის, პირიქით, ძალიან კარგია, რადგან უფრო ხარისხიანი თმა ამომივა მაგრამ ყველა ინტერესით ელოდა ჩემი თმის ნახვას და ახლა ისე ლოდინი მოუწევს... ტელეეთერიდან წასვლის შემდეგ, წონაშიც მოვიმატე და ეს გასაკვირი არ არის, რადგან ადამიანი ეთერში ყოფნის დროს რეჟიმშია, მეტ ენერჯის ხარჯავს, თანაც გარეგნობა მაყურებელთან ურთიერთობას ხელს არ უნდა უშლიდეს... საბედნიეროდ, უკვე რამდენიმე თვეა, სპორტული ცხოვრებით ვცხოვრობ და გარკვეული შედეგიც მივიღე. გადაცემის მსატყარმა კი იზრუნა,

რომ „ინტუიციას“ მოხდენილი წამყვანი ჰყოლოდა და მე ამ იმიჯის მორგება არ გამიჭირდება...

თამარ მამასაძისილი

# „ქარაბაღინი“

ხალხური საეკონომიკო რეცეპტები

უახლესი: 7 დარბაზი  
ქართულ  
ენაზე  
მედიცინაზე  
დაყინებით  
შექმნილი ძველი  
ხალხური  
რეცეპტები

იმიჯი და ფიზიკის მართვა  
და საგანმანათლებლო  
ფიზიკის სახელის მართვა: 38 26 73; 38 26 74

# ვის „გაუიშვლებას“ აპირებს ია ფარულავა

„ნილაზი ყველას უნდა ჩამოვხსნათ“...

მასობრივი ია ფარულავა მალე ახალ ამპლუაში წარმოგვიდგება: ცოტა ხანში ტოქსოუს ნაყვანა მოუწევს, რისთვისაც სერიოზულად ემზადება. ამბობს, რომ გადაცემაში, რომელშიც წამყვანად მიიწვიეს, პარტნიორებთან ერთად, რესპონდენტებისთვის ნილაზის ჩამოსხნა მოუწევს და არც საკუთარი ნილაზის „დამსხვრევაზე“ იტყვის უარს... იას დიდი ხანია, როგორც გულახდილ ადამიანს, ისე ვიცნობ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მას ახალ ამპლუასთან შეჭიდება არ უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ პარტნიორებადაც არანაკლებ გულახდილი ადამიანები ჰყავს...

### ლალი ფასია

— „იმედის“ ეთერით ახალი გადაცემის სარეკლამო რგოლები გადის, რომლის ერთ-ერთი მოქმედი პირი შენც ხარ. მოგვიყვი ამ ახალი პროექტის შესახებ.

— ეს ყოველდღიური ტოქსოუ გახლავთ, რომელიც პირდაპირ ეთერში 3-ის ნახევრიდან 4-ის ნახევრამდე გავა. მას 3, საზოგადოებისთვის ცნობილი ქალბატონი წარუძღვება — ნანიკო ხაზარაძე, მე და დოდო ხურცილავა. ეს ქალბატონი თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგია და ტელევიზიაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა. თვითონ პროექტი ამერიკული გახლავთ, შოუს — „დე ვიუ“ — ანალოგია, რომელსაც ასევე რამდენიმე წამყვანი ჰყავს. ისინი სტუდიაში მაგიდას უსხედან და სტუმრებთან ამა თუ იმ თემას განიხილავენ. ესებიან როგორც პოლიტიკას, სოციალურ პრობლემებს, ასევე პირად ურთიერთობებზეც ლაპარაკობენ. მოკლედ, ცხარე პოლემიკა და დისკუსია აქვთ... გვინდა, რომ იგივე სული სკვეთება ქართულ ტელევიზორებშიც შემოვიტანოთ. ვიმეორებ, ჩვენს პროექტში ნებისმიერ თემაზე ვისაუბრებთ.

— რაც შეეხება სტუმრებს — რა სფეროს წარმომადგენლებს მოიწვევ?

— ნებისმიერი სფეროდან. რაც მთავარია, ყველაფერზე გულახდილად უნდა ვისაუბროთ, ჩამოვისხნათ ნილაზები და ჩამოვხსნათ სხვებსაც. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი ნამდვილად მაქვს. ასე რომ, მოვიდა დრო, ვიყოთ ძალიან გულახდილები!

— როდესაც ეთერში თქვენი მომავალი გადაცემის სარეკლამო რგოლები გამოჩნდა, მაყურებელს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ის პროექტის — „სამოთხის ვაშლები“ — მსგავსია...

— შეიძლება, ვილაცხას მოეჩვენოს, რომ ასეა, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო

წინ წასვლა და გადაცემისთვის სხვა მიმართულების მიცემა გვინდა. ჩვენს პროექტს ბრწყინვალე რეჟისორი (გია გაფრინდაშვილი) ჰყავს. ნამდვილად არ გვინდა, ცხოვრება ძალიან დალაგებულად, ლამაზად წარმოვაჩინოთ, ისე, ვითომ არაფერი გვანუხებს... სადაც საჭიროა, უნდა მოვეფეროთ კიდევ რესპონდენტს და სადაც საჭიროა, მწვავე კითხვაც დავსვათ.

— რა ჰქვია გადაცემას?

— იყო დიდი მსჯელობა, პოლემიკაც კი, ტოქსოუსთვის რა სახელი დაგვერქმია, საბოლოოდ კი „დღის შოუ“ შეირჩა... მოკლედ, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე პირდაპირ ეთერში ვიქნებით...

— ამ პროექტში როგორ აღმოჩნდით?

— შემთხვევით. როგორც მერე გავიგე, ამ გადაცემის კასტინგი თურმე დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში ბევრი ცნობილი ქალბატონი მონაწილეობდა. რეჟისორმა გია გაფრინდაშვილმა ერთხელ მეც დამირეკა და კასტინგზე მიმიწვია.

— ისე, შენი ტელეკარიერა ახლა არ დანაშაულებია, ნილაზის წინ, საკუთარი შოუ — „ჩემი მშვენიერი ლედი“ გქონდა...

— დიას, ჩემი გადაცემა დიდი ხნის წინ დაიხურა. სხვათა შორის, ერთი-ორჯერ მქონდა მცდელობა, ის უფრო ფართო მასშტაბით გამეხსნა და არაერთ ტელეკომპანიას შევთავაზე კიდევ ეს იდეა, მაგრამ პროექტის ხარჯები რომ დაითვალეს, ძალიან ძვირი აღმოჩნდა და მას ხელი არავინ მოჰკიდა. ამის გამო ცოტა გულნატკენიც ვიყავი. თუმცა ტოქსოუში მუშაობაზე არასდროს მიფიქრია... მაგრამ ჩემს ახალ საქმეს დიდი ინტერესით ვეკიდები.

— მკაცრი კასტინგი გაიარე?



— საკმაოდ. სამ ტურად იყო დაყოფილი. როგორც ვთქვი, მასში ბევრი ცნობილი ქალბატონი მონაწილეობდა, მაგრამ ბოლოს სამნი შემოვრჩით, რადგანაც ყოველი ჩვენი პარტნიორობით დაინტერესდა.

— როგორი პარტნიორები არიან ნანიკო და ქალბატონი დოდო ხურცილავა?

— შესანიშნავი. ნანიკო საოცრად გულახდილი ადამიანია, თან, პირდაპირ ეთერში მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს... რაც შეეხება დოდო ხურცილავას, ის ჩვენთვისაც და გადაცემის მესვეურებისთვისაც უდიდესი მონაპოვარია. უაღრესად განათლებული ქალბატონია. სხვათა შორის, მუშაობდა „ნანიკოს შოუზეც“, ტელეკომპანია „მზეშიც“, მარინა სალუქვაძის ტოქსოუში. ნებისმიერ თემაზე, ულვევი ინფორმაციის მქონე ადამიანი, მოსიარულე ენციკლოპედიაა. პირადად ჩემთვის, ასეთი ქალბატონის გვერდით მუშაობა მნიშვნელოვანია. მგონი, საინტერესო სამეული შეირჩა.

— „დღის შოუ“ როდის გავა ეთერში?

— დეკორაციას ველოდებით. ტელეკომპანიასთან კონტრაქტები უკვე გაფორმებული გვაქვს. ისე, ეთერში აქამდეც უნდა გავსულიყავით, მაგრამ დეკორაციის გამო შევფერხდით. მოკლედ, ძალიან მინდა, რომ ყველამ ჩამოვისხნათ ნილაზები...





— ძნელი არ იქნება? და აქვე მითხარო — როგორია შენი ნილაბი?

— ჩემი ნილაბი საკმაოდ გამჭვირვალეა და ხშირად ნილბის მიღმა ჩემი რეალური სახე ჩანს. თითქმის არაფერს ვმაღავ, რადგანაც გულახდილობა მსიამოვნებს. ეს ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა. ნანიკოც ასეთია და ის ამიტომაც მომწონს... რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შევძლებთ რესპონდენტისთვის ნილბების ჩამოსხნას, ეს ალბათ ცხარე პოლემიკისა და დიდი ენერჯის ხარჯზე მოგვიწევს. არის მომენტები, როდესაც ადამიანი მესაუბრება და ამ დროს მაგრად თამაშობს, რაც ძალიან მალიზიანებს და მას ამის შესახებ ვეუბნები ან ვაგრძნობინებ ხოლმე. ზოგი საკუთარ ნილაბს კარგად „ფუთავს“, ზოგი იმდენად ხელოვნურია, მაშინვე იშინდება და იქვე იმსხვრევა კიდევ მისი ნილაბიც.

— ისე, ცნობილი ადამიანებისთვის ნილბების ჩამოსხნულად დიდი „ბრძოლა“ კი მოგიწევთ...

— მართალია, ვილაცამ ნილბის განმავლობაში იშრომა იმისთვის, რომ ესა თუ ის ნილაბი მოერგო, რომელიც საზოგადოების წინაშე წარდგომისთვის სჭირდებოდა და ერთ გადაცემაში, ერთ საათსა და 2-3 კითხვაში მართლაც რთული იქნება მისი „გაშიშვლება“.

— ამასთან, „იმედის“ არხზე ისეთი გადაცემაც („სიმათლის დრო“) გადის, სადაც ადამიანს ქვეცნობიერშიც კი „შედიან“...

— რესპონდენტებს ასე ნამდვილად არ „გავაშიშვლებთ“... ყველაფერთან

ერთად, მათ მოვეფერებით კიდევ და ჩვენს პირად ცხოვრებაზეც ვისაუბრებთ... ჰო, მართლა, პირველ გადაცემას საკუთარ პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს დავეთმობთ, რადგანაც ამის ირგვლივ მაყურებელს უამრავი კითხვა გაუჩნდება. ესეც რომ არ იყოს, მათ ხომ უნდა გავეცნოთ — ვინ ვართ, რა გვინდა — და ერთმანეთიც უკეთ უნდა გავიცნოთ. მინდა, რომ რეიტინგული გადაცემა გვექონდეს და ბევრი მაყურებელი გვყავდეს.

— მშვენიერ ფორმაში ხარ, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავის მოვლით კვლავაც სერიოზულად ხარ დაკავებული, არა? გვითხარო, ფორმას როგორ ინარჩუნებ?

— იმის გამო, რომ ყოველდღე ეთერში უნდა ვიყო, ეს ჩემი ცხოვრების რეჟიმს საგრძნობლად შეცვლის. ამასთან, უდიდესი პასუხისმგებ-

მოიცავს. მისი გამოყენება საუცხოო ეფექტს იძლევა, საოცრად ხარისხინია. ცუდი ის არის, რომ მხოლოდ 3 აფთიაქში იყიდება.

— მაინც რას შევლის აღნიშნული კრემები?

— ისეთი კომპონენტებისგან შედგება, რომლის საშუალებითაც სახეზე ნაოჭები 33%-ით ქრება. გარდა ამისა, ამ კრემის მომხმარებელ ქალბატონთა კლუბს ვაყალიბებ.

— ბატონმა ფადიმ — შენმა მეუღლემ იცის იმის შესახებ, რომ ახალ გადაცემას იწყებ?

— კი, რა თქმა უნდა. მან იცის და ძალიან მოსწონს ეს ყველაფერი. ჰოდა, ჩვენი ურთიერთობის შესახებაც ვისაუბრებ ახალ გადაცემაშიც, რადგანაც ბოლო დროს ჩვენზე გარკვეული მითქმა-მოთქმა ატყდა. მინდა, ეს ქორები გავაქარწყლო.

## ბოლო დროს ჩვენზე გარკვეული მითქმა-მოთქმა ატყდა

ბლობის წინაშე ვდგები. ამიტომ უნდა ვიყო ფორმაში და შესაბამისი ფიზიკური მომზადებაც მჭირდება. ამისათვის თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობ. დავდივარ მასაჟებზე, ხშირად ვსტუმრობ სილამაზის სალონს. ცოტა ხნის წინ თბილისში ჩემთვის ახალი, თბილისელებისთვის კი ალბათ ძველი — ბალნეოლოგიური კურორტი აღმოვაჩინე, სადაც პროცედურებზე დავდივარ და ვარ აბსოლუტურ შოკში! ასე რომ, ვემზადები როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად, მორალურად რომ ყველაფერს თავი კარგად გავართვა.

— ნილბის წინ წარბების კორექციისთვის უცხოეთიდან სპეციალური ფორმები შემოიტანე და ქალბატონებს მოუწოდებდი, წარბებისთვის კარგად მიეხედათ. ცოტა ხნის წინ ტელევიზიით სახის საცხებსა და კრემებზე საუბრობდი, რომელიც ასევე უცხოეთიდან შემოგიტანია...

— რა ვქნა, ვერ ვისვენებ, მინდა, ყოველთვის რაღაც სიახლე შევთავაზო ქალბატონებს. საერთოდ, დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით ვეძებდი საუკეთესო კრემებს, რომელთაც ქართველ ქალბატონებს წარვუდგენდი და მგონი, მივაგენი. ფრანგული კრემი, რომელიც ახსენე, თვალის, სახის, ღამისა და დღის კრემების ჯგუფს

— მაინც რა თქვენს?

— თითქოს ვიჩხუბეთ, მისგან ნა-მოვედი და... მოკლედ, დავშორდით... რა სისულელეა! ამ ყველაფერზე გადაცემაში ვიტყვი...

— მოუსვენარი ქალბატონი ხარ, შარშან წიგნი — „თამაში „თამაშის“ გარეშე“ გამოეცა...

— წიგნი მალაზიებში დღესაც იყიდება. მივხვდი — მკითხველს ერჩივნა, წიგნი ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ დამეწერა... მაგრამ მე მეამაყება, რომ სერიოზული ნაშრომის ავტორი ვარ, რომელიც ხელოვნების, თეატრის მოღვაწეებს, მომავალ მსახიობებს ძალიან მოსწონთ...

— ამ წიგნში განხილული მეთოდის მინედიტი, ფსიქიატრიულ კლინიკაში პაციენტებთან სენსებს ატარებდი. ამ საქმესაც აგრძელებ?

— არა. მაგრამ ამ მეთოდზე დაინერა ნაშრომი, რომლის ავტორებიც ვართ მე, პროფესორები — ვაჟა კენჭაძე და გოგი ნანეიშვილი. ნამუშევარი არგენტინაში, სერიოზულ ფსიქიატრიულ სიმპოზიუმზე იგზავნება. ეს არის არამედიკამენტოზური თერაპიული კურსის გარკვეული ვარიანტი. მიხარია, რომ ასეთი სერიოზული ნაშრომის შექმნის პროვოცირება გამოვიწვიე...

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ!





ნიკო მჭედლიშვილი

# რით დააქვს სახეს რატი დურგლიშვილი გიგი უგულავას

28 წლის მომღერლის, რატი დურგლიშვილის ფსიქოპორტრეტის შედგენა არც ისე რთული ყოფილა — ძალიან გულახდილი, კონტაქტური და უშუალო ადამიანია. არ უყვარს ამბიციური და ყალბი ხალხი. ასეთებთან არც ურთიერთობს, რომ არ „გაფუჭდეს“. საოცარია, მაგრამ ის ადამიანებიც უყვარს, ვინც მასზე ჭორებს იგონებს...  
დუეტ „ჯორჯიას“ წევრი ამბობს, რომ მამაკაცებს, ქალებისგან განსხვავებით, ერთდროულად რამდენიმე საკითხზე ფიქრი და რამდენიმე საქმის კეთება არ შეუძლიათ, ამიტომაც არ მოჰყავს ცოლი: გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი მაქვსო. მისი ეს ფრაზა გიგი უგულავას წინასაარჩევნო სლოგანს მაგონებს. თუმცა რატი აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანია, ისიც კი არ ახსოვდა, რა არჩევნები ტარდება ახლა ჩვენს ქვეყანაში...

— რატი, დილით მალეობარა გაღვიძებს თუ მის დაუხმარებლად ახერხებ ამას?

— ჩემი „მალეობარა“ არის დედაჩემი. გამოგიტყდები და, სამსახურს იმის გამო არ ვინცებ, რომ დილით გაღვიძებამ არ მომიწინოს. ახლა ისეთი საშუაო მაქვს, როცა მინდა, მაშინ ვიღვიძებ. დიდი პრობლემა ჩემი გაღვიძება. ამის გამო, ტელევიზიები გავანანყენე, დილის გადაცემების მესვეურნი... ახლა ბოდიშს ვუხდი, უნდა მაპატიონ, ეს ჩემი სისუსტეა. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ამის გამო არ უნდა გამიბრაზდეს.

— რამდენად უტყუარად ხარ?

— ზოგჯერ უტყუარად ვარ, ზოგჯერ — ძალიან უთავბოლო, დაგბორიალებ სახლში, ჯერ ტანსაცმელს ვეძებ, რა ჩავიცვა, მერე ყავას ვსვამ, მერე გამახსენდება, რომ მეჩქარება, საათს შევხედავ და თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ სახლიდან.

— დაბნეული ხარ?

— საკმაოდ. რამდენიმე საქმეს ერთად რომ აკეთებენ, იმ ხალხის მშურს. ეს ძირითადად, ქალებს ახასიათებს, მამაკაცებს ერთი რაღაც გვახსოვს მხოლოდ. ერთი ტვინი გვაქვს. ქალებს მგონი, ბევრი გაქვთ; შეგიძლიათ, ლაპარაკობდეთ და პარალელურად, ვილაცას უსმენდეთ.

— ამის გამო ქალების ხომ არ გშურს?

— არა, რას ლაპარაკობ?! ხომ უნდა განვსხვავდებოდეთ ქალებისგან. მოშინოს, ერთ საქმეზე რომ ვარ კონცენტრირებული; სამაგიეროდ, იმ ერთს ვარგად ვაკეთებ.

— სიზარმაცე ხშირად გეძალდება?

— ოო, ძალიან ხარმაცე ვარ ბუნებით, არ მიყვარს საქმის ბოლომდე მიყვანა. ჩემს სურათებსაც რომ გადავხედავ ხოლმე, არც ერთი ნახატი არ მაქვს დამთავრებული. სიმ-

ღერასაც რომ ვწერ, მაკა რომ არ მყავდეს გვერდით, ვერ დავაბთავრებდი ვერც ერთს. ხან მარტო მისამურს ვწერ და ხან დასაწყისს.

— იქნებ მუზა გტოვებს ხოლმე?

— შეიძლება, მაგის ბრალიცაა. მალე მებზრდება ყველაფერი, მათ შორის — სიმღერაც.

— შენი დაბნეულობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გვერდით ისეთი მეორე ნახევარი გჭირდება, ვინც ხშირად შეგაჯანჯლარებს: რატი, გაგვიანდება, რატი, წასვლის დროა, რატი, ხომ არ გშია?

— შიმშილს რაც შეეხება, ამის შესხენება არ მჭირდება, კუჭი სულ ფორმაში მაქვს (იციინის). გურმანი ვარ, ჭამაზე ვაფრენ.

— რომ არ გეტყობა, ამას როგორ ახერხებ?

— ვარჯიშით: ყოველდღე დავრბივარ დაახლოებით 8 კილომეტრს, დავდივარ დარბაზში, ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ. არანაირი წამლებით არ ვიჭიკბები და არანაირ დიეტას არ ვიცავ.

— დღის რომელ მონაკვეთში ახერხებ ვარჯიშს?

— ისეთი აბონემენტი მაქვს ალბუმი, რომ დღის ნებისმიერ დროს შემიძლია მისვლა. ვარჯიში ჩემთვის, ანტიდეპრესანტია. დაკავებული ვარ იმ საქმით, რომელიც მომწონს. ეს ნერვულ სისტემაზეც მოქმედებს, ოღონდ — დადებითად, უფრო მშვიდი ხდები.

— მოგწონს ვარჯიში, გიყვარს სიმღერა. არასდროს გიკეთებია ის, რაც არ მოგწონს, არ გიყვარს?

— ისეთ რამეს არასდროს გავაკეთებ, რაც არ მინდა, რისი გავკეთებაც არ მიყვარს. სულ რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგეს, მაინც.

— შენს მეგობარს სახლში რე-მონტი რომ ჰქონდეს და დახმარება გთხოვოს, არ დაეხმარები?

— აუცილებლად დაეხმარები. ეს საქმე მომწონს, მეხერხება კიდევც, ჩხირკედლა

ვარ. ყველაფრის გაკეთება შემიძლია ოჯახში, ერთადერთი, სანტექნიკა ვერ შევისწავლე, დანარჩენი ყველაფერი ვიცი. მე და ჩემი ძმა პატარები რომ ვიყავით, სახლს ვაშენებდით. მაშინ მთელი ჩემი დიზაინერული შესაძლებლობები გამოვიყენე. ჩემთვის, ესეც ხელოვნების ნაწილია.

— რას არ გააკეთებ არასდროს?

— მეგობარს რაც უნდა დასჭირდეს, ყველაფერს გავაკეთებ. მარტო მეგობარს არა, ვისაც უნდა დასჭირდეს, აუცილებლად დაეხმარები. სიკეთის კეთება მიყვარს. არიან ადამიანები, რომლებსაც დახმარების თხოვნა „პროფესიად“ აქვთ ქცეული, გირეკავენ, — ფული მჭირდებაო, — და ზუსტად იცი, რომ ეს თანხა კაზინოში უნდა დახარჯონ. ასეთი ადამიანისთვის უარი მითქვამს. ვიცი — თუ დახმარება გინდა, უნდა დაეხმარო ადამიანს, მაგრამ როცა იცი, რომ დათვურ სამსახურს უწევ და ამით აფუჭებ, ცოტა ჭკუას უნდა მოუხმო შენც.

— ნარკოტიკული საშუალებებით თუ დინტრესტულსარ ოდესმე?

— არა, რას ლაპარაკობ, პლანიც არ გამისინჯავს; ამ მხრივ ნებისყოფა მაქვს. სასმელსაც არ ვეჭანები. არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, უმიზეზოდ დალიონ მაშინ, როცა არაფერი ხდება. მე ასე არ ვარ. შეიძლება დავლიო, ოღონდ — მხოლოდ წვეულებებზე; იქაც სიტუაციას ვარჩევ. თუ ვიცი, რომ ამ სუფრის გაგრძელება შეიძლება, ჩხუბსა და განევ-გამონევაში გადაიზარდოს, ფხიზლად ვიქნები. ძალიან მიყვარს ისეთ ადამიანებთან ჯდომა, ვისაც იუმორი აქვს, ვინც არ თამაშობს, არის ის, რაც სინამდვილეშია. ყალბ ადამიანებთან ვერ ვურთიერთობ. მაგალითად, თუ მიყვარხარ, ამას აუცილებლად გეტყვი; რასაც ვგრძნობ, იმასაც გეტყვი. სხვა თუ არ გავკეთებს ამას, მე გავაკეთებ. იმას არ ვფიქრობ, — ვაიმე, ხომ არ მივესალმე ამას პირველი და ამით თავი ხომ არ დავიმცირებ-მეთქი?! პირიქით, ძალიან ბევრ უცხო ადამიანს შემიძლია მივესალმო დიდი სიყვარულით. ამბიციური არა ვარ და არც



ასეთი ადამიანები მიზიდავს. მათთან არ ვურთიერთობ, რომ არ დავფესმავსო.

— რომ შეიტყო, შენმა უახლოესმა მეგობარმა მეორე მეგობართან შენზე არცთუ ისე სასიამოვნო რაღაცები ილაპარაკა, როგორ რეაქცია გექნება?

— არანაირი. არც ამ ამბის გარკვევას დავინწყებ და არც ურთიერთობა შეიცვლება ამით იმ ადამიანსა და ჩემს შორის. ჩუმი ვიქნები, ისე, თითქოს არაფერი ვიცი. დუმილით ყოველთვის მომიგია.

— ქორწინებ როგორ რეაგირებ?

— იმის 95%, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ, ტყუილია, მაგრამ არასდროს დავმდგარვარ და არასდროს დამინწყია იმის მტკიცება, — ეს ტყუილია, ხალხო, არ დაიჯეროთ-მეთქი. მთავარია, მე ვიცი, როგორ ვიცხოვრებ და რა არის სიმართლე. მართალი გითხრა, მსიამოვნებს კიდევ, როცა ჩემ შესახებ ახალ ამბებს ვიგებ, — ე.ი. ხალხს ვაინტერესებ. მე მიყვარს ეს ადამიანები.

— არაერთ გოგონასთან „დაგანყვილებს“, მათ შორის იყო თამთა ჭელიძეც არც ამაზე გაბრაზებულხარ?

— ჰო, არაერთ გოგონასთან „დამანვილებს“, მათ შორის, მართლაც იყო თამთა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— არის ეს მართალი?..

— შენთვის მინდოდა, იგივე მეკითხა...

— (იციან) არა, არ არის მართალი. სინამდვილეში ჩვენ შორის არაფერი ხდება. მე და თამთა მეგობრები ვართ. ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, რჩევისთვის ვურეკავთ.

— შენ შესახებ ბოლო ქორი მიაშვებ?

— (ფიქრობს) ერთ-ერთ ქალბატონთან დაფუნახავვარ ჩემს „კეთილისმსურველებს“. ძალიან შეშფოთებულბმა დარეკეს ჩემს ოჯახში და იკითხეს, რა საერთო აქვს მასთანო?!

— თვითონ თუ გიჭორავია შენს მეგობრებთან, მაგალითად, ქალზე?

— კი, ყოფილა ასეთი მომენტები. მაგრამ ხშირ შემთხვევაში იმ ქალის ვინაობას არ ვამხელ. არ მინდა, ვინმეს ტკივილი მივაყენო. ისე არ უნდა გაიხადოს საქმე, რომ იმ ქალისთვის თვალბში ჩახედვის შეგრცხვებს. უკან მოსაბრუნებელი გზა ყოველთვის უნდა დაიტოვო.

— უარგონზე გკითხა: „ქალების „კოლექციით“ თუ „გიბლატავია“?

— არასდროს. ვერავინ იტყვის, რომ მე ამით „მიბლატავია“. ბავშვობიდან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ამით არასდროს მომიწონებია თავი. ეს ძალიან დაბალ დონედ მიმაჩნია.

— ბევრჯერ გყვარებია?

— სამჯერ... არა, ოთხჯერ.

— მათ შორის, ერთი — თურქი გოგონა იყო, რამდენადაც ვიცი.

— ჰო, და ჩემმა სარწმუნოებამ არ მომცა იმის საშუალება, მასთან სერიოზული ურთიერთობა გამეგრძელებინა. მეც არ ვიცი, რა დამემართა. ჩემი მეგობრები გაოცებულები იყვნენ, მეკითხებოდნენ, — როგორ შეიძლება, მ დღეში ქალი ასე შეგიყვარდესო?!

სერიოზული დებრესია მქონდა 6-7 თვე, ძალიან ვიტანჯებოდი.

— ამ 7 თვეს თუ არ ჩავთვლით, დებრესია გქონდა?

— არასდროს. საკუთარი თავი იმდენად მიყვარს, ნერვიულობის საშუალებას არ ვაძლევ. ღმერთმა ბავრი რამ მომცა ცხოვრებაში. შემოძლია, სხვა საქმით დავკავდე და დებრესიის მიზეზი დავივიწყო. წარსულს არასდროს მივტირი. ვისთანაც რომანი მქონდა, დღეს ყველასთან ვმეგობრობ.

— ეს რთული არ არის?

— არა, იმიტომ, რომ მათ მიმართ გრძნობა აღარ მაქვს. უბრალოდ, პატივს ვცემ და არ მინდა, სამუდამოდ დავკარგო. როცა გიყვარს, ის შენთვის ძვირფასია, მეგობრის შეძენა კი მარტივი არ არის. ერთადერთი შემთხვევა მქონდა, როცა დებრესიის ზღვარზე ვიყავი, — ეს იყო აგვისტოს ომის დროს. ძალიან განვიცადე ამდენი დაღუპული ახალგაზრდა და დაკარგული ტერიტორია. ყველაზე მეტად, შელახული სიამაყის გრძნობა განვიცადე.

— თუ იფიქრე იმაზე, — მე რა შემოძლია გავაკეთო ასეთ შემთხვევაშიო?

— დედას გეფიცები, მზად ვიყავი, ხელში იარაღი აშელო და ჩემი სამშობლო დამეცვა, ომის არ შემშინებია, უბრალოდ, ელდა მეცა... მე რაც შემეძლო, გავაკეთე. თუნდაც ის, რომ ბოლომდე ერთგული დავრჩი საკუთარი ქვეყნის. სხვაგვარადაც შემეძლო მოვქცეულიყავი და ბევრად უკეთესად ვიცხოვრებდი, ვიდრე დღეს ვცხოვრობ, მაგრამ არ გავაკეთე.

— რას გულისხმობ? მოსკოვში წასვლა შეგეძლო და ქეთა თოფურიასავით, რუსული ჯარისთვის სიმღერა?..

— მაგ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ქეთა ჩემი მეგობარია, ძალიან მიყვარს და ძალიან გამიჭირდება ახლა მისი საქციელი განვიხილო. მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვაგებ პასუხს.

— სიყვარულის თემას მინდა დაფიქრდეთ თქვე, რომ არაერთხელ გყვარებია; როგორ გოგონას არ შეიყვარებ არასდროს?

— იცი, რამია საქმე... ჩემი უბედურება თუ ბედნიერება ის არის, რომ ყველა ადამიანში კარგ თვისებებს ვეძებ. შემოძლია გითხრა, როგორი გოგო შემიყვარდება, მაგრამ როგორი არ შემიყვარდება, ამის თქმა გამიჭირდება. წელანაც აღვნიშნე და გავიმეორებ, — ბუნებრივი, უშუალო ადამიანები მომწონს, ისინი, ვინც არ თამაშობენ, ყალბები არ არიან, ვისაც სპეციალური იმიჯი არ აქვთ შექმნილი გარშემო მყოფთათვის.

— ადამიანში სიყალბე რომ გამოიცილო, ნიჭი უნდა გქონდეს...

— არა, ძალიან მარტივია, ერთი დალაპარაკებაც კმარა. ცდილობენ დაგიმტკიცონ, რომ შენზე მაგრები არიან, სინამდვილეში კი არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებთ.

— პოლიტიკაზე რას ფიქრობ?

— აპოლიტიკური ტიპი ვარ.

— ახლა რისი არჩევნები ტარდება?

ბა ქვეყანაში, ისიც არ იცი? — ეგ ვიცი... უი, მგონი, ეგეც არ ვიცი (იციან)... არა, როგორ არა, თბილისის მერს ვირჩევთ.

— კიდევ?

— კიდევ, არ ვიცი. დედას გეფიცები, მართლა არ ვიცი. თუმცა არც ერთი არჩევნები არ გამიცდენია, ყველაში მიმიღია მონაწილეობა. ახლაც ვაპირებ წასვლას, მაგრამ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების საქვეყნოდ გამოტანას ახლა არ ვაპირებ.

— გაბრაზებული რატი როგორია?

— 5 წუთში გადამივიღის წყენა.

— სწორედ ეგ 5 წუთი მაინტერესებს...

— რომ გითხრა, ადამიანს მოვკლავ-მეთქი, მოგატყუებ. ვყვირი, ვწუნუნებ, მეგობარს ვუყვები, ვინ გამაზრაბა და ვწყნარდები.

— ცოლის მოყვანას არ აპირებ?

— ჯერ არა.

— რამდენი წლის ხარ?

— 28-ის. იცი, რა არის?! ვფიქრობ, რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრი მაქვს.

— რა უგულავას ფრაზებით მელაპარაკები?!

— (იციან) ჰო, გასაკეთებელი კიდევ ბევრი! ჰო, ეგ უგულავას რეკლამაა, არა?! პრინციპში, მეც მაგ დღეში ვარ: დასამთავრებელი მაქვს ალბომი, ვნერ სიმღერებს, ვახტავე.

— ერთმანეთს რატომ უშლის ხელს ოჯახი და ყველაფერი დანარჩენი?

— ცოლს რომ მოვიყვან, გონების ძირითადი ნაწილი მასზე გადამერთდება და ყველა დანარჩენი გვერდზე დამრჩება. ჩვენ, მამაკაცები ხომ რამდენიმე საქმეს ერთდროულად ვერ ვაკეთებთ.

— რისი თქმა გინდა — ცოლს რომ მოვიყვან, საყვარელ საქმესაც თავს დაანებებ?

— გამოიცილებელი არ არის.

— ეი. მანამაღდე დიდი კაპიტალის დაგროვება მოგინდეს.

— აი, ზუსტად „მანდ ვარ“ მეც (იციან): დავაგროვებ ფულს და მერე მოვიყვან ცოლს.

— შენ იცი. წარმატებებს გოსურვებ!





# „ევროვიზიის“ ქართული ზემ-ვოკალისტები და ტრადიციასთან დაკავშირებით უახსოვლ დარჩენილი კითხვები

პროექტ „ვარსკვლავების აკადემია 2“-ის მონაწილეები — სოფო ტოროშელიძე და ელენე კალანდაძე „ევროვიზიის“ ქართველ კონკურსანტს — სოფო ნიჟარაძეს ნორვეგიაში მიჰყვებიან — ისინი ბექ-ვოკალს ასრულებენ და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ სოფო ნიჟარაძეს საერთაშორისო კონკურსზე წარმატების მიღწევაში ხელი შეუწყონ. სოფო ტოროშელიძეს ნორვეგიაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრე.

## ეთო ყორღანაშვილი

— სოფო ნიჟარაძესთან ერთად, „ევროვიზიის“ კონკურსზე მე და „ვარსკვლავების აკადემია 2“-ის კიდევ ერთი მონაწილე — ელენე კალანდაძე მივმგზავრებით. რამდენიმე თვის წინ დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ ბექ-ვოკალის შემსრულებელთათვის კასტინგი ტარდებოდა. მონაწილეობას არ ვაპირებდი, მაგრამ მერე მე და ელენე ერთად მივედით. საკმაოდ ძლიერი კონკურენცია იყო: კასტინგზე „ჯეოსტარელები“ და „ვარსკვლავების აკადემიის“ სხვა მონაწილეებიც იყვნენ. ფრანგ რეჟისორს, რომელიც წლევანდელი „ევროვიზიისთვის“ საქართველოსთვის საკონკურსო ნომერს უდგამს, ძალიან მოეწონეთ. მე და ელენე სწორედ მან შეგვარჩია.

### — კასტინგზე რა მოთხოვნა იყო?

— მუსიკის გარეშე, ნებისმიერი სიმღერა უნდა შეგვესრულებინა. ასევე, Shine ვიმღერეთ, რომელიც სოფომ „ევროვიზიაზე“ უნდა შეასრულოს.

### — საქართველოს სახელით, „ევროვიზიაზე“ გასვლის მსურველთათვის შიდა შესარჩევი კონკურსი რომ ჩატარებულიყო, მონაწილეობას მიიღებდი?

— საერთოდ, კონკურსები, ფესტივალები არ მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ „ევროვიზია“ გრანდიოზული საერთაშორისო კონკურსია, ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს, უსამართლოა. ალბათ, მონაწილეობას არც მივიღებდი.

### — „ევროვიზიასთან“ დაკავშირებით შენი აზრი გასაგებია, მაგრამ ზოგადად, კონკურსები რატომ არ გიყვარს? „ვარსკვლავების აკადემია“ სომ ერთგვარი კონკურსი იყო?

— ბავშვობიდან ვმღერი. უამრავ კონკურსში ვმონაწილეობდი, მაგალითად: „ბროლის ნაძვი“, სადაც გრანპრი ავიღე. „ოქროს მარტვი“, საერთაშორისო ფესტივალები... სამწუხაროდ, საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს. სოლო კარიერის დასაწყებად, ერთადერთი ნათელი წერტილი რომე-



ლიმე შოუში მონაწილეობაა — თვითრეალიზაციის ერთადერთი საშუალება ესაა. სიმართლე გითხრა, „ვარსკვლავების აკადემიაში“ შესასვლელად გადამწყვეტილების მიღება გამიჭირდა — 3 თვე დასურულ სივრცეში უნდა გამეტარებინა.

### — სამწუხაროდ, პროექტი 3 თვე ვერ გაგრძელდა.

— მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, პროექტში მონაწილეობას არ ვნანობ. ეს ჩემს ცხოვრებაში გადადგმული ერთ-ერთი სწორი ნაბიჯია.

### — „ვარსკვლავების აკადემია 2“-ის მონაწილეთა შორის, გამარჯვების სერიოზულ კანდიდატად მიიჩნეოდი. პროექტის შეწყვეტის შემდეგ რაიმე შეთავაზება სომ არ მიგიღია?

— კი, მაგრამ ეს ძალიან უმნიშვნელოა, რადგან როგორც აღვნიშნე, საქართველოში შოუბიზნესი „მკვდარია“ — პროექტი დამთავრდა და... დამთავრდა!

### — ყველას გვახსოვს ის ტრადედია, რომელიც შენობის ნგრევას მოჰყვა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ვინმეს თუ დაეკისრა?

— სასამართლო პროცესი ისე ჩატარდა, რომ 8 მონაწილიდან პროცესზე არც ერთი არ ვყოფილვართ. პასუხს არავინ გვცემს. არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცით, ვინაა დამნაშავე.

### — იმ ტრადედიის შემდეგ ფორმაში ჩასადგომად რა დრო დაგჭირდა?

— ფსიქოლოგთან დავდიოდით, მაგრამ იმ ტრავმამ ასლა უფრო იჩინა თავი. მიღებული შოკი ჩემს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახა. ის დღე ალბათ არასოდეს დამავიწყდება. ყველაზე საშინლად ის 40 წუთი მასხენდება, როცა შენობის ჩამონგრევის შემდეგ, მაშველებს ველოდით...

### — გარდა იმისა, რომ „ევროვიზიაზე“ მიემგზავრები, ამჟამად კიდევ რას საქმიანობ?

— კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ვსწავლობ, მესამე კურსის სტუდენტი ვარ. პარალელურად, „ბასტი-ბუბუში“ ვმუშაობ. 3 წლის ვიყავი, „ბასტი-ბუბუში“ რომ მივედი. ახლა იქ ვოკალის პედაგოგად დავბრუნდი: საპროდიუსერო ჯგუფში „ვიზიარ“, 11-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებთან ვმუშაობ. პედაგოგობის გარდა, სიმღერებს ვწერ. შემოქმედებითად ძალიან დატვირთული ვარ, რადგან გარდატეხის ასაკის ბავშვებთან ვმუშაობ და მათი მუსიკალური გემოვნება ძალიან კარგად ვიცი.

### — როგორი მუსიკალური გემოვნება აქვთ?

— ძირითადად, ალტერნატიულ მუსიკას უსმენენ, რომელიც მათ ასაკ-





ში, მეც ძალიან მიყვარდა. ასე რომ, ბავშვებთან ურთიერთობა ჩემთვის იოლია — კმაყოფილი ვარ. კერძო მოსწავლეებიც მყავს, რომლებსაც ვოკალში ვამეცადინებ. სხვათა შორის, „ანა-ბა-ბანას“ კასტინგისთვის ბევრი ბავშვი მოვამზადე, ერთ-ერთი მათგანი ამჟამად, პროექტშია. „ნიჭიერის“ მონაწილეებს — მარის და ბაბის, მარიამ ფაჩულიას, მე ვეხმარებოდი. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო, თან — ძალიან საინტერესო!

**— პატარა მარიამ ფაჩულიამ „ნიჭიერის“ მესამე ტურში უცხოური სიმღერა შეასრულა. ტექსტის დამუშავება ხომ არ გაუჭირდა?**

— სხვათა შორის, ჩემთან რომ მოვიდა, უკვე კარგად მომზადებული გახლდათ. ძალიან ნიჭიერი და საყვარელი ბავშვია. მასთან მუშაობა სასიამოვნო იყო!

**— სოფო, რა ჟანრის სიმღერების შესრულება მოგწონს?**

— საერთოდ, ვცდილობ, სხვადასხვა ჟანრში ვიმუშაო. პიანინოს ბავშვობიდან ვუკრავ და უფრო მეტად ინგლისური ბალადების შესრულება მიყვარს.

**— საკუთარი სიმღერა თუ გაქვს ჩანერილი?**

— კი, ერთ-ერთ რადიოშიც მივიტანე, მაგრამ მუსიკალური თვალსაზრისით, საქართველოში განვითარების პერსპექტივას ვერ ვხედავ. სამწუხაროდ, თუ რამის მიღწევა გინდა, უცხოეთში უნდა წახვიდე.

**— გამგზავრებას აპირებ?**

— კონსერვატორიაში სწავლის დასრულების შემდეგ. ძალიან მინდა, უცხოეთში გავემგზავრო. ვნახო, საქართველოს ფარგლებს გარეთ, პროფესიონალ მუსიკოსებს, შემოქმედებით ადამიანებს როგორ ეპყრობიან... აქ როგორც ეპყრობიან, ვხედავ.

**— როგორ ეპყრობიან?**

— სამწუხაროდ, ნიჭიერი ადამიანი სათანადოდ ვერ ფასდება...

**— სოფო, მოდი, მითხარი „ევროვიზისთვის“ როგორ ემზადებით?**

— ფრანგმა რეჟისორმა საკონკურსო ნომერი დაგვიდგა, თავად კი საფრანგეთში დაბრუნდა. ჩვენ რეპეტიციები განვაგრძეთ. ნორვეგიაში რომ გავემგზავრებით, რეჟისორი იქ დაგვხვდება, მოცეკვავეებთან ერთად. აქტიურად ვმუშაობთ. ახლა უკვე ფსიქოლოგიურად ვემზადებით.

**— ლელა?**

— არა. სანერვიულო სოფოს აქვს — სოლისტია და მას უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, ხელი შევუწყოთ და ყველაფერი კარგად იყოს. იმედი გვაქვს, რომ წარმატებას მივაღწევთ!

# მელ გიბსონმა ორსულ გრიგორიევას უღალატა

პორნოფილმების პროდიუსერმა ვიოლეტა კოვალმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მელ გიბსონმა, ახლა უკვე ყოფილ შეყვარებულს, ოქსანა გრიგორიევას იმ დროს უღალატა, როდესაც იგი ორსულად იყო. 26 წლის კოვალი გამოტყდა, რომ 3 თვის განმავლობაში კინოვარსკვლავთან ინტიმური კავშირი ჰქონდა; ისინი, ყველასგან ფარულად, ერთმანეთს მაღიბუში, მსახიობის სახლში და სანტა-მონიკას ოფისში ხვდებოდნენ. „არ გამკვირვებია, რომ მელმა მიატოვა; სიმართლე რომ გითხრათ, ის მამაკაცთა იმ რიგს არ მიეკუთვნება, რომელსაც ერთი ქალი აკმაყოფილებს“, — დასძინა პროდიუსერმა ქალმა. ოქსანა გრიგორიევასა და მელ გიბსონის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებული ვერსიის თანახმად, წყვილის დაშორების მიზეზი მათი მოუცვლელი და მეტისმეტად გადაჭირებული სამუშაო გრაფიკის შეუთავსებლობა გახდა. ოქსანას ახლობლები კი ირწმუნებიან, რომ ამ საქმეში მელ გიბსონის ყოფილი მეუღლის ხელი



ურევია: „ბოლო ხანს ოქსანას ძალზე მძიმე პერიოდი ჰქონდა, გახდა და სრულიად გამოიფიტა. მის ცხოვრებაში მომხდარ ამბებს საშინლად განიცდიდა. მათი დაშორება გიბსონის ყოფილი ცოლის, რობინისა და ქალიშვილის, ჰანას ბრალია!“ ამ ვერსიების მიუხედავად, მელ გიბსონისა და ოქსანა გრიგორიევას დაშორების ნამდვილი მიზეზი საიდუმლოებითაა მოცული. მართალია, მსახიობის ადვოკა-

ტმა უკვე განაცხადა, რომ ვიოლეტა კოვალის მიერ გაკეთებული განცხადება „აბსურდული და შეთხზულია“, მაგრამ საპასუხოდ ვიოლეტამ სიცრუის დეტექტორზე შემოწმება წარმატებით გაიარა და მის მიერ მოყოლილი ამბის ჭეშმარიტება დაასაბუთა. „ჩვენი დაშორების მიზეზების შესახებ საუბარი ახლა არ შემიძლია, მაგრამ ოდესმე ყველაფერს შეიტყობთ, რადგან სიმართლე მაინც გამჟღავნდება“, — განაცხადა თავად ოქსანამ ბრიტანელი ჟურნალისტებისთვის ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში.

# შარლიზ ტერონმა კიანუ რივზს თავი შეაყვარა

დასავლური ტაბლოიდების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ძველი მეგობრების — შარლიზ ტერონისა და კიანუ რივზის ურთიერთობა უბრალო მეგობრობის ფარგლებს გასცდა. ამ ცოტა ხნის წინ, ავტოსადგომზე ჩასაფრებულმა პაპარაცებმა მსახიობები ბევრლი-ჰილზზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში გამოიჭირეს. რესტორნიდან გამოსულმა შარლიზმა და კიანუმ ჟურნალისტები ვერ შეიმჩნიეს და ავტომობილისკენ ჩახუტებულნი გაემართნენ. ჯერ კიდევ „ემშაკის ადვოკატიზა“ და „ტვილი ნოემბრის“ გადაღებებიდან მოყოლებული, ჟურნალისტები თავამოდებით ცდილობდნენ შარლიზისა და კიანუს სახელების ერთმანეთთან დაკავშირებას, მაგრამ თითოეულ მათგანს სხვა პარტნიორი ჰყავდა, ერთმანეთთან კი მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდათ. შარლიზი მხარში ედგა მეგობარს, როდესაც კიანუს პირად ცხოვრებაში ტრაგიკული მოვლენები ხდებოდა: როგორც ცნობილია, მსახიობის შეყვარებული, რომელიც მისგან ბავშვს ელოდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ხოლო კიანუსთვის ყველაზე ახ-

ლობელი ადამიანი — მისი და სიმსივნით გარდაიცვალა. ცხოვრების ამ ურთულეს პერიოდში, ისედაც გულჩახვეული რივზი „კარჩაკეტილი ჰოლივუდელი“ გახდა. ბოლო დროს კი საკუთარი მონაწილეობით გადაღებული ფილმების პრემიერების გარდა, სხვა თავყრილობებზეც გამოჩნდა და ეს შარლიზის დამსახურებაა, რომელიც მეგობარს სახლიდან გასვლას აიძულებს. სტიუარტ ტაუნდსენთან დაშორების შემდეგ, შარლიზ ტერონს ხშირად ხედავენ კიანუსთან ერთად, მაგრამ ახლა უკვე, პაპარაცების გამოჩენისთანავე, ისინი სხვადასხვა მხარეს გაბრძნა და იშლებიან, თითქოს რალაცაც მალავენ...





# ცხოვრება

## ზურაბ ჟვანიასადმი წაყენებული ბინძური ბრალდება და მიუხედავად მატყუარების სიმდიდრე

„საკუთარი თავი ყოველთვის ნიადაგმცოდნეობის სფეროში წარმოედგინა“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კარიერა საკმაოდ მრავალფეროვანია. მიხეილ მატყუარაძეს „საყველაფრო“ არ დაუმთავრებია, მაგრამ პროფესიით ნიადაგმცოდნე სხვადასხვა დროს სხვადასხვა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ თანამდებობას კარგად მოერგო, სიახლეების ათვისება არ გასჭირვებია. 42 წლის ვიცე-სპიკერი შორსმომავალ გეგმებს არ აწყობს, მაგრამ იცის, რომ კიდევ ბევრი კარგი საქმე აქვს გასაკეთებელი.

### თათა დაღვაძლი

— დავიბადე და გავიზარდე რუსთაველის პროსპექტზე. 5 წლის ვიყავი, როცა ჩემი მეგობრის, ნინო სიხარულიძის ხათრით, სკოლაში შემიყვანეს — ჩვენ ძალიან გვინდოდა, კლასელები ყოფილიყავით. ისეთივე ბავშვობა მქონდა, როგორც სხვებს. მერწმუნეთ, თანატოლებისგან თითქმის არაფრით გამოვიჩინდი. კარგი მოსწავლე გახლდით, მაგრამ ყველაზე მეტად ბუნებისმეტყველება, მათემატიკა მაინტერესებდა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში კი მოვიკოჭლებდი. მაშინ მოსწავლეების ძირითადი გასართობი კინოთეატრში სიარული ან ერთმანეთთან სტუმრობა იყო. ყველაფერი, რაც სკოლას უკავშირდება, ძალიან ტკბილად მახსენდება. არდადე-



გების დროს, ვიდრე მშობლები სოფელში წამიყვანდნენ, ხან დედას, ხანაც — მამას სამსახურში დავყავდი. მამაჩემი ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობდა, დედა — ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ცოტა რომ წამოვიზარდე, მამას ექსპედიციებშიც დავყავდი. მე და ჩემს ძმას, ვანოს სწორედ მისი წყალობით დაგვჩემდა ბუნებისადმი სიყვარული და დღემდე, დილაობით ფუნქიკულიორზე ან ბოტანიკურ ბაღში, ფეხით ავდივარ ხოლმე. გაკვეთილების შემდეგ კლასელები „აჭარულებშიც“ ჩავდიოდით, სადაც ხაჭაპური 50 კაპიკი ღირდა (იცინის)...

### — სკოლის დამთავრების შემდეგ სად ჩააბარეთ?

— იმ პერიოდში ასეთი არჩევანი მქონდა — ან სტუ-ში, სამთო ფაკულტეტზე უნდა ჩამებარებინა, ან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — ნიადაგმცოდნეობაზე. საბოლოოდ, არჩევანი ამ უკანასკნელზე შევაჩერე და ინსტიტუტში ნითელ დიპლომზე დავამთავრე. სხვათა შორის, მაშინ პრაქტიკაზე საზღვარგარეთაც გვიშვებდნენ...

### — ჯარში თუ მსახურობდით?

— კომუნისტების დროს ჯარში წასვლა გარდაუვალი იყო. 1986-1988 წლებში გუდაუთის სამხედრო ბაზაზე, „ბომბორაში“ ვიმსახურე. მაშინ აფხაზებთანაც მქონდა შეხება და ქართველებთანაც. სხვათა შორის, იქ ცხოვრება ქართველებს მაშინაც უჭირდათ, ქართულად ლაპარაკის ეშინოდათ. გუდაუთაში ანტი-ქართულად განწყობილი ბევრი აფხაზი



ცხოვრობდა, მაგრამ ისეთი მეგობრებიც მყავდა, რომლებიც აცნობიერებდნენ, რომ დაპირისპირება ცუდია...

### — თქვენ 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ხართ. იქნებ, ამ „სიმდიდრეზე“ გვითხრათ ორიოდ სიტყვა.

— ინსტიტუტის დასრულების შემდეგ კათედრაზე დავრჩი და დისერტაციაზე დავინყე მუშაობა, რომელიც წესით, 1993-94 წლებში უნდა დამემთავრებინა. ჩემი ხელმძღვანელი, თენგიზ ურუშაძე ცნობილი ნიადაგმცოდნე იყო. თემა ძირითადად, მზად მქონდა — „თრიალეთის ქედის ყომრალი ნიადაგების გენეტიკური დახასიათება“. ეს ძალიან საინტერესო საკითხია — თრიალეთის ქედი სამცხე-ჯავახეთიდან იწყება და თბილისში, ბოტანიკურ ბაღამდე გრძელდება.

### — როგორი იყო გზა კათედრის ლაბორანტობიდან პარლამენტარობამდე და როგორ მოხვდით მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში?

— 90-იანი წლების დასაწყისში ჩემი



ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ერთხელ „მწვანების“ ოფისში ზურაბ ჟვანიას შევხვდი და ამ შეხვედრამ ჩემი მომავალი საქმიანობა განაპირობა — მას მერე პოლიტიკაში აქტიურად ჩავები. მანამდე ვერც წარმოვიდგენდი, პოლიტიკა თუ დამაინტერესებდა, საკუთარი თავი ყოველთვის ნიადაგმცოდნეობის სფეროში წარმომედგინა, სადაც კარგ ახალგაზრდა მეცნიერად მივიჩნეოდი... მიუხედავად იმისა, რომ მაშინ დისერტაციის დაცვა მოდამი იყო, მე აღარ დავიცავი, მაგრამ ნაშრომი, თენგიზ ურუშაძისა და დედაჩემის დამსახურებით, მაინც დაიბეჭდა... მერწმუნეთ, დისერტაციის დაცვა ნამდვილად არ გამოქირდებოდა, მაგრამ ეს საჭიროდ აღარ მიმაჩნდა. ჩემი აზრით, ყველაფერს შეჭიდებული ადამიანი ვერაფერს მიაღწევს. ამას სჯობია, ერთ საქმეს, მაგრამ კარგად ემსახურო. არასდროს მესმოდა იმ ადამიანების, რომლებიც პოლიტიკაში იყვნენ და მეცნიერებასაც არ ეშვებოდნენ. პირად დე მე, ორი განსხვავებული საქმის ერთდროულად და საფუძვლიანად კეთება შეუძლებლად მიმაჩნია... მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში განწევრიდან სულ ცოტა ხანში მისი ხელმძღვანელი გავხდი, 1995 წელს კი უკვე საპარლამენტო სიაში ვიყავი. მე და ჩემმა მეგობრებმა ყველაფერს საკუთარი შრომითა და თავდადებით მივაღწიეთ. 1996 წელს, როცა გია ბარამიძე სასწავლებლად ამერიკაში წავიდა, ზურამ პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა შემომთავაზა.

**— და მაინც, რატომ გაგიტაცათ ასე პოლიტიკამ?**

— სიმართლე გითხრათ, მაშინ იმ რთულმა სიტუაციამ დამაინტერესა, რაც ჩვენს ქვეყანაში იყო. მასსოვს, 1990 წელს ხალხი არჩევნებს როგორ ელოდა. მართალია, უკვე იმ ასაკში ვიყავი, როცა ვხვდებოდი, რომ ქართველები მხოლოდ „ბორჯომითა“ და მანდარინით ვერ ვიცხოვრებდით, მაგრამ მაშინ ყველა იმას გაჰყვიროდა: ბალახს შევჭამთ, ოლონდ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მივიღოთ! 1991 წლის აგვისტოში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, მერე იყო მიტინგები და ყველაფერი ის, რამაც საქართველოს განვითარებას ძალიან მძიმე დალი დაასვა. მაშინ მეც დავდიოდი მიტინგებზე და იყო რაღაც, რაც არ მომწონდა, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერს შედარებით საღი გონებით ვანალიზებ, ვფიქრობ, რომ ქვეყანა ჩვეულებრივი გზით უნდა წასულიყო და არა — რევოლუციის; მაშინდელ ხელისუფლებას უფრო მეტი უნდა გეკეთებინა, რათა ეს დაპირისპირება არ მომხდარიყო; სამოქალაქო ომი დაიწყო იმიტომ, რომ ქვეყანაში უკიდურესი რადიკალიზმი სუფევდა... 2000 წელს, შეიძლება ითქვას, რომ მინისტრობა მომიხდა. როცა შემოსავლების სამინისტრო შეიქმნა, ქვეყანაში ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ფულის უქონლობა იყო, ელემენტარუ-

ლი საკითხები ვერ წყდებოდა და ამიტომაც, ამ თანამდებობაზე ყველა უარს აცხადებდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არ მქონდა, იძულებული გავხდი, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ამელო. მაშინ ვთქვი, — ერთი წელი ვიმუშაებ, მერე კი თანამდებობას დავტოვებ, რადგანაც ეს ჩემი საქმე არ არის-მეთქი! მოკლედ, იმ ერთ წელიწადში არაერთი რეფორმა განვახორციელეთ, რაც ბევრს არ მოეწონა... 2001 წელს მთავრობაში სერიოზული დაპირისპირება დაიწყო. ზურა ჟვანიას ბევრი აბრალებდა, რომ მას პრეზიდენტის სავარძლის ხელში ჩაგდება უნდოდა, რომ ის პრემიერ-მინისტრის პოსტს ითხოვდა და ამიტომაც, მისი გუნდის ყველა წევრს განსაკუთრებული სიფრთხილით გვადევნებდნენ თვალს, ათას ბინძურ ბრალდებას გვიყენებდნენ. სამწუხაროდ, პოლიტიკაში ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე. ამ დაპირისპირებების გამო, მთავრობის სხდომაზე გამოვედი და გავაკეთე განცხადება მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ. ზურა ყველაფერში მესმარებოდა, მხარს მიჭერდა. ნოემბერში იგი ოპოზიციაში გადავიდა და ბუნებრივია, მეც მასთან ერთად ვიყავი.

**— სამგორში მუშაობის პერიოდსა შეგვხვით...**

— სამგორში ორივერ გავიმარჯვე, მაჟორიტარულ არჩევნებში. მერწმუნეთ, დეპუტატობისას ბევრი კონკრეტული რამ გავაკეთე, ბევრ ადამიანს დავეხმარე. სამგორის რაიონის ხალხმა ძალიან თბილად მიმიღო და ამიტომაც, ის პერიოდი კარგად მახსენდება... მერე იყო „ვარდების რევოლუცია“ და ისევ პარლამენტში ამოვიყავი თავი, ხოლო 2004 წელს ვიცესპიკერად დამინიშნეს.

**— მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში გამოჩნდით, რამდენიმე თანამდებობა გამოიცვალეთ...**

— მართალი ბრძანდებით (ილიმის). ძალიან გამიძარცვია, რომ ზურა ჟვანიასთან ერთად ვმუშაობდი. მიხარია, რომ ისევ ქვეყნის სამსახურში არიან ადამიანები, რომლებთან ერთად დავინყე ჩემი პოლიტიკური კარიერა. თუმცა მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მე და ზოგიერთი მათგანი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. მთავარია, ადამიანი იმ იდეალებს ემსახუროს, რისთვისაც პოლიტიკაში მოვიდა და კონკრეტული საქმეები აკეთოს.

**— რთულია წარმატების მიღწევა?**

— თუ ხარ მიზანდასახული, გაქვს ცოდნა და გინდა განვითარდე, მაშინ რაღაცის შანსი გაქვს. არ უნდა იყო

თვითკმაყოფილი, ყოველთვის უნდა იმუშაო საკუთარი თავის სრულყოფაზე. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ბედისწერაზეცაა დამოკიდებული... ზოგჯერ მირჩევნია, ქუჩაში არავინ მცნობდეს. მაგალითად, როცა მეუღლესთან, ბავშვებთან ერთად ქუჩაში მივდივარ, ხალხი ისე მიყურებს, როგორც ექსპონატს — ის არის? არ არის? — ეს ყველაფერი კი დისკომფორტს მიქმნის. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, პარლამენტში ვარ, არ ვარ ის დეპუტატი, რომელსაც „საყველაფერო“ აქვს დამთავრებული და შეუძლია ყველა თემაზე ილაპარაკოს. ვცდილობ, იმ საქმეებზე ვიყო ორიენტირებული, რაც მეტ-ნაკლებად ციცი და მესმის — ვგულისხმობ საგადასახადო საქმეს. მიუხედავად წინსვლისა, ვფიქრობ, რომ ამ სფეროში კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

**— საინტერესოა, დასახულ მიზანს უკვე მიაღწიეთ?**

— მიზნად არ მქონია, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გავმხდარიყავი. ჩემი მიზანი უფრო არის ის, რომ ქვეყანა იყოს ძლიერი, უფრო განვითარდეს, იყოს დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო. ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს.



ბევრმა წყალმა ჩაიარა, მე და ზოგიერთი მათგანი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით

**— 2013 წლის შემდეგ ისევ პოლიტიკაში იქნებით? საინტერესოა, გეგმებს წინასწარ ადგენთ ხოლმე?**

— (იციანის) იცით, ასე შორს ჯერ არ გამიხედავს. ვფიქრობ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთო დღეს და ვიცი, რომ ხალხი ხელისუფლებისგან მხოლოდ სიკეთეს უნდა ხედავდეს. ჯერჯერობით, ამ საქმეს ვემსახურები და ვხედავ, რომ სხვებს ტვირთად არ ვანევი; თუ დავინახავ, რომ საქმეს ვერ ვაკეთებ, მაშინვე გავიწევი, გზას სხვას დავუთმო. გაინტერესებთ, შემიძლია თუ არა სხვა რამის გაკეთება? — ვფიქრობ, რომ შემიძლია! მერწმუნეთ, გარშემო ბევრი ნიჭიერი, კარგი ადამიანია და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათ ჩემი გამოცდილება გავუზიარო. ■



# ლუჩანო პავაროტის „ასლი“ და მსმენელის გარეშე დარჩენილი კირკოროვი

**„მთვრალმა ქალმა ვარდი გარეშა —  
თავი პავაროტის კონსერტზე ებონა..“**

მამუკა მისხი ქართველი „ლუჩანო პავაროტი“ გახლავთ — იტალიელ მომღერალს გარეგნობითაც ძალიან ჰგავს და მუსიკალური მონაცემებითაც. ლუჩანო ისე გარდაიცვალა, რომ ქართველი ორეული პირადად ვერ ნახა. სამაგიეროდ, ბატონ მამუკას მის მიერ ნაჩუქარი კაშხე დარჩა სახსოვრად. ამჟამად მამუკა მისხის „ანგარიშზე“ 25-მდე სიმღერაა (მათგან ზოგის ავტორი დათო ივანიშვილი გახლავთ). თავისი უზარმაზარი ჯიბით მგზავრობისას, ქართველი „პავაროტი“ რეპეტიციას ხშირად გადის. მას ყველაზე სასიამოვნოდ ის ფაქტი ახსენდება, როცა თვითმფრინავში, მიწიდან 10 კმ-ის სიმაღლეზე ყოფნისას, საქართველოს პატრიარქმა დაბადების დღე მიულოცა, დალოცა...



### თუ ყორღანაშვილი

— ჩემი მშობლები ტყიბულში ცხოვრობდნენ. მამაჩემი — კვიციანი მესხი (დემეტრე აცხონოსი!) „ტაქსისტი“ იყო, დედა — ნათელა ღვალაძე პროფესიით სინოპტიკოსია. ჩემი ძმა — ზურა მესხი ხელოვანი კაცი გახლდათ. სამწუხაროდ, აფხაზეთის ომში დაიკარგა და მის შესახებ, დღესაც არაფერი ვიცი... მამაჩემი არაჩვეულებრივი მომღერალი იყო — ქალაქის გუნდში მღეროდა!

### „ტაქსისტობის“ პარალელურად?

— არ დაგავინცდეთ, მაშინ კომუნისტები იყო. ვისაც ნიჭი ჰქონდა, მემუხტე იქნებოდა ის თუ ტაქსის მძღოლი, სამუშაოს დასრულების შემდეგ, საღამოობით კონცერტზე მღეროდა. მამა გარეგნობით დიდო აბაშიძეს ჰგავდა. მართალია, მხოლოდ 4 კლასი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ „შინაარსიანი“ ადამიანი იყო... სკოლა სოფელ ოზნაში დავამთავრე. ჩვენი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — კოტე კუბლაშვილი და მისი ძმა —

პალიკო (იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე) ჩემი სკოლელები არიან...

### ლუჩანო პავაროტის სიმღერების შესრულება როდის დაიწყო?

— პირველად „ო სოლე მისო“ ვიმღერე — ძალიან მომეწონა! მაშინ დაახლოებით 20 წლის ბიჭი ვიყავი. ახლა ჩემს რეპერტუარში პავაროტის ოცდახუთამდე სიმღერაა.

### მუსიკალური განათლება მიღებული გაქვთ?

— კლასიკური განათლება არ მიმიღია. მოსწავლეობის პერიოდში გიტარის წრეზე დავდიოდი და სიმღერის ოლიმპიადებზე გავიმარჯვე, რის გამოც, დირექტორს ძალიან ვუყვარდი. მართალია, ქალბატონი რუჟანა მხეცაძე სიმაღლეში 120 სმ გახლდათ, მაგრამ მისი ცას და დედამინას ეუბნოდა — მკაცრი დირექტორი იყო!

### თუ გახსოვთ, პირველად რა სიმღერა შეასრულეთ?

— მაგას რა დამავინცებ?! „როცა მოგვიხმობს პარტია“ (მღერის)... მაშინ სცენაზე პირველად გავედი. სოლისტი ვიყავი და დანარჩენი 60 ბავშვის ხმა არც მესმოდა. სიმღერის დასრულების მერე, ვიკითხე: — თქვენ მღეროდით-მეთქი? — ვმღეროდით კი არა, ვბლაოდით, ვერაფერი გაგაგებინეთო (იცინის). სკოლა რომ დავამთავრე და თბილისში გამოვემგზავრე, ცხოვრება სტუდენტობაში დავიწყე.

### თბილისში რა მიზნით გამოემგზავრეთ?

— სასწავლებლად. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარება მქონდა გადაწყვეტილი. ისე, ეს მშობლების

სურვილი უფრო იყო: ინჟინერი გახდები, ხშირად მოგზაურობა არ მოგიხდება და მოგვედევო. ჩემმა ძმამ საცირკოსაესტრადო სასწავლებელი დაამთავრა. ანსამბლ „რისის“ წევრი იყო (საყვირზე უკრავდა) და ხშირად უწევდა საზღვარგარეთ წასვლა... თბილისში ჩამოსვლა რომ გადაწყვიტე, ჩემოდანიც არ მქონდა — „ბადურა-სუმკით“ გამოვემგზავრე. „პრავდნიკი“ გავაფრთხილე, — თბილისში რომ ჩავალთ, გამაღვიძებთქი! იმ შობელსაღამა მცხეთაში გამაღვიძა. 5-სართულიანი სახლები რომ დავინახე, ვიფიქრე, თბილისში ვარ-მეთქი... მოკლედ, ჩემი „ბადურა-სუმკით“, მცხეთიდან თბილისამდე ფეხით ჩამოვედი. დიღომში 14-სართულიან სახლებს გაცეცხული ვუყურებდი და მათ ცქერაში ისე გავერთე, რომ შუატრასაზე გავედი, სადაც ლამის, ტაქსი დამეჯახა. მძღოლმა მაგინა, — შენი ჩამოყვანისა და შენი დედაცო!. მას მერე, იმ ტაქსის მძღოლს ვეძებ, მანქანის ნომერი დამახსოვრებული მაქვს (იცინის)... მოკლედ, მშობლების ხათრით, პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაზე დავინყე მუშაობა — მბურღავ-ამფეთქებელი ვიყავი. გარკვეული მონაკვეთის ასაფეთქებლად რომ გავდიოდით, გამაფრთხილებელი სირენის შემდეგ, მოსახლეობას მეგაფონებითაც ვაფრთხილებდით: გადით, გადით, აფეთქებააო! ტყეში იმდენი ვიყვირე, რომ ხმა დაინმინდა, დაინმინდა და ტენორში „გადმოვედი“ (იცინის). შემდეგ თბილისში დავფუძნდი: ცოლი შევირთე, „დავ-







ლაგდი... სიმღერა ყოველთვის მინდოდა. ჰამლეტ გონაშვილის ანსამბლი რეპეტიციას სტუდენტების კლუბში გადიოდა და მეც, გული მათკენ მიმიწევდა, მაგრამ მისვლას ვერ ვებედავდი. ბოლოს, 2 ბოთლი ღვინო დაველი, ძალა მოვიკრიბე და სარეპეტიციო დარბაზში შევედი. დავიყინე, — სიმღერა მინდა! პირველ ხმასაც ვმღერე, მეორესაც და მესამესაც-მეთქი! ჰამლეტმა რომ მომისმინა, იმ რეპეტიციანზევე თავისთან დამტოვა, — ხელიდან გასაშვები კაცი არ ხარო. ერთი წლის შემდეგ ჰამლეტი გარდაიცვალა, მე კი სასწავლებლად ნოდარ ანდლულაძესთან (მასთან ნუგზარ გამგებელმა მიმიყვანა) მივედი. ნოდარს 3 წელი ვესვენებოდი, — მამლერე-მეთქი, მაგრამ ის ძალიან მკაცრი იყო: — ჯერ „დო“ ასწიე და არიებს მერე გამღერებო!.. მოგვიანებით, ვლადიმერ კანდელაკთან მივედი და ჩემი გასაჭირის შესახებ ვუამბო... დღეს რა რეპერტუარიც მაქვს — იტალიურიც და ქართული სიმღერებიც ვლადიმერ კანდელაკმა მასწავლა.

**— ხმის ტემბრის გარდა, პავაროტის გარეგნობითაც ჰგავხართ. ბავშვობაშიც პუტკუნა იყავით?**

— პუტკუნა და ლამაზი! ლოყები სულ დანთილებული მქონდა — უფროსკლასელი გოგონები მჩქმეტდნენ ხოლმე.

**— მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი. თუ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ლუჩანო პავაროტი ეგონეთ?**

— სოჭში, დაბადების დღეზე დამპატიყეს. თამადა ვიყავი და თან, სცენაზე ვმღეროდი. რესტორნის გვერდით მდებარე სასტუმროში ფილიპ კირკოროვის კონცერტი ტარდებოდა. როცა მისმა მსმენელებმა გაიგეს, — გვერდითა შენობაში „ლუჩანო პავაროტი“ მღერისო, კირკოროვი მაყურებლის გარეშე დატოვეს (იციან). ხალხს მართლა ლუჩანო ვეგონე — ყვავილებით მოდიოდნენ... ერთი მთვრალი ქალი სცენაზე ხოხვით ამოვიდა და ვარდი მაჩუქა — თავი პავაროტის კონცერტზე ეგონა (იციან)! — **იტალიაში ნამყოფი ხართ?**

— სწორედ ამის გამო ვსკდები გულზე: გერმანიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში ვარ ნამყოფი, იტალიაში კი — არა! მთელი ჩემი საახლობლო იტალიაში კვირაში ერთხელ მაინც მიემგზავრება და არც კი რცხენიათ (იციან)! — **იტალიური ენა იცით?**

— სიმღერით — კი. იტალიელებს ჩემთვის ხშირად უთქვამთ, — ფრაზებს ზუსტად მღერისო. სხვათა შორის, ლუჩანო პავაროტის მიერ ნაჩუქარი კაშპე მაქვს, ძალიან ვუფროთხილდები.

**— როდის, სად გაჩუქა?**

— დაახლოებით, 5 წლის წინ, ჩემი მეგობარი „ლა სკალაში“ პავაროტის კონცერტს ესწრებოდა. 5 ივლისს — ჩემს დაბადების დღეს დამირეკა და მითხრა: შენთვის საჩუქარი მაქვს, პავაროტიმ გამომატანაო... ბავჯიყდი!.. თურმე, კონცერტის შემდეგ, პავაროტისთან

მისვლა მოახერხა და უთხრა: თბილისში მეგობარი მყავს, რომელიც შენს სიმღერებს მღერის და თან, ძალიან გგავსო. „სკაპიოთ“ ჩემი ფოტოც გავუგზავნეთ. პავაროტიმ ჩემი სურათი რომ ნახა, საჩუქრად კაშპე გამომიგზავნა! მასთან პირადად შეხვედრის შანსიც მქონდა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**— თქვენი გაცნობა მასაც სურდა?**

— კი, სურდა! საქართველოში პავაროტის კონცერტის გამართვა იგეგმებოდა, მაგრამ მერე ქვეყანა აირ-დაირია და ვერ მოხერხდა. მინდოდა, ლუჩანო პავაროტის თვითმფრინავის ტრაპთან ლიმუზინით დავხვედროდი და როცა პაატა ბურჭულაძესთან ერთად, მანქანაში ჩაჯდებოდა, „მინუს“ ჩავრთავდი, „ო სოლე მოს“ დავიწყებდი... დიდი შანსი მქონდა, რომ პავაროტისთან ერთად მე-ღერა — მთელი მსოფლიო გამიცნობდა! მართალია, საქართველოში ვერ გამოემგზავრა, მაგრამ მისგან ძვირფასი საჩუქარი დამრჩა... ერთხელ სამთავრობო კონცერტზე გამოვაცხადე: ეს კაშპე პავაროტიმ მაჩუქა-მეთქი. კონცერტის მერე, გრანდიოზული ბანკეტი გამართა და ჩვენი მინისტრის — ვანო მერაბიშვილის გვერდით აღმოვჩნდი. ბატონი ვანო ურთიერთობაში უბრალო კაცია. მან ჩუმიად მითხრა: ის კაშპე მართლა პავაროტიმ გაჩუქა? სადაა? ახლოდან მაჩვენე, ფაქტურა მაინტერესებსო. ვუპასუხე: რას ლაპარაკობთ, აქ სოდ-ის, კუდ-ის ამდენი თანამშრომელია და კაშპეს როგორ მოვიტანდი? თქვენ კი გენდობით, მაგრამ ამათ — არა-მეთქი (იციან)! იმ კაშპეთი ცხოვრება უნდა ავიწყო: 10-15 წლის შემდეგ ფანჯროდან გავფენ და მისთვის ხელის მოკიდებაში ხალხს 100 დოლარს გამოვართმე (იციან)! — **დღესდღეობით აქტიურად მღერით?**

— სხვადასხვა ფესტივალზე, კონცერტზე მიწვევენ ხოლმე. 2006 წელს ბათუმში „შესანიშნავი შვიდეულის“ გრან-პრი ავიღე; ნოდარ ნიკოლაიშვილის შემოქმედებით საღამოზე, ოპერაში ბატონი ნოდარის სიმღერა შევასრულე; უნმინდესის ლოცვა-კურთხევით, პროექტი — ლაზური სიმღერების ფესტივალი შეიქმნა, სადაც ჭაბუკა ამირანაშვილის სამი სიმღერა შევასრულე... ერთ-ერთ ბანკეტზე უკრაინელი ქალბატონი, რადას დეპუტატი, ინტერნაციის კომიტეტის თავმჯდომარე — ოლგა ვლადიმეროვნა გერასიმიუკი (მას ტელევიზიაში თავისი გადაცემაც აქვს) გავიცანი. ჩემი ნამღერი რომ მოისმინა, შემომთავაზა, — ლოკოში კონცერტი ჩავატაროთო. უკრაინაში ახსაბლ „ივერიონთან“ და კვინ-



ტეტ „ურმულთან“ ერთად გავემგზავრე და 2 კონცერტი (ფილარმონიაში და ერთ-ერთ დიდ კლუბში) გავმართე. თავი წარმატებულ, დიდ მომღერლად იქ ვიგრძენი. უკრაინული „ჩერვონა კალინა“ რომ შევასრულე, ხალხი ფეხზე წამოიშრდა და ვიდრე სიმღერას არ მოვრჩი, არ დაჯდა! სამაგიეროდ, თბილისში კაციშვილი ვერ მცნობს, „ჩოხოსნების“ გარდა („ჩოხოსანი“ ვარ)! თბილისისგან განსხვავებით, ბაქოში ძალიან პოპულარული ვარ. ბევრი ბაქოელი ბიზნესმენი მეგობარი მყავს და ელიტურ ქორწინებში ხშირად მიწვევენ. აზერბაიჯანში დაახლოებით, 20-25 ათასი კაცი მიცნობს. შარშან ჩემს მეუღლეს ჯანმრთელობა შეერყა. მართალია, მატერიალურად ყველა ახლობელი დამხმარა, მაგრამ სხვებს როდემდე შევანუხებდი? ჰოდა, ახალშექმენილი ჯიბი 25 ათას დოლარად გავყიდე და ცოლი გადავარჩინე! ჩემმა აზერბაიჯანელმა ძმაკაცმა ეს რომ

შეიტყო, მითხრა: მამუ, 50 წლის იუბილეზე 50-ათასიან ჯიბს გაჩუქებო.

**— ჯიბი უკვე გყავთ. წინასწარ გაჩუქეს?**

— ახალშექმენი ჯიბი რომ გავყიდე, უმანქანოდ დავრჩი. ცოლს „ოპელ ასტრა“ ჰყავდა, რომელშიც ლამის, ფესსაც-მლის მაშველით მტყენიდნენ — ვერ ვეტყვოდი! ამიტომ აბულფასმა ისეთი მანქანა მიყიდა, რომელშიც „ნორმალურად“ ვეტყვი. ჩემ გარდა, აქ კიდევ 8 კაცი ეტყევა. ასეთი ჯიბი თბილისში მხოლოდ ბენდუქიძეს და პრეზიდენტის დაცვას ჰყავს. ისე, ბენდუქიძეს გაერგნულადაც ვგავარ, ჯიბითაც და ძალიან მინდა, სიმდიდრითაც დავემსგავსო (იციან).

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— აეროპორტში, ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობ. უცხოელ სტუმრებს ვხვდები, რესტორანში მიმყავს, ვაქიფებ, ვუმღერე, მერე სასტუმრომდე ვაცილებ, ბოლოს კი ისევ თვითმფრინავში ვსვამ — ესაა ჩემი კომპეტენცია! მოკლედ, სპეცრეისებს ვემსახურები. პოლონეთის ეკიპაჟი რომ დაილუპა, ძალიან განვიცადე. ტრაგედიაშივე 2 კვირით ადრე პოლონეთის პრემიერ-მინისტრი საქართველოში

# ს ა მ ნ ი

გახლდათ. მას თავად გავუმასპინძლი და თავადვე გავაცვილე. პრეზიდენტსაც ვიცნობდი. პოლონეთის ტრაგედიის შედეგად ჩემი უახლოესი ადამიანები დაიღუპნენ... საოპერო ხელოვნების სფეროში ბევრი მეგობარი მყავს. ყველა მეუბნება, — საცოდაობაა, ოპერაში რომ არ მღერო. ოპერაში სიმღერის მანსი დღესაც მაქვს, მაგრამ რატომღაც, ამ ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. იცით, რატომ? — ამის მერე ვეღარ ვიქეიფებ, ვეღარ დავლევ...

### — არადა, სახელგანთქმული თამადა ხართ.

— ჩემმა მეგობარმა — დავით ცირეკიძემ მსოფლიო თამადად მაღიარა, რადგან 1 კვირის მანძილზე სოჭში, მოსკოვში, თბილისში, ალექსანდრიაში თამადაობა მოვასწარა, მაგრამ უკვე ერთი წელია, ღვინოს არ ვსვამ! ჩემმა მეგობარმა — ტახირმა სუფრასთან მითხრა: 1 წლის მანძილზე თუ არ დაღევ, 20 ათას დოლარს მოგცემო. მურად ჯალაბაძემ თქვა, — 10 ათასს მე დავამატებო. ისე, ძალიან საინტერესო ნაძლევა: პირობას თუ ვერ შევასრულებ, თანხას მე კი არ ვიხდი, უბრალოდ, ისინი აღარ გადამიხდიან. მეგობრებს ძალიან ვუყვარვარ, ჩემს ჯანმრთელობას უფრთხილდებიან და სტიმული მომცეს, რომ აღარ დავლიო. ბოლოს, ბესო ბერულავის ქალიშვილის ქორწილში ვითამადე. ახლა ბესოს შვილიშვილი შეეძინა. ნათლობაზე თამადად დამპატიჟეს, მაგრამ ვერ დავლევ... ამიტომ შვილიშვილის შეძენას თქვენი აურნალის საშუალებით ვულოცავ!

### — ბატონო მამუკა, სიმღერასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?

— 50 წლის იუბილეზე ჩემს მეგობრებს დავპატიჟებ: მამუკა ონაშვილს, ზურა დოიჯაშვილს, ნუგზარ კვამალს, ნუგზარ ერგემლიძეს, დათო როსტომაშვილს, ბესო ბერულავის... ყველანი მოვლენ და კონცერტი არ იქნება?! ჩემი შემოქმედებითი საღამო გაიმართება!



### მარი ჯაფარიძე

— რეზიუმე არასოდეს დამინერია და ისიც კი არ ვიცი, როგორ უნდა დავწერო.

— კი, მაგრამ სამსახურში როგორ მიგიღეს?

— ბლატებით, რა თქმა უნდა.

— შეეცადე, მთავარი მოთხოვნები ჩამოაყალიბო და საკუთარ თავზე ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაწერო.

— მდაა...

ბაია და ნატო დაფიქრებული სახით დაჰყურებდნენ ფურცელს. ერთს წარბებს შორის 2 ვერტიკალური ნაოჭი გაუჩნდა, მეორეს კი შუბლი ჰორიზონტალურმა ნაოჭებმა დაუფარა.

ისინი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდნენ, რომ შეუძლებელი იყო, მეგობრები ყოფილიყვნენ.

გოგონები ეზოში დამეგობრდნენ. მათი ურთიერთობა კი ჯერ საბავშვო ბაღმა, შემდეგ — სკოლამ გაარღმავა. ახლა ისინი ერთმანეთს დის მაგივრობას უწევდნენ.

— ჩემი ნაკლის შესახებაც დავწერო?

— მე მგონი — კი. მე დავწერე.

— მოიცა, მოვიფიქრებ... ჰო, ძალზე მიმნდობი ვარ...

— არა მგონია, ეს ნაკლი იყო.

— მაგრამ არც ღირსებაა ალბათ.

— ეს ალბათ „ხასიათის თვისებების“ გრაფაში უნდა ჩანდეს.

— რომელი ღირსება ალვინში?

— ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა.

— მაშინ ამორჩევა მომიწევს. მაგალითად, ნებისმიერი მამაკაცის გაძლება შემიძლია!

— ჰოდა, მაშინ ეგ თვისება „ნაკლში“ ჩანდეს.

— ეე, აბა, რას ამბობ? მე მგონი, ჯობია, რომ ჩემი გარეგნობა ალვინი.

ახლაგაზრდა ქალბატონები ბავშვებით ღრღნიდნენ კალამს და ცდილობდნენ, ბაიას ქარიზმა 20-ოდე წინადადებით გადმოეცათ. ბაიას საკმაოდ სერიოზულ ვაკანსიაზე ჰქონდა პრეტენზია. ის საჭირო გრაფებში აღნიშვნებს სერიოზული სახით აკეთებდა, ნატო კი თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა და მეგობრის ხასიათის „მთავარ ღირსებებს“ ეძებდა.

ბაია ოდნავ ჩაპუტყუნებული და ქერათმიანი გახლდათ, ნატო — მაღალი, გამხდარი და გრძელფეხები-

ანი. მისი თმის ფერი მალაზიაში მოტანილი საღებავის ფერზე იყო დამოკიდებული. მას მუდამ სადღაც ეჩქარებოდა. სწრაფი ნაბიჯით შეიბენდა სახლის ქვემოთ მდებარე მალაზიაში და თუ სასურველი ფერის საღებავი არ იყო, იმას იყიდდა, რაც ჰქონდათ და თმასაც თავისით, სახლში შეიღებავდა ხან „ველური შინდისფერი“, ხან „ველური ალუბლისფერი“, ხანაც „ველური ქლიავისფერი“ საღებავით. მთავარი ის იყო, რომ აუცილებლად „ველური“ უნდა ყოფილიყო. ნატოს მოსწონდა, როცა მასისგან გამოირჩეოდა...

— ლამაზი ალბათ არ მეთქმის...

— შენც ადექი და „თავისებური“ დანერე. უმჯობესი იქნება — „ეფექტური“. მე სწორედ ასე დავწერე.

— მამასადამე, „ეფექტური, ქერათმიანი ქალი“... აღნაგობა როგორ დავწერო?

მეგობრები ქმრებს 2 წლის წინ გაშორდნენ და ახლა ორივე მარტოობას განიცდიდა. ბაიას სახლში ნამდვილი ქაოსი იყო. დალაგებას ის მხოლოდ მაშინ იწყებდა, როდესაც მტვრის გამო ცემინებდა ვერ აუდიოდა, ხოლო ჭურჭელს მაშინ რეცხავდა, როდესაც სუფთა თევზები აღარ რჩებოდა. თუმცა, თუ მის გულში გრძნობა დაისადგურებდა, ბინა საოპერაციო პალატასავით „სტერილური“ ხდებოდა.

ის ერთ-ერთ უმნიშვნელო „კანტორაში“ მუშაობდა, სადაც ყოველდღიური, მ-საათიანი უსაქმურობის შესაბამის ანაზღაურებას იღებდა. ამის გამო სულ უფულობაზე წუნუნებდა, მაგრამ სამსახურის გამოცვლას საშველი ვერ დააყენა.

ნატო 2 ადგილზე მუშაობდა და მატერიალური პრობლემები თითქმის არ ჰქონდა. ის დილაობით ვარჯიშობდა — სახლთან ახლოს მდებარე სკვერში დარბოდა და ვარჯიშიდან დაბრუნებული, სახლის დალაგებას კარგა ხანს ანდობებდა. შემდეგ სამსახურში მიდიოდა, სადაც საღამოს 6 საათამდე მუხლჩაუხრელად შრომობდა. 7 საათზე კი უკვე მეორე სამსახურში ელოდნენ. შინ ღამის 12 საათზე ბრუნდებოდა, მსუბუქად ივასებდა და მაშინვე დასაძინებლად წვებოდა.

ბაიას მამაკაცის მოსაძებნად „არეალი“ არ ჰქონდა. ნატოს — დრო. მეგობრები ერთმანეთს ყოველდღე ეკონტაქტდებოდნენ და დღის ამბებს უზიარებდნენ. ხანდახან კი კაფეში



დასხდებოდნენ და თითო ჭიქა კონიაკს გადაჰკრავდნენ ხოლმე.

დრო გადიოდა...

ზაფხულის ერთ დღეს, ბაიამ თავსხმა წვიმას თავი მაღალსართულიანი შენობის პირველ სართულს შეაფარა და წვიმის გადაღებას დაელოდა. სართული სხვადასხვა ოფისს ჰქონდა დაკავებული. ერთ-ერთ კარზე ეწერა: „ქორწინების სააგენტო“. უსაქმურობისა და უამინდობის გამო შეალო ამ ოფისის კარი და... მის წინაშე სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა.

არჩევანი არც ისე მწირი იყო: „ახალგაზრდა“, „ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე“, „შარმიანი“, „სიმპათიური“, „განქორწინებული“ და „დასაქორწინებელი“ მამაკაცების ანკეტები შესაბამისი წარწერების მქონე „პაპკებში“ იყვნენ განაწილებული.

ბაიამ თავისი მონაცემები დატოვა და მოთმინებით დაელოდა შედეგს. კვირის განმავლობაში ხუთმა ადამიანმა დაურეკა.

— ტელეფონი ამიფეთქეს...

— რამდენმა დაგირეკა? ალბათ ერთმა, რომელსაც სხვა არავინ პასუხობდა და შენ შერჩი ხელში...

— სულ ტყუილად დამცინი, ხუთმა მამაკაცმა დარეკა, — ნიშნის მოგებით უთხრა ბაიამ.

— რა? და ხუთივეს ცოლი უნდა?!

— არა, ცოლი ოთხს უნდა. მესხუთე სანტექნიკოსი იყო, რომელიც ასეთი სახით რეკლამას აკეთებს.

— მერე?

— მერე ის, რომ მივხვდი, ყველა ჩემზე გაჭირვებული და უფულო იყო.

ვილ ცოლს დაუბრუნდა. ახლა მას შველა სჭირდებოდა, საქმელსაც კი აღარ ჭამდა და ზეზეულად ჩამოხმა.

როგორც კი ბაიას მონაცემები შესაბამისი საქალაქო მოხვდა, წარწერით — „ქ-2“ (ქალები 35 წლამდე), ის შინ დამშვიდებული დაბრუნდა. პირველმა პრეტენდენტმა მეორე დღესვე დარეკა. ბაიას მისი ხავერდოვანი ბარიტონი მოეწონა. ნეტავ „ფინანსებში“ როგორ აქვს საქმე?

— ქალაქგარეთ გასეირნება მიყვარს, — ხმა დაინახა ბაიამ.

გადანწყვიტა, რომ მოკრძალებული ქალის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. გემრიელი კერძებისა და მდიდრულ რესტორანში ვახშობის სიყვარულის შესახებ კრიტიკა არ დაუძრავს.

— სად გიყვართ სეირნობა? — გამოცოცხლდა მოსაუბრე.

— მცხეთაში. ძალიან ლამაზი ბუნებაა.

— მცხეთა მეც ძალიან მიყვარს. არაგვისა და მტკვრის შესართავთან ყოფილხართ? ძალიან ლამაზი ადგილია. მინდა, სასეირნოდ დაგვაბატოთ. იმედა, უარს არ მეტყვი.

6 საათზე ბაიას ოფისთან წითელი „ოპელი“ გაჩერდა. საჭესთან ჭალარა, სიმპათიური მამაკაცი იჯდა, რომელ-

რუნება გადაწყვიტეს. ბაიას პირველმა ალფრტოვანებამ გაუარა. მამაკაცი „თელასში“ მუშაობდა და მთელი გზა იმას უხსნიდა, რომ ელექტროენერჯის საფასურის დროულად გადახდა ძალზე მნიშვნელოვანია.

ნატოს პირველ კავალერსაც ლაღო ერქვა, მასაც ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა, ისიც მტკვრისა და არაგვის შესართავთან დაპატიჟეს, უკანა გზა-



ზე მასაც აუხსნეს ელექტროენერჯის დავალიანების დროულად დაფარვის მნიშვნელობა და შინაც უწინებლად დააბრუნეს.

ამ ამბის გამო მეგობრებმა გულიანად იცინეს და ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. შემდეგ მათ არქიტექტორმა დაურეკა. მამაკაცი გადასარევედ გამოიყურებოდა, ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დათომ ერთსა და იმავე რესტორანში ჯერ ბაია დაპატიჟა, შემდეგ — ნატო. რესტორანში წასვლის წინ ბაიამ მეგობარს ისიც კი ურჩია, რომელი კერძი შეეკვთა.

შემდეგი კავალერი გუგა იყო, რომელმაც ჯერ ბაია, შემდეგ — ნატო საუნაში, ლუდის დასალევად დაპატიჟა. ჯერ ბაიასგან მიიღო ლანძღვაგინება, შემდეგ ნატოსგან.

„რატომ გვირეკავენ ერთი და იგივე მამაკაცები? — უკვირდათ მეგობრებს. — ჩვენ ხომ ასე განვსხვავდებით ერთმანეთისგან“.

სამი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, მეგობრებს სხვადასხვა მამაკაცმა დაურეკა. ბაიას ბანკის თანამშრომელი, ზურა უწყალებდა გულს. ის ცოლს გაცილებული იყო და 2 შვილს ზრდიდა. ტანზე მუდამ კუბოკრული პიჯაკი ეცვა. ბაია მასთან ერთად რამდენიმე გამოფენაზე იყო და რესტორანში მხოლოდ ერთხელ დაპატიჟა. სამაგიეროდ, კაფეში ყავას აძალბებდა. ბანკის თანამშრომელს 2 ნაკლიც ჰქონდა, — ოფლიანი ხე-

## სამი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, მეგობრებს სხვადასხვა მამაკაცმა დაურეკა

— ანგარებიანი ხარ.

— შენ? შენ უარს იტყვი მდიდარ მამაკაცზე?

— მე მამაკაცისგან მხოლოდ სიყვარული მჭირდება, მეტი არაფერი.

— კარგია, რომ სხვადასხვანაირი გემოვნება გვაქვს, თორემ რა იცი...

— მე და შენ მამაკაცის გამო არასოდეს ვიჩხუბებთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? — გაუღიმა ნატომ.

„ქორწინების სააგენტოში“ ნატოს მიყვანის იდეამ ბაია მაშინვე შეიპყრო, როგორც კი მის ტელეფონზე პირველი მამაკაცის ზარი გაისმა.

მეგობარი მთელი თვე დებრესიაში იყო, რადგან მისი „ბოიფრენდი“ ყო-

საც კმაყოფილი გამოხედვა და მომხიბვლელი ლიმილი ჰქონდა. ბაიას მამაკაცის გარეგნობა მოეწონა, მაგრამ „ოპელი“ — არა. ის სულ მცირე, „ჯიპიან“ მამაკაცს ელოდა.

გზაში ბაია იდუმალი გამომეტყველებით დუმდა. ხანდახან ოხრავდა კიდეც.

გზიდან გადაუხვიეს, ცოტა ხანს უსწორმასწორო გზაზე იჯაყჯაყეს და როგორც იქნა, გაჩერდნენ. მამაკაცმა ქალს ხელი შეაშველა და მოზრდილ ქვაზე დაჯდომას მიეხმარა. ცოტა ხანს ისხდნენ, მდინარეს გაჰყურებდნენ, საუბრობდნენ... შემდეგ ბაიამ მოიწყინა და შინ დაბ-



ლისგულები და ავტომობილი — „ჟიგული“. გადაადგილების ამ საშუალებას ბაია ქალური ღირსების შელახვად მიიჩნევდა. თუმცა, ზურა მალე თვითონვე დაიკარგა...

სამაგიეროდ, ნატოს სიმპათიურმა მამაკაცმა დაადგა თვალი, რომელიც თავის „მერსედესს“ ოსტატურად ატარებდა, კარგად ხუმრობდა და ქალს ჩინურ რესტორანში ეპატიჟებოდა. ჩინური, „მომწავო-მოტუბო“ კერძების დაგემოვნებისას ნატო მოწყენილი სახით ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა, ამ მამაკაცს ზეპირად რამდენიმე ლექსი სცოდნოდა, ცოტა რომანტიკოსი ყოფილიყო და არა — ასეთი „მინიერი“.

ამასობაში ბაიამ მალაღ, სიმპათიურ მამაკაცთან მსუბუქი ფლირტი გააბა. ალიკა გემოვნებიანად იცვამდა და საკმაოდ კარგადაც გამოიყურებოდა. თუმცა, ქალს სულ მალე იმედგაცრუება დაეუფლა, რადგან ალიკა მოთამაშე აღმოჩნდა. მან საკუთარი ბინა კაზინოში წააგო, თვითონ კი დედასთან ერთად, ცის ქვეშ დარჩა, საცხოვრებლად ცოტა ხნით მეგობარს შეაფარა თავი და ახლა ბინიან ქალს ეძებდა. ბაია მაშინვე დაემშვიდობა ალიკას და მასთან დარეკვა აუკრძალა.

სამაგიეროდ, ნატომ ერთ-ერთი ბანკის ფილიალის მმართველი გაიცნო. მან ქალს ანტალიაში დასასვენებლად წასვლა შესთავაზა, მაგრამ ნატო ძალზე დაკავებული გახლდა და უარი უთხრა.

როდესაც ბაიამ ამის შესახებ შეიტყო, მეგობარი ლამის დაახრჩო. „რატომაა, რომ მე „ჟიგულიანი“ და „ოპელიანი“ სულელები მხვდებიან, შენ კი ბანკის მმართველები და ბიზნესმენები? — ოხრავდა ბაია. — ესაა ბედი? კარგი ცხოვრება მინდა, მდიდრულ რესტორანში სავსემოდ წასვლა, მე კი მტკვრისა და არაგვის შესართავთან მეპატიჟებიან“.

— ნუ ნუნუნებ, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. აი, ნახავ, აუცილებლად ვიპოვით ისეთ მამაკაცს, როგორც გვინდა, — ამშვიდებდა მეგობარი.

იპოვეს კიდეც. სატელეფონო ზარი ჯერ ბაიასთან გაისმა. მალაღმა, გარეგნულად „ისე რა“, მაგრამ შინაგანდ „გადასარეკვამ“ მამაკაცმა, რომელსაც ჯიბი და მძლოლი ჰყავდა, რესტორანში დაბატიჟა. მამაკაცს ცნობილი ბრენდის, ძვირფასი პიჯაკი ეცვა, ძვირად ღირებულ სიგარეტს ეწეოდა და კარგი მანერები ჰქონდა...

რამდენიმე დღის შემდეგ ნატოს ახალი კავალერი დაუკავშირდა, რომელსაც ირაკლი ერქვა ისევე, როგორც ბაიას კავალერს. თავიდან მეგობრები ცოტა შემოთხდნენ, მაგრამ შეხვედრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნატოს კა-

ვალერი საშუალო სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი იყო, არწივისებური მზერით, არც ისე კარგად ჩაცმული... პროფესიით — სცენარისტი.

მეგობრებმა ერთმანეთთან ურთიერთობას მოუკლეს. თავისუფალ დროს ახალ თაყვანისმცემლებთან პაემანზე სიარულს ანდომებდნენ. ერთმანეთს ხანდახან შეეხმიანებოდნენ და ბაია თავისი კავალრის ხელგაშლილობაზე უყვებოდა მეგობარს, ნატო — თავისი პარტიორის ჭკუასა და გონიერებაზე. ბაიას თქმით, მისი ირაკლი ბაგებში, უზარმაზარ, კერძო სახლში ცხოვრობდა. ნატოს ირაკლი კი — ქალაქის ცენტრში, ოთხთახიანი ბინაში. ნატო მხოლოდ ერთხელ მიიწვია მამაკაცმა იქ და ქალი აღფრთოვანებული დარჩა ირაკლის შემოქმედებითი ბუნებით. ერთ-ერთ ოთახში მამაკაცს სახელოსნო ჰქონდა მოწყობილი, სადაც რამდენიმე მოლბერტი იდგა. ის ხატვით იყო გატაცებული.

ერთხელ კი ბაია მამაკაცმა შინ მიიწვია და იმ ღამეს იქ დარჩა. დილით შინ ირაკლის მძლომა ნაიყვანა, რადგან თავად მასპინძელი გაცილებით ადრე წავიდა სამსახურში. ის ერთ-ერთ სოლიდურ ფირმაში მუშაობდა და შესაძლოა, მისი მფლობელიც იყო. უბრალოდ, ბაიამ ამის შესახებ ჯერ არ იცოდა.

— ჩემი ირაკლი ძალიან ვნებიანი საყვარელია, — უყვებოდა ბაია მეგობარს, — რომ შეეძლოს, შემჭამდა.

— ჩემი კი ნაზი და დახვეწილია, — მორცხვად იღიმოდა ნატო.

ის საყვარელ მამაკაცს მეტროსთან ხვდებოდა, შემდეგ მის სახლამდე ფეხით მიდიოდნენ, მამაკაცი შუქს აქრობდა, სანთლებს ანთებდა და რომანტიკულ გარემოში, იატაკზე გადებულ დათვის ტყავზე მიწოლილი, კონიაკს სთავაზობდა ნატოს.

ბედნიერება რამდენიმე ხანს გაგრძელდა. ერთ მშვენიერ დღეს ნატომ ბაია და მისი ირაკლი შინ დაბატიჟა. მოვლენათა შემდგომი განვითარების წინასწარ განჭვრეტა იოლია... აღმოჩნდა, რომ მეგობრებს საერთო მამაკაცი ჰყავდათ.

— შენ რა, გაგიჟდი? ირაკლიზე როგორ შეიძლება ითქვას, რომ მალაღია? — ყვიროდა ნატო.

— 1 მეტრი და 82 სანტიმეტრი სიმაღლის მამაკაცი დაბალია, აბა? — თვალებს აფახულებდა ბაია. — შენ რა, მხედველობა ხომ არ დაგაკლდა? ირაკლიზე როგორ შეიძლება ითქვას, რომ ლამაზი მამაკაცია?

— ჩემი აზრით, ძალიანაც ლამაზია!

— პროფესიებიც არ ემთხვევა... არც საცხოვრებელი ადგილი...

— როგორ ახერხებდა ამას?

— გაიძვერა! დეგენერატი! მეუბნებოდა, მიყვარხარ, შენ გამო თავს მოვიკლავო.

— მეც... მეც ასე მეუბნებოდა...

— ხელებს მიკოცნიდა...

— ანალოგიურად...

მეგობრების გულები ტკივილით აივსო. მოილაპარაკეს, რომ თუ რომელიმე მათგანს კიდეც დაურეკავდა, გაელანძლათ და ისე უხეშად მოჰქცოდნენ, რომ ამ გაიძვერას არასოდეს დავიწყებოდა და ცხოვრებაში ქალისკენ გახედვაც კი არ მონდომებოდა.

აზრზე მოსასვლელად 1 კვირა დასჭირდა. ერთ დღეს კი მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ.

— იმ დეგენერატს ყველაფერი პირში მივახალე! როგორც კი მისი ხმა გავიგონე, ლამის ჭკუიდან გადავედი! ისეთი რამეები ვუთხარი, რომ ლამის ადგილზე მოკვდა. მხოლოდ ქმინავდა ტელეფონში და ხმას ვერ იღებდა. ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ გავაძევე, — აუნყა მეგობარს ბაიამ.

— ხედავ, რა იდიოტია? შენთან დარეკვაც გაზედა! მე რომ ვეჩხუბე, ეტყობა, შენთან სცადა ბედი...

— შენ როდის დაგირეკა? — დაინტერესდა ბაია.

— ორშაბათს, საღამოს.

— მეც დაახლოებით მაგ დროს დამირეკა.

— კარგი, მაგას ახლა რა მნიშვნელობა აქვს? შენც ხომ გალანძლე?

— ყოფა ვუტირე. ის კი არა, ტექსტი წინასწარ დაწერილი მქონდა, რომ რამის თქმა არ დამვიწყებოდა.

— და ამ ტექსტს უკითხავდი? — გადაბჟირდა ნატო.

— არა, ხანდახან თვალს გადავავლებდი ხოლმე, ხომ არაფერი გამომჩნა-მეთქი. „მთავარი თეზისები“ მქონდა ჩამოწერილი.

— აბა, შენა ხარ?! ჯანდაბაში წასულა ყველა მამაკაცი. ჩვენს მეგობრობას ჩრდილს ვერავინ მიაყენებს. თანაც, კიდეც გამოჩნდება ვინმე... არ ინერვიულო.

შემდეგ დიდხანს ისაუბრეს მოდის ტენდენციებზე, მომავალ შვებულებზე, საერთო ნაცნობები გაჭორეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ...

„ცუდად მოვიქეცი, ნატოს სიმართლე რომ დაეუმაღლე. ალბათ უნდა მეთქვა, რომ ირაკლიმ ერთხელ კი არა, ორჯერ დამირეკა და გუშინ შეხვდი კიდეც“, — ფიქრობდა ბაია და გული უცნაურად უცემდა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მეგობარი მოატყუა.

იმ საღამოს ნატოც დამნაშავედ გრძობდა თავს. საქმე ის გახლდათ, რომ მეორე დღეს ირაკლისთან პაემანი ჰქონდა დანიშნული და მეგობრისთვის ამის თქმა ვერ გაზედა...



# „სკაი პით“ მოჩატავე ბებო და დედის სიცოცხლის სანაცვლოდ გადახდილი 10 ათასი დოლარი

„ყველა თავს მევლება, ყველას ვუყვარვარ“

„ზოგიერთი ხანდაზმულივით მარტო არა ვარ, ყველა თავს მევლება, ყველას ვუყვარვარ“, — ამბობს 85 წლის თამარ ტყეუბუჩავა, რომელთან ინტერვიუ, თქვენ წარმოიდგინეთ — „სკაიპით“ ჩავწერე. მეგრულის ცოდნაც გამოიმადგა, მეგრულ ენაზე ვისაუბრეთ...

### თამარა კვიციანი

— 29 წლისა ვიყავი, როცა გავთხოვედი. მე და ჩემი მეუღლე გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში ვცხოვრობდით. ჩემმა დედამთილმა პატარა მინა მოგვცა, სადაც სახლი ავაშენეთ. უფლის წყალობით, 5 შვილი გაგვიჩნდა. შვილები გაიზარდნენ, მერე ორი ვაჟი საცხოვრებლად ცალკე გადავიდა, დანარჩენები კი ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, მუშაობდნენ. დიდი სახელსონო გვექონდა, სადაც ხის მასალისგან სხვადასხვა ავეჯს ამზადებდნენ. მოკლედ, ბედნიერად ვცხოვრობდით... 90-იან წლებში ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტი — კონფლიქტი შეარქვეს, შვილო, თორემ ჩვეულებრივი ომი იყო და მეც, თქვენის ნებართვით, ომს დავარქმევ. დაგვატოვებინეს ჩვენი მინა-წყალი, ამდენი წლის ნაშრომი ხელიდან გამოგვეცალა და დავრჩით უსახლკაროდ, მაგრამ დიდება უფალს, სამშვიდობოს ცოცხლებმა გამოვალნიეთ.

### როგორც ვიცო, ტყვედ იყავით ჩავარდნილი...

— ტყვეობაში ორჯერ ვიყავი. შვილებს არ დავემორჩილე, ჩემი სახლი არ მივატოვე და დავრჩი ბედის ანაბარად, აფხაზეთში. ჩემნებმა დამატყვევეს და წამიყვანეს კინდლში, სადაც ძალიან ბევრი ტყვე ჰყავდათ. ახალგაზრდა მამაკაცები, ქალები და ბავშვები წამებით დახოცეს, მოხუცები კი ცოცხლები დაგვტოვეს, ერთ პატარა ოთახში შეგვყარეს და იატაკზე დაგვანვიანეს, მეორე დღეს კი ოთახიდან გამოგვიყვანეს და რამდენიმე კილომეტრი ფეხით გვატარეს. გზად ერთი ჩვენი მეზობელი, სულ რაღაც, 15 წლის ბიჭი მშობლების თვალწინ დახვრიტეს. დედ-მამამ შვილს საფლავი საკუთარი ხელებით გაუთხარა... ჩვენ თვალწინ ძალიან ბევრი ქართველი გოგონა გააუპატიურეს. მოძალადეები დაგვიცინოდნენ, აბუჩად



გვიგადადებდნენ... ერთი თვე ვიყავი ტყვეობაში.

### — მოძალადეებს თავი როგორ დააღწიეთ?

— ჩემნებს ერთი მეგრული ქალის დახმარებით გამოგვექცი და სოსხუმის პორტიში მივედი, — იქნებ, ვინმე ნაცნობი ვნახო და შვილების შესახებ რაიმე შევიტყო-მეთქი. მართლაც, იქ ერთი ნაცნობი აფხაზი ქალი ვნახე, რომელმაც დამამშვიდა: შენებმა სამშვიდობოს გააღწიეს, კარგად არიანო. გახარებული, პორტიდან სახლში წავედი. რამდენიმე დღე ვცხოვრობდი ჩემს სოფელში — ვარჩეში. ერთ ღამეს კარზე კაკუნი გაისმა. რა თქმა უნდა, კარი გავაღე და ვილატ მაღალი მამაკაცი შემრჩა ხელში. ის ახმახი თმაში მწვდა, ჭიშკრამდე მიმათრია და მანქანაში ჩამაგდო. სულ სამი იყვნენ. მითხრეს, — შენს შვილებს ჩვენი ვალი აქვთ და ის ფული გვჭირდება! ვიცოდი, მატყუებდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის განუვას აზრი არ ჰქონდა... რამდენიმე დღე ხელბორკილებით რადიატორზე ვიყავი მიბმული, შემდეგ კი ენგურის ხიდისკენ წამიყვანეს და ჩემს შვილებს, ჩემი სიცოცხლის სანაცვლოდ, 10 ათასი დოლარი მოსთხოვეს. შვილებმა და რძლებმა ეს თანხა დიდი წვავლებით, ნათესავეებსა და მეგობრებში შეაგროვეს, სიკვდილისგან მისხნეს.

### — ვიდრე ომი დაიწყებოდა, აფხაზეთთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ჩვენ ერთმანეთთან მტრობა არ გვექონია. ეს

მთავრობის ხალხმა ვერ გაინანილა სკამები, რუსეთი ვერ შეეღია ჩვენს ზღვასა და მზეს, თორემ ჩვენ, უბრალო ხალხს არაფერი გვექონდა გასაყოფი.

### — დაკარგული ტერიტორია რომ დავიბრუნოთ, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთთან ერთად ცხოვრება არ გააგჭირდებათ?

— ჩვენს საქმეში სხვები თუ არ ჩაერევიან, ყველაფერს დავივინყებთ. ქართველებს პატივბაც შეგვიძლია და სიყვარულიც!

### — აფხაზეთში დაბრუნების იმედი გაქვთ?

— იმედი ბოლოს კვდებაო, — ამბობენ. ჩვენი ხალხი იმედით ცოცხლობს, მაგრამ ზოგიერთი პესიმისტი უკვე შეეგუა იმას, რომ აფხაზეთი (როგორც ადრე, სოჭი) რუსეთს აჩუქეს და აწი, ამ ტერიტორიას ველ-არასდროს დავიბრუნებთ...


### — ახლა როგორ ცხოვრობთ?

— მიუხედავად იმისა, რაც გადავიტანე, მაინც ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს ჩემი ბინა, მყავს შვილები, რომლებიც ჩემთან ახლოს ცხოვრობენ, რძლები ცხელ სადილს მიგზავნიან ან თვითონ მოაქვთ, ღამით კი შვილიშვილები რიგ-რიგობით იძინებენ ჩემთან, ძალიან მიფრთხილდებიან. ორი შვილი რუსეთში ცხოვრობს და იმათაც ყოველდღე ველაპარაკები „სკაიპით“. მაინც, რა კარგი გამოგონებაა ეს კომპიუტერი! ამ „ყუთის“ წყალობით ხშირად, ინდურ ფილმებსაც ვუყურებ და სერიალებსაც...

### — ქალბატონო თამარ, რაზე ოცნებობთ?

— ვოცნებობ მშვიდობაზე! ძალიან მინდა, ჩემი ერი ბედნიერი იყოს. არ მინდა ომი და არუფლობა. სხვა საოცნებო არაფერი მაქვს; ზოგიერთი ხანდაზმულივით მარტო არა ვარ — ყველა თავს მევლება, ყველას ვუყვარვარ.





# სამყარო

## სერგო ფარაჯანოვი ჩვენ დავუკარგეთ თბილისს

„ჩემი ცხოვრება თავისი შუქჩრდილებით საოცრად დაემსგავსა სერგოს ცხოვრებას... ჩვენ ვერ დავფასეთ ეს ადამიანი. ქართველებს ხომ ასეთი ზნე გვჭირს: ჩვენი განძი ვერ სხვამ უნდა დაინახოს და აღიაროს, მასზე სხვამ უნდა თქვას, გენოსიაო, სხვამ გამოიყენოს მისი ნიჭი და მერე უნდა დაფუნცოთ დევნა“, — ამბობს პოეტი და მხატვარი-სიმბოლისტი, მანანა ჭყონია, რომელსაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა XX საუკუნის უდიდეს კინორეჟისორთან, სერგო ფარაჯანოვთან.

### ნანა ფიცხელაური

„ეროვნებით თბილისელი“ (როგორც თვითონ უნოდებდა საკუთარ თავს) სერგო ფარაჯანოვი 21 წლის წინ გამოუთხოვა საყვარელ ქალაქს, სადაც მთელი ცხოვრება დაყო. სიცოცხლის უკანასკნელი წელიწადი კი ერევანში გაატარა. მანამდე ბევრჯერ ატკინეს, დაამცირეს, დაატუსაღეს, მაგრამ ადამიანებისა და სიცოცხლის რწმენით აღსავსე რეჟისორის თავისუფალი სამყაროს ხელყოფა ვერაფერმა შეძლო. „ამბავი სურამის ციხისა“, „აშული ქერიბი“, „ბრონეულის ფერი“ (იგივე „საიათნოვა“), „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“, „ყვავილი ქვაზე“, „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ და სხვა შესანიშნავი ფილმებით, კოლაჟებითა და ტილოებით შექმნილი სამყარო ავტორის სრულ პორტრეტს გვიხატავს, გვიამბობს მასზე და მეტი არც არაფერია საჭირო იმის აღსაქმელად, რომ რაღაც გენიალურთან გაქვს საქმე...

„მან ცხოვრება მასწავლა და ჩემი ადგილის პოვნაში დაძეხმარა, ვალში ვარ და ვეცდები, სერგო ფარაჯანოვი თბილისში დავაბრუნო“, — ამბობს ქალბატონი მანანა, ვისაც ერთი ნახვის შემდეგ ეტრფოდა დიდი რეჟისორი. თუმცა, საბოლოოდ, ეს ადამიანები საუკეთესო მეგობრები გახდნენ. 90-იანი წლების ბოლოს მანანა ჭყონიამ ფონდი „თბილისი და ფარაჯანოვი“ დააარსა. ამას მოჰყვა შემოქმედის სახელობის პრიზი — ვერცხლსა და ტიხრულ მინაქარში გამოძერწილი ბრონეული. ერთი დიდი ოცნებაც აქვს ამ ქალბატონს: მთანინდაზე, იმ სახლში, სადაც სერგო ფარაჯანოვმა თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა, მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნას, რისი შანსიც


თავის დროზე დავკარგეთ.

### ყვალაფარი ასა და დანიყო:

— 1978 წელს ბატონი სერგო ციხიდან გამოვიდა და იმ წელს გავიცანი ჩემს სამეგობრო წრეში. მასთან შედარებით, ასაკით ძალზე პატარა ვიყავი, თითქმის მამაჩემის ხნის იყო, მაგრამ გაცნობისთანავე სერგოზე რატომღაც დიდი შთაბეჭდილება მოვახდინე. ვფიქრობდი და მიკვირდა, რით შეიძლებოდა აღფრთოვანებულიყო ჩემით ამხელა პიროვნება?! ისიც მიფიქრია, ალბათ დამცინის-მეთქი. სერგომ კომპლიმენტიც მესროლა, — არ მეგონა, თბილისში კიდევ თუ არსებობდნენ ასეთი ქალებიო. აქცენტი ჩემს სილამაზეზე არ გავკეთებულა, მაგრამ არც ის ვიცი — რაზე... სერგო ბუნებით აშკარა დისიდენტი იყო. პოლიტიკური ნიშნით მას ვერ დაიჭერდნენ და ბოლოს, არატრადიციული ორიენტაცია დასწამეს. სერგოს ჩემი დაცვა და



გამართლება არ სჭირდება, არც ის მიმანია ჩემს ვალად, ვამტკიცო, იყო თუ არა ასეთი... ფაქტია, ის იყო უდიდესი შემოქმედი, რომელიც, საბედნიეროდ, ცხოვრების გზაზე შემხვდა და უამრავ სიკეთეს მაზიარა. მეც შინაგანად, ყოველთვის „პროტესტანტი“ ვიყავი, ჩარჩოებს ვერ ვეგუებოდი, თავისუფლები-სკენ მივილტვოდი. სერგო იმდენად ბრძენი და გამოცდილი ადამიანი იყო, ალბათ ეს დაინახა ჩემში და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შემოქმედად ჩამოვყალიბებულიყავი. ადამიანების ამოჩვენება იცოდა... თუ ვინმე არ მოეწონებოდა, არც ამის გამოხატვას ერიდებოდა. მას მოთხოვნილება ჰქონდა, ადამიანებისთვის ესამოვინებინა. დრო გავიდა და სერგოს ისევ შემთხვევით შევხვდი. გადაჭარბებულად მომეჩვენა მისი ყურადღება მაღალი საზოგადოების წევრების გარემოცვაში და თავი უხერხულად ვიგრძენი... მაშინ გადავწყვიტე, ამ კაცს აღარასოდეს შევხვდები-მეთქი. სერგო ძალიან აქტიურობდა, უძვირფასეს ნივთებს, საჩუქრებსა და მისაწვევებს მიგზავნიდა, მაგრამ არ ვიღებდი, ვერ ვკადრულობდი. ჩემ მიმართ სიმპათიას არც ნაცნობ-მეგობრებთან მალავდა. ჩემი მისამართით იმდენად ხმაშემაღალ გაცხადებებს აკეთებდა, თავს უხერხულად ვგრძნობდი. ერთი წლის შემდეგ, ბელა



მანანა ჭყონიას ამ ნამუშევარს სერგო ფარაჯანოვმა „გამოუვალაობა“ დაარქვა



ახმაღულინას დაბადების დღეზე დამბატიყა. მაშინ მაცხოვრის ხატი მაჩუქა, რაზეც უარის თქმა ვერ შევძელი. დღემდე შენახული მაქვს. ეს ერთადერთი საჩუქარი დამრჩა სერგოსგან...

სერგო ყვალაფარს „სასაჩუქრად“

— სერგო ფარაჯანოვის გაცნობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დრამატული მოვლენები განვითარდა. არასტანდარტული ნაბიჯი გადავდგი და საზოგადოების წინაშე მარტო აღმოჩნდი. ბოლო ერთი წელი სერგო აღარ გამოჩენილა. აღმოჩნდა, რომ ერთ უბანში, მთანმინდაზე ვცხოვრობდი. გოგონა შემიძინა და მალევე, ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში დავინწყე მუშაობა. ერთხელაც, ისევ შევხვდით ერთმანეთს და იმ დღიდან სერგო აღარ მომშორებია. მამა არ მყავდა და ეს კაცი მამასავით დამიგდა გვერდით. ფაქტობრივად, მოშობელი გამიცოცხლა. საუკეთესო მეგობრები გავხდით. ამ ადამიანმა ბევრ რამეს გადამარჩინა. დაბნევა, ჩემი ადგილის დაკარგვა, რამაც ჩემი შვილის მომავალზე იმოქმედა, მომცა ძალა, რომ ფეხზე დავმდგარიყავი. ერთი სიტყვით, ბატონმა სერგომ ცხოვრება მასწავლა. მასთან უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი. მათ შორის, ფოტოხელოვანი, იური მეჩითოვი, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ. ერთ დღეს ხმა გავრცელდა, სერგო საჩუქრებს არიგებსო და მის ეზოში რიგი დადგა. მამამისს თავის დროზე ანტიკვარიატის ბიზნესი ჰქონდა და როგორც ჩანს, რაღაც ნივთები შემორჩა. სერგო ყველაფერს „სასაჩუქრად“: სულს, გულს, ნიჭს, ნივთებს და სულ იმას ცდილობდა, ვიღაცაში დაეტოვებინა თავისი ხსოვნა. ჰქონდა იმის მოთხოვნა, რომ ჰყვარებოდათ და სსომებოდათ... ქალაქში სასეირნოდ რომ გამოდიოდა, მთელი ახალგაზრდობა, მხატვრების ამაღა უკან დაჰყვებოდა. როდესაც სერგომ ჩემზე „ქებნა გამოაცხადა“, ამის მიზეზიც გავიგე, — იმ პერიოდში რეჟისორი ფილმს — „ამბავი სურამის ციხისა“ იღებდა და ჩემი მინვევა განუზრახავს. თვე-ნახევრის პატარა მყავდა და ფიზიკურად ვერ შევძლებდი. ამაზე ახლა მწყდება გული...

„მა თბილისს ვუბოვია ყვალაფარს“

— 9 იანვარი სერგოს დაბადების დღეა. 1989 წელს, ამ დღეს ჩემს შვილთან და მეგობართან ერთად მივედი მის-ალოცად. თავს ცუდად გრძობდა, უკურნებელი სენი, ფილტვის კიბო დაუდგინეს. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. რამდენიმე თვეში სერგომ თბილისი დატოვა და ერევანში წაიყვანეს. ვინმე გონიერი ადამიანი რომ გამოჩენილიყო, თბილისში მისი მუზეუმი შენარჩუნდებოდა. ამის მიზეზი ალბათ ისიც

იყო, რომ საქართველოს იმხანად მძიმე უამი ედგა, ყველანი სიცოცხლისა და სახელმწიფოს გადასარჩენად ვიბრძოდით. სერგო ავად რომ გახდა და ვერ მიხედეს, ამაში მის მეგობრებს არ ვადაწმარებულვ, მაგრამ თბილისში ფარაჯანოვის მუზეუმი რომ არ არის, ამაში მართლა დამნაშავენი ვართ. ეს სხვა არაფერია, თუ არა — გულგრილობა. სერგო უბრალოდ, დაავინწყდათ. ვინაიდან მისი ნივთები და ყველაფერი ერევანში წაიღეს და იქ გაიხსნა მუზეუმი, მიიჩნიეს, რომ აქ რაიმეს გაკეთებას აზრი აღარ ჰქონდა. ჩვენი ვალი იყო, მისი სულის წინაშე პირნათელი ვყოფილიყავით. თავის დროზე, 1988 წელს, საქართველოდან წასვლამდე, სერგოს მუზეუმისთვის ყველაფერი გამზადებული ჰქონდა, მაგრამ არავის გამოუჩენია ინიციატივა. მან თავისი ხელით შექმნა მუზეუმი, რომელიც დაკვარბეთ...

გახსოვთ ალბათ, ქორეოგრაფი, იური ზარეცი. მას პირდაპირი მემკვიდრე არა, მაგრამ რუსეთში ნათესავი ჰყავდა და მთელი ქონების მისთვის დატოვებას აპირებდა. სერგო მუდმივად უჩიჩინებდა, ასე არ მოქცეულიყო. ეუბნებოდა, მე თბილისს ვუტოვებ ყველაფერს და შენც ასე მოიქეციო. ამ საუბარს თვითონ შევესწარი. ზარეცი სერგოზე რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა და ის, რომ დღეს ქარვასლაში იური ზარეცის მუზეუმი გაქვს, სერგოს დამსახურებაა. სამწუხაროდ, სერგოს სურვილი სურვილად დარჩა...


სრამდინანი ჯადრავი და თან გაყოლილი სიყვარული

— არ იყო გამორიცხული, სერგო ფიროსმანივით უპატრონოდ, კიბის ქვეშ მომკვდარიყო. ტოლ-შვილი კიევში ჰყავდა და მეზობლების იმედად იყო დარჩენილი. ისინი უვლიდნენ და ლუკმას უზიარებდნენ. სხვამ ყველამ მიიფიწყა რეჟისორი. მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა მისი სახელი დასჭირდებოდათ, რომ ეამაყათ, ჩვენი მეგობარიაო... სერგომ ერთხელ მისაყვედრა და გულისტკივილით მითხრა: ნივთები, რომელთაც საჩუქრად გიგზავნიდი, გამოგერთმია და შეგენახა; როცა ერთი ფილმის გადაღება დავინწყე და რეკვიზიტები დამჭირდა, ზოგიერთებმა ჩემი საჩუქარი ნივთები

მომაქირავეს და შენ უფასოდ მაინც ხომ მათხოვებდიო... როგორ ვიკადრებდი, მისი ძვირფასი ნამუშევრები ამელო, მე ხომ მაშინ ისიც არ ვიცოდი, რა განზრახვით მჩუქნიდა. ავად რომ გახდა, მოვლა-პატრონობა, მკურნალობა სჭირდებოდა და სერგოს სომხებმა მიხედეს, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით. მათი დამსახურებაა, რეჟისორი უპატრონოდ რომ არ მოკვდა. წაიყვანეს და თან წაიღეს მისი ყველაფერი. ამის სრული უფლებაც ჰქონდათ. რაც ჩვენ ვერ შევძელით, მათ შეძლეს და მადლობის მეტი რა გვეთქმის? სერგო სომხებმა საფრანგეთშიც წაიყვანეს, უმკურნალეს, მაგრამ ვეღარ უშველეს. სერგო თბილისს ჩვენ დავუკარგეთ, იოლად შეველიეთ და ვერ მოვეუარეთ, სამწუხაროდ... როდესაც ფონდი დავაარსე, სომხეთში სერგოს სახელობის მუზეუმი მოვინახულე. მისი დირექტორი, შესანიშნავი პიროვნება, ზავენ სარქისიანი გავიცანი. დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ეს მუზეუმი შეექმნა და სერგოს სახელი დღემდე მოეტანა. მთავარი ის კი არ არის, თუ სად არის ან რატომ არის ერევანში სერგოს მუზეუმი, არამედ ის, რომ ამ ადამიანის სახელი გადარჩენილია. გულით მინდა, ფარაჯანოვის მუზეუმი თბილისშიც იყოს, რადგან მას ამ ქალაქის სიყვარული გაჰყვა თან. როდესაც ერევანში მიჰყავდათ, ზავენ სარქისიანმა გამოსამშვიდობებელი ფილმი გადაიღო. არ მავინწყდება ის კადრები, როგორ უვლიდა აცრემლებული სერგო ფარაჯანოვი მისი სახლის ოთახებს, ხელებით ეფერებოდა კედლებს... დღემდე ვერ მოვიხილე, სერგოს რომ ვერ მოვუარე, ვერ გამოვეთხოვე, დაკრძალვაზეც ვერ წავედი...

„თბილისი და ფარაჯანოვი“ სერგოს ბროწაულით

— ეს ადამიანი ჩემთვის სხვანაირად ცოცხლობს... სწორედ მისი სახელის უკვდავსაყოფად დავაარსე 1996 წელს ფონდი „თბილისი და ფარაჯანოვი“ და მიმანჩია, რომ სერგო თბილისში დაეაბრუნე. ხშირად მეუბნებიან, რას „დაიცვიკლე“ ამ კაცზე, განა ისეთი რა გაუკეთებიაო?! ამ კაცზე კი არა, ვალზე ვარ დაციკლული. ამ ადამიანს ჩემზე დიდი ამაგი აქვს. ბატონი სერგო იმ დროს ჩემთვის რეჟისორი ფარაჯანოვი კი არ იყო, არამედ ადამიანი, რომელმაც ახლობლებზე მეტი გამიკეთა, რათა მე და ჩემი შვილი კარგად ვყოფილიყავით. სერგო ძალზე მძიმე და უცნაური ადამიანი იყო. სასწაული იურიორის გრძობა ჰქონდა. თუ გავჯიუტდებოდი და რამეს ვერ მაგებინებდა, ბრაზდებოდა და მეუბნებოდა, — „კეკელკა ტბილისსკაია!“ ურთიერთობაში ხანდახან შეიძლება გულუბრყვილო ბავშვად



რობერტ სკურუასა და გოგი ალექსი-მესხიშვილთან ერთად, ფონდის პრემის გადაცემისას



მოგჩვენებოდათ. ეს ადამიანი იმით აშინებდა ხალხს, რომ მასში გენიალურობას გრძობდნენ... სერგოს უყვარდა თქმა, მე ეროვნებით თბილისელი ვარო. საკუთარი ეროვნება არასდროს უარუყვია. სიმბოლურად აზროვნებდა და ყველაფერში რალაც აზრს დებდა. თავისი ეროვნება თბილისელობასთან გააიგივა. თბილისელობა სერგოსთვის ამ ქალაქის სიყვარულს, პატივისცემას, მის მსახურებას ნიშნავდა, ამიტომაც დაუტოვა სახსოვრად ამ ქალაქს სახელი. ოცნებობდა, რომ თბილისში დაბადებული, თბილისში მომკვდარიყო. დღეს მისი ფილმები უცხოეთში გადის სარქის ფარაჯანიანის და არა სერგო ფარაჯანიანის სახელით. არადა, მე ხომ ვიცი და მაქვს მისი დაბადების მონუმობის ორიგინალი, სადაც წერია — „სერგო ფარაჯანიანი“. მან იმდენი რამ გააკეთა საქართველოსთვის, მავანი გვარ-სახელს შეუცვლიან თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. დავაარსე მისი სახელობის პრიზიც — ვერცხლსა და ტიხრულ მინაქარში დამზადებული ბრონზული: ბატონ სერგოს ხომ თითქმის ყველა ფილმში ბრონზული აქვს გამოყენებული. ბრონზულს სიმბოლური დატვირთვა აქვს მის შემოქმედებაში. როგორი ორიგინალურიც სერგო იყო, ასეთივე ორიგინალურია ეს პრიზიც. მივიჩნიე, რომ ბატონი სერგოს სახელობის პრიზიც არაორდინარული, ყველასგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ესკიზის ავტორი — ჩემი შვილი, ნუცა ჭყონიაა, პრიზს მხატვრები — გელა გიორგაძე და ინგა გელაშვილი ამზადებენ. ამ პრიზით სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს ვაჯილდოებთ. თავის დროზე დავაჯილდოებთ ელდარ რიზანოვი, სოფიკო ჭიაურელი — სერგოს უსაყვარლესი



პროფესიით კინომცოდნე ვარ. დიდი ხანია, ლექსებს ვწერ; ხატვა გვიან დავიწყე...

მსახიობი. არ მინდოდა პრიზის გაუბრალოება და გადავწყვიტე, დამსახურების მიხედვით შემერჩია ნომინაციები.

**„მინდა, ბატონი სერგოს ოცნება ავასრულო“**  
— მინდა სერგოს ოცნება ავასრულო

და იგი საბოლოოდ დავამკვიდროთ თბილისში. გავიგე, რომ კვლავ იყიდება მისი სახლი მთანმინდაზე და დიდი სურვილი მაქვს, ის სახელმწიფომ შეისყიდოს და მემორიალურ სახლად გადაკეთდეს. მის შვილს მამისგან მემკვიდრეობით, მხოლოდ მთანმინდის ბინა დარჩა. 1993 წელს თბილისის მერიას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ 5.000 დოლარად ეყიდა ფარაჯანიანის ბინა, მაგრამ ეს არ გააკეთა... ფოტოსტუდიანმა იური მეჩითოვმა ახლახან მითხრა, იმ ბინას ისევ ყიდინაო. მერია და კულტურის სამინისტრო თუ მოინდომებენ, რომ თბილისში ფარაჯანიანის სახლ-მუზეუმი არსებობდეს, სასურველია, ის სერგოს სახლში გაკეთდეს. თუ ასე არ გამოვიდა, მათი სურვილის შემთხვევაში, მზად ვარ, სადაც მოინდომებენ, მუზეუმი იქ დავაარსო და იქვე იყოს მისი ფონდიც. ფარაჯანიანის მუზეუმის ერევანელმა დირექტორმა მითხრა, თუ მუზეუმს დააარსებთ, ექსპონატების ნაწილს გადმოგცემთო. სანამ ცოცხალი ვარ, სერგო ფარაჯანიანის სახელიც იცოცხლებს. ფონდი რომც „მოკლან“, ფარაჯანიანის სახელობის პრიზს ვერაფერს მოუხერხებენ, — ეს ჩვენი საავტორო უფლებაა.

**„მე ერთი არ ვარ, რამდენიმე ვარ“...**

— პროფესიით კინომცოდნე ვარ. დიდი ხანია, ლექსებს ვწერ; ხატვა გვიან დავიწყე... ახლაც ჩამესმის სერგოს სიტყვები, — შენ რაღაც შეგიძლია, რაღაც უნდა გააკეთო, რაღაც უნდა დატოვო და ვიცი, ეს ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი იქნებაო. ავთო შარვაძის სიმღერა „თამუნია“ ჩემს ლექსზეა დაწერილი... ლექსი დიდი ხანია, არ დამიწერია, ხატვამ უფრო გამიტაცა. სულ იმას ვამბობ, მე ერთი ადამიანი არ ვარ, „ბევრი ვარ“ და ალბათ ბევრი ტვივილიც და სისარულიც ამან მომიტანა. ვერ გეტყვით, ჩემში შემოქმედი სერგომ ჩადო, მან მაიძულა, მე შევეთბინა-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ სიმბოლიზმით „დავავადდი“. როდესაც სერგომ ჩემი პირველი ნამუშევრები ნახა და შეაფასა, მას მერე გავბედე ჩემი ნახატების გამოჩენა. რამდენიმეს თვითონ დაარქვა სახელი. საოცარი მიგნება ჰქონდა: მითხრა, ეს არის მიმდინარეობა, რომელიც უცხოეთშიც არ არის დამკვიდრებული; შენ არავის ჰგავხარ, ეს სიმბოლიზმიო. გამეცინა, უტყუარებული მეჩვენა მისი შეფასება. შემდეგ მითხრა, — მანანა, მე 100 წლით გავუსწარი აზროვნებით მსოფლიო კულტურას, შენში თუ ეს დარჩება და გააგრძელებ მუშაობას, ჩათვალე, სიმბოლიზმში შენი ადგილი გაქვსო. დამპირდა, 50 სურათი რომ დაგიგროვდება, კინოს სახლში გამოფენას მოგიწყობო. იმ წელს, როდესაც სერგო გარდაიცვალა, დეკემბერ-

ში კინოს სახლში მოვანყვე ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც სერგოს ხსოვნას მიუძღვნე. მეორე გამოფენა თეატრალური ინსტიტუტის ფოიეში გააკეთე და ნატო ვანნაძის ხსოვნას მი-



ვუძღვნე. წლების შემდეგ ჩემი გამოფენა მოეწყო გერმანიაშიც, სადაც მას ასეთი შეფასება მისცეს: ეს ერთი ადამიანის სურათებს არ ჰგავსო. ამიტომაც ვამბობ, მე ერთი არ ვარ, „რამდენიმე ვარ“-მეთქი. ალბათ ბევრი სათქმელი დამიგროვდა და ამ სათქმელს ხან ჩემი ლექსებით გამოვხატავდი, ხან — ტილოებით. ვცდილობ, არავის ვგავდე და ჩემი საკუთარი დავამკვიდრო, სათქმელი ჩემებურად, განსხვავებულად ვთქვა. მედიცინაშიც მაქვს სერიოზული მიღწევა. კერძოდ, ხერხების დაავადებებში, რითაც ბევრი მტერი გავიჩინე. საბედნიეროდ, მორჩენილი პაციენტები მიცავენ, ისინი, ვინც ფეხზე დავაყენე. ამიტომ ვამბობ, ერთი არ ვარ-მეთქი. მინიმუმ სამი ქალის ფუნქცია შევასრულე. ვამაყობ ჩემი ქალიშვილით, — ნუცაც ხელოვანია, თეატრის მხატვარი.

P.S. ამონარიდი სერგო ფარაჯანიანის წიგნიდან — „წერილები ზონიდან“, რომელშიც თავმოყრილია 1974-77 წლებში ციხეებიდან და ბანაკებიდან გამოგზავნილი წერილები: „მე ტყვეობაში ვარ და არა პატიმრობაში. ეს ჩემი საუკეთესო წლებია — ეს მეტია, ვიდრე ოქსფორდი და ასპირანტურა. ეს კონტაქტებია სიკვდილთან და სიცოცხლესთან და რა, თუკი საერთოდ ვეღარ ვიხილავ „თავისუფლებას“? განა ეს მისია არაა? განა თავისუფლება ჩემთვის დღეს უფრო საშინელი არ არის, ვიდრე „იზოლაცია“?.. რა ბედი ელის ჩემს ხელოვნებას? ვიცი, რომ შეუძლებელია ჩემი დაბრუნება ხელოვნებაში, თუ შესაძლებლის საზღვრებს არ გავწევ... რა მოხდება, თუკი საერთოდ აღარ მიკუბრუნდები კინოს?..“

ტრავმული ბედის რეჟისორმა გასნია შესაძლებლის საზღვრები და დაუბრუნდა კინოხელოვნებას. დაუბრუნდა, რათა მისი გულშემატკივრებისთვის ფერადოვნებით აღსავსე ფილმები დაეტოვებინა, სიცოცხლითა და თავისუფლებით გაუღწეოთ ავტოგრაფით.

იმედია, სერგო ფარაჯანიანი თბილისშიც დაბრუნდება! ქალაქში, რომლის სიყვარულიც დარდად გაჰყვა.





# პლასტიკური ოპერაციები

ისეთ ქირურგიულ ოპერაციებს, როგორცაა ტრეპანაცია, ჩვენს ერამდე 10 ათასი წლის წინ აკეთებდნენ. ლონდონის მუზეუმში ინახება ბიჭის მუცია, რომელსაც ცხვირი და ყურები სპეციალურად მომზადებული ფიჭის ფისისგან ჰქონდა გაკეთებული. ძველ ეგვიპტეშივე აკეთებდნენ „კურდღლის ტუჩის“ კორექციას. ძველ ინდოეთში კი ექიმი სუშატა სამგიტა ომში დასახირებულ მეომრებს ცხვირის, ტუჩისა და ყურების ოპერაციებს უკეთებდა. პლასტიკური ქირურგიის „მამად“ იტალიელი გასპარ ტალიაკოცი მიიჩნევა, რომელიც დაზიანებულ ცხვირებს ხელის კანიდან გადაწერდნენ კანიდან აღადგენდა. ოპერაცია 1597 წელს დაწერილ ტრაქტატშიც აღწერა. ტალიაკოცის თანამედროვეებმა მისი ქმედებები არაკანონიერად მიიჩნიეს და პლასტიკური ოპერაციების კეთება აიკრძალა. XX საუკუნიდან, აღდგენით-სარეკონსტრუქციო ოპერაციები კვლავ აქტუალური გახდა. თავად ტერმინი — „პლასტიკური ოპერაცია“ კი პირველად 1798 წელს, მეცნიერმა დეზოლიტმა გამოიყენა. ესთეტიკური ქირურგიის ფუძემდებლად ბერლინელი ქირურგი, ჟაკ იოსები მიიჩნევა, რომელმაც 1900 წელს, გამოშვებული ყურების კორექციის ოპერაცია პირველმა ჩაატარა. მანვე გამოაქვეყნა ესთეტიკურ-პლასტიკური ქირურგიის სახელმძღვანელო. ქირურგ ტასოს მიერაა შემუშავებული სახის დაჭიმვისა და მკერდის კორექციის მეთოდიკა.

მეორე მსოფლიო ომმა პლასტიკური ქირურგიის განვითარება დააჩქარა. ომში დასახირებულების მკურნალობისას ახალ-ახალ მეთოდებს იყენებდნენ და აუმჯობესებდნენ. დღეს XIX საუკუნის 60-80-იანი წლებს პლასტიკური ქირურგიის „ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკაში 907 პლასტიკური ქირურგი იყო. დღეს პლასტიკურ ქირურგთა ასოციაციაში 5 ათასი პროფესიონალია განკურნებული. არსებობს პლასტიკურ ქირურგთა საერთაშორისო ასოციაცია (იგი 1955 წელს შედგა ქირურგმა ტორდ სკოგმა ჩამოაყალიბა), რომელშიც 80 ქვეყნის 11 ათასი ქირურგია განწევრებული.

ახლა კი, ყველაზე საინტერესო და უჩვეულო პლასტიკური ოპერაციების შესახებ:

გულის გადაწერვის პირველი ოპერაცია 1967 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა. ქირურგმა კრისტიან ბარნარდმა ავარი-ში გარდაცვლილი გოგონას გული ლუის ვაშკანსკის გადაუწერა. პაციენტი ოპერაციიდან 18 დღის შემდეგ, პნევმონიით გარდაიცვალა.

23 წლის რიჩარდ გერიკს ტყუპი ძმის თირკმელი 1954 წლის 23 დეკემბერს გადაუწერეს. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. პაციენტმა 8 წელი იცოცხლა.

პირველად რქოვანა 1907 წელს ალუის

გლოდარს გადაუწერეს. პაციენტმა ორივე თვალი მშენებლობაზე მუშაობის დროს დაიზიანა. აღსანიშნავია, რომ ამ ოპერაციის ჩატარების მეთოდიკა დღემდე არ შეცვლილა.

თომას სტარზლმა ორი ღვიძლის გადაწერვა განახორციელა. პირველი ოპერაციის დროს პაციენტმა რამდენიმე დღე იცოცხლა. მეორის შემდეგ — 4 წელი.

1963 წელს ექიმებმა წარმატებით განახორციელეს ფილტვის გადაწერვის ოპერაცია.

1998 წელს, 14-საათიანი ოპერაციის შემდეგ, პაციენტს მთლიანი ხელი გადა-



უწერეს. ავადმყოფი ვერ შეეგუა ახალ ხელს და სამი წლის შემდეგ მისი ამპუტირება მოითხოვა.

სახის გადაწერვის პირველი ოპერაცია 2005 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა. იზაბელ დინორის სახე საკუთარმა ძალღმამ მოაჭაბა.

2007 წელს, 4-საათიანი ოპერაციის შემდეგ, 38 წლის ქალს ტყუპი დის საკვერცხე გადაუწერეს და ერთი წლის შემდეგ ქალმა გოგონა გააჩინა. მანამდე დაფეხმძიმებას საკვერცხის დისფუნქციის გამო ვერ ახერხებდა.

ამერიკელი და ბრიტანელი მანდილოსნები ცდილობენ თოჯინა ბარბის დაემსგავსონ და ამისათვის ფულს არ იშურებენ. ამერიკელმა სინდი ჯექსონმა 29 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რათა საყვარელ თოჯინას დაემსგავსებოდა.

29 წლის ლიზა კონელი უკურნებელი სენით — ტვინის კიბოთია დაავადებული. გოგონამ არ იცის, რამდენ ხანს იცოცხლებს, მაგრამ სურს, დარჩენილი წლები დემი მურს ჰგავდეს. ამისათვის 40 ათასი დოლარი (დედა ფულს გოგონას ქორწილისთვის აგროვებდა) ოპერ-

აციებში დახარჯა.

ტყუპი დები ჯო და კერი ბარტონები ერთმანეთს ოპერაციების გაკეთებაში ეჯიბრებიან. გაიდიდეს მკერდი, გაიკეთეს თვალის კორექცია, „მუდმივი“ მაკიაჟი და ბოტოქსის ინიექცია. ექიმებს რომ არ აერიოთ, დებმა მუცელზე ინიციალური ამოისვირინგეს.

ერთმა ჩინელმა ქალმა პლასტიკური ოპერაციები მხოლოდ იმიტომ გაიკეთა, რომ ქმრის გარდაცვლილ მეუღლეს დაემსგავსებოდა.

ბრიტანელმა მიკი ჯეიმ, სამი შვილის დედა, 16 ათას დოლარი დახარჯა, რათა მომლერალ მაიკლ ჯექსონს დაემსგავსებოდა. „ყველამ იცის, რომ ქალი ვარ, მაგრამ ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მაიკლს კიდევ უფრო დავემსგავსო“. ახლა მიკი 39 წლისაა, განაწვევტილი აქვს, ჯექსონის ორეულების კონკურსში მიიღოს მონაწილეობა, 240 ათასი დოლარი მოიგოს და კიდევ უფრო დაემსგავსოს საყვარელ მომლერალს.

49 წლის ინგლისელი, სამი შვილის დედა და მხატვარი, ნალინ ნამიტა დარწმუნებულია, რომ წინა ცხოვრებაში ნეფერტიტი იყო. ეგვიპტელ დედოფალს რომ დაემსგავსებოდა, ნამიტამ 51 ოპერაცია გაიკეთა (ჯერ 360 ათასი დოლარი დახარჯა), მაგრამ კიდევ აპირებს გარეგნობის შეცვლას.

ჯანეტ კანლიფს 22 წლის გოგონა ჰყავს. სურს ისევე გამოიყურებოდეს, როგორც მისი შვილი. გასაახალგაზრდავებელ ოპერაციებში 13 ათასი დოლარი დახარჯა. ახლა დედისა და შვილის ერთმანეთისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია.

მულტიფილმის „ვინ განირა ბაჭია როჯერი“ გმირს, ჯესიკა რაბიტს რომ დაემსგავსებოდა, 57 წლის ანეტა ედვარდსმა უამრავი ოპერაცია გაიკეთა.

დაბოლოს, სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილია ქირურგი დენიზ ონიდ როგოზოვი, რომელმაც ბრმა ნან-ლავის ოპერაცია საკუთარი ხელით გაიკეთა.

1962 წელს ქირურგი ანტარქტიდაში იმყოფებოდა, როცა თავი შეუძლოდ იგრძნო. ოპერაცია სამი „ასისტენტის“ — მექანიკოსის, მეტეოროლოგისა და სადგურის უფროსის — დახმარებით ჩაიტარა. ქირურგმა შედეგები დღიურში აღბეჭდა (მოგვიანებით ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა) და 40 წელი იცოცხლა.





# ამოავალი მზის ქვეყნის უსნაურობები

▶ მძლოლს, რომელსაც მანქანის მართვის ერთ წლამდე სტაჟი აქვს, „ნედლი ფოთოლი“ ჰქვია. მის მანქანას მოყვითალო-მომწვანო ისარი ამშვენებს. ეს ჩვენებური „სასწავლოს“ მაგვარია. გამოცდილი მძლოლები ცდილობენ, გზა დაუთმონ ახალბედებს. თუმცა, ასეთი ნიშანი შეიძლება გამოცდილმა მძლოლებმაც მიახატონ მანქანებს, რათა თავი უფრო დაცულად იგრძნონ.

▶ იაპონელმა ბანკირებმა გამოთვალეს, რომ ბანკომატების ღამით მუშაობას ზარალი მოჰქონდა (ელექტროენერგია, დაცვა). ამიტომ, ყველა ბანკომატი საღამოს 7 საათზე ითიშება.

▶ იაპონელ მოსწავლეებს ორი ფერის ზურგჩანთა აქვთ: გოგონებს წითელი, ბიჭებს — შავი.

▶ იაპონიაში ლუდის მწარმოებელი სამი კომპანიაა, მაგრამ ყველა სახის ლუდს ერთი ფორმისა და ზომის ბოთლებში ასხამენ.

▶ ამომავალი მზის ქვეყანაში სადილს ჩხირებით — ჰასით მიირთმევენ. სადილობის შემდეგ ჰასის ამტვრევენ, რათა გადამდები დაავადებებისგან თავი დაიცვან. აგრეთვე სწამთ, რომ თუ ბოროტი ადამიანი გამოყენებული ჩხირებით ისარგებლებს, წინა მფლობელის საიდუმლოებებს შეიტყობს.

იაპონიაში ერთჯერადი, ერთმანეთზე მიწებებული ჰასი იყიდება, რაც იმის გარანტიაა, რომ თქვენამდე იგი არავის გამოუყენებია. ოჯახებში კი

ყველას საკუთარი ჩხირები აქვს.

▶ იაპონელებს შუენიშანზე მწვანე ფერის ნაცვლად ცისფერი აქვთ. სხვათა შორის, ამას სხვა დატვირთვაც აქვს. როგორც ცნობილია, მხედველობის პრობლემების დროს ადამიანებს წითლისა და მწვანის გარჩევა უჭირთ. გარდა ამისა, იაპონელი მოსწავლეები წითელ მზეს, ყვითელ მთვარესა და თეთრ ცას ხატავენ.

▶ დიდი მადლიერებისა და განსაკუთრებული მოვლენის დროს იაპონელები ერთმანეთს ღამაზად შეფუთულ ნესვს მიართმევენ, რომელიც 200-300 დოლარი ღირს. სხვათა შორის, ხილი იაპონიაში ძალიან ძვირია. ერთი ვაშლი 2 დოლარი ღირს.

▶ თუ იაპონელი მამაკაცი ვინმეს წინაშე თავს დამნაშავედ მიიჩნევს, თავს იხოტრავს.

▶ მისალმებისას იაპონელი მა-



მაკაცები ერთმანეთს თავს უხრიან. ტოკიოში დაფიქსირებულია 24 შემთხვევა, როცა მისალმებისას მაკაცებმა თავები გაიტყვეს. რამდენიმე სასიკვდილო შემთხვევაც დაფიქსირდა.

▶ 60 წლის იუბილეზე, იაპონელი მამაკაცი საჩუქრად წითელ კიმონოს იღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ყველას წინაშე ვალდებულებები მოიხადა.

▶ იაპონიაში ბრინჯი ძირითად კერძად ითვლება. იგი სუფრაზე ყოველი ჭამის დროს უნდა იდოს. ასევეა ჩიც. სასმელს ყოველი ტრაპეზის შემდეგ მიირთმევენ.

## ამოავალი თაობის VW Passat

ამომავალი თაობის VW Passat-ის დებიუტი მიმდინარე წლის შემოდგომაზე შედგება. სავარაუდოდ, ამ „პასატის“ დიზაინი Volkswagen-



ის ბოლო სიახლეების — VW Touareg და Golf — სტილში იქნება შესრულებული, რაც იმას ნიშნავს, რომ VW Passat-ს რადიატორის ქრომირებული ჰორიზონტალური ცხაური, დიოდური ელემენტების მქონე კუთხური ფარები და ძარას უფრო მკაცრი საზები ექნება. VW Passat-ის აგრეგატების გამაში გერმანული კონცერნის მიერ გამოშვებული თითქმის ყველა მოტორი შევა. საბაზოდ იქცევა 1,2-ლიტრიანი, 106 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ტურბოდრავა, რომელიც ძველ 1,6-ლიტრიან აგრეგატს ჩაენაცვლება, ხოლო 1,4-ლიტრიანი ძრავა სიმძლავრის მიხედვით, სამ ვარიანტად იქნება ხელმისაწვდომი (122-დან 150 ცხ.ძ-მდე). უფრო ძვირად ღირებული ვარიანტები 1,8 და 2,0-ლიტრიანი მოტორებს ითვალისწინებს — შესაბამისად, 160 და 211 ცხ.ძ. სიმძლავრით, ხოლო სამოდულო რიგის სათავეში 300 ცხ.ძ. მქონე V6 მოექცევა. დიზელის მოტორების გამაში საბაზო 1,6-ლიტრიანი და 105 ცხ.ძ. სიმძლავრის 2-ლიტრიანი ძრავა იქნება, რომელსაც მყიდველებს რამდენიმე ვარიანტად შესთავაზებენ — 140-დან 220 ცხ.ძ-მდე. გასათვალისწინებელია, რომ VW Passat-ის მოდიფიკაციათა უმრავლესობა „სტოპ-სტარტისა“ და დამუხრუჭების დროს ენერჯის რეკუპერაციის სისტემებით აღიჭურვება. შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი, რიგით მეექვსე VW Passat 2005 წლიდან გამოდის. სედანისა და უნივერსალის ძარაზე აგებული საბაზო მოდიფიკაციების გარდა, „პასატს“ ოთხკარიანი კუპეს ვერსიაც აქვს — ესაა Passat CC, რომელიც ბაზარზე 2008 წელს გამოჩნდა.





# „ტესლა“ კროსოვერს გამოუშვას

ელექტრონული სპორტული როდსტერის — Tesla — ამერიკული მწარმოებელი 3 წლის შემდეგ სამოდულო რიგის გაფართოებას აპირებს იმ კროსოვერის ხარჯზე, რომელიც მხოლოდ ელექტროამძრავის წყალობით იმოდრავებს. „ტესლას“ სხვა ახალი მოდელი, რომელიც ამ კროსოვერზე 1 წლით ადრე გამოჩნდება, სედანი — Model S — იქნება. ამ ავტომობილის გამოშვება კომპანიის ერთადერთი ამჟამინდელი სერიული მოდელის — Roadster — აწყობის დასრულების შემდეგ დაიწყება. ქარხნის გადახალისების გამო, ამერიკულ მწარმოებელს მანქანის კონვეიერიდან მოხსნა მოუწევს. ორი წლის განმავლობაში Tesla Roadster დაახლოებით, 1000 ეგზემპლარად გაიყიდა.

მოგვიანებით კომპანია „ტესლა“ სამოდულო გამოაქვს სპორტავტოს დამატებასაც აპირებს, რომელიც კონკურენციას გაუწევს Porsche 911 Turbo-სა და კომპაქტურ სედანს, რომელიც გაბარიტებით BMW 3-Series-ის მსგავსია. გარდა ამისა, „ტესლას“ ხელმძღვანელობა სამოდულო რიგში კუპეს ძარაზე აგებული მანქანის გამოჩენასაც არ გამოირიცხავს.



# ახალი Avante

სამხრეთ კორეის მოტორშოუზე კომპანია „ჰიუნდაიმ“ მომავალი თაობის



Avante წარადგინა, რომელიც დანარჩენ ბაზრებზე Elantra-ს სახელით იყიდება. ავტომობილი ბრენდის გამაღან მსოფლიოში ყველაზე სასურველ მანქანად მიიჩნევა. მისი დიზაინი ახალ საფირმო სტილშია წარმოდგენილი — წინ გამოწეული წინა და დიოდური უკანა ფარებით. სალონის სურათები ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ Hyundai-ს წარმომადგენელთა

ტყმით, „ელანტრას“ ინტერიერში თვალში საცემი იქნება მონოკოლორთა, რომელიც სხვა კომპაქტურ ავტომობილებზე არ გვხვდება. ამ სიახლეთა შორის სახელდება ფერადი საინფორმაციო დისპლეი — ხელსაწყოთა პანელზე. Hyundai Elantra 140 ცხ.დ. სიმძლავრის 1,6-ლიტრიანი „ოთხინით“ იმუშავებს. ასევე, მანქანას სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი დაუმონტაჟეს. „ჰიუნდაის“ წარმომადგენელთა ტყმით, აღნიშნული მოდელი კონკურენტებზე 10%-ით ეკონომიურია. სამხრეთკორეულ ბაზარზე მანქანის გაყიდვა მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება, სხვა ქვეყნებში კი ახალი Elantra მოგვიანებით გამოჩნდება.



# Lotus-ის მომავლის მოდელები

Lotus-ის საინჟინრო განყოფილებამ კროსოვერის — Toyota Venza — ორი კონცეპტუალური ვერსია შეიმუშავა. კონსტრუქტორების მიზანი იმის ჩვენებაა, რომ ავტომობილის მასისა და შესაბამისად, საწვავის ხარჯის შემცირება 30%-ითაა შესაძლებელი. Lotus-ის საინჟინრო კომპანიამ 2017 წლის კროსოვერის მასის 21%-ით, ხოლო 2020 წლის ავტომობილის მასის — 38%-ით შემცირება მოახერხა. ამასთან, მისი აწყობისთვის საჭირო ხარჯები ამჟამინდელ Toyota Venza-სთან შედარებით მხოლოდ 3%-ით გაიზარდა. პროტოტიპების შემუშავებისას „შავი“ ძარას (გრუნტირებისა და შეღებვის გარეშე) შექმნაზე გამოყენებული კომპონენტების რაოდენობა 400-დან 211-მდე შემცირდა. ამასთან, თუ ამჟამად კროსოვერის ძარა ფოლადისგან მზადდება, 2020 წლის მანქანისთვის



იგი 37%-ით ალუმინის, 30%-ით მაგნიუმის, 21%-ით კომპოზიტური მასალებითა და 7%-ით მალალი სიმტკიცის ფოლადისაგან დამზადდება. Lotus-ი ბამპერების კონსტრუქციისას ალუმინს, ხოლო სხვადასხვა დეტალის შეერთებისას პლასტიკას, მაგნიუმსა და სხვა მასალებს იყენებდა. ანალოგიური მეთოდით შეიქმნა შასი, რომელიც 43%-ით შემსუბუქდა. სალონში მთელი მექანიკა „ელექტრონიკით“ შეიცვალა (მაგალითად, სიჩქარის გადაცემათა კოლოფის სელექტორი და ხელის მუხრუჭი სენსორულ დისპლეიზე ლილაკებს წარმოადგენენ), ხოლო ლითონის დეტალებზე უარის ტყმის შედეგად, სავარძლების მასა 50%-ით შემცირდა.



# გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკედერელი თქემ ივანიძე

1. აგნეშკა რადვანსკა პოლონელი ჩოგბურთელია.
2. ავაკი წერეთელი რუსებს მოყვარე მტრებს ეძახდა.
3. ადამიანის დნმ-ი სალათის დნმ-ს 30 პროცენტით ემთხვევა.
4. მარლენი რუსეთში მამაკაცის სახელია, ევროპაში — ქალის.
5. ადამიანის მარჯვენა ფილტი მარცხენაზე მეტ ჰაერს იტევს.
6. ალექსანდრე მაკედონელი 30000-მდე საკუთარ ჯარისკაცს სახეზე სცნობდა.
7. ვასილისა კოჟინა ქალბისგან შემდგარ რაზმს მეთაურობდა ნაპოლეონთან ომის დროს.
8. რომის იმპერატორი გალიანი ერთ-სა და იმავე თასიდან ორჯერ არასდროს სვამდა ღვინოს.
9. მოზრდილი ადამიანის გული 220-260 გრამს იწონის და დაახლოებით პატრონის მუშტის სეაა.

10. შეერთებული შტატების საპატენტო ბიუროში ხვრინის საწინააღმდეგო 186 საშუალება არის წარდგენილი.
11. საფეთქელთან თითის დატრიალება არგენტინასა და პერუში ნიშნავს „მე ვფიქრობ“, და არა „გიჟია“ და „აფრენს“ — როგორც სხვა ქვეყნებში.



12. მეცნიერებმა ასტეროიდებს № 4147, 4148, 4149-სა და 4150-ს ჯონ ლენონის, პოლ მაკარტინის, ჯორჯ ჰარისონისა და რინგო სტარის სახელები უწოდეს.
13. საშუალო წონის ზრდასრული ადამიანის სხეული იმდენსავე ქონს შეიცავს, რამდენიც 7 ნაჭერი საპნის დასამზადებლად არის საკმარისი.

14. XIX საუკუნის დასასრულს, როცა პასტერიზებული რძის პაკეტები არ არსებობდა, საკრუიზო გემის ეკიპაჟისა და მგზავრების ახალი რძით მოსამარაგებლად ზომილი ბორტზე ცოცხალი ძროხა აწყვდათ, რომელსაც მგზავრობის დროს წველიდნენ. კრუიზის დასასრულს ძროხას დაკლავდნენ და მგზავრებს ახალი ხორციით უზრუნველყოფდნენ.

15. 2001 წლის დეკემბერში, უელსში სასწავლო დეპარტამენტის ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს დანყებითი კლასების მასწავლებელი, რომელმაც 6 წლის ბავშვებს გამოუცხადა, არავითარი სანტა-კლაუსი არ არსებობს, რითაც ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა პატარებს.

16. 1918 წლის ოთხ ივლისს ოსმალეთის უკანასკნელი სულთნის, მეჰმედ VI-ის

# ქალი და ბიოლოგიური საათი

ცნობილია, რომ სიგარეტის მოწევა, სტრესები და გაუთავებელი დიეტები ნაადრევ სიბერეს იწვევს. სპორტი და სწორი კვება კი — პირიქით, ადამიანს აახალგაზრდავენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს, როლის მიხედვითაც, ადამიანს (მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე) შეუძლია, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოს. რა გვიმატებს და რა გვიკლებს ასაკს?

## თუ ხშირად ნერვიულობთ

სტრესი ნამდვილი „ასაკობრივი ბომბია“. ძლიერმა და ხანგრძლივმა სტრესმა შეიძლება 15 წლით დაგაბეროთ. თუმცა, ადამიანის ორგანიზმს ასეთი შემთხვევის შემდეგაც შეუძლია ძალები აღიდგინოს. ამიტომ თუ ხშირად ხვდებით სანერვიულო სიტუაციაში, თქვენს ყოველდღიურ განრიგში იოგა ან არომათერაპია შეიტანეთ.

## თუ ასაკი არ გავიწყდებათ

გულწრფელად გნამთ, რომ ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება? ესე იგი, ასეც იქნება, რადგან ჩვენი ფიქრები და სიტყვები ჩვენს ორგანიზმში გარკვეულ რეაქციებს „აპროგრამებს“. ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. საკუთარ ასაკთან მიმართებაში ორი სწორი ვარიანტი არსებობს: ან შენი ასაკით უნდა იამაყო, ან ამაზე არც იფიქრო და არც ილაპარაკო.

## თუ მაკასრ ღიბას მიჰართავთ

მაშინაც კი, როცა აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ გჭირდებათ წონაში დაკლება, მკაცრი დიეტისგან თავი შეიკავეთ. ქალები, რომლებიც მკაცრ დიეტას იცავენ, მუდმივად დაძაბულები არიან. მკაცრი დიეტა, დროთა განმავლობაში, წნევასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის კანის მეორე მტერია (პირველი — მზეა).

## თუ სპორტს ატვირთავთ მისდევთ

ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში სამჯერ, მინიმუმ 20 წუთს მიინც უთმობთ სპორტს. იმ შემთხვევაში, თუ ხშირად სეირნობთ ფეხით, ორი წლით მაინც გაახალგაზრდადებით. ხოლო სპორტის ინტენსიური ვარჯიშები (მაგალითად, აერობიკა) მინიმუმ ხუთი წლით გაგახალგაზრდავენ.

## თუ მხვეპლი ხართ

გაითვალისწინეთ, რომ 45 წლის მწველი ქალები თავიანთ თანატოლ არამ-



წველებთან შედარებით, 8 წლით უფროსებად გამოიყურებიან. ჯერ მარტო კანთან დაკავშირებული პრობლემები რად ღირს: ნიკოტინის სიჭარბის გამო ხომ კანი უანგზადით სათანადოდ ვერ იკვებება...

## თუ გზაში საათ-ნახევარზე მეტ დროს ხარჯავთ

თუ მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 3 საათზე მეტი გეხარჯებათ, უმჯობესია, სამსახურის შეცვლაზე იფიქროთ. თუ ეს შეუძლებელია, ეცადეთ, ხშირად იაროთ ფეხით.

## თუ საუზმოზე გავიწყდებათ

საიმისოდ, რომ ზედმეტი ერთი წელი მიინეროთ, კვირაში ორჯერ მაინც გამოტოვეთ საუზმე.

## თუ პოლივიტამინებს არ იღებთ

პოლივიტამინების დახმარების გარეშე, ვიტამინების სრული დოზის მისაღებად, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რადგან მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით კვება მოგიწევთ.

## თუ ხშირად გამოუძინებელი ხართ

ცუდია, თუ დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 7 საათზე ნაკლები გძინავთ. ცნობისთვის, ყველაზე დიდხანს ისინი ცოცხლობენ, ვისაც დღე-ღამეში 9 საათზე მეტხანს სძინავთ. თუმცა, ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმად 8-9-საათიანი ძილი მიიჩნევა.

## თუ ხშირად იხინით

რამდენიმეწუთიანი გულიანი სი-



# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქპლერელი თქუ იყანიძე

კურთხევის დღეს ბოლშევიკებმა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის ოჯახი ამოხოცეს.

17. „დუშა უ სალდატა ჟურავლინიაი — ვ ნეო პროსიტსა“, — ოხრავდენ რუსები სამამულო ომის დროს.

18. „კარგი ქმარი ყოველთვის მხედ გამოიყურება, ჯანმრთელია და სახლში არ იმყოფება“, — ლაღადებს იაპონური ანდაზა.

19. „ლიუბიტელ, ისკუსიტელ ჟენშინი, ზნატოკ გაშია ი ვინა, იგროკ ნა ჩუესტვას (სლოვნო გერშინ). ტაკოვ ონ. ვ ჩომ ევო ვინა?“ — ნიკო გომელაურის ამ ლექსს „ნე ობო მენე“ ჰქვია.

20. გიორგი ლეონიძის მოთხრობის, „ნატერის ხის“ პერსონაჟ, დიაკვან ელეფთერს დღეობაში მისულმა ჭირვეულმა სტუმრებმა წასვლისას კეტებით სცემეს — ელეფთერი რათა გქვიამო?!

21. ადამიანის ტვინში დაბადებისთანავე დაახლოებით 14 მილიარდი უჯრედი და მათი რაოდენობა სიცოცხლის ბოლომდე აღარ იზრდება. 25 წლის ასაკიდან უჯრედების რაოდენობა დღეში 100 ათასით კლებულობს. საშუალო სირთულის ტექსტის კითხვისას ტვინი წუთში 70 უჯრედს კარგავს. 40 წლის შემდეგ მკვეთრად ჩქარდება ტვინის დეგრადაცია, 50 წლის ასაკიდან კი ნეირონების (ნერვული უჯრედების) დაზარება ხდება და ტვინის მოცულობა მცირდება.

22. პრეზერვატივების მწარმოებელმა ერთმა კომპანიამ საკუთარი წარმოების პროდუქტს „რამზესი“ დაარქვა, ეგვიპტელი ფარაონის რამზეს II-ის პატივსაცემად, რომელიც, სხვათა შორის, 160 შვილის მამა გახლდათ.

23. „როგორ შეიძლება ქვეყნის მართვა, რომელშიც 246 სახის ყველი მზადდება?“ — სწუხებდა საფრანგეთის პრეზიდენტად არჩეული შარლ დე გოლი.

24. იტალიელთა მტკიცებით, სალათა ოთხმა მზარეულმა, ძუნწმა, ფილოსოფოსმა, უყიარათომ და მხატვარმა უნდა მოამზადოს. ძუნწმა სალათას ძმარი უნდა მოასხას, ფილოსოფოსმა — მარილი მოაყაროს, უყიარათომ — ზეთი მოასხას, მხატვარმა — უნდა აურიოს.

25. ერთხელ გაზეთის რედაქტორად მომუშავე მარკ ტვენმა ვინმე ბატონი „ენის“ შესახებ კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც წერდა, ეს კაცი სახეში შეფურთხების ღირსიც არ არისო. კრიტიკის ადრესატმა მას სასამართლოში უჩივლა და ბრალდების საჯარო უარყოფა მოითხოვა. მარკ ტვენმა „დააკმაყოფილა“ მისი მოთხოვნა და გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერდა, — ბატონი „ენი“ სახეში შეფურთხების ღირსიაო.



## თუ ძალი გყავთ

შინაური ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლები, დადებითი ემოციებისა და სოციალური ურთიერთობების ნაკლებობის კომპენსაციას ახდენენ. ამასთან, სუფთა ჰაერზე მათთან ერთად სეირნობა ნერვულ სისტემაზე შესანიშნავად მოქმედებს.

## თუ შვებულების გარეშე მუშაობთ

წელიწადში მინიმუმ 2 კვირა (იდეალურია 3-4 კვირა) თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ — ამ პერიოდში, სასურველია, მკვეთრად შეიცვალოთ გარემო.

## ლაბოლოს

თუ რომელიმე პუნქტის შეცვლას ვერ მოახერხებთ, ნუ ინერვიულებთ — ყოველთვის მოიძებნება რაღაც ისეთი, რითიც თქვენი ბიოლოგიური საათის ეკონომიას შეძლებთ. მით უმეტეს, რომ ნებისმიერ მოქმედებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს.

ზემთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან მხოლოდ მონევის კომპენსაციას ვერ შეძლებთ, ამიტომ, სიგარეტს სასწრაფოდ თავი უნდა დაანებოთ.



# რამდენ ხანს გაბრძოლებთ თქვენი ქორწინება?

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა მიაგნეს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ქორწინების ხანგრძლივობის წინასწარმეტყველება შეუძლიათ. მართალია, გამოკვლევების მიხედვით, ეს მეთოდი მხოლოდ 94 პროცენტით მართლდება, მაგრამ მისი შედეგები მაინც საინტერესოა. ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ხშირად ჩხუბობენ მეუღლეები და როგორ „ამკობენ“ ერთმანეთს ამ დროს. მთავარია, ცოლიც და ქმარც დისკუსიის დროს ერთსა და იმავე მეთოდს მიმართავენ.



მკვლევართა აზრით, არსებობს მეუღლეების სამი მთავარი ტიპი, რომელსაც ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრება გარანტირებული აქვთ.

✓ პირველი ტიპი — „მშვიდები“ — ადამიანები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ კონფლიქტის თავიდან აცილებას.

✓ მეორე ტიპი — „მოკამათები“ — მეუღლეები, რომლებიც ყველა წვრილმანის გამო თავშეუვალებლად არკვევენ ურთიერთობას.

✓ მესამე ტიპი — „კონსულტანტები“ — ცოლ-ქმარი, რომელიც ყურადღებით ისმენს ერთმანეთის არგუმენტებს და ორივესთვის მისაღებ გამოსავალს ეძებს.

როდესაც წყვილებიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობის გასარკვევად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ (მაგალითად, „მოკამათე“ და „კონსულტანტი“ ან „მშვიდი“ და „მოკამათე“), მათი ქორწინება ყოველთვის ირღვევა.





# 1864-1867 წლების ჩერქეზთა მუჰაჯირობა

მიხეილ ლაბაქა

1864 წლის 21 მაისს რუსეთის იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა ჩერქეზულ ტომთა კონფედერაციის ადმინისტრაციული ცენტრი — სოფელი გვბაადვი (თანამედროვე კრასნაია პოლიანა) დაიკავეს, რითაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს დაწყებული კავკასიის დიდი ომი დასრულდა. რუსულმა არმიამ გვბაადვში გამარჯვების აღლუმიც გამართა, რომელიც თავად კავკასიის მეფისნაცვალმა, მიხაილ რომანოვმა ჩაიბარა. მან იმავე საღამოს, ადგილობრივ მკვიდრთ იმპერატორის საგანგებო ბრძანება გააცნო, რომლის თანახმადაც, ყოველ ჩერქეზს შეეძლო, ოსმალეთში ან ყუბანის ჩრდილოეთით გადასახლებულიყო. სწორედ ამის შედეგად დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრთა სამშობლოდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების პროცესი, რომელიც ისტორიაში „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი.

იმპერატორის ბრძანებით, ოსმალეთში გადასახლება ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ სინამდვილეში, რუსები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასია ჩერქეზულ ტომთაგან მთლიანად დაცლილიყო: ომის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე, სანქტ-პეტერბურგში ჩერქეზეთის ასათვისებლად საგანგებო გეგმაც შედგა, რომლის თანახმადაც, ამ ტერიტორიებზე კაზაკები უნდა ჩეხახლებინათ. 1860 წლიდან, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტირუსული გამოსვლები ასე თუ ისე, შენეულა, მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა მთელი ძალები ჩერქეზების წინააღმდეგ გადმოსროლა და ხსენებული საგანგებო გეგმის განხორციელებასაც შეუდგა — რუსული არმიის ქვედანაყოფებს, რომლებიც ჩერქეზებს უტევდნენ, უკან კაზაკები მიჰყვებოდნენ და დაპყრობილ მიწებზე სტანიცებს აარსებდნენ. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ მათ შორის ბევრი ზაპოროჟიელი იყო — ისინი თავს რუსებად არ მიიჩნევდნენ და არც ჩერქეზეთში დასახლება სურდათ, თუმცა რეპრესიების შიშით, იძულებულნი იყვნენ, იმპერატორის ბრძანებას დამორჩილებოდნენ.

იმპერიის ამგვარ პოლიტიკას

ჩერქეზები თითქმის ვერაფერს უპირისპირებდნენ — მათ ჯერ კიდევ 1832 წელს, დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით, „ჩერქეზეთის შეერთებული შტატების“ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ ლონდონმა ჩერქეზეთა მფარველობაზე ხელი საერთოდ აიღო. „ჩერქეზეთის შეერთებული შტატებიც“ მალე დაიშალა — მის ნაცვლად, ჩერქეზელმა ტომებმა კონფედერაციული გაერთიანება შექმნეს, რომელსაც საერთო-სახალხო კრება, ე.წ. „ზაუჭა“ მართავდა. აღსანიშნავია, რომ 1859 წლიდან, როცა რუსებმა შამილი დაატყვევეს, ჩერქეზები გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდნენ — მათ სამშობლოში რუსეთის ექსპანსია უფრო და უფრო ძლიერდებოდა, საშველი კი არსაიდან ჩანდა.

მიუხედავად ამისა, ჩერქეზული ტომები წინააღმდეგობას განაგრძობდნენ, რადგანაც რუსთა ტყვეობაში ყოფნას ბრძოლაში სიკვდილი ერჩივნათ. სხვათა შორის, 1864-1866 წლების მოვლენათა გაანალიზებისას, რუსები ყურადღებას სწორედ იმაზე ამახვილებენ, რომ ჩერქეზულ ტომთა წინამძღოლებმა იარაღის დაყრის გადაწყვეტილება „თავის დროზე“ არ მიიღეს; თუმცა, აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩერქეზებს გადაწყვეტილების მიღების საშუალება თავად რუსებმა არ მისცეს — მეფისნაცვლის ბრძანებით, არმია შეტევით ოპერაციებს მაშინაც კი აწარმოებდა, როცა მისი ხელმძღვანელობა ჩერქეზ ტომთა წინამძღოლებთან ზავის პირობებზე თათბირობდა. ფაქტობრივად, 1864 წლამდე რუსული არმია ჩერქეზთა ბრძოლისუნარიან ნაწილს ანადგურებდა; ამ პერიოდში რუსმა ჯარისკაცებმა თითქმის მთელი ჩერქეზეთი გადაწვეს და დაუზუსტებელი მონაცემებით, 200 ათასამდე ჩერქეზი იმსხვერპლეს. 1864 წლის 21 მაისს, როცა გვბაადვში კავკასიის ომის დამთავრება ოფიციალურად გამოცხადდა, ამ სოფლის მცხოვრებთაგან მხოლოდ ასამდე კაციღა იყო ცოცხალი — ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვაგანაც, განსაკუთრებით კი ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში.



ჩერქეზი მოლაშქრეები ბალკანეთში, 1877 წელი

ოსმალეთში ჩერქეზთა გადასახლება სანქტ-პეტერბურგში გაცილებით ადრე დაგეგმეს, ვიდრე ომი დამთავრდებოდა. რასაკვირველია, რუს ჩინოვნიკებს ოსმალეთთანაც ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდათ — სულთანი თანახმა იყო, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული მთიელები მიეღო, თუ ამის სანაცვლოდ რუსეთი ბალკანეთის სლავურ მოსახლეობას ოფიციალური სტამბოლის წინააღმდეგ აღარ წააქეზებდა — ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ ოსმალეთისათვის უპირველეს საზრუნავს ბალკანელ სლავთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა წარმოადგენდა.

„ჩერქეზულ საკითხზე“ რუსეთ-ოსმალეთს შორის უდიდესი შედეგის მიღწევაში უდიდესი როლი 1858 წელს, სულთნის ხაზინის გაკოტრებამაც ითამაშა — ოსმალეთი რუსულ კაპიტალზე დამოკიდებული აღმოჩნდა; ამდენად, როცა 1861 წელს ტახტზე სულთანი აბდულ-აზიზი ავიდა, ქვეყნის რუსეთის ვალი ახრჩობდა. ახალი სულთანი შეთანხმებზე იმ პირობით დათანხმდა, თუ სანქტ-პეტერბურგი ვალის დიდ ნაწილს ჩამოაწერდა. გარდა ამისა, აბდულ-აზიზს სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი ჩანაფიქრიც ჰქონდა — იგი უახლოეს მომავალში რუსეთთან რევანშის აღებას გეგმავდა; ჩერქეზებს რუსულ არმიასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ და თუ ოსმალურ არმიაში სამსახურზე უარს არ იტყოდნენ, სტამბოლს, სანქტ-პეტერბურგთან სამხედრო დაპირისპირებისას, წარმატების მეტი შანსი ექნებოდა.

გადასახლების მსურველთა სიების შედგენა ჩერქეზეთში 1864 წლის 22 მაისიდან დაიწყო — რუსებსა და ოსმალებს თავადაზნაურობისა და სასულიერო პირების დიდი ნაწილი უკვე მოსყიდული



ჰყავდათ და ხალხის აყრას სწორედ მათ ანდობდნენ. უნდა ითქვას, რომ ჩერქეზ დიდგვაროვნებს ოსმალეთში რაც შეიძლება მეტი კაცის წაყვანა სურდათ, რადგან განცხრომით ცხოვრება ახალ საცხოვრებელ მიწაზე გარანტირებული ექნებოდათ. თავის მხრივ, ოსმალთა ემისრები ჩერქეზ თავადებსა და აზნაურებს ალუთქვამდნენ, რომ მამულებს გლეხთა რაოდენობის მიხედვით მისცემდნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დაპირების გამო, უბიხთა ტომის წინამძღოლმა, ბერზეგ ჭარანდუყვამ თანამემამულეთა აბსოლუტური უმრავლესობა — 25 ათასამდე კაცი — ძალდატანებით წაიყვანა, უბიხების ისტორიული მინაწალი (მდინარე შახესა და სოჭს შორის მდებარეობდა) კი სავსებით გაუკაცრიელდა.

ჩერქეზთა ზოგიერთი ტომი, რომელიც ე.წ. „სამხედრო-დემოკრატიული“ წყობით ცხოვრობდა და თავად-აზნაურები არ ჰყავდა, გაცილებით ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა — მათ ოსმალეთში გადასახლებას არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ მეზობელი ტომების დიდგვაროვნებიც აძალბებდნენ: „თავისუფალ“ ტომთა სოფლებს ჩერქეზ თავად-აზნაურთა რაზმებიც „ხალისით“ აწიოკებდნენ და ოსმალეთში წასაყვანად ახალ ყმა-გლეხებს ამ გზითაც შოულობდნენ. სწორედ იმის გამო, რომ თანამემამულე ფეოდალთაგან თავი გადაერჩინათ, 1865 წლის დასაწყისში შაფსუღების ტომის რამდენიმე გვარი ყუბანისპირა ციებთან ველში გადასახლებას დათანხმდა, ეს კი მათ უეჭველ განადგურებას უქადდა. ბევრი ჩერქეზი თავს ტყვეს აფარებდა, მაგრამ რუსი ჯარისკაცები მათ ყველგან პოულობდნენ. აღსანიშნავია, რომ გადასახლებისადმი თავის არიდება ე.წ. „შპიცრუტენით“ ისჯებოდა — „დამნაშავეებს“ ორი გად ჩამწკრივებულ, როზგიან ჯარისკაცთა შორის უნდა ჩაევლოთ; ასეთ რამეს თითქმის ვერავინ უძლებდა — ერთბაშად, ორივე მხრიდან მოქნეული როზგის აცილება საკმაოდ ძნელი იყო.

ამდენად, რუსებისა და რენეგატი თავად-აზნაურების წყალობით, ჩერქეზებისთვის ოსმალეთში გადასახლება ხსნის ერთადერთ

გზად იქცა. სხვათა შორის, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ 1865 წლის მეორე ნახევრიდან ჩერქეზეთში ე.წ. „სამოთხის ბარათები“ გამოჩნდა — „ოსრანკაში“ თურქულ ენაზე საგანგებოდ თხზავდნენ და ჩერქეზთა შორის ავრცელებდნენ წერილებს, რომელთაც ვითომდა, უკვე გადასახლებული ჩერქეზები წერდნენ; ამ წერილებში ხატოვნად იყო აღწერილი ახალი საცხოვრისი, რომელიც მათ სულთანმა უწყალობა. „გადასახლებულები“ სამშობლოში დარჩენილ თანამემამულეებს დაუყოვნებლივ ოსმალეთში ჩასვლისკენ მოუწოდებდნენ: „აქ ნამდვილი სამოთხეა და რაც მთავარია, მშვიდობიანად ცხოვრებას არ გვიშლიან... ნუ დაემოწებით გიაურებს, ენდეთ სულთანს!“ — ნათქვამი იყო „სამოთხის ბარათებში“.

ჩერქეზულ ენას მწერლობის ტრადიცია, ფაქტობრივად, არასდროს ჰქონია — სხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხების მსგავსად, ჩერქეზებიც სამწერლობო ენად არაბულს იყენებდნენ. ამასთან, მასზეც მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდათ ხელი; ჩერქეზების 99% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამდენად, „სამოთხის ბარათებს“ ხალხს სწორედ ისინი უკითხავდნენ, ვინც მათი გავრცელებით იყო დაინტერესებული — „ოსრანკის“ ემისრები და რენეგატები. მათ მართლაც, მიაღწიეს მიზანს და 1865 წლის II ნახევრიდან ოსმალეთში გადასახლებამ ანუ „მუჰაჯირობამ“ („მუჰაჯირ“ არაბულად „ემიგრანტს“ ნიშნავს) მასობრივი ხასიათი მიიღო: განამებული ჩერქეზები თვეობით(!) იდგნენ ნავსადგურებში და ოსმალეთიდან გამოგზავნილ ხომა-

ლდებს ელოდნენ. სხვათა შორის, მათ არც დანიშნულების ადგილას ჩასვლის შემდეგ ეწერათ მოსვენება — მთავრობას მუჰაჯირთა დაბინავება უჭირდა, რის გამოც, ზღვის სანაპირო — ტრაპიზონიდან სტამბოლამდე ჩამოძინდილი, დაუძლურებული ხალხით იყო სავსე.

ოსმალეთში გადასახლებულთა რაოდენობას სანქტ-პეტერბურგი მკაცრად ასაიდუმლოებდა, მაგრამ როცა 1865 წლის ბოლოს, ოსმალეთის ზღვისპირა ქალაქებში ტიფის ეპიდემიამ იფეთქა, იმდროინდელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნით, რუსეთმა აღიარა, რომ ჩერქეზეთი ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა დატოვა. ოსმალთა დიპლომატებმა სანქტ-პეტერბურგში ნოტა აფრინეს: უკვე გადმოსახლებულ მთიელთა დაბინავებამდე და დასაქმებამდე, გთხოვთ, ახალი სიების შედგენა შეაჩეროთო. სანქტ-პეტერბურგი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზენოლით, იძულებული გახდა, რომ სტამბოლის მოთხოვნა შეესრულებინა.

იქიდან გამომდინარე, რომ ოსმალეთი მუჰაჯირების შემდგომ მიღებაზე უარს ამბობდა, რუსებმა „ჩერქეზების პრობლემა“ ახლებურად გადაწყვიტეს — მოსახლეობის ერთი ნაწილი მდინარე ყუბანის ჩრდილოეთით გადაასახლეს და კაზაკთა სტანიცებში, ე.წ. „ინოგოროდცებად“ ჩაწერეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩერქეზები ფაქტობრივად, ყუბანელ კაზაკთა მონებად იქცნენ. ასევე, სანქტ-პეტერბურგში განიხილებოდა გეგმა ჩერქეზთა შუა აზიაში — ავღანეთის საზღვრებთან ჩასახლების შესახებ; გარდა ამისა, რუსებმა ამ საკითხზე საიდუმლო მოლაპარაკება დიდ ბრიტანეთთანაც სცადეს: ინგლისელებს ჩერქეზთა ინდოეთში ჩასახლებას სთავაზობდნენ. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის კავკასიაში მხოლოდ 50 ათასი ჩერქეზი იყო დარჩენილი, მაშინ, როდესაც 1858 წლისათვის მათი რიცხვი, ზოგიერთი მონაცემებით, ორ მილიონ კაცამდე აღწევდა.

სხვათა შორის, კავკასიაში დარჩენილი ჩერქეზების ბედი საერთაშორისო გამოხმაურებამ გადაწყვიტა — 1869 წელს ინგლისურ ყურნალში — „პენი მეგეზ-



**ჩერქეზი მუჰაჯირები სტამბოლში, 1864 წლის სექტემბერი**



ინ“ ამ ხალხის შესახებ რამდენჯერმე დაიბეჭდა სტატია, სადაც მეფის რუსეთის დრაკონული პოლიტიკა იყო მხილებული. სანქტ-პეტერბურგის მესვეურები იძულებულნი გახდნენ, ჩერქეზების შევი-

„ჩერქეზებმა, რომლებმაც რუსების წყალობით, სამშობლო დაკარგეს, ბალკანეთის ქვეყნებში სისასტიკით გაითქვეს სახელი — ისინი ახლა ჩვენ გვიკეთებენ იმავეს, რაც რუსეთმა გაუკეთა მათ... შეიძლება ითქვას, რომ ეს ხალხი რუსების ჯავრს ბალკანელ სლავებზე იყრის“, — წერდა 1876 წელს ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივან ვაზოვი. მართლაც, სამშობლოდაკარგულმა ჩერქეზებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობას თავი ზღვარს გადასული სისასტიკით დაამახსოვრეს. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთი მათ რუსეთის საზღვრებთან ახლოს დასახლებას უკრძალავდა — ასეთი იყო საიდუმლო შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი.

ოსმალეთში გადასახლების შემდეგ, ბევრმა ჩერქეზმა უკან დაბრუნება განიზრახა. თავიდან მათ ამის თაობაზე ოსმალეთის ხელისუფლებას ოფიციალურად მიმართეს, მაგრამ ცხადია, კატეგორიული უარი მიიღეს. მოგვიანებით, სამშობლოში დაბრუნება საიდუმლოდ, თავიანთი ხარჯებით გადანიყრტეს: შეთქმულთა მეთაურმა, უბიხმა ზეჟერია დაგუმოყვამ ლაზი მებღვაურებისაგან მომცრო ხომალდი დაიქირავა და მის კაპიტანს სოჭის სანაპიროზე გადაყვანა სთხოვა.

სამწუხაროდ, გამცემის წყალობით, გეგმა ზღვაში გასვლამდე ორი დღით ადრე ჩაიშალა — ზეჟერია დაგუმოყვა და მისი მომხრეები ოსმალეებმა შეიპყრეს და კატორღაში გაგზავნეს. 1877 წელს, როდესაც რუსეთთან ომი დაიწყო, დაგუმოყვა ციხიდან გაათავისუფლეს და ბალკანეთის ფრონტზე გაამწესეს: უბიხი თავადი მეტად ნიჭიერი სამხედრო იყო და ჩადენილი „დანაშაულიც“ ამიტომ აპატიეს.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში სხვა მუჰაჯირებიც მონაწილეობდნენ — 1877 წელს, ქალაქ პლევნის ცნობილი ალყის დროს რუსებს სწორედ ჩერქეზული ქვედანაყოფი უპირისპირდებოდა; „კავკასიის გენერალ-გუბერნატორად“ კი სულთნის მიერ აფხაზი ქაბლათ-ფაშა მარღანია იყო დანიშნული. უნდა აღინიშნოს, რომ ომის დამთავრების შემდეგ — 1878 წელს ბალკანეთი თითქმის მთელმა ჩერქეზულმა მოსახლეობამ დატოვა, რადგან სან-სტეფანოს ხელშეკრულებაში ამის თაობაზე ცალკე მუხლი იყო შეტანილი: „ჩერქეზებმა, რომ-

ლებიც სულთნის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები არიან, ბალკანეთი უნდა დატოვონ“ — ეწერა იქ. ამ ხალხმა ანატოლიის (თურქეთის აზიური ნაწილი) შიდა რაიონებს მიაშურა, სადაც — კაიხერის, დიარბექირისა თუ ანტიოქიის მიდამოებში — მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ — 1918-1919 წლებში, როდესაც რუსეთში მეფე ჩამოაგდეს და შესაბამისად, კავკასიაში ვითარება შეიცვალა, ოსმალეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებმა წინაპართა სამშობლოში დასაბრუნებლად საყოველთაო მოძრაობა წამოიწიეს. მათ უკან დაბრუნების მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართეს როგორც რუსეთს, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობასაც, მაგრამ — ამაოდ. უფრო მოგვიანებით — XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც თურქეთში მუსტაფა ქემალ-ფაშას მეთაურობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ჩერქეზებმა მხარი სულთნის ხელისუფლებას დაუჭირეს და შესაბამისად, ქემალ-ფაშას გამარჯვების შემდეგ, თურქეთში მათი უფლებები შეიზღუდა. სამაგიეროდ, პალესტინის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ჩერქეზებმა იმარჯვეს — ისინი ჰაშიმიდების არისტოკრატიული გვარის ძირითად დასაყრდენად იქცნენ: 1922 წელს, დიდი ბრიტანეთის მფარველობითა და ჩერქეზული გვარდიის მხარდაჭერით, ჰაშიმიდებმა პალესტინის ერთ ნაწილში — მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ სანაპიროზე — ტრანსიორდანიის (შემდგომში — იორდანიის) სამეფო შექმნეს. სხვათა შორის, ჩერქეზები ამ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დღესაც დიდ როლს თამაშობენ — ისინი მოსახლეთა 20%-ს შეადგენენ.

თურქეთისა და იორდანიის გარდა, მუჰაჯირთა შთამომავლები სირიაში, ერაყში, ლიბანში, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეში, მცირე რაოდენობით კი კოსოვოს მხარეში, ბოსნიასა და საბერძნეთშიც ცხოვრობენ, მაშინ, როცა კავკასიაში — ისტორიულ სამშობლოში — უმცირესობას შეადგენენ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოყოლებული, კავკასიაში ჩერქეზები სამ „ხალხად“ ადილებად, ყაბარდოელებად და ყუბან-ზელენჩუკის ჩერქეზებად (დღეს ამ უკანასკნელებს უბრალოდ, „ჩერქეზებს“ ეძახიან) იყოფიან, საზღვარგარეთ კი ასეთი დაყოფა არ არსებობს.



ჩერქეზი მცველები სულთნის სასახლის ეზოში, XIX ს. 70-იანი წლების ფოტო

წროება შეენწყვიტათ და მათთვის კავკასიაში ცხოვრების ნებაც დაერთოთ. ამ დროისათვის ოფიციალურად გამოცხადდა ისიც, რომ ოსმალეთში წასვლის მსურველებს თხოვნას აღარ დაუკმაყოფილებდნენ. ამავდროულად, სულთანმა აბდულაზიზმა მუჰაჯირების აღწერა ჩაატარა და მათი დიდი ნაწილი არათურქულ მხარეებში, ძირითადად — ბალკანეთსა და პალესტინაში გადაიყვანა. განსაკუთრებით ბევრი ჩერქეზი ბულგარეთის ტერიტორიაზე ჩაასახლეს, რადგანაც იქ ოსმალთა წინააღმდეგ დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა; სულთნის მრჩეველთა აზრით, ჩერქეზებს ბულგარეთში სახელმწიფო პოლიტიკის მხარდამჭერთა და ადგილობრივი პატრიოტების დამსჯელთა როლი უნდა შეესრულებინათ. ამ მიზნით, ოსმალეებმა ჩერქეზებისაგან რუსი კაზაკების მსგავსი ქვედანაყოფები შეადგინეს და მათ სათავეში თავადანაურობის წარმომადგენლები ჩაუყენეს.





# „ჭეშმარიტება არის ერთი და ეს არის მართლმადიდებლობა“

„გზის“ წინა ნომერში მკითხველის ყურადღება შევაჩერეთ ეკუმენიზმზე, და ისიც განვმარტეთ, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი ეკუმენიზმი — „მსოფლიოს“, „საყოველთაოს“. არადა, ენ. ეკუმენისტური მოძრაობა ცრუ საფუძველზე იყო დაფუძნებული — მის მიზანს სხვადასხვა მიმდინარეობის გაერთიანება წარმოადგენდა.

დღეს მსოფლიოში ერთადერთი სარწმუნოება, რომლის წევრთა რიცხვიც განუზრვლად იზრდება, — მართლმადიდებლობაა. ეს ტენდენცია ყველა კონტინენტზე შეინიშნება...


— თუკი მართლმადიდებლობა თავიდანვე ენიშნებოდა ეკუმენისტურ მოძრაობას, სხვადასხვა კონფესიის გაერთიანებას, როგორ აღმოჩნდა და რატომ იყო ზოგიერთი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (ემს), რომელიც ეკუმენისტური მოძრაობის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ — 1948 წელს დაარსდა? ვიცი, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე საქართველოს ეკლესიაც იყო ემს-ს წევრი...

## შორენა მერკვილაძე

### არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— ეს მოხდა ისევე, როგორც უნიის შემთხვევაში. საერთოდ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო სათათბირო ორგანო უფრო იყო, მაგრამ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა შეკრებების დროს ხშირად ტარდებოდა ერთობლივი ლოცვები, რაც მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს. როდესაც ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი ერთობლივ მსახურებებში მონაწილეობს, ეს არის კონკრეტულად პიროვნების დანაშაული და არა იმ ადგილობრივი ეკლესიისა, რომლის წარმომადგენელიცაა. ცხადია, ამგვარი შემთხვევა ადგილობრივმა ეკლესიამ თავად უნდა შეაფასოს. რაც შეეხება იმას, რომ არსებობს მსოფლიო საეკლესიო საბჭო, სადაც დასდნენ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები და სხვადასხვა, თუგინდ საღვთისმეტყველო საკითხზე ისაუბრეს, — ეს აბსოლუტურად არ შეენიშნებოდა ქრისტიანობას. მთავარია, რას აკეთებენ შეკრებების დროს მართლმადიდებლები — ხომ არ ხდება სარწმუნოების დათმობა და შემდეგ, რაღაცა ახალი სარწმუნოების მიღება თუ მართლმადიდებლები თავიანთი სარწმუნოების ჭეშმარიტებას ამტკიცებენ. საერთოდაც, შეკრებებზე მსჯელობა უნდა იყოს მინიერ საკითხებზე — ვთქვათ იმაზე, რამაც ადგილობრივ ეკლესიებსა და სხვადასხვა კონფესიას შეიძლება, არსებული მწვავე საკითხების დარეგულირებაში შეუ-

წყოს ხელი და ამით, ადამიანებს სიკეთე მოუტანოს. სხვადასხვა ქვეყნის წინაშე რელიგიური კონფლიქტები, ეთნიკური თუ გლობალური ხასიათის პრობლემები შეიძლება დადგეს, რაც ნებისმიერი ადამიანის მსჯელობის საგნად იქცევა. შეიძლება ლაპარაკი იყოს აგრეთვე, საღვთისმეტყველო საკითხებზეც. ამგვარად, ზოგიერთი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ მინიერი კუთხით ხდებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი, რათა ნაკლები დაპირისპირება ყოფილიყო სხვადასხვა მიმდინარეობას, აღმსარებლობას შორის და მინიერი საკითხები მოგვარებულიყო. დაუშვებელია, ეკლეს-



სიათა მსოფლიო საბჭოს მიეუდგეთ იმ გაგებით, რომლითაც მართლმადიდებლურ კონფესიათა წარმომადგენლები უდგებიან, — თითქოს ამ ორგანომ უნდა მოახდინოს ქრისტიანულ მიმდინარეობათა გაერთიანება, მათი მხრიდან რაღაცების დათმობის ხარჯზე. მართლმადიდებლური სწავლებით, მაცხოვრებელი მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოებაა და თუ მართლმადიდებლობა რაიმეს დათმობს, უკვე თავად აღარ იქნება მაცხოვრებელი. ახლა იმასაც შევეხოთ, თუ რატომ არის ერთობლივ ლოცვებზე და მსახურებებში მონაწილეობა მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო ქმედება: ლოცვა არის ღმერთთან საუბარი და როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ღმერთთან მისასვლელი გზა არის მხოლოდ ერთი — ჭეშმარიტება არსებობს ერთი. ის ადამიანები, რომლებიც დოგმატებს არღვევენ და სცილდებიან ჭეშმარიტ, მართლმადიდებელ ეკლესიას, კარგავენ უფალს და უფალთან მისასვლელ გზას, მათთვის ღმერთი აღარ არის ყოვლადწმინდა სამება. ისინი ლოცულობენ არა ჭეშმარიტ, არამედ თავიანთ წარმოდგენაში მყოფი ღმერთის — ცრულღმერთის წინაშე. სიცრუის მამაკი ეშმაკია. ერთობა ლოცვაში ნიშნავს სარწმუნოების ერთობას, რაც ხდება ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიაღში. საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში კომუნისტების პერიოდში იყო შესული. იმ პერიოდისთვის ეს მართებულნი ნაბიჯი გახლდათ, რადგან სწორედ ამ დროს აღიარეს ოფიციალურად ემს-ს წევრმა ადგილობრივმა ეკლესიებმა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა, რომელიც 1943 წელს მხოლოდ რუსეთის ეკლესიას ჰქონდა აღიარებული, დანარჩენმა ადგილობრივმა ეკლესიებმა კი 1989 წელს ცნეს იგი... XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ეკუმენისტური შეკრებები ყველა ქვეყანაში შესუსტდა. ერთობლივი მსახურებები ფაქტობრივად, აღარ აღესრულება. შესაძლოა, ამის ერთეული შემთხვევები მოხდეს, მაგრამ ისეთი მასობრივი ხასიათი, როგორც 70-იან 80-იან წლებამდე ჰქონდა, აღარ აქვს.



ერთიანი მსახურების აღსრულებისა და ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბების იდეები XX საუკუნის დასასრულიდან, ფაქტობრივად მოძველებულია.

— XVII-XX საუკუნეებში გაიზარდა ადგილობრივ ავტოკეფალიურ ეკლესიათა რიცხვი...

— ბოლო ავტოკეფალიური ეკლესია იყო ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ დრომდე მოხდა კონსტანტინოპოლის საპატრი-

ათეისტების მიერ, რაც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხდებოდა, და, ამასთანავე, — ეროვნულ ნიადაგზეც, რადგან ჩვენი ეკლესია მტკიცედ იცავდა ქართველი ერის ინტერესებს. დევნა-შევიწროება განსაკუთრებით, XX საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში ხორციელდებოდა, შემდგომ, ნელ-ნელა შესუსტდა. 80-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა სისტემა შეირყა და დაშლა დაიწყო, საქართველოში ქრისტიანობის აღორძინების მომსწრენი გავხდით. საქართველოს ეკლესიის

### მატება მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაშია დაფიქსირებული

არქოს შემადგენლობაში მყოფი ეკლესიების, დამოუკიდებელი, ავტოკეფალიური ეკლესიების სახით ჩამოყალიბება. როდესაც თურქეთის ბატონობის სფეროში მოქცეულმა ქვეყნებმა განმათავისუფლებელი ეროვნული მოძრაობები დაიწყეს — XIX საუკუნიდან, — ამ დროს ჩამოყალიბდა ელადის, საბერძნეთის ავტოკეფალიური ეკლესია, რადგან კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თურქეთის ხელისუფლების მიერ მართვად ტერიტორიაზე დარჩა და მას ხელისუფლებამ თურქეთის ტერიტორიის მიღმა არსებული ეპარქიების მართვა აუკრძალა.

— რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ?

— როგორც ვთქვით, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ოფიციალურად — სიგელით 1989 წელს მოხდა. ავტოკეფალიის აღდგენისთანავე საქართველოს ეკლესიას ეს ფაქტი მიუღოცა ალექსანდრიის პატრიარქმა. მანამდე ჩვენს ეკლესიას ურთიერთობა ჰქონდა ყველა ადგილობრივ ეკლესიასთან, მაგრამ ოფიციალურად ავტოკეფალიის აღდგენის ცნობა არც ერთი ეკლესიის მიერ არ მომხდარა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ, საქართველოს ეკლესია შევიწროებას რომ განიცდიდა, ეს იმდროინდელი პატრიარქების ცხოვრებიდანაც ნათლად ჩანს, ასეთივე შევიწროებული იყო და დევნას განიცდიდა მართლმადიდებლობა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მაგრამ საქართველოს ეკლესია ორმაგად იდევნებოდა — რელიგიური თვალსაზრისით —

მსგავსად, ამგვარი სწრაფი ტემპით სულიერი განვითარება არც ერთ ადგილობრივ ეკლესიაში არ მომხდარა. საერთოდ, დღესდღეობით მსოფლიოში ერთადერთი რელიგია არის მართლმადიდებლობა, რომლის წევრთა რიცხვიც იზრდება. ეს ხდება სხვა სარწმუნოების მიმდევართა მოქცევით. ეს პროცესი ყველა კონტინენტზე შეინიშნება, მაგალითად, თუკი აფრიკის კონტინენტზე 15 წლის წინ ვთქვით, 2 მილიონი მართლმადიდებელი იყო, დღეისათვის მათი რიცხვი 5 მილიონს აჭარბებს. ალექსანდრიის საპატრიარქოს აფრიკის ტერიტორიაზე ამჟამად 75 ეპარქია აქვს. იგივე შეიძლება ვთქვათ ამერიკის კონტინენტზეც — კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შესამჩნევია მართლმადიდებელთა რიცხვის ზრდა სხვა რელიგიებიდან მოქცეულ ადამიანთა ხარჯზე. არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე პასტორი მართლმადიდებლობაზე მოექცევა და მთელი თავისი მრევლით უერთდება მართლმადიდებლობის წიაღს... შესაძლოა, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი არ ხდებოდეს მართლმადიდებელი, მაგრამ მატება მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაშია დაფიქსირებული. დღეს უკვე ბევრი ქრისტიანული მიმდინარეობის წარმომადგენელი აღიარებს, რომ მართლმადიდებლობა არის ჭეშმარიტება. მართალია, ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ თვითონაც ჭეშმარიტების მიმდევარია, მაგრამ არ შეიძლება, არსებობდეს რამდენიმე ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება არის ერთი და ეს არის მართლმადიდებლობა.

სარძვევი ჯირკვლის კიბოსთან ბრძოლის სამი ძირითადი მიმართულებიდან, როგორცაა პროფილაქტიკა, ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ყველაზე პერსპექტიულად პირველი ორია მიჩნეული, რადგან მასთან ბრძოლის თანამედროვე, კომბინირებული მეთოდები იმედისმომცემ შედეგებს იძლევა. თუმცა, მკურნალობის წარმატება უმთავრესად დაავადების სტადიაზე ანუ დროულ დიაგნოსტიკაზე დამოკიდებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფილაქტიკისა და ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების შესაძლებლობები სულ უფრო და უფრო იმატებს.

ახლა, რაც შეეხება სარძვევი ჯირკვლების კიბოს პროფილაქტიკას: დღეს კიბო „ამოუცნობ საიდუმლოს“ აღარ წარმოადგენს. მრავალწლიანი ექსპერიმენტების, ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევების დახმარებით, მეცნიერებმა ბევრი რამ გაიგეს კიბოს წარმოქმნის მიზეზებსა და განვითარების მექანიზმზე. დადგინდა, რომ ძუძუს კიბოს განვითარება შეიძლება უკავშირდებოდეს ორგანიზმში ცალკეული ჰორმონების გამომუშავებისა და მათი ბალანსის დაზღვევას; ასევე, სარძვევი ჯირკვლების უჯრედებსა და ქსოვილებში მიმდინარე, ბიოქიმიურ პროცესებში მონაწილე ჰორმონული რეგულაციის ცვლილებას. ამ ჰორმონულ დარღვევებს, რომელთაც მრავალი ფაქტორი იწვევს, როგორც წესი, არ აქვს მკვეთრად გამოხატული ხასიათი და ჩვეულებრივ, სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს.

რა შეიძლება ჩაითვალოს სარძვევი ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორებად?

**ასაკი.** ძუძუს კიბო უფრო ხშირად 40-60 წლის ქალებში ვითარდება. ამ ასაკში ხდება ჰორმონული სტატუსის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც განაპირობებს კლიმაქსის განვითარება და დადგომა. კლიმაქსი ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესია, მაგრამ ორგანიზმში ჰორმონული ბალანსის დარღვევა ენდოკრინული სისტემის განსაზღვრული, ადაპტაციური შესაძლებლობების დაქვეითებას იწვევს.

**რეპროდუქციული ანაწილი** დადგენილია სარძვევი ჯირკვლის კიბოს განვითარებასა და მენსტრუალური ციკლის, ქალის ორგანიზმის შეილონსობისა და ლაქტაციის ფუნქციის თავისებურებებს შორის კავშირი. დაავადების განვითარების რისკის მატებას გარკვეულწილად შეიძლება შეუწყოს ხელი მენსტრუაციის ადრეულ ასაკში დაწყებამ, მენუპაუზის გვიან ასაკში დადგომამ, მენსტრუალური ციკლის ქრონიკულმა დარღვევებმა და გვიან ასაკში პირველმა მშობიარობამ. ასევე სარისკოა დაავადების განვითარება არანამშობიარე ქალებში და ლაქტაციის ხელოვნურად შეწყვეტის (რძის გამრობა) შემთხვევაში.

**კვება.** ძუძუს კიბოს განვითარების რისკი შეიძლება გაიზარდოს საკვების საერთო კალორიულობის სიჭარბის, პირველ რიგში კი ცხოველური ცხიმების ქრონიკულად



# რა უნდა ვისოდეთ სარკივე ჯირკვლების კიბოს პროფილაქტიკის შესახებ

**მსოფლიოში ყოველდღიურად ნახევარ მილიონზე მეტ ქალს უსვამენ სარკივე ჯირკვლების კიბოს დიაგნოზს. ეს დაავადება განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშია (ევროპა და აშშ) გაავრცელებული.**

ჭარბი რაოდენობით მოხმარების შემთხვევაში. სარკივე ჯირკვლების კიბო უფრო ხშირად გვხვდება მენოპაუზის ასაკის ქალებში, რომელთაც სიმსუქნე აწუხებთ.

**ვიტამინები.** დადგენილია გარკვეული კავშირის არსებობა კიბოს განვითარებასა და ვიტამინების არასაკმარისი მოხმარებას შორის. როგორც ჩანს, ძუძუს კიბოს განვითარება გარკვეულწილად დაკავშირებულია A და E ვიტამინების ქრონიკულ უკმარისობასთან. აღნიშნულ ვიტამინებს დიდი როლი ავსრიათ ნივთიერებათა ცვლის პროცესში და აქვთ კიბოს სანინალმდეგო მოქმედება.

**ფონური დაავადებები.** ძუძუს კიბოს განვითარების რისკმა შეიძლება მოიმატოს ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს, რომელიც მიმდინარეობს გარკვეული ჰორმონების სეკრეციისა და ორგანიზმში მათი ცვლის დარღვევებით. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია საკვერცხეების დანაშაულების ანთება, ფარისებრი ჯირკვლისა და ღვიძლის დაავადებები. აღსანიშნავია, რომ თუ ქალს აქვს კიბოსწინარე დაავადება ან სარკივე ჯირკვლებში სიმსივნური ცვლილები აღენიშნება, მაშინ კიბოს განვითარების პროვოცირება შეიძლება მოახდინოს ფსიქოლოგიურმა დარღვევებმა (ნევროზები, ნევრასთენია) ან სარკივე ჯირკვლების მექანიკურმა ტრავმამ.

**ვიზუალიზაცია.** სარკივე ჯირკვლების კიბოს განვითარებაში მემკვიდრეობამ შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში იქონიოს მნიშვნელობა. მემკვიდრულად გადაეცემა არა დაავადება, არამედ მისადმი წინასწარგანწყობა ანუ ორგანოსა და ქსოვილის თავისებურება, რომელიც გარე კანცეროგენური ფაქტორებისადმი სარკივე ჯირკვლებს უფრო მგრძობიარეს ხდის. აღსანიშნავია, რომ თუ ქალს წინაპარი სისხლით ნათესავი სარკივე ჯირკვლის კიბოთი ჰყავდა დაავადებული, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისიც აუცილებლად დაავადდება. წინასწარგანწყობამ შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ ხარისხში ამაღლოს დაავადების განვითარების ალბათობა, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს კიბოთი დაავადების გარდაუვალობას.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ძუძუს კიბოს განვითარებაში შეიძლება სხვა, ჯერ

კიდევ კარგად შეუსწავლელმა და ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც ითამაშოს როლი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებულს, არც ერთ მათგანს არა აქვს გადაამწყვეტი მნიშვნელობა კიბოს განვითარებაში. დაა-



ვადების განვითარებისათვის აუცილებელია არა მარტო რამდენიმე რისკ-ფაქტორის არსებობა, არამედ მათი რთული კომბინაცია, თანაც, განსაზღვრულ დროში. ეს თავის მხრივ ძუძუს კიბოს პროფილაქტიკის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს, რადგან ამ რთული კომბინაციიდან თუნდაც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორის მოშორება საკმარისი იქნება კიბოს შეფერხებისთვის.

ასე რომ, ძუძუს კიბოს პროფილაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ არ დაუშვათ ან თავის დროზე აღკვეთოთ ქალის ორგანიზმში მიმდინარე ისეთი ფუნქციური ცვლილებები, ცხოვრების რეჟიმი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც კიბოთი დაავადების რისკს ზრდის.

ბევრ შემთხვევაში ძუძუს კიბო ვითარდება სარკივე ჯირკვლების კეთილთვისებიანი დაავადების ფონზე. მაგალ-

თიად, ქალებში ძუძუს კიბოს განვითარების რისკი მატულობს ზოგიერთი ფორმის მასტოპათიის, სარკივე ჯირკვლების კისტის, პაპილომის და ფიბროადენომის შემთხვევაში. ეს დაავადებები მიმდინარეობს სარკივე ჯირკვლების მეტ-ნაკლები ტკივილით, შესივებით და დვრილებიდან გამონადენით. ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. კიბოსწინარე დაავადებების მკურნალობის საკმაოდ ეფექტური მეთოდები (ქირურგიული თუ კონსერვატიული) არსებობს. ამიტომ მათი დროული და ადეკვატური მკურნალობა წარმოადგენს მათ ფონზე კიბოს განვითარების პროფილაქტიკას.

## ალკიული დიაგნოსტიკა

კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის მეტად ეფექტური საშუალებაა ადრეული დიაგნოსტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება. ამ დაავადების ეფექტური მკურნალობა უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სტადიაში დაინიშნება მკურნალობა. ძუძუს კიბოს პირველი სტადიის დროს სრული განკურნება მიიღწევა შემთხვევათა 80 %-ზე მეტში, მეორე სტადიის დროს — 60 %-ში, მესამე სტადიისას, მხოლოდ 40 %-ში, ხოლო მეოთხე სტადიის დროს, კიდევ უფრო იშვიათად. ასე რომ, აუცილებელია სარკივე ჯირკვლების კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არსებობს ადრეული დიაგნოსტიკის რამდენიმე მეთოდი. მათგან ყველაზე ძველი და დღემდე შემორჩენილი მეთოდია ძუძუს გასინჯვა ექიმის მიერ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სარკივე ჯირკვლების თვითგასინჯვას. ყველა ქალს შეუძლია ამ მეთოდის დაუფლება და დამოუკიდებლად ჩატარება. ძუძუს თვითგასინჯვის მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია 30-35 წლის ზემოთ.

**თემის გაგრძელება იხ. „გზის“ მომდევნო ნომერში**

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გასურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

# ვის მივმართოთ ჭარბთმიანობის დროს — ექიმს თუ კოსმეტიკოსს? — აქიშ თუ კოსმეტიკოსს?!

ვის მივმართოთ ჭარბთმიანობის დროს — ექიმს თუ კოსმეტიკოსს?! ეს შეკითხვა ხშირად უჩნდებათ სხვადასხვა ასაკის ქალებს, მობარდ გოგონებსა და მათ მშობლებს.

ჭარბთმიანობა და გამონაყარი სახესა და სხეულზე (აკნე) მხოლოდ გარეგნული ნაკლი როდია — ხშირად იგი შეილოსნობის უნარის სერიოზული დარღვევის სიმპტომია და საკვერცხეების ფუნქციის მოშლაზე მეტყველებს.



## მოკლედ საკვირსხეების შესახებ

ქალის ორგანიზმში ორი საკვერცხე-ვა. თითოეულის სიგრძე დაახლოებით 2,5 სმ-ია, სიგანე 1,5 სმ, წონა 5-8 გრამია. მცირე ზომების მიუხედავად, საკვერცხეები მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. სწორედ საკვერცხეში წარმოიქმნება ის სასქესო ჰორმონი (ესტროგენი), რომელიც ქალურ გარეგნობას განსაზღვრავს და ქალის ორგანიზმის სრულფასოვან ფუნქციონირებას განაპირობებს. ესტროგენის გავლენით საკვერცხეში მნიშვნელოვან კვერცხუჯრედები, რომელთა განაყოფიერება ახალ სიცოცხლეს აძლევს დასაბამს.

ესტროგენთან ერთად საკვერცხე მცირე რაოდენობით მამაკაცის ჰორმონებს — ანდროგენებსაც გამოიმუშავებს.

## მრავალი პრობლემის ერთი მიზეზი

ანდროგენების სიჭარბე (ჰიპერანდროგენია) ან მათი აქტივობის მომატება ქალის გარეგნობაზე არასახარბიელოდ აისახება. ჭარბთმიანობა, გამონაყარი სახესა და ტანზე (აკნე), კანის ცხიმოვანობისა და ფორიანობის მომატება (სებორეა), თავზე თმის ცვენა ქალების და განსაკუთრებით მობარდი გოგონების განცდის, მათში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალი-

ბების ხშირი მიზეზია. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველ მეორე ქალს ჰიპერანდროგენია აღინიშნება.

მამაკაცის ჰორმონების სიჭარბე კანისმიერ გამოვლინებებთან ერთად მენსტრუალური ციკლის დარღვევით, უშვილობითა და თვისებური აბორტებითაც გამოიხატება. ამიტომ, ჰიპერანდროგენია არა მარტო კოსმეტიკური, არამედ მნიშვნელოვანი სამედიცინო-სოციალური პრობლემაც არის.

## თხალი თმა და ხშირი უჯაჟი

ხშირად იბადება შეკითხვა, — რატომ სცვივით თმა თავზე, თუკი სახესა და სხეულზე ამოსული თმის ღერები უფრო ხშირი, გრძელი, უხეში და მუქი ხდება? ამის მიზეზად თავსა და სახეზე თმის ძირების განსხვავებული აგებულება და შესაბამისად თმის ამოსვლის რეგულირების სხვადასხვა მექანიზმი უნდა ჩაითვალოს.

თავზე თმა თხელდება, კარგავს ფერს, ბზინვარებას და საბოლოოდ ცვივა.

## ბინეკოლოზს + კოსმეტიკოსს = ლაგაზ და ჯანმრთელ ქალს

საკვერცხეების პათოლოგიის მრავალი სხვადასხვა ფორმა არსებობს, მრავალფეროვანია მათი გამომწვევი მიზეზიც. ამიტომ, დაავადების ზუსტი დიაგნოზის დასმა საკმაოდ რთულია და მხოლოდ კოსმეტიკოლოგთან ვიზიტი შესაძლოა არასწორი მკურნალობის საფუძველი გახდეს.

სუსტი სქესის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეპილატორ ნემსით ან ლაზერით, სადეპილაციო კრემების გამოყენება და სხვა კოსმეტიკური პროცედურები ამაოა. ჭარბთმიანობა და გამონაყარი მხოლოდ შედეგია, მიზეზის დადგენა კი გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის კომპეტენციას წარმოადგენს.

ზუსტად დასმული დიაგნოზი სწორი მკურნალობის აუცილებელი ნიშნა პირობაა. ჰორმონული მაჩვენებლები მონესრიგდება, მიზეზი აღმოიფხვრება და მასთან ერთად ჭარბთმიანობაც ალაგდება. კოსმეტიკოლოგიურ კაბინეტში პარალელური ვიზიტები კი სასურველი შედეგის მიღწევას დააჩქარებს.

## SOS!

საყურადღებოა, რომ ჭარბთმიანობის, აკნესა და კანის მომატებული ცხიმოვანობის

მქონე პაციენტების გამოკითხვისას ხშირად მენსტრუალური ციკლის დარღვევებიც ვლინდება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ არარეგულარული მენსტრუალური ციკლი (გადაცდენები, გახანგრძლივებული თვიური და სხვ.) თავისთავად მონესრიგდება. ეს შეხედულება მცდარია. თავისთავად არაფერი მოგვარდება, დაგვიანებული მკურნალობა კი დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის გართულების მიზეზი შეიძლება გახდეს.

## სამყარო აზარი სილაგაზისათვის

ჰიპერანდროგენული მდგომარეობების სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება ანტიანდროგენული თვისებების მქონე ფარმაცოლოგიური პრეპარატები. მათ შემადგენლობაში შემავალი კომპონენტები სისხლში მამაკაცური ჰორმონების მომატებულ დონეს აქვეითებს და პარალელურად თრგუნავს კანის მგრძობიარე უჯრედების (რეცეპტორების) მიერ ამ ჰორმონების აღქმას. ანტიანდროგენებით მკურნალობის ფონზე მცირდება ან ქრება პათოლოგიური თმისა და სახესა და ტანზე, ალაგდება გამონაყარი, ალდგება კანის ბუნებრივი სტრუქტურა და სილამაზე.

ანტიანდროგენული თვისებების მქონე პრეპარატებით მკურნალობის საჭიროება ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. მანვე უნდა შეარჩიოს პრეპარატის დანიშნვის სქემა და განსაზღვროს მკურნალობის ხანგრძლივობა სათანადო გამოკვლევების საფუძველზე.

## მოჩაქარს მოვზიანდოსო

კანისა და თმის პათოლოგიური ცვლილებები თანდათანობით ყალიბდება და ასევე ნელა განიცდის უუგანგითარებას. ყველაზე სწრაფად (2-4 თვე) მკურნალობას აკნე და სებორეა ემორჩილება. რაც შეეხება სახეზე ამოსულ თმას, ის რბილდება და უფერულდება, მაგრამ სახიდან თმის ცვენა მოგვიანებით იწყება. თმის ძირებზე პრეპარატების სრულყოფილი ზემოქმედებისათვის სულ მცირე 6 თვეა საჭირო.

პერანდროგენიის მკურნალობის პროცესი პაციენტისაგან მონდომებას, მოთმინებასა და სწორ ფსიქოლოგიურ განწყობას მოითხოვს. მკურნალობის ნაადრევი შეწყვეტა არადაამაკაყოფილებელი შედეგის და პაციენტის უსაფუძვლო იმედგაცრუების მიზეზი შეიძლება გახდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმისადმი ნდობის ფაქტორი. ქალი თავს უფრო მშვიდად გრძნობს, როცა დარწმუნებულია, რომ მის ჯანმრთელობაზე გამოცდილი სპეციალისტი ზრუნავს.

მეან-გინეკოლოგი

აკა ლათუნაშვილი

შპს „ჯანმრთელი ცხოვრება“

მისამართი: გუდამაყრის ქ. №4, სართ. 9. საკონტაქტო ტელეფონი: 893 13-83-18



ახალი წიგნები  
თქვენს  
მეურნატი



სწავლეთ და მოახლოდით თქვენს...



# ადამიანი

## ბევრი ფული რომ მქონდეს...

ალბათ, ყველა ჩვენგანს უოცნებია ბევრ ფულზე და გეგმაც კი დაუნწყვია, თუ რაში დახარჯავდა ვთქვათ, მილიონ ლარს. ჩვენ საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ რამდენიმე ადამიანს დაფუკავ- შირდით და დავუსვით კითხვა: რა თანხაზე ოცნებობთ? ზოგმა თანხა პირდაპირ დაგვისახელა, სხვებმა კი თავიანთი სურვილები გაგვანდვეს და ყველაფრის დაანგარიშება ჩვენ მოგვანდვეს.

### თათა დადუშაი

**გიგი წართელი,** ვიცე-სპიკერი:

— არასდროს მიფიქრია იმაზე, თუ რა თანხა ეყოფა ჩემი ოცნებების ასრულებას. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, ბევრი ფული რომ მქონდეს, უამრავ კარგ საქმეს გავაკეთებ. რა თქმა უნდა, ჩემს შვილებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებსაც გავახარებდი. ასევე, გავხსნიდი მოსუცებულთა ისეთ თავშესაფრებს, სადაც ადამიანები თავს

სჭირდება, ნამდვილად არ ვიცი. პირველ რიგში, კვლევით ინსტიტუტს გავაკეთებდი და სხვა ინსტიტუტებში სიარულს მოვუკლებდი (იციანის). აგარაკს, ბინას და მანქანას არ ვიყიდდი — რაც მაქვს, იმას შევავლებდი ხელს (რა თქმა უნდა, თუ დასჭირდებოდა). გარშემო მყოფებს დიდი სიამოვნებით დავხმარებოდი, თანაც — რეგულარულად. კიდევ, დიდ ბიბლიოთეკას გავხსნიდი, სადაც ყველა ტიპის საინტერესო ნიგნი შექნებოდა — ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, რელიგიური, კულტურ-ოლოგიის, სოციალური კვლევების, ბუნებისმეტყველებისა და სხვა სახის ლიტერატურა. თანამშრომლებს დავსვამდი, თითოეულს რალაცის წაკითხვას დავავალებდი და მერე, მოვაყოლებდი — აბა, ერთი ადამიანი ამდენი რამის წაკითხვას როგორ გასწვდება (იციანის)?!

**გიგა ნიკოლაძე,** „ნიკოლშოუს“ წევრი:

— მე იმდენ ფულს ვინატრებ, რამდენიც პოემის — „ქართული ზღაპარი ანი-ბანი“ დაბეჭდვას ეყოფა. თანაც, ძალიან მინდა, რომ ეს პოემა დისკუბთან ერთად გავავრცელო. მინდა, მთელი საქართველო მოვიარო და კონცერტ-პრეზენტაციები ჩავატარო, გზადაგზა კი მოვიძიებ სპონსორებს, რომლებიც ამ ჩემს პოემასა და დისკუბთან ერთად, სხვადასხვანაირ საჩუქარს დაარიგებენ — მერწმუნეთ, ეს ახალი სიტყვა იქნება ქართულ მწერლობაში!

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ პირადად შენთვის რას ინატრებდი? ახალი სახლი, ავტომობილი არ გინდა?

— არა, არ მინდა! ეს პოემა დამაბეჭდვინა და დანარჩენი თავისით მოვა!

— წარმატებებს გისურვებ!

მთათათო ჩარკვიანი, მომღერალი:



— მინიმუმ, 1.000.000 დოლარს ვინატრებ. თანხის ნაწილს შვილის განათლებაში დავხარჯავდი, თავად კი ნიუ-იორკის რომელიმე სასწავლებელში ვოკალის კურსს გავივლიდი. სახლი მინდა, დიდი ეზოთი, სადაც სხვადასხვა ჯიშის ბევრი მცენარე შექნება; ძალიან და კატა მყავს, მაგრამ კიდევ რამდენიმეს ვიყოლივბდი. მანქანას თუ შევიძენ, მაშინ მძლოლიც უნდა ავიყვანო — ავტომობილის მართვა არ ვიცი.

— რა მარკის ავტომობილს ისურვებდით?

— საერთოდ, სპორტული მანქანები მომწონს. მაგალითად, „ლამბორჯინი“. ისე, სპორტული ავტომობილის ხათრით, მანქანის მართვას ვისწავლიდი (იციანის). რომ გითხრათ, ავტოებზე ვგიჟდები-მეთქი, არ იქნება მართალი.

— მდიდრულ აგარაკს თუ ისურვებდით?

— ის სახლი, რომელიც უკვე აღვწერე, აგარაკით იქნებოდა — სახლს ისეთ ადგილას შევიძინდი, სადაც სუფთა ჰაერი და კარგი ხედი იქნებოდა. თუ ბინის ყიდვას თბილისში ვისურვებდი, საცხოვრებლად რაც შეიძლება მაღალ სართულს ავირჩევდი — სიმაღლის შიში არ მაქვს — ჰოდა, იქ სუფთა ჰაერიც იქნებოდა და კარგი ხედიც.

— თქვენი შვილისთვის კიდევ რას ისურვებდით?



კომფორტულად იგრძნობდნენ; ნარკომანებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრს გავხსნიდი... რომ გითხრათ, ჩემთვის რაიმე ქონებას ვიყიდდი-მეთქი, მოგატყუებთ — თუ ბევრი ფული გაქვს, ყველაფერი ისედაც გექნება.

**რამაზ საყვარელიძე,** პოლიტოლოგი:

— ჩამოგივლით, რას ვისურვებდი, მაგრამ ამ ყველაფერს რა თანხა



— აბა, რა გითხრათ?... იმაზე მნიშვნელოვანი რა არის, შვილს კარგი განათლების მიღებაში რომ შეუწყობ ხელს?!. პირველ რიგში, ჯანმრთელობას ვუსურვებ ყველას, ეს უმთავრესია.

**— ახლობლებისთვის ან საერთოდაც უცხო ადამიანებისთვის რას გააკეთებდით?**

— საქართველოში უამრავი უპატრონო, მზრუნველობას მოკლებული ბავშვია. მე მაგალითად, 1-2 ბავშვს ავიყვანდი და ნორმალურ პირობებში ვაცხოვრებდი. აღაზიანს უნდა გქონდეს იმდენი შესაძლებლობა, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. ჩემი ყველა ოცნების ასრულებას მილიონი არ ეყოფა (იციან). კიდეც, მოხუცებულთა და ცხოველების თავშესაფარს გავაკეთებდი. მოკლედ, როცა ბევრი ფული გაქვს, ბევრი კეთილი საქმის გაკეთებას შეძლებ!

**გია სურგული, მთავრობის სპარლაუმენტო მდივანი:**

— ამას წინათ ამერიკაში ვიყავი, სადაც ლოტოში 250 მილიონი დოლარი თამაშდებოდა... მაშინ ვფიქრობდი, — თუ ეს თანხა მოვიგებ, მთელი ცხოვრება ადამიანებს ბედნიერებას ვაჩუქებ, ყველა ნიჭიერ ბავშვს შევუწყობ ხელს, რომ უცხოეთში განათლება მიიღოს და წარმატებული იყოს-მეთქი. აუცილებლად გავხსნიდი Disney Lands მცხეთაში და დაბინძურებული გოგირდის აბანოების ნაცვლად, ძალიან მაგარ სპა კომპლექსს ავაშენებდი... ზუსტად ვიცი, რომ საარჩევნო კამპანიაში ერთ თეთრსაც არ დავხარჯავდი, პოლიტიკას ახლოსაც აღარ გავკარებოდი (იციან).

**— მართალია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაა, მაგრამ „დისნი ლენდის“ მაინცდამაინც მცხეთაში გახსნის სურვილი რატომ გაგიჩნდათ? ამ ქალაქს ხომ სხვა დანაშნულება და ისტორიული მნიშვნელობა აქვს...**

— ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, მცხეთაში, თეატრონზე, 20-თეთრიანი ძიგძიგა მამლის ნაცვლად, ლამაზი ატრაქციონები ყოფილიყო (ილიმის).

**დავით საგანელიძე, პოლიტიკოსი:**

— ამწუთას ძალიან დიდ თანხას, ალბათ — 100 მილიონ დოლარს ვისურვებდი, ოღონდ, ლეგალურად მოპოვებულს. ჩემი თბილისისთვის ყველაფერს გავაკეთებდი, მთელ ქალაქში რაც შეიძლება მეტ აგიტატორს გავუშვებდი და შევეცდებოდი, ეს ხელისუფლება დამემარცხებინა — ჯერ მერს, მერე პარლამენტს და ბოლოს, პრეზიდენტს ჩამოვაშორებდი ქვეყანას. „ნაციონალების“ ჩამოშორებას თუ შევ-

ძლებ, ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა მოვუტანო ხალხს და საკუთარ თავს? (იციან) ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი საყვარელი ადამიანი და გმირი გავხდებოდი მთელი საქართველოსთვის?!

**ვასილ ვალაფერიძე, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი:**

— ძალიან მინდა, მქონდეს გემი, სადაც სკოლას გავხსნიდი და დაახლოებით, 400 მოსწავლეს ავიყვანდი. ეს გემი 9 თვის განმავლობაში, მსოფლიოს გარშემო ივლიდა, მოსწავლეები თან საინტერესო ადგილებს დაათვალიერებდნენ, თან — იმოგზაურებდნენ და საკუთარი თვალით იხილავდნენ იმ ყველაფერს, რასაც მხოლოდ ფოტოებზე ხედავენ. ამ საქმეს რამდენი უნდა, არ დამითვლია (იციან).

**ჯაალ ნულუპიძე (ვინი), ტელენამყვანი:**

— აბა, რა გითხრა... ამჟამად



იმდენ თანხას ვინატრებდი, რამდენიც ჩემი ოჯახისა და ჩემი კრედიტების დაფარვას დასჭირდება. მერწმუნე, საკმაოდ სოლიდური თანხაა! ისე, პრინციპში, უფრო მაღალ ხელფასს ვინატრებდი.

**ბანანა ნაჭყბია, პოლიტიკოსი:**

— ყოველთვიურ შემოსავალს ვისურვებდი, სავარაუდოდ — 2.000-2.500 ლარს. რაც შეეხება პოლიტიკას, მოგესვენებათ, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვარ და დღეს ოპოზიციურ პარტიებს, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, არა აქვთ შესაძლებლობა, სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანია აწარმოონ, ამისათვის კი დაახლოებით, 5 ათასი ლარია საჭირო...

**გია სუბაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— ბევრ ფულს არ ვი-

ნატრებ — არ მინდა, ფულის მონაგავხდე და მის შენარჩუნებაზე უფრო მეტი ვიფიქრო, ვიდრე — დახარჯვაზე. ყოველთვიურ შემოსავალს, ასე — 5-10 ათასი დოლარის ფარგლებში ვისურვებდი და ეს ყველაფრისთვის საკმარისი იქნებოდა! ფულზე ოცნება არ მჩვევია.

**ზიზი კვაჭაძე, ტელენამყვანი:**

— რა თანხას ვინატრებდი? აბსოლუტურად ყველა ფინანსური რესურსი მჭირდება, რაც კი დედამიწაზე არსებობს (იციან). რისთვის? — მინდა, რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვაკეთო. პირველ რიგში, გარემოს მივხედავდი და პლანეტას გადავარჩენდი... დიდი სურვილი მაქვს, საქართველოს განათლების სფეროში ინვესტიციები სწორად ჩაიდოს; საქართველოს ინფრასტრუქტურას ბევრად გავაუმჯობესებდი, including Social Welfare-ს შემოვიღებდი და უმუშევარ ადამიანებს რეალურად დავემარებოდი; აუცილებლად ჩავდებდი ინვესტიციებს ეკლესია-მონასტრების რესტავრაციის საქმეში და ახალ მონასტრებსაც ავაშენებდი; მუსიკა, მხატვრობა, ხელოვნების ბევრი სხვა სფერო დახმარებას საჭიროებს და მათაც შეძლებისდაგვარად შევუწყობდი ხელს. მოკლედ, ამქვეყნად უამრავი საქმეა და ამიტომაც, კონკრეტული თანხის დასახელება მიჭირს (იციან).

**ია სუბიტაშვილი, მსახიობი:**

— ებრაელებმა თქვეს, — ქართველებს ოცნება არ შეგიძლიათო... მილიონს ვისურვებდი და რაც არ მაქვს, ყველაფერს შევიძენდი — ავტომობილს, მცხეთაში აგარაკს, რომელსაც ძალიან ლამაზად გავარემონტებდი და ბევრს ვიმოგზაურებდი.

**— პირველ რიგში, სად ნახვდოდით?**

— ჯერ ლონდონში, მერე კი დანარჩენ მსოფლიოს მოვივლიდი. ■





# უსწაურის სახლის სახელგანთქმული ბინადრები

„მშვიერობა, უსახლკარობა, უპატრონობა, დაფრდომილობა, განწირულობა, უფულობა, უბედურობა, უღებლობა, ავადმყოფობა, უშვილობა, ქმარგაცილებულობა, ცოლგაცილებულობა, შინაბერათა, უმიზეზოდ დაღონებულობა, ეჭვებით დაავადებულობა, გზააბნეულობა, ზვიადობა, საკუთარ თავზე შეყვარებულობა, სიყვარულში გაცრუებულობა, სიყვარულისთვის შეწირულობა, საიდუმლოდ შეყვარებულობა, სიყვარულში ომგადახდენილობა, სიყვარულზე მტირალთა, სიყვარულის არაფრისმცოდნეობა, ბევრი სიყვარულის მნახველობა, სიყვარულის მსურველობა, სიყვარულისგან გალოთებულობა... და მაინც, თეატრზე მლოცველობა მყუდრო სავანეთავშესაფარი!

მოწონებულია „უმალღეს მოაზროვნეთა“ მიერ.  
16.02.1968 წ. — აი, ასეთი უცნაური შინაარსის მქონე აბრა ეკიდა წლების წინ, გორში, ერთი ჩვეულებრივი ერთოთახიანი ბინის კარზე.



## ანუ მსახიობების ჯადოსნური სამყარო

### ელენე ხირსკალი

თითოეული ეპითეტის მიღმა მოიაზრებოდა რეალური პიროვნება, რომელსაც ამ სახელში ერთხელ მაინც შეუდგამს ფეხი. სახლს „ყველა სატკივრის თავშესაფარს“ უწოდებდნენ. აქ მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც თეატრის სიყვარული აერთიანებდათ. ეწყობოდა პოეზიის საღამოები, მერე კი მსჯელობდნენ, კამათობდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ...

ამავე აბრაზე იყო სტუმართა ხელმწიფეები, რომელთა შორის ვკითხულობთ საკმაოდ ცნობილი ხელოვანების სახელებს: სერგო ზაქარიაძე, რეზო თაბუკაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, მედეა ჩახავა, მუხრან მაჭავარიანი, გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი, თამარ სხირტლაძე, რეზო ჩხეიძე, ნიტა ტაბიძე, ლია ელიავა, ელენე ყიფშიძე, ოტია იოსელიანი, არჩილ კერესელიძე, მედეა ძიძიგური, ბელა მირიანაშვილი, გოგი ცაბაძე, ვახტანგ



მიუხედავად იმისა, რომ დებივით ვიყავით (დის სადარს მიწოდებდა), მისთვის შენობით არასდროს მიმიმართავს

გორგილაძე, თამარ იშხნელი, სანდრო მირიანაშვილი, იზო გიგოშვილი... აქ წლების განმავლობაში უცხოვრიათ მედეა ჯაფარიძესა და ლილი იოსელიანს.

ამ არაჩვეულებრივი სახლის დიასახლისი გახლავთ გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი ნარგიზ სალუქაშვილი — ენერგიული, მხნე, დიდი იუმორის მქონე ადამიანი.

ქალბატონ ნარგიზს ახლახან დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, ხოლო 14 იანვარს მიენიჭა პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (სპექტაკლებში — „ბერნარდა ალბას სახლი“ და „მეფე ლირი თავშესაფარში“). მსახიობმა გორის სცენაზე ასზე მეტი მთავარი თუ ეპიზოდური როლი შეასრულა და მაყურებლის დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. მასზე მწერალი მზია ხეთაგური წერს: „ამბობდნენ და ამბობენ, რომ იგი უსტატუსო სახალხო არტისტია, რომ გორის თეატრის სესილია თაყაიშვილია...“

მსახიობის პირად არქივში შემონახულია წერილები, სადაც გამოჩენილი ხელოვანები საოცარი სიტბოთი და სიყვარულით მოიხსენიებენ მას და მის „მყუდრო სავანეს“...

**ელენე ყიფშიძე:**  
„...როგორ უცებ გაირბინეს წლებმა... ჩვენ დავმეგობრდით, რადგან თეატრი არის ჩვენი გულისტკივილიცა და სიხარულიც... მიყვარხარ, მენატრება შენი სახლი. სწირად ვიხსენებ შენთან გატარებულ მშვენიერ საღამოებს“.

**ბურანდა ბაბუნია:**  
„ჩემო ნარგიზ, მინდა, სიყვარული აგისწნა. 40 წელია ვიცნობთ ერთმანეთს და ერთი პატარა წყენაც არ მახსოვს შენგან. მახსოვს შენი ყურა-

დღება, შენი სიყვარული, გაჭირვებაში მხარში დგომა, უანგარო დახმარება. შენ გამო ჩამოვდიოდით გორში, შენი სპექტაკლების სანახავად... ძალიან მიყვარხარ!“

**იური კაკულია, რეჟისორი:**  
„გორის თეატრში ჩემი მუშაობის პერიოდის წარმოდგენა ნარგიზ სალუქაშვილის გარეშე შეუძლებელია... ის მართალი და ჭეშმარიტი მსახიობია... მისი სახლის კარი დღე და ღამე, ღია იყო ყველასთვის. სწირად მენატრება მისი პატარა, მყუდრო სავანე, — იქ გატარებული მშვენიერი საღამოები...“

**მედეა ჯაფარიძე:**  
„ძალიან საინტერესო მსახიობია, განსხვავებული... აქვს საოცარი იუმორის გრძნობა, უყვარს კურიოზების მოწყობა. ყოველთვის მენატრება და მიყვარს ნარგიზი“.

**რაზო თაბუკაშვილი:**  
„სად ხარ, ჩვენო ქალბატონო ნარგიზ! ჩვენო მეგობარო, სწირად გიგონებთ მე და მედეა. შენთვის სონეტები მაქვს. სიყვარულით, რეზო თაბუკაშვილი“.

**ლილი იოსელიანი:**  
„მინდა, გულში ჩავიკრა, ჩავიხუტო დიდი ხნის მონატრებული ადამიანი, მეგობარი, დის სადარი და ჩემთვის უსაყვარლესი მსახიობი... მაგონდება მასთან ერთად გადატანილი ტკივილი თუ სიხარული, უდიდესი ადამიანური სიტბო... არამცთუ მაგონდება, მენატრება და სიცოცხლის ბოლომდე შემახსოვრება“.

ქალბატონი ნარგიზი სიამოვნებით იხსენებს იმ საოცარ წლებს, როცა მისი ჩვეულებრივი სახლი არაჩვეულებრივი, ჯადოსნური ცხოვრებით ცხოვრობდა.

— წარსული ფერად სიზმარს





ჰგავს... 1958 წელს თბილისის თეატრალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გორის თეატრში გამანაწილეს. თეატრთან ახლოს ერთი პატარა ოთახი ვიქირავე. მახსოვს, ხელფასი 40 მანეთი მქონდა, ქირაში კი 12 მანეთს ვიხდიდი. ერთმა, ერთი შეხედვით, სამწუხარო შემთხვევამ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა — სცენაზე წაიქეცი, თავის სერიოზული ტრავმა მივიღე და სამკურნალოდ გაგრაში, ცუკას სანტორიუმში გამგზავნეს. სასადილოში ადგილი მერგო მაგიდასთან, სადაც ისდნენ: ცუკას მდივანი მამია მეგრელიშვილი (ის ძალიან ლამაზი კაცი იყო, ქალების მუსუსი), კავშირგაბმულობის მინისტრი და პროფკავშირების თავმჯდომარე. ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ მათ მაგიდას ვიღაც მსახიობი ქალი უნდა მისჯდომოდა და თურმე, ფიქრობდნენ, — როგორ გაგვიმართლაო! ისე ცუდად ვიყავი, რომ სამი დღე სასადილოში არ შევსულვარ და კაცებიც წუხდნენ, მოუთმენლად ელოდნენ მსახიობი ქალის გამოჩენას, რომელიც მომხიბვლელ, გადარანჭულ, უკომპლექსო ქალბატონად წარმოედგინათ. საწოლიდან მეოთხე დღეს წამოვდექი, მაგრამ თავს ისევ ცუდად ვგრძობდი და სასადილოში ისე ჩავედი, რომ სარკეშიც არ ჩამიხედავს. მაგიდასთან რომ მივედი, მითხრეს, — დაკავებულიაო. ადმინისტრატორს ვთხოვე, დამხმარებოდა და მიეთითებინა, თუ სად იყო ჩემი ადგილი. მან დავთარში ჩაიხედა და თქვა, რომ მაგიდა არ შემშლია. სუფრასთან მეორედ რომ მივედი, შემომიბღვირეს: ხომ გითხარით, თქვენი ადგილი არ არის, აქ მსახიობი ქალი ზისო! შემრცხვა და უკან გავბრუნდი; იძულებული გავხდი, საჭმელი ნომერში ამეტანა. მეორე დღეს გავბედე და ჩემს ადგილას დავჯექი — უკვე სერიოზულად გამიბრაზდნენ. საქმეში ადმინისტრატორი ჩაერია და ყველაფერი გაირკვა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სუფრის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და თვლით რაღაც ანიშნეს, მერე კი ერთ-ერთმა მკითხა, — მართლა მსახიობი ხარო?.. ჭამის დროს თავს ისე უხერხულად ვგრძობდი, რომ ერთი სული მქონდა, როდის დავამთავრებდი სადილობას. ორ დღეში მოვმჯობინდი, თავი აღარ მანუხებდა და ხასიათზეც მოვედი — გამოვიბრანჭე, თმა ლამაზად გავიკეთე და სასადილოში ჩავედი. სუფრის წევრები გაოცდნენ — მართლაც, წარმოუდგენელი ცვლილება იყო!.. ბოლოს, ისე დავძმაკაცდით, რომ მათი კამპანიის განუყრელი წევრი გავხდი. ბატონ მამიას ყველა პატივს

სცემდა: მოჰქონდათ ძღვენი, ეპატიუბოდნენ რესტორნებში და მეც სულ თან დაყავიდი. წასვლისას მითხრა: ასეთი კარგი და პატიოსანი გოგო რომ ხარ, მაგიტომაც, ორ კვირაში გორში ბინა გეყენებო და სიტყვა შეასრულა.

**— წარმოუდგენელია, როგორ იტყვია ამდენ ხალხს ეს პატარა ბინა...**

— მართლაც, აქ უამრავი ადამიანი მოდიოდა: მსახიობები, მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ხელოვნების მოყვარულები, ზოგს კი ამა თუ იმ ხელოვანთან შეხვედრა და მისი გაცნობა სურდა. ვანყობლით პოეზიის საღამოებს (მირზა გელოვანის, ანა კალანდაძის, გალაკტიონის, მურმან ლებანიძის...), რაზეც კარზე გაკრული აბრა იუნყებოდა. პრემიერის შემდეგ ვარჩევდით სპექტაკლებს, ვთხზავდით ლექსებს, ვუკრავდით, ვმღეროდით... სკამები რომ არ გვეყვნოდა, იატაკზე ვსხდებოდით. პიესა „ჰამლეტი“ ლილი იოსელიანმა პირველად აქ წაიკითხა. აქ თავს ყველა ისე გრძობდა, როგორც საკუთარ სახლში: შედიოდნენ სამზარეულოში და ქვაბებში იხედებოდნენ, — აბა, სადილად რა გვაქვსო? — ხშირად მხოლოდ პური და ნიორი გვექონია. ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ შინ ლამის 2 საათზე დავბრუნდი. კარი რომ შევალე, მეგონა სხვაგან მოვხვდი — ავეჯი სულ გადაეადგილებინათ, სამზარეულოში გაეშალათ სუფრა და ლექსებს კითხულობდნენ. ვიკითხე: — რა ხდება-მეთქი? — ავეჯის ასეთი განლაგება არ გვანყობდა, მუზას აფრთხობდაო.

რადგან თავად მქონდა გამოცდილი უბინაობა, შიმშილი, გაჭირვება, ამიტომაც, იმ ახალგაზრდა მსახიობს, ვისაც ბინა არ ჰქონდა, ჩემთან ვაცხოვრებდი. ხშირად, ამ ერთოთახიან ბინაში სულ მცირე, რვა-ცხრა ადამიანი მაინც ცხოვრობდა და ზაფხულობით აივანზეც კი ეძინათ. მაგალითად, რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი დასთან და შვილთან ერთად, აქ ცხოვრობდა. სასაცილო ისაა, რომ უადგილობის გამო ბავშვს მაგიდის ქვეშ ვანწვენდით.

**— ცნობილ რეჟისორ ლილი**



ნარგიმ სალუქაშვილი და მურაბ ყიფშიძე

**იოსელიანთან ერთადაც გიცხოვრიათ...**

— 60-იან წლებში ქალბატონი ლილი გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 8 წელი ერთად ვცხოვრობდით, ჩემს ბინაში. ქალბატონი ლილის გვერდით ცხოვრება უდიდესი აკადემია იყო; არ შემიძლია გადმოცეთ, რა ძალა ჰქონდა ამ პატარა ტანის ქალს! მის წინაშე თვით უდიდესი მსახიობებიც კი პატარა ბავშვებად გამოიყურებოდნენ. ყველა ელოდა, რას იტყოდა ლილი. ერთხელ, გვიან ღამით ვიღაცამ დააკაკუნა. კარი გავალე და სახტად დავჩრი: სერგო ზაქარიაძე დავინახე! მან ლილის ქუდი უჩვენა და უთხრა: ეს ქუდი ამ და ამ როლისთვის გამოდგება თუ სხვა შევარჩიო? ასეთი დეტალებით სერგო გორში ორჯერ ჩამოვიდა. რეპეტიციის დროს თავს ვერ მიაბრუნებდი; ლილი მოითხოვდა, მისთვის თვალეში გვეყურებინა და წამითაც, სხვა რამეზე რომ გვეფიქრა, ამას მაშინვე ხვდებოდა, შენიშვნას გვაძლევდა: შენ ახლა აქ არ ხარო! ყოველი სპექტაკლის შემდეგ საგრინიოროში ფურცლები გვხვდებოდა, სადაც შენიშვნები იყო ჩაწერილი. ლილი თეატრისთვის შეწირული იყო. ხანდახან, დღე ჩივ გავიდოდა, პირში ლუკმას არ ჩაიდებდა.

**— როგორ იყო ქალბატონი ლილი პირად ურთიერთობაში? სახლშიც ასეთი მკაცრი იყო?**

— ის ძალიან მკაცრი იყო მუშაობაში, მაგრამ ძალიან თბილი, ყურადღებიანი — ცხოვრებაში. კარგი მსმენელი იყო. ცდილობდა გაეგო, რა გტკიოდა, რა განუხებდა და მერე, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დებივით ვიყავით (დის სადარს მიწოდებდა), მისთვის შენობით არასდროს მიმიმართავს.

სამუშაოდ რუსთაველის თეატრში რომ მიდიოდა, გორის თეატრის დათმობა უჭირდა; მსახიობიდან დაწყებული, მუშით დამთავრებული — ყველა ძალიან უყვარდა. ახლაც, დიდი სიყვარულითა და ცრემლებით იხსენებს ჩვენს თეატრს.

**— ქალბატონ ლილის ძმას, ჯაბა იოსელიანს თუ იცნობდით?**

— ქალბატონმა ლილიმ მთელი თავისი სიტბო და დემოკრატიული ინსტიტუტი უმცროს ძმაზე გადაიტანა. ჯაბა ორი წელი გორში, ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. მახსოვს, გარეთ თითქმის არ გადიოდა, სულ მეცადინებოდა — საშუალო სკოლის პროგრამა ექსტერნად ჩააბარა. ის დიდი იუმორის პატრონი, უზომოდ განათლებული იყო, მასთან არ მოინყ-



ია 3 წლის ასაკიდან დგას სცენაზე. მას თეატრის შვილობილს ეძახდნენ



ენდი — ისე, არც შეიძლება, ლილის ძმა სხვანაირი ყოფილიყო... ბოლოს, ჯაბა ისევ გორში ვნახე. მოედანზე უამრავი ადამიანი იყო. „ჯაბა! ჯაბა!“ — დაუძახე და მისკენ გავემართე. დაცვის ბიჭებმა კედელი აღმართეს. ჯაბამ დაინახა და მათ ხელით ანიშნა: გამოუშვითო! სახე გაუნათდა, თვალები აუციმციმდა... მკითხა: — ხომ არაფერი გჭირდებაო? — მხოლოდ შენი კარგად ყოფნა-მეთქი.

**— თქვენ ძალიან ახლოს იყავით მედეა ჯაფარიძესთან — ქალთან, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.**

— ლილი იოსელიანმა მედეა „ანა ფრანკის დღიურში“ სათამაშოდ მოიწვია. 45 წლის ასაკში მსახიობმა 13 წლის გოგონას როლი შეასრულა, მე კი მისი უფროსი დის — მარგოს როლი მერგო. ასევე, მასთან ერთად ვითამაშე სპექტაკლებში: „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

თავიდან მედიკო თბილისიდან დადიოდა. საოცარია, ამ დონის მსახიობი, ასეთი დაფასებული, არ უკადრისობდა და ყოველდღე, დილის 7 საათზე მატარებლით გორში მოემგზავრებოდა. ხშირად, სადგურზე ვხვდებოდი და ჩუმიად გამოვაპარებდი ხოლმე, რათა თავყვანისმცემლებს არ შეეწუხებინათ. ერთხელ, მასსოცს, მედეა მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, ჩექმა სიმინდის ფქვილით ჰქონდა მოსვრილი. თურმე, დამხმარე გოგოს საღამოს ჩექმები ფქვილით გაუნშენდია (ზამშე სიმინდის ფქვილით კარგად იწმინდება), მან კი სიჩქარეში, რადგან იცოდა, რომ ლილისთან რეპეტიციაზე დაგვიანება არ შეიძლებოდა, ჩექმაზე ფქვილი ვერ შეამჩნია.

მედეა გვაოცებდა თავისი საქციელით: წვიმაში, თოვლში ჩამოდიოდა აშხელა გზიდან. ის საოცრად ენერგიული იყო. თეატრში შემოჰქონდა სითბო, სიყვარული, საღამოთი კი ამაღლებული განწყობილებით კვლავ თბი-

ლისში ბრუნდებოდა. გარდა ამისა, ჩვენთან ერთად დადიოდა რაიონებში, „გასვლით“ სპექტაკლებზე.

**— გქონდათ ბედნიერება, ქალბატონ მედეასთან ერთ სტრუქტურულ გაცხოვრებათ.**

— მედეა ჩემს ბინაში 2 წელი ცხოვრობდა. საოცრად ნაზი, ბავშვივით მიაბიტი, ზედმეტად რომანტიკული იყო; ვერ იტანდა სიყალბესა და ფარისევლობას; თითქოს, ამქვეყნიურში არ იყო, სულ „ღრუბლებში დაფრინავდა“. ერთხელ, საღამოს შინ რომ დავბრუნდი, ვხედავ, შუაგულ ოთახში მედეა წყალს ივლებს. — აქ მგთი სივრცეაო, — ამისხსნა.

როცა ხასიათზე არ ვიყავი, მეუბნებოდა: ახლავე გაგამხიარულეო და ლექსების კითხვას იწყებდა. განსაკუთრებით უყვარდა ტიცინანი, ცვეტაევა, ახმადულინა, კალანდაქე. შეეძლო, ლექსები მთელი ღამე ეკითხა და ვინ იცის, რამდენჯერ დაგვთენებია თავზე.

ჩვენს სადარბაზოში სულ ხალხმრავლობა იყო, მედეას ნახვის მსურველებს ვერ ავუდიოდით; არ წყდებოდა ტელეფონის ზარებიც: ნაცნობი თუ უცნობი — ყველა მთხოვდა, მისთვის მედეა გაემეცნო და მასთან სტუმრობაზე დამეყოლიებინა.

**— ალბათ, მედეას სახლშიც ყოფილხართ.**

— იმ პერიოდში მედეა პლენანოვზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მეგონა, მისი სახლი განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიხილე ძალიან უბრალო და სადა ბინა. მედეამ შემატყო გაოცება და გაელიმა. მას არ აინტერესებდა ყოფითი საკითხები, არც ფული, არც — ძვირად ღირებული ნივთები...

ბევრმა არ იცის, რომ მედეა ძალიან კარგი დიასახლისი იყო. თუ დრო ჰქონდა, გემრიელ კერძებსაც ამზადებდა და შესანიშნავ ნამცხვრებსაც აცხობდა. ბევრჯერ ვყოფილვარ მედეასთან, ბიჭვინთის აგარაკზეც; ვის არ ნახავდით აქ — რუსეთიდან ჩამოსულ ცნობილ მსახიობებს, ბალერინებს, პოეტებს... მედეას პლაჟიდან მოჰყავდა სრულიად უცხო ადამიანები — ყველა, ვისაც ბინა არ ჰქონდა, ვისაც უჭირდა, შიოდა, სტუკოდა. მედეა იყო თვით სიკეთე, ამქვეყნად მოვლენილი მშვენიერება.

**— კიდევ რა იყო თქვენს ცხოვრებაში ისეთი, რაც განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ?**

— ჩვენს თეატრში დაიდგა სტაგიკის „სოფლური სიყვარული“, სა-

დაც მთავარ როლს არჩილ გომიაშვილი (მიშა გომიაშვილის მამა) თამაშობდა. გორში ყველა ქალი მასზე იყო შეყვარებული და თავდაც, ყველა ქალი უყვარდა. ჩვენ სცენაზე პარტნიორები ვიყავით — მაშინ 19 წლის გახლდით. არჩილი სულ კომპლიმენტს მეუბნებოდა, ხან პარკვი გასვირნებას მთავაზობდა, ხანაც — მტკვრის სანაპიროზე განთიადის შესახვედრად მეპატიჟებოდა და რადგანაც არ მეშვებოდა, ვუთხარი: ბატონო არჩილ, ქალიშვილი ვარ და თავი დამანებეთ-მეთქი! გაკვირვებულმა რამდენჯერმე გამიმეორა: რაო? რაო? — იმდენი იცინა, სკამიდან გადმოვარდა, მე კი ცხოვრებაში პირველად შემრცხვა ჩემი ქალიშვილობის. როცა სიცილით გული იჯერა, მითხრა: ასე გემრიელად არასდროს მიცინია; ოდესმე მემუარებს ხომ დანერ? იქ ოქროს ასოებით ჩანერე: მე, ნარგის სალუქაშვილმა უარი ვუთხარი თვით არჩილ გომიაშვილსო!

**— ქალბატონო ნარგიზ, თქვენი ერთადერთი ქალიშვილიც მსახიობია. ის ისეთ გარემოში აღიზარდა, ალბათ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.**

— ია 3 წლის ასაკიდან დგას სცენაზე. მას თეატრის შვილობილს ეძახდნენ, რადგანაც თეატრში გაიზარდა. სულ თოთო იყო, თოვლიან ზამთარში ცივზე რომ ვანვნიდ და თეატრში ისე მომყავდა. აქ თავისი ოთახიც კი ჰქონდა, სადაც ეძინა. როცა სცენაზე ვიდექი, ის კულისებიდან მიყურებდა. სპექტაკლში — „მკაცრი ქალიშვილები“ იყო სცენა, სადაც დიდ ყუთში მსვამდნენ. ეს იამ რომ დაინახა, ისეთი ნივილ-კვივილი ატეხა, ძლივს დაანწყარეს.

**— ბედნიერი ხართ?**

— როგორ შეიძლება, არ ვიყო ბედნიერი — ლამაზად განვლო ხუთმა ათეულმა წელმა, რომელიც თეატრს შევალე. ყოველი წელი ჩემთვის განსაკუთრებული და დაუფინყარია. ჩემი მოგონებები — ჩემი სიმდიდრე! მენატრება ის ხალხი, ვინც ჩემს ბინაში ცხოვრობდა, ვინც ჩემ გვერდით იდგა სცენაზე...



ლამაზად განვლო ხუთმა ათეულმა წელმა, რომელიც თეატრს შევალე



# ინდოელის ქართველი რძალი, დელიში ნაკონი ქართული ჩანაწერები და ერთ მოგონივრულ გაყიდული პატარაკალი

უკვე 16 წელია, ინდოეთში, დელიში ცხოვრობს. ინდური კლასიკური ცეკვისა და ზოგადად, ინდური კულტურის სიყვარულმა სამშობლოსგან შორს, უცხო ქვეყანაში წასვლა გადააწყვეტინა. იქ ცხოვრების თანამგზავრს შეხვდა და ქართულ-ინდური ოჯახი შექმნა. ნათია სპაჩანი შვილთან, 11 წლის ომართან ერთად რედაქციაში გვესტუმრა და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბო.



## ნა ტახიანი

— ჩემი შვილის სრული სახელი ომარ-ჯირან ამანია. სახელი ომარი მე დამესიზმრა და ამიტომ დავარქე, ჯირანი კი ინდური სახელია, ჩემი მეუღლის ბაბუასაც ერქვა. ჩემი ქმარი მუსლიმია, მისი ბაბუა კი სასულიერო პირი იყო და ხალხში დიდი პატივით სარგებლობდა. დაახლოებით 2 წლის წინ მეუღლემ მიჩვენა ის ადგილები, სადაც მისი ბაბუა მოღვაწეობდა. მათ საგვარეულო მეჩეთიც ჰქონიათ.

— შენ ინდოელების ქართველი რძალი ხარ. საინტერესოა, როგორ მიგიღეს? როგორც ვიცო, ინდოეთში, სარძლო მზითვის რაოდენობით ფასდება.

— სამწუხაროდ, ინდოეთში ასეთი ოჯახები დღემდე არსებობს. მზითვის არქონის გამო, იქ ბევრი ოჯახი დაუმსახურებლად იჩაგრება. სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემ ქორწინებისას გამაფრთხილა: სახლიდან არაფერი წამოიღო. მე მაინც შევთავაზე: თუ ჩემს სახლში რაიმე მოგეწონება, მოჰკიდე ხელი და წავიღოთ-მეთქი. იუარა, — ყველაფერს თავად ვიყიდო. დაქორწინებამდე მე და ჩემმა მეუღლემ სამი პირობა დავდეთ. კარგა ხანს ვნანობდი, რომ იმ სამს კიდევ ერთი პირობა არ

დავუმატე, მაგრამ მერე, სურვილი თავისთავად ამისრულდა: პირველი პირობის თანახმად, ინდოელზე გათხოვების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეობას შევინარჩუნებდი; მეორე პირობით, არ ვიცხოვრებდი დედამთილთან და კიდევ, ინდური ნაციონალური სამოსის გარდა, თანამედროვედ ანუ ევროპულადაც ჩავიცვამდი. უცნაურია, მაგრამ საქართველოში უფრო ხშირად დავდივარ ინდურ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი, ვიდრე — ინდოეთში. იქ სარის მხოლოდ დღესასწაულებზე ან მაშინ ვიცვამ, როცა სტუმრად მივდივარ. სხვათა შორის, ინდური კოსტიუმების ტარება ზაფხულშიც კომფორტულია.

— როგორც ვიცო, ახლა საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამო ჩამოხვედი...

— სამშობლოში ყოფნისას დასვენებას ვერ ვახერხებ. თვითმფრინავში ან უკვე თბილისში ჩამოსული შემთხვევით გადავანწყდები ხოლმე ინდოელ ტურისტებს ან სხვა მიზნით ჩამოსულ ადამიანებს, რომლებიც დახმარებას — თარჯიმნობას მთხოვენ. ახლა საქართველოში ორი მიზეზით ჩამოვედი: 2 წლის წინ ჩემი შვილი მუსიკალურ პროექტში — „ანა-ბანა“ — მონაწილეობდა და წელსაც მოგვინვიეს; აქ ჩამოსვლის მეორე მიზეზი კი იყო ის, რომ თბილისში ინდური პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გამართა და მთხოვეს, ერთ-ერთ სექციაში თარჯიმნად მემუშავა. სხვათა შორის, იმ სექციაში, სადაც ვმუშაობდი, დამხმარედ ინდოელი ბიჭი ჰყავდათ, რომელიც აქ, თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს. როცა გავიცანი, შემაქო: ქართულად რა კარგად ლაპარაკობო! არც დრო მქონდა და არც სურვილი საიმისოდ, რომ მისთვის ყველაფერი ამეხსნა. თანაც, უცხო მამაკაცთან დიდხანს ლაპარაკი ინდოელებისთვის მიუღებელია.

### რატომ?

— მიიჩნევა, რომ ასეთი რამ სუსტი ყოფილების ქალბატონებს ახასიათებთ, ამიტომ ამ წესს მეც ვიცავ, ოღონდ — მხოლოდ ინდოელებთან ურთიერთობისას. გამოფენის გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ პავილიონში მამაჩემი მესტუმრა. მას დამხმარე ინდოელი ბიჭი — რიში გავაცანი და როცა ისინი ერთმანეთს წარუდგინე, რიშის ენებია: — რას მესტუმრები, ეს ხომ ქართველიაო! ძლივს დავარ-

წმუნე, რომ ნამდვილად მამაჩემი იყო. გოცემული იჩქდა მხრებს: ვერ გამიგია, ინდოელი ხარ თუ ქართველიო?! ინდოეთშიც ვერ იჯერებენ, რომ სხვა ეროვნების ადამიანი ვარ და ხშირად მეკითხებიან: ქამირიდან ხარო?... ამ გამოფენის შემდეგ სურვილი გამიჩნდა, ინდოეთშიც გამართოს ქართული პროდუქციის გამოფენა. წელიწადში ერთხელ, დელიშიც ეწყობა საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა. ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და საკუთარ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციით იწონებენ თავს. ძალიან მინდა, მათ შორის ქართული ნაწარმიც ვიხილო.

— 15 წელია, ინდოეთში ცხოვრობ. იქ შენ გარდა ქართველები კიდევ არიან?

— სტუდენტები ჩამოდიან ხოლმე, გაცვლითი პროგრამით, ენის სასწავლებლად, მაგრამ ძირითადად, აგრანი ანუ იქ მიდიან, სადაც ტაჯმაჰალია. კიდევ ორ ქართველ გოგონას ვიცნობ, ვინც ინდოეთშია გათხოვილი.

— მახსოვს, მსურველებს ინდურ ცეკვას ასწავლიდი. მოსწავლეები კიდევ გყავს?

— სამი მოსწავლე მყავს და მათ ინდურ კლასიკურ ცეკვას ვასწავლი, წელიწადში ერთხელ კი დელიში ქართულ ცეკვას ვდგამ. ინდოეთში ყოველწლიურად, მსოფლიოს სტუდენტური კულტურის დღეები იმართება, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. წლეულს დავრბოდი და ინდოეთში მცხოვრებ ქართველ გოგონებს ვეხვეწებოდი: მე შეგიკვრავთ კოსტიუმებს, ოღონდ ერთი ქართული ცეკვა დავდგათ-მეთქი. ძალიან მინდოდა, „სამაია“ გვეცეკვა, მაგრამ არ გამოგვივიდა და ორმა





ვიცეკვეთ. ცოტა უცნაური ცეკვა გამოვი-  
და, მაგრამ მაყურებელს ჩვენს ქვეყანაზე  
გარკვეული წარმოდგენა მაინც შეექმნა.  
ძალიან მინდა, ინდოეთში რომელიმე ნა-  
ციონალური ანსამბლი ჩამოვიდეს და  
იქაურ მაყურებელს ნამდვილი ქართული  
ცეკვის ხელოვნება უჩვენოს.

— არ მიკვირს, რომ ყველაფერ  
ქართულს მონატრებული ხარ ინდოეთში  
თუ იყავი ქართული პროდუქცია?

— მასსოვს, ერთხელ დელის ცენ-  
ტრალურ სავაჭრო კომპლექსში მუსიკალურ  
მაღაზიაში შევიარე. თაროზე შემოდებულ  
დისკებს ვათვალიერებდი. მოულოდნელად,  
ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერს  
წავხვდი და სიხარულისგან იმხელა ვიყ-  
ვირე, რომ გარშემო მყოფების ყურადღე-  
ბა მივიქციე. მასსოვს, იმ კრებულში ჰამ-  
ლეტ გონაშვილის რამდენიმე სიმღერაც იყო  
და საკმაოდ ძვირიც ღირდა. 15 წლის  
განმავლობაში ეს იყო ერთადერთი შემთხ-  
ვევა, როცა ინდოეთში საქართველოში წარ-  
მოებული პროდუქცია ვნახე. თუმცა, ინ-  
დოეთში რუსეთის საელჩოსთან მდებარე  
საცხოვრებელ რაიონში გახსნილია მაღა-  
ზიები, სადაც შესაძლებელია ისეთი პროდუ-  
ქციის შექმნა, რომლის წარმოებაც პოსტ-  
საბჭოთა ქვეყნებში ხდებოდა. მაგალითად,  
იქ მინასავს ქართული ღვინო, სულუგუნს  
მიმსგავსებული ყველი და სხვა.

— მითხარა, რომ ქმართან სამი  
პირობა დადე და მერე ინანე,  
რომ ერთიც არ დაამატე. იქნებ  
გაგვიმთხოლო, რას ნანობდი?

— ძალიან მინდოდა მუშაობის დაწყება.  
აღბათ ყველაფერს თავისი დრო აქვს და  
ცოტა ხნის წინ ეს სურვილიც ამისრულდა.  
ჩემმა მეუღლემ სამკერვალო ფაბრიკა შეიძ-  
ინა და ოჯახურ ბიზნესს სათავეში მე ჩა-  
ვუდექი. ფაბრიკა სახლთან ახლოსაა და სამ-  
სახური ბევრ დროს არ მართმევს. არ მინ-  
და, ისე ვიყო დაკავებული, რომ ოჯახს  
მოვავლდე. მეუღლესაც არ მოსწონს, როცა  
ქალი საოჯახო საქმის გარდა, სხვა რამით  
არის დატვირთული...

— ტრადიციისამებრ, რა ვეაღუ-  
ბა ნამდვილ ინდოელ ქალს?

— რამდენი ოჯახიც არის, ალბათ იმ-  
დენი ტრადიციაა. ქალს ძირითადად,  
შვილების აღზრდა, საღამოს მეუღლესთან  
ურთიერთობა ევალება. ჩვენ ასე ტრადი-  
ციულები არ ვართ, მაგრამ მეც მიყვარს,  
როცა სახლში სისუფთავა, როცა სადილი  
ყოველთვის მზად მაქვს. მე და ჩემი მეუღლე  
ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ ინდური  
ტრადიციის მიხედვით, ყველა ერთ დიდ  
ოჯახად უნდა ცხოვრობდეს. მაგალითად,  
ჩემი დედამთილი, მამლები, რძლები და  
მათი შვილები ერთ სახლში ცხოვრობენ.  
მეც მაქვს იქ ჩემი კუთხე და როცა სტუმ-  
რად მივდივარ, თავს ისე ვგრძნობ,  
როგორც საკუთარ სახლში. რძლები ერთ-  
მანეთთან შეხმატკბილებულად ცხოვრობენ,  
დედამთილს პატივს სცემენ და შეიძლება  
ითქვას, რომ მას ხელისგულზე ატარებენ  
— ის არც კრძებს აზადდებს, არც ალაგებს  
და არც საყიდლებზე დადის.

— მზითვის თემას დავუბრუნ-  
დეთ. მაინც, რა ქონების პატრონი

უნდა იყოს ქალი ინდოეთში, რომ  
გათხოვდეს?

— მზითვეში აუცილებლად უნდა  
ჰქონდეს საძინებელი ოთახის მონყობი-  
ლობა, ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი  
მანქანა, მიქსერი და ყველა საოჯახო ნივ-  
თი. გარდა ამისა, საპატარძლოს ოჯახმა  
სასიძოს უნდა უყიდოს მანქანა ან მო-  
ტოციკლეტი მაინც. მოტოციკლეტით ინ-  
დოეთში ბევრი ადამიანი დადის და ეს  
ტრანსპორტი ძვირიც ღირს, ასე — 1.000-  
1.500 დოლარის ფარგლებში.

— სიძის ოჯახი ქალისთვის  
რას ყიდულობს?

— ძირითადად, ოქროს სამკაულებს  
ყიდულობენ. ინდოელ ღარიბ ადამიანს შესა-  
ძლოა, სახლი არ ჰქონდეს, მაგრამ 10 კგ  
ოქროს აისხამს და ქორწილში ისე წავა.  
შესაძლოა, თავად არ ჰქონდეს ოქროს  
სამკაული, მაგრამ სხვისგან ითხოვს და სახლში  
მორთულ-მოკაზმული გამოჩნდება. ჩემს  
დედამთილს გული სწყდება, რომ საქორ-  
წინო სამაჯურებს არ ვატარებ. რა ვქნა,  
ხელბორკილებით მაქვს და ვერ ვგეგუები  
— გათხოვლ ინდოელ ქალს ერთ ხელზე  
3-4 სამაჯური მაინც უნდა ეკეთოს, ამით  
მეუღლისადმი პატივისცემას გამოხატავს.  
ერთხელ ცხვირზე საყურე არ მეკეთა და  
დედამთილმა შენიშვნა მომცა: ვიდრე ქმარი  
ცოცხალი გყავს, ცხვირიდან საყურეს ნუ  
მოიხსნი, ეს ბედნიერების სიმბოლოა.

— მასსოვს, ბოლივუდში მასო-  
ბრივ სცენებში გიღებდნენ. ახლა  
თუ გაქვს ინდურ კინოინდუსტრი-  
ასთან ურთიერთობა?

— ბოლივუდი საკმაოდ საინტერესო  
სამყაროა. პირველად ფილმის გადაღება-  
ზე შემთხვევით მოვხვდი. უნდა გენახათ,  
იქ რა ხდებოდა, როცა გადასაღებ მოედან-  
ზე ფილმის მთავარი გმირები — რაჯ  
კაპურის შვილიშვილი, კარინა კაპური და  
რიტი კროშანი მოვიდნენ. ყველას დაავი-  
წყდა, რისთვის იდგა გადასაღებ მოედან-  
ზე და კინოს ვარსკვლავებს ავტოგრაფებ-  
სა და სამასსოვრო ფოტოს გადაღებას  
სთხოვდნენ. სხვათა შორის, ინდოელები  
თავიანთ ვარსკვლავებს აღმერთებენ... ახლა  
უკვე საქმიანი ურთიერთობა მაქვს ბო-  
ლივუდის პროდიუსერებთან. როცა მა-  
სობრივ სცენებში უცხოელი გარეგნობის  
მსახიობები ან მოდელები სჭირდებათ, მე  
მიკავშირდებიან.

საუბარში პატარა **ნახრიც** ჩაერთო.

— მე „ანა-ბანაში“ შევასრულე სიმღ-  
ერა ფილმიდან — „დისკოს მოცეკვავე“. დედამ ცეკვის რამდენიმე ილეთიც მასწავ-  
ლა და ჟიურის ჩემი გამოსვლა ძალიან  
მოეწონა. მიხარია, რომ პროექტის ხელმძღ-  
ვანელები ემიგრანტ ქართველებს არ ივი-  
წყებენ, მეც ხომ ნახევრად ქართველი ვარ!  
ისე, საქართველოში ყოფნა უფრო მომ-  
წონს, ვიდრე ინდოეთში. აქ უფრო კარ-  
გი ხალხი ცხოვრობს. გოგონებიც უფრო  
ლამაზები და მეგობრულები არიან. ინ-  
დოეთში ყველა გოგო ძალიან შავია. კიდევ,  
ფუნქიკულიორი მომწონს და სატელევიზი-  
ო ანბა, რომელიც ღამე ღამაზად ციმცი-  
მებს. საქართველოში ყოველთვის სიამ-  
ოვნებით ჩამოვდივარ.



როგორც გაირკვა, ყველაზე მეტი  
თინეიჯერი ნიკო გომელაურის  
ლექსების დაბეჭდვას მოხვდა, რაც  
წინა ნომერში გავითვალისწინე  
კიდევ: თუმცა, არც ამჯერად დაგ-  
წყვეტთ გულს და მის რამდენიმე  
ლექსს შემოგთავაზობთ.

\* \* \*

- 10 წამია, რაც გაგიცანი,
- 9 წამი არის, რაც გავიხარე,
- 8 არის წამი, ვიგრძენი ტანი,
- 7 წამის წინ შიგ ჩავიღვარე.
- 6 გავიდა — წამება ექვსი,
- 5 წამში გაჩნდა შენდამი ლექსი,
- 4 უაზრო უშენო წამი,
- 3-ჯერ პირჯვარი, თვალებზე წამი.
- 2 წამში ხდება შეტევა გულის,
- 1 წამში სკდება გულის ფიცარი,
- 10 წამია, რაც გაგიცანი,
- საუკუნეა, რაც შეგიყვარე.

\* \* \*

ჯოჯოხეთში იბევებენ ადგილებს,  
იქ მოხვედრა განა გა-ა-ადვილეს?!  
მე კი მითხრეს: არა ხარო საქირო,  
ემინიათ, მთვრალმა არ გავაჭირო.  
იქვე იყო კარი მოპირდაპირე,  
იქაც შესვლა ტყუილად დავაპირე.  
ახლა ვექებ (გამიფუჭდა განწყობა)  
ადგილს, სადაც არ ჭირდება ჩანწყობა...

დედა

ვინ დამბადა ასე ფლიდი,  
ასე წყნარი, ასე დიდი,  
ასე ცუდი, ასე კარგი,  
ვინ მასწავლა ასი დარგი,  
ვინ აბრალებს ძუძუს წყევლას  
და მიწუნებს ცოლად ყველას,  
ვინ ჩამარტყამს თავში უროს,  
ასე ჩემთან სხვა ვინ ხუმრობს  
ან იმ ღამეს ვინ გამათობს,  
მე ჭლადს რომ დამათოვს.  
ვის დავუთმობ ზედმეტ სიტყვას,  
ვერც ავეხსნი, როგორ მიყვარს,  
ვინ იქნება მუდამ ახლოს,  
მაშინაც კი, შორს თუ სახლობს.  
ვინ იქნება, ვინ და დედა,  
თებერვალში დამებედა.



# მოზარდები, ხელოვნება და ახდენილი სურვილები

მოუხედავად იმისა, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილ თხოვნებს — სიმღერის ტექსტებისა თუ ლექსების დაბეჭდვის შესახებ — კარგა ხანია, ვერ ვითვალისწინებდი, ბევრი მგზავნელი მაინც დაჟინებით მთხოვდა, ამა თუ იმ სიმღერის ტექსტის დაბეჭდვას. ამჯერად, ამისათვისაც „მოვიცალე“ და თქვენს თხოვნებს გადავხედე.

ნკო გომელაურის ლექსების გარდა, უამრავი ადამიანი მთხოვდა ნინო ქათამაძის სიმღერის — „ქუჩაში ერთხელ“ ტექსტის დაბეჭდვას და ახლა, ნინოს ფანებსაც გავახარებ.

ქუჩაში ერთხელ ნაცნობმა ქარმა, მე მომიტანა სურნელი თმების, სურნელი თმების, ის იყო შენი, ასე ნაცნობი და მრავალფერი. ნუთუ სადღაც აქ არის, შენი ლურჯი თვალები... არაფერს დავიშურებდი, ერთხელ მათ რომ შევხებოდი... ერთხელ მათ რომ შევხებოდი. ისევ და ისევ, მე ერთი ვარ, ის ერთად, ნაცნობი ქარი მაცილებს მხოლოდ, ისევ და ისევ, მე ვფიქრობ შენზე და შენი თმების ოკეანეზე. ნუთუ სადღაც აქ არის, შენი ლურჯი თვალები... არაფერს დავიშურებდი, ერთხელ მათ რომ შევხებოდი... ერთხელ მათ რომ შევხებოდი.



ამ, ასე ვთქვათ, რეიტინგში, მოთხოვნების მიხედვით, მესამე ადგილზეა დათო ნეფარიძისა და კაბუს დუფტი, სიმღერით — „სულაც არ გჭირდება ჩემი სიყვარული“.

ძალიან მოგვენატრე მე და ჩემს ქალაქს, მე და ჩემს თბილისს, გახსოვს? გახსოვს, პირველად რომ გინოდე ჩემი ცა და დედამიწა, ჩემი მზე და მთვარე? მე შენი სუნთქვაც კი მახსოვს, მახსოვს, ვკითხულობდი მხოლოდ შენს ნერილებს,

ადგილს არ ვუთმობდი ჩემს გულში სხვას, ვარდებს ვუყვებოდი შენზე ნანახ სიზმრებს, შენზე ვეჩურჩულებოდი ჩემად მას. მახსოვს, არ მინდოდა არავის მოსმენა, და ველოდებოდი მხოლოდ შენს ზარს, როგორ ხარ? კარგად. ძალიან მომენატრე, მერე მზე მოჰყვებოდა გულში შენს ხმას. შენა ხარ ჩემი გულის მზიანი ამინდი, გპირდები, ამ სიტყვებს არ ვუტყვი სხვას, ალბათ გენატრები, შენც ფიქრობ ჩემზე, ჩემს თავს გახსენებს მთვარე და ცა. მერე ფიქრში რომ ჩაგეძინება, ჩემს ნაცვლად თვალებზე გაკოცებს სხვა, დილა მშვიდობისა! ჩემო საყვარელო, ჩემს ნაცვლად ყურში ჩაგჩურჩულებს სხვა. სულაც არ გჭირდება ჩემი სიყვარული, მაინც არაფერში გარგია, მაგრამ სიძულვილთან შედარებით, ვინმეს რომ უყვარხარ, კარგია. სხვისთვის მიგიგდია ჩემი ლექსები, შენთვის ზედმეტი ბარგია, მაგრამ წართმევასთან შედარებით, რამეს რომ გაძლევენ, კარგია. არაფრად არ გინდა შენ ჩემი ალერსი, სხვისიც არასოდეს გაკლია, მაგრამ ლანძღვასთან შედარებით, რომ გეფერებიან, კარგია.

### მეოთხე ადგილზეა ირაკლი ჩარკვიანის „მე შენთან მოვალ“.

მინდა, ისევ შენთან ვიყო, ისევ შენი ღიმილი მკლავს, უშენობა არ მასვენებს, ვიცო, უნდა ვუშველო თავს, ველარსად ვერ გაგმეცევი, ომი შენთან ლაპარაკს ჰგავს, ალბათ ისევ დავბრუნდები, წამოვყვები ქალაქის ნავს. მე გადმოვცურავ ზღვას, ნუ დაუჯერებ სხვას, რომ მე არ მოვალ, მე შენთან მოვალ, დავბრუნდები... ყველაფერი შეიცვალა, სიყვარული სევდაში თვლემს, აღარავინ აღარ გელის, აღარავინ იხსენებს ძველს, მე გადმოვცურავ ზღვას,



ნუ დაუჯერებ სხვას, რომ მე არ მოვალ, მე შენთან მოვალ, დავბრუნდები...

### მეხუთე ადგილზეა „მგზავრები“, სიმღერით — „ცრემლებს ტუჩებზე“.

დილა ცისფრად გათენდა, ღამე ისევ დანებდა, ნიავე ფარდას არხედა, რა დილა რა ცისფრად გათენდა. ისევ დამასწრო დილამ და, ჩემზე ადრე გათენდა. ცა, თითქოს მონისლული, საოცარ სევდას ამხელდა, ამხელდა... ცრემლებს ტუჩებზე, თმებით იშორებ, მძინარე ყვავილებს, შოპენით აღვიძებ... ისევ, გიტირია ჩუმად, გიტირია შენთვის. ისევ, გიცინია ჩუმად, გიცინია შენთვის... ბევრჯერ მიტირია ჩუმად, მიტირია შენთვის. ერთად გვიტირია, ერთად გვიცინია ჩვენთვის... ცრემლებს ტუჩებზე, თმებით იშორებ, მძინარე ყვავილებს, შოპენით აღვიძებ...





# ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაფილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

(ტმერთო...)



ტმერთო, იქნება მე ღირსიც არ ვარ,  
რომ მოგანვდინო ცაში ლოცვანი.  
მივყვები დღეთა გადათვლილ ქარვას,  
გასრულდა ჩემი ყრიალოსანი.

ჩემი სანთელი ჩემ თვალწინ ქრება,  
ვაი, რომ ზოგჯერ შენთვის არ ენთო!  
მე სულ ვამბობდი სიცოცხლის ქებას,  
სიკვდილთან ცოტა მქონდა საერთო.

მომეც ძალა და მომმადლე რწმენა,  
ეშმაკის ძლევად და საზიანოდ,  
აღსარებისთვის ამიდგი ენა,  
შენს საიღუმლოს რომ მაზიარო.

და მე შენდობის ღირსი თუ არ ვარ,  
ქარს გაატანე ჩემი ლოცვანი...  
მივყვები დღეთა გადათვლილ ქარვას,  
გასრულდა ჩემი ყრიალოსანი.

გრიგოლ აბაშიძე

### ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თეგურ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-19

**ბლინდაყი** ფრ. — საველე ნაგებობა, რომელიც იცავს მეომრებს საარტილერიო ცეცხლისაგან.

**ბლონდი** ფრ. — აბრეშუმის თხელი, ბადურა ქსოვილი (იხმარებოდა ძველად). ბლონდის ლეჩაქი.

**ბლოყინი** — ენის ძლივძლივობით დაძვრა, გაჭირვებით, გაურკვეველად ლაპარაკი (მთვრალისა).

**ბმო** — დიდი მუნუყი.

**ბოგანო** (ძვ.) — ძალიან ღარიბი, უქონელი.

**ბოგინი** — ძლივძლივობით არსებობა, გაჭირვებით ყოფნა.

**ბოდოშა** — უსუფთაო, აჩაჩულ-დაჩაჩული, სიკოხტავეს მოკლებული ქალი.

**ბოზა** — ფეტვის ბურახი.

**ბოზაში** — ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი, შეზავებული დაკეპილი ღუმით, ხახვითა და ქინძით.

**ბოთვერა** — ბუნჩულა, მსუქანი (ლეკვი).

**ბოინი** (კუთხ.) — 1. გუნდი (ფრინველთა). 2. შაერში ფრინველის ნებეირი ფრენა, ლივლივი.

**ბოკო** — რასაც წვერი ბლაგვი, მომრგვალებული აქვს, პირმოცვეთილი.

**ბოკოლა** — საქონელი, რომელსაც მოკლე და მსხვილი რქები აქვს.

**ბოკონი** — 1. მორის ბოძები, რომლებზედაც დაყრდნობილია ფიცრული სახლის (ოდის) საძირკვლის დირეები. 2. იგივეა, რაც ძელსაჯდომი.

**ბოლათი** — თევზის სამალავი, დარანი.

**ბოლობეჭედა** — მტაცებელი ფრინველი ერთგვარი.

**ბოლოთრა** — მთის ურემი, რომლის ბოლოც დაშვებულია და მიწაზე ეთრევა.

**ბოლოკურა** — ველური ბოლოკი.

**ბოლუქი** (თურქ.) — ჯგუფი, გუნდი (ცხოველთა).

**ბომბორა** — გრძელი, მსხვილი ბალნის მქონე.

**ბონდი** — ბაგირებზე დაკიდებული ხიდი მდინარეზე.

**ბონცვერი** — ახალმონაყარი შტოები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





შემდეგ, ჩვენი დელეგაცია გასასვლელისაკენ დაიძრა...

\* \* \*

ჰამბურგი ცივი და მდუმარე იყო. საღამოს ქალაქში გავიარეთ.



— დათო, ესენი სულ სპორტსმენები არიან? — გავიშვირე ხელი სათხილამურო კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონებისკენ.

— არა, გერმანიის პროფკავშირებმა მეძავების უფლებების დასაცავი კანონი მიიღო და ზამთარში აუკრძალეს ქუჩაში თბილი ტანსაცმლის გარეშე გამოსვლა!

— წარმოუდგენელია! რა მაგარი ქვეყანაა, კანონი მეძავებსაც იცავს! — თქვა პაატამ.

— ჩვენი უფრო მაგარი ქვეყანაა, კანონს მეძავები წერენ, — ვთქვი მე, — ისე, დათო, საიდან იცოდი ეს ამბავი?

— მაგათ პროფკავშირებში ვარ განევრებული, — გაცინა დათოს.

„შლანინგის მოლაპარაკებას“ თავისი სპეციფიკა ჰქონდა, — შვიდშვიდი მომლაპარაკებელი შვიდი დღის განმავლობაში მხოლოდ მიკროფონის საშუალებით ესაუბრებოდა ერთმანეთს, ყველა სიტყვა იწერებოდა. გარეთ გასვლა ლიმიტირებული იყო. ბესლან ბუტბა, სტანისლავ ლაკობა და ვახტანგ ხაკვა სასიამოვნო მოსაუბრეები იყვნენ და აგრესიის გარეშე გამოხატავდნენ თავიანთ აზრს. ჩვენგანაც მომრიგებლური ტონი ხვდებოდათ.

— მე ერთი შეკითხვა მაქვს ქალბატონ მოროშკინასთან, — თქვა ლაკობამ.

— ბრძანეთ, — უთხრა ფასილიტატორმა.

— რატომ მოგვისხენივდით ტელეეთერში ასე აუგად? — იკითხა მან.

— მე? როდის? იქნებ გემლებათ, ბატონო სტანისლავ?

— არ მემლება, მაშინ „ქვიშის საათი“ მიყავდათ და არაერთი შეუჩინებელი მოგიყენებიათ. ჩვენ სება-

რატისტები კი არა, პატრიოტები ვართ! ასეთ დროს ხვდები, რომ თურმე ჩვენს არაკონტროლირებად ტერიტორიებზეც ყურადღებით გვისმენენ და თითოეულ სიტყვას სამუდამოდ შეუძლია ყველაფრის გაფუჭება. რამდენი დაფიქრება გვმართებს!

— მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, თანაც გამოუცდელი. იცით, როდესაც ომი ახალი დამთავრებულია და ბევრი ჩემი მეგობარი ვერც კი დავასაფლავეთ, მერწმუნეთ, სხვაგვარ ლექსიკას არ უნდა ელოდოთ.

— მგონი, აქ იმისათვის ვართ, რომ ახალი ნაბიჯები გადაიდგას, — შემომეშველა დათო, — თუ ახლა ერთმანეთს ძველი ცოდვები გავუხსენეთ, სადამდე მივალთ?

გახშმის დროს სტანისლავი გვერდზე მომიჯდა.

— Без обид?

— Без!

— ლალი, მე თქვენც მესმის, ბევრი შვილმკვდარი ქართველი დედისაც, იგივეა ჩვენთან, ნახევარი აფხაზეთი ძაძებშია გახვეული. ვის სჭირდებოდა ეს ომი? მე და თქვენ? მე თბილისში საუკეთესო მეგობრები მყავს, მთელი ახალგაზრდობა ერთად გავატარეთ, იმ სიტუაცია და სიყვარულს რა დამავინყებს, რაც ჩვენ შორის იყო? რად გვინდა გერმანიაში ან ამერიკაში გამართული სულელური დიალოგი? ერთმანეთთან პირისპირ უნდა შეგვეძლოს საუბარი.

— და პირველ რიგში ბოდიშის მოხდა! — ვთქვი მე.

— დიახ, ასეა, და სანამ ამას ვერ შევიგნებთ, ვერც ბრიტანული და ვერც ამერიკული პროექტი ვერ გვიშველის!

— არა, მართლა რა უბედურებაა ეს თითიდან გამოწოვილი შეხვედრები? — ვიკითხე ვახშმის დროს.

— სხვა რა გზა გვაქვს? — მითხრა დათომ, — იქნებ ასე, ნელ-ნელა, რაღაცას მივალწიოთ.

— პირდაპირი მოლაპარაკება გჭკირდება, რუსების, ამერიკელებისა და კიდევ სხვა ათასი ჯურის გარეშე!

— ალბათ, ოდესმე ასეც მოხდება ან კიდევ უფრო გაუარესდება, — თქვა ბაქრაძემ.

— მეტი რაღა უნდა გაუარესდეს? — გამიკვირდა მე, — ტერიტორიები დაკარგული, სამოქალაქო სექტორი — პასიური, რუსეთის სრული ჰეგემონია! რა, თბილისსამდე ხომ არ მოვლენ?

— ვინ, აფხაზები? — იკითხა დათომ.

— არა, რუსები! ჩვენ მათთან გვაქვს პრობლემა, ნუთუ არ გესმის, რომ

ოსებიც და აფხაზებიც მიყვლები არიან!

— ალბათ, — აიჩეჩა მხრები დათომ...

ფრანკფურტში ჩემი და საქართველოს დელეგაციის გზები იყოფოდა, მე კარლსრუეში ბავშვობის მეგობარ ქეთი დანელიასთან მივდიოდი, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, თბილისიდან გამოფრენილ თვითმფრინავს გიორგი კანდელაკი მოჰყავდა.

ფრანკფურტში, თბილისის რეისის მოსაცდელში გიორგის ველოდებოდი, როცა დიდი ნაბიჯებით აეროპორტის სიღრმიდან მიშა სააკაშვილი გამოვიდა.

— მოროშკინა, შენ აქ ვის ხვდები? — მკითხა მრავალმნიშვნელოვნად.

— აბა, თუ მიხვდები? — ვუპასუხე მე, — კი, მაგრამ ერთი კვირის წინ არ შეგხვდით, ამერიკაში რომ მიფრინავდი?

— მე უკვე ჩამოსვლა მოვასწარი და ისევ შტატებში მიფრინავ. დაიბრუნეთ აფხაზეთი?

— ცოტა დროში დავინვით.

— ხომ იცი, თუ ახლა იმას ელოდები, ვინც მე მგონია, მაგრად მენწყინება!

— იცი, ფრანკფურტის აეროპორტში რამდენი ცივი წყალი მოდის? — ვუპასუხე მე.

მიმზა გზა გააგრძელა. ამასობაში გიორგიც გამოჩნდა.

— ცირკი გითხრა, იცი, ვისთან ერთად ვიმგზავრე? მიშა სააკაშვილთან! ყველა მგზავრი ჩემთან იყო, სულ პეტერბურგის ამბებს მაყოლებდნენ, მიშას კი თავისი გამოსახულებიანი გაზეთი ჰქონდა ფართოდ გაშლილი და ვითომ ვითხულობდა.

— ვიცი, პირველი გამოვიდა... ძალიან მომენტარე, — ვუთხარი და მაგრად ჩავეხუტე.

როდესაც გასასვლელისაკენ წავედით, ერთ-ერთი ბოძის უკან ამოფარებული მიშა შევნიშნე, რომელიც თვალს მადევნებდა. ჩემი არჩევანი აშკარად ნერვებს უშლიდა.

„დედა, როგორ შეიცვალა ეს ბიჭი, — გავიფიქრე, — ან რას დარბის ამ ამერიკაში კვირაში ორჯერ?“

ორი გორალი

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ „მოქავშირში“ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ კულუარებსა თუ ბოლომდურ წვეულებებზე ყველა ამბობდა, რომ ახალგაზრდა რეფორმატორები ედუარდ შევარდნაძესა და მის გუნდს მალე დიდ დარტყმას მიაყენებდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებისას ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა...





მწვევე პოლიტიკური ბატალიების პარალელურად, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია უკიდურესად გართულდა, — ადამიანების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამასთან, შეიქმნა ე.წ. პანკისის ანკლავი. შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები შევარდნაძის გუნდთან საბრძოლველად მოხერხებულად იყენებდნენ. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ 2001 წლის ნოემბერში ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის სხდომაზე ულტიმატუმი წამოაყენა, — თუ გადადგება შს მინისტრი კნას თარგამაძე, მზად ვარ, თანამდებობა მეც დავტოვო! ეღუარდ შევარდნაძემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მთელი მთავრობა დაითხოვა. შესაბამისად, ზურაბ ჟვანიამაც დატოვა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი.

ისე, პოლიტიკური პროცესების დუღილი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის, გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ დაიწყო. ყველაფერმა კი კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა „რუსთავი 2“-ში უშიშროება შევიდა...

...თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელი მისთვის საპრეზიდენტო ტრამპლინად იქცა...

\* \* \*

ზაფხულის ცხელი დღეები იდგა. მე პანკისში წასასვლელად ვემზადებოდი. საქმე ის არის, რომ ჩვენი სამინისტროს ეგიდით სტუდენტებს მათთვის საინტერესო თემებზე ტრენინგებს ვუწყობდი, ამჯერად მათ პანკისი აინტერესებდათ.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ თითქმის ყველა საციმბიროდ გამზადებული მოვიდა, როგორც ჩანს, თავად სიტყვა „პანკისი“ მათში რაღაც შორეულისა და ცივის ასოციაციას იწვევდა.

— რამ გადაგრაიოთ, იწვის ქვეყანა! — გამეცინა მე, — თანაც კახეთისაკენ ხომ სულ პაპანაქებაა.

ახმეტის გამგებელმა სიამოვნებით მიგვიღო და თან მთელი ხეობა დავათვალიერებინა. ჩვენთან ერთად ცხინვალის უნივერსიტეტის ლექტორი, ქალბატონი აზა კოკოვეაც იყო. საინტერესო გამოდგა ახმეტის რაიონის ოსური სოფლების მონიტორინგი. წარმოიდგინეთ სტუდენტების გაკვირვება, როცა გარდა მეჩეთებისა, სამოციანელების ეკლესიაც აღმოაჩინეს.

ექსკურსია-ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. მთელი კვირის გან-

მავლობაში პირველადი მოხმარების ნამლებსა და ათას წერილმანს ვაგროვებდით, პანკისში კი სტუდენტები და ჩემი შვილი სანდრო სიამოვნებით ურიგებდნენ თანატოლებს საჩუქრებს.

„მამაჩემთან დარეკვა არ დამავინყდეს“, — მიტრიალებდა თავში. გიორგის უკანასკნელი ტრავმის შედეგად სულ უფრო და უფრო უფუჭდებოდა მხედველობა, კონსულტაცია ვიქტორის მეგობართან უნდა გაგველო. ხეობიდან ჩამოსული პირდაპირ საავადმყოფოსკენ გავეშურე.

ექიმის კაბინეტიდან გამოსული გიორგი უხასიათოდ მოდიოდა.

— რაშია საქმე? — ვკითხე მამას.

— მორჩა კრივი, თვალის ქალი აქვს განყვეტილი და ნებისმიერი დატვირთვა შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. და კიდევ, გადმოიხარა ჩემკენ ვიქტორი, — დამიჯერე, გიორგის ასაკთან ერთად პრობლემები გაუჩნდება, რაც არა მგონია, შენთვის მისაღები იყოს.

— რა პრობლემები? — ვკითხე შეშინებულმა.

— ხასიათთან დაკავშირებული, დანარჩენს ნუ მკითხავ.

ამ საუბრიდან ერთ კვირაში გიორგიმ „ისტორიული გადანყვეტილება“ მიიღო, — „მოქალაქეთა კავშირის“ სიით კენჭი ვყარა.

— ნეტავ რაში გჭირდება? — ვკითხე მე, — „მოქალაქეთა კავშირი“ გუშინდელი დღეა, მე ვერავინ დამასწრებდა, კარგი რომ ყოფილიყო.

— აბა, იმ მასხარა მიშასთან ხომ არა? სულ ცისფრები და ვარდისფრები რომ არიან? თანაც, სუფთა ჟირინოვსკი-2-ია, — ვერ ეგუებოდა გიორგი ახალდაბერილ ნიავს.

ძნელი იყო იმის ახსნა, რისი გაგებაც ადამიანს არ უნდოდა. გიორგი იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ არავისი არაფერი ესმოდა.

— კი მაგრამ, შენ არ მეუბნებოდი, ცირკის დათვივით სულ რინგზე ხომ არ იქნებო? — მეკითხებოდა გიორგი.

— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარლამენტში უნდა შეხვიდე, თუმცა შენი გადასაწყვეტია, — ვბრაზობდი

მე, მაგრამ კანდელაკის სიჯიუტეს ბოლო არ უჩანდა.

\* \* \*

ქვეყანა უცნაურად შფოთავდა და რაც უფრო ირეოდა ვითარება, მით მშვიდი ჩანდა ედუარდ შევარდნაძე. „ნაციონალური მოძრაობა“ უკიდურესად გააქტიურდა, ის კი ხან ყვითელი ავტობუსების, ხან ძროხების ფერმის პრეზენტაციაზე დადიოდა. მე გამჩენი ისევ არ მასვენებდა და ამჯერად ქართლის სოფლებში კონცერტების გამართვას ვგეგმავდი. მომღერლებსაც ეცალათ, რადგან ზაფხული ისედაც არ იყო გასტროლებით გადატვირთული დრო. ვარიანში, გიორგის კომფორტული კუნძულიც და სასტუმროც მუდამ მზად იყო სტუმრის მისაღებად. წინააღმდეგ ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებას, ქართლის სოფლებში კონცერტის გამართვის თაობაზე, პირველად მომღერალი თემურ თათარაშვილი გამოეხმაურა. მე მას როგორც ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და შესაბამისად, მაღალანაზღაურებად მომღერალს ვიცნობდი, ამიტომ უხერხულობის თავიდან ასარიდებლად ვამჯობინე, თავიდანვე მეთქვა პირობები.

— თემო, დიდი მადლობა, საქმე ის არის, რომ ჩვენ არანაირი სახსრები არა გვაქვს და ამიტომ კონცერტები უფასოდ იმართება.

— რას ამბობ, ლალი, არა გრცხვენია, როგორ იფიქრე, რომ მე ჰონორარს მოვიტხოვდი? — მითხრა წყენით თემომ.

გახარებულმა ერთი მაგრად ჩაებურჯენე და დანარჩენებს დავლოდე. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, ერთი დაძახებით უამრავი მომღერალი, დათო ოქიტაშვილი აპარატურით და ვისაც ყველაზე ძალიან არ ველოდებოდი, გივი სიხარულიძე, დატვირთული საკუთარი წიგნებით, მზად იყვნენ, შიდა ქართლის სოფლებში მოხეტიალე მუსიკოსებივით ევლოთ! ხარობდა ქართლი, ბავშვები ავტოგრაფების რიგში იდგნენ.

ყველაფერი კუნძულზე დიდი ღრეობით დამთავრდა. ჩვენი მომღერლები, სტუმრები ქალაქიდან და ჩემი უფროსი მეგობარი ტელევიზიიდან ცირა ლაბაურიც კი სამშვიდობო ჯარების სარდლობასთან ერთად ერთიანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ.

გიორგი სულ უფრო ხშირად სტუმრობდა კანცელარიას. ჩემი ყოველი ნაბიჯი კი „ნაციონალური მოძრაობის“ პიარად აღიქმებო-





და. ჩვენ, ფაქტობრივად, სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით.

\* \* \*

თბილი სექტემბერი ხეებზე შემორჩენილ ფოთლებს ეფერებოდა, მე კაბინეტის ფანჯარასთან ვიდექი და თავისუფლების მოედანს გაცქეროდი, თან კონდიციონერის ზუზუნში დასვენებაზე ვოცნებობდი. რა მოხდა, რა... მხოლოდ სამი დღე... ამ ზაფხულმაც რა სწრაფად გაირბინა, ერედვი, ქურთა, თამარაშენი... რა ბედნიერება იმის შეგრძნება, რომ ოდითგანვე გმირობით განთქმული ქართლები ამდენი წელია სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარზე სახლობენ და იქ ჩასულ გაზულუქებულ, გამძღარ თბილისელებს კიდევ აქეთ გვანწყნარებენ, არ ინერვიულოთ, დედაქალაქს მიხედეთ, ჩვენ აქა მაგრად ვდგავართო. ქურთის სამშობიარო სახლში უკვე ცხინვალელი ქალები მშობიარობენ. წინა კვირას ერთი ასეთი ბავშვის ნათლია ქართველი მებან-გინეკოლოგი იყო ეს მხოლოდ საავადმყოფოს გახსნის ერთი თვისთავზე. მერე და მერე ხომ სულ აქეთ წამოვლენ? თამარაშენის სკოლა? როგორ გაუხარდათ ბავშვებს, კომპიუტერები რომ ჩაუტანეთ...

ტელეფონის ზარმა ლიახვის ხეობიდან მომაბრუნა.

— ქალბატონო ლალი, თქვენთან არიან, — გამანყვეტინა ფიქრი მდივანმა.

— მობრძანდნენ, — მივუგე მე.

კაბინეტის კარში გიორგი კანდელაკის ფიგურა აზვირთულიყო.

— რა მოხდა? — ვკითხე თავზე უცაბედად დამტყდარ გიორგის, რადგან ვიცოდი, რომ სამსახურის მერე ისედაც უნდა მენახა.

— მიჭერენ, ლალი, — ამოიგმინა გიორგიმ და თითქოს მის მძიმე სუნთქვას სულ ცოტა 300 არაგველი ამოჰყვა.

— კი, მაგრამ რაზე? — დავსვი ლოგიკური შეკითხვა.

— შენ არ იცი, ადრე მე და ჩემს სიმამრს მიღების ბიზნესი გვქონდა გორსა და კასპში, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მიძინებული საქმეა, ახლა კი თავიდან ჩიჩქნიან, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— მერე გორელი არა ხარ? ვერაფერს შვრები? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— ვერა, პირდაპირ სააკაშვილის ინტერესიაო. გადამარჩინე, დაურეკე.

— შენც და შენი სიმამრიც? — სარკასტულად ვიკითხე მე. გიორგი კარგად ხვდებოდა ამ შეკითხვის არსს.

— რა ვქნა, საქმეში ერთად გავდივართ, ხანშია უკვე, თანაც დიაბეტი აქვს.

— კარგი, კარგი, ეს იმ დაზარალე-

ბულივით მოგდის, მანქანა ოდნავ რომ გაკანრავს და მძღოლს უჩივიან, ერთადერთი მარჩენალი დამისახიჩრეო...

— დაურეკე შენს მეგობარს! — კატეგორიულად მოითხოვდა გიორგი.

— კარგი, ახლავ დაურეკავ, შენ თვალწინ, — და ტელეფონში მიშას აბდაუბდა ტელეფონის ნომრის ძებნა დავიწყე. „რა გახდა ერთი ადამიანური ნომერი, ეს რა ციფრების ნიშნაა, პითაგორა რომ იყო, ვერ დაიმასოვრებ“, — ვფიქრობდი და თან ნომერს ვკრებდი. ფიჭურ კავშირში მიშას ხმა უკვე ისმოდა.

— არ მითხრა ახლა, რომ მაგ სპორტსმენზე მირეკავ, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.

— ვა, როგორ მიხვდი?

— რა მიხვედრა უნდა, ტელევიზორს არ უყურებ? დღეს გორში მაგის რობოტებმა ოქრუაშვილს სცემეს, ჰოდა, ჩასხდებიან ეგეც და მაგის სიმამრიც კარგა ხნით.

— მიშ, მომისმინე, მოდი, ეს ამბავი გავაჰყვინდოთ, ამ ერთხელაც დამიჯერე, — ვთხოვდი მე, მაგრამ, როგორც ჩანს, მიშა რადიკალურად იყო განწყობილი, — კარგი, ახლა ლოგიკურად ვიმსჯელოთ, — გადავვდი მე ქალურ თვალთმაქცობაზე, — შენ, ახალგაზრდა, პერსპექტიული, მომავალი პრეზიდენტი, და ისინი, ორი გორელი, თანაც ერთი სპორტსმენი, თუმცა საკმაოდ წარმატებული, აბა, რა შენი საქმეა კრიჭაში ჩადგომა?

— შენ არ გესმის, რას გეუბნები? ოქრუაშვილს დაარტყეს მაგისმა მოსწავლეებმა, თანაც მთელი გორის დასანახავად, ჩვენ კი არჩევნები გვაქვს მოსაგები, ქართლებს ნაცემები არ ევასებათ, მეზრძოლი ხალხია. ირაკლიმ, მეც ბოლომდე დავდგებო, ჰოდა, სამართლებრივად გახეხავენ ციხეს, იქ ჩამოაყალიბოს მერე კრივის კლუბი! რას გადავკიდე, გამაგებინე, ეგზოტიკა დაგაკლდა ცხოვრებაში? — არ ცხრებოდა მიშა.

— მიშ, ჩემი ხათრით, — დავადაბლე ხმა და ყველაზე მტკივნეულზე მივანეჭი, — ხომ იცი, ამ ეროვნულ უმცირესობებს მაინცდამაინც გულზე არ ესატები, გიორგის კი მოსწავლეები, ძირითადად, ოსები ჰყავს, და საერთოდ, მთელი ქართლი შერეული ქართულ-ოსური ოჯახებია, რაში განყოფილება დაპირისპირება? — დუმილი ყურმილის მეორე მხარეს თანხმობის ნიშანი იყო. დამიჯერა.

— კარგი, მოიყვანე, ოღონდ ამის მერე თუ კიდევ რამე მოხდა, იცოდე, შენ აგებ პასუხს და არ მაინტერესებს ჩვენი მეგობრობა, — ტონი საკმაოდ მკაცრი, თუმცა საგრძნობლად მორბილებული იყო.

მე და გიორგი სამინისტროდან ფეხით საკრებულოში გადავვდი.

— გიორგი, ყველაფერზე დაეთანხმე, თუ თავისუფლება გინდა შენთვის და შენი სიმამრისათვის, — ვარჩებდი მე. გიორგი მორჩილად თავდახრილი მომდევდა.

მიშას მდივანმა ცაცამ უკვე იცოდა, რომ უნდა მივსულიყავით.

— ლალი, სულ 10 წუთი დაელოდე, „გრაჯიდან“ ბიფშტექსი დააგვიანეს და უდროო სადილი გამოუვიდა. ხომ იცი, რამდენს მუშაობს, და რომ არ იკვებოს, მოკვდება, — ქოთქოთებდა ცაცა.

„უდროო ტრაპეზი“ დასრულდა. მე და გიორგიმ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის ზღურბლი გადავკვეთეთ.

— რა იყო, ბიჭო, ძალა გერჩის? — ჰკითხა მიშამ, მაგრამ ტონი საკმაოდ რბილი და კეთილგანწყობილი ჰქონდა.

— რა ვიცი, რა...

— მოკლედ, ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. აგერ, ლალი თავდებად დაგვიდგება და არანაირი ხელის შეშლა, ეს უკვე გადაწყვეტილია, ირაკლიმ მილიონები დახარჯა, არჩევნები უნდა მოიგოს! თუ არა და მერე შენს თავს დააბრალებ და ლალიც ვეღარ გიშველის! — ეს უკვე შეპარული მუქარა იყო.

გიორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქცია.

— ლალი, შენ დარჩი, — მომესმა კართან მისულს.

— იმედია, კმაყოფილი ხარ? — მკითხა მიშამ.


— კი, მაგრამ, მგონი, ჯობს ვარინში წამოხვიდეთ შენ, ვანო და ირაკლი. რინგზე ხელი ჩამოართვათ ერთმანეთს და ჩათვალე, რომ ინციდენტი ამონურულია, თანაც შენი უპირატესობით, თანაც ვისთან? მსოფლიო ჩემპიონთან, და ჰაიდა, ქართლებს გულის დასაპყრობად, You are the best! — ვუთხარი მე და თან ველოდებოდი ცუნამის, წარღვნასა და ქარიშხალს ერთდროულად.

— რატომაც არა? ესე იგი ხვალ გამთენიას ვარიანში გავდივართ მე, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ბარამიძე და იცოდე, არანაირი „შენელის“ კოსტიუმი. ეს სოფელია, სოფელი! — მიშას უეცარი, პიარისათვის ასე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთ ნაშში მიღება მე პირადად ყოველთვის სასიამოვნოდ მაცვიფრებდა. „ეს ხელოვნებაა“, — გავიფიქრე ნამოსვლის წინ.

— ჰო, კარგი, მიშა, გადაწყვეტილია, ზეგ კი სანდრას სამშობლოში მივდივარ. რამეს ხომ არ გამატან?

გამარჯვებული ვტოვებდი მიხეილ სააკაშვილის სალათისფერში გადაწყვეტილ კაბინეტს და თან ორი კაცის გადარჩენილი სიცოცხლე მიმქონდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 17-19  
რუსულად პერიოდი

ერთ-ერთი პოლიციელი მაშინვე უკან ამოიხდგა.

— დიახ, ვიცი, რომ შინ დარჩით, როცა მეძავი თქვენგან ახალ კლიენტთან წავედა, — დაიწყო კომისარმა, — მაგრამ, როგორც ჩანს, მას ადრეც იცნობდით...

პასუხის ნაცვლად ჯიბიდან ავტომობილის კასეტა ამოვიღე და კომისარს შორიდან დავანახე.

— ეგ რაღაა? — აგდებულად მკითხა მან.

— ჩემი ავტომობილის კასეტა... თქვენთვის შევინახე, რომ ამ არეულ-დარეულობაში შემთხვევით არ დაგკარგოდათ... მე უკვე გამარჯვებას ვზეიმობდი. — შეგიძლიათ, მშვიდად მოუსმინოთ...

კომისარმა რამდენჯერმე, ყურადღებით მოისმინა ჩემი და სააგენტოს ადმინისტრატორის საუბარი, რის შემდეგაც შუბლი აღარ გაუხსნია...

— და მაინც... — მან ბოლოს ნერვიულად ჩაახველა, — რაღაც დეტალების დასაზუსტებლად, თქვენი დაკავება მაინც მოგვიწევს... ნუ ღელავთ, ბინას დავლუქავთ, კართან კი პოლიციელი იმორიგევეს.

საკანში ვიღაც თმაგაჩეჩილ ახმახთან,

მანანალასა და ორ ნარკომანთან შემიშვეს — ეტყობა, კომისარს ჩემი ჭკუაზე მოყვანა ამ გზით სურდა. ნარკომანები ჯერ კიდევ მორიგი დოზის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ და თვალებს უაზროდ ნაბავდნენ. ახმახმა კი კარგა ხანს ჯერ თვალით მზომა, შემდეგ შენი ფეხსაცმელი მე უფრო მომიხდებოდა და უნდა დამითმოო, — კბილებში ავად გამოსცრა. მივხვდი, რომ ახალ შარში ვესვეოდი... ახმახი ჩემზე ორი თავით მაღალი იყო, მორიგე პოლიციელი კი, რა თქმა უნდა, არსად ჩანდა... „მოსდეს, რაც მოსახდენია, პირველმა გლიჯე!“ — ქუჩის ჩსუბებში მიღებული მთავარი გაკვეთილი გამახსენდა და სანამ მანანალა შორიდან მზომავდა, მივვარდი და მკერდში მუშტი მთელი ძალით ვატაკე. მოულოდნელი დარტყმა ჩემთვისაც იმდენად ზუსტი და ძლიერი აღმოჩნდა, რომ ახმახმა წამში იატაკზე მოაღინა ზღარ-თანია...

საკნის კარი ხმაურით გაიღო და პოლიციელმა საჩვენებელი თითით თავისთან მისმო. ჩუმად ელიმებოდა. მივხვდი, რომ ჩემი ვერაგი დარტყმა დაინახა. პოლიციელმა მობილური ტელეფონი და საფულე დამიბრუნა. კუპიურების ნომრები აქტში აკურატულად ჩაენიშნა. მე კი ხელმოწერით დამადასტურებინა, რომ არანაირი პრეტენზია არ მქონდა და ამის შემდეგ ისევ კომისარის კაბინეტში აღმოვჩნდი.

— ვიცი, რომ არც ამ და არც სხვა მკვლევლებთან საერთო არაფერი გაქვთ, — ბოჟემ პირის მოქონვა დამიწყო, — მაგრამ მოსვენებას ერთი რამ მაინც არ მაძლევს: საიდან უნდა გცოდნოდათ ჩემსა და ჩემს ქვეშევრდომებს შორის მანქანაში შემდგარი საუბრის შესახებ? იმის დაჯერება კიდევ შეუძლია, რომ განაფული წარმოსახვის წყალობითა და რაღაც დეტალებზე დაყრდნობით, მწერალმა მკვლელისა და მკვლევლობის ზუსტი სურათის შექმნა შეძლოს. მაგრამ პოლიციელების, დეტექტივების, კრიმინალისტების სპეციფიკური საუბრების ასეთი ზუსტი ცოდნა საიდანღა უნდა ჰქონდეს? მსგავსი გამოთქმებით ხომ თვით ჩემს უახლოეს გარემოცვაშიც კი ცოტა ვინმე თუ სარგებლობს. ვინმე ჩემიანი მუშაობს თქვენზე?.. — კომისარმა შეთქმულივით ხმას

დაუნია, — ინფორმაციაში რამდენს უხდით?..

— ვწუხვარ, რომ ვერაფრით გეზმარებით, — მოზეიმე განწყობილება კვლავ ვერაფრით დავმალე, — მე ხომ მხოლოდ გაზეთებთან მაქვს კონტაქტი...

ამ სიტყვების შემდეგ საბოლოოდ დაბოლოვდა კომისარი კარგა ხანს მიბღვერდა და ბოლოს კიდევ დამემუქრა:

— შემიძლია, საქმე ისე მოვანყო, რომ როგორც თანამზრახველს კარგა ხნით ჩაგაყუდებენ... ისეთ მოწმეებს გამოვანახავ, რომ თქვენი ალიბი საპნის ბუშტივით გასკდება!..

— რაკი ასეა, ახლავე მომინევს დარეკვა. — მობილური მოვიმარჯვე.

— ვის ურეკავთ? — დაინტერესდა ბოჟე.

ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საადვოკატო კანტორა და იმ ადვოკატის გვარიც დავუსახელე, ახლახან ორი გულმოდგინედ „ნაკერი“ ხმაურისანი საქმე აღფრთოვანებული პუბლიკის თვალნი ბოლომდე რომ გააცამტვერა...

კარგა ხანს დუმდა კომისარი. შემდეგ სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ მოქაჩა და გამოშვებულ ბოლს თან რაღაც ლიმილის მსგავსი მოაყოლა:

— ესე იგი, მთავარი მწერლის ინტუიციაა, ხომ?.. მაშინ იქნებ, პატივი დამდოთ და ის მაინც მითხრათ, ახლას რას გკარნახობთ თქვენი ყოვლისშემძლე ინტუიცია, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს მკვლევლები?

— სანამ წაბლი ბოლომდე არ მოიყვავილებს, — ალაღბედზე დავაბრუნე.

— არ მეხუმრება! — კომისარს ხმაში ისევ ბრაზი შეეპარა.

— არც მე! — მეც ეშხში შევედი. — გაიხსენეთ, როდის მოკლეს პირველი მეძავი? დიახ, დიახ, წაბლის ხეებზე პირველი კვირტები რომ დასკდა, მაშინ! ხეები გადაიპენტა თუ არა, მკვლევობაც მკვლევობას მოჰყვა. იმიტომ, რომ გაზაფხულის ეს მათრობელა არომატი მანიაკს პირდაპირ ჭკუიდან შლის. ცოტაც და წაბლის ყვავილებიცა და მანიაკიც წარსულს ჩაჰპარდება. ოღონდ მხოლოდ დროებით! ფიქრობ, მომავალ გაზაფხულზე „ქირურგი“ ისევ გამოჩნდება, მაგრამ იმ დროისთვის ხომ თქვენ უკვე დამსახურებულ პენსიაში იქნებით გასული...

— იმედი ვიქონიოთ, — კომისარმა საფერფლეში სიგარეტი გამეტებით ჩაჭყლიტა, რომლის თავშიც ახალი და საკმაოდ ვერაგი გეგმა მნიფდებოდა.

„ერთ კვირას მოვიტოვებ, — ფიქრობდა იგი, — თუ ამ ხნის განმავლობაში აღარაფერი მოხდება, ნაცნობი ნარკომოვაჭრის გამოდევნების ინსცენირებას მოვანყო. კიდევ კარგი, აქამდე რომ არ დავიჭირე!.. თითქოს ვგრძნობდი, რომ რაღაცაში კიდევ გამომაგებოდა. დევნისას გავაგორებ, ბინაში კი სამხილს — მოკლულების რამდენიმე თმის ღერს, ანდა სულაც მანიაკის რომელიმე



მსხვერპლის სისხლში მოსვრილ სკალ-პელს შევუგდებ“...

ჩემი წიგნი ბესტსელერი გახდა და ორასათასიანი ტირაჟიც უცბად გაიყიდა. წიგნს „ნაბლის არომატი“ დავარ-



ქვი. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ეს სათაური თავში მხოლოდ კომისრის კაბინეტში მოხვედრისას მომივიდა. ბანკში, ჩემს ანგარიშზე უკვე ექვსიწინა თანხა იდო. ასე რომ, მართლა მდიდარი ვიყავი. მკითხველები, განსაკუთრებით ქალები, გასაქანს აღარ მაძლევდნენ და სადაც კი მომიხელთებდნენ, წიგნის ხელმოწერას მთხოვდნენ. ასეთი წარმატების შემხედვარე, გამომცემლობის დირექტორმა კიდევ სამასი ათასი ეგზემპლარის გამოცემა გადაწყვიტა და მეც ხელი ახალ კონტრაქტს მოვაწერე...

ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ კომპიუტერმა ჩემი ნებელობა ბოლომდე ისევე მართა, როგორც ჩემამდე მისი სხვა პატრონებისა. იმის წარმოდგენაც კი მზარავდა, თუ კიდევ რამდენი ადამიანის ქვეცნობიერიდან გამოიხმო ამ მონსტრმა ყველაზე ქვენაფიქრები თუ სურვილები...

კომპიუტერის უწინდელი პატრონი ველარ ვიპოვე. ბინიდან ნაბლის ხეებზე კვირტების დასკდომისთანავე გადასულიყო. მივხვდი, რომ ჩვენ — მე და კომპიუტერ-მონსტრს გაგვექცა...

„კი, მაგრამ განა მას კი არ შეეძლო ამის გაკეთება?! — გულში უკვე მერამდენედ ვბრაზობდი კომპიუტერის უწინდელ პატრონზე და, ახალი „შევროლეს“ საქსთან მჯდარი, გვერდით სავარძელზე მოთავსებულ ახლახან ნაყიდ მოზრდილ უროს თვალს ხშირ-ხშირად ვავლებდი. ამასობაში ჩემს დალუქულ ბინას (პოლიციის კომისრისგან წამოსვლის

შემდეგ იქ ერთი ღამეც აღარ გამოთვია) მივუახლოვდი. „თუმცა იქნებ, ის უბედურიც ცდილობდა ამის გაკეთებას და რაღაცამ, ანდა სულაც ვიღაცამ ხელი შეუშალა? — რატომღაც თავადვე გამოვესარჩლე წუთის წინ გაკიცხულ ჩემს „წინამორბედს“, — არა უშავს! ამ მონსტრზე ორივეს მაგივრად შურს მე ვიძიებ!“ — ბოლოს დავიქადე და მანქანა მაღამ რანიეს სახლთან გავაჩერე. ურო ჩანთაში ჩავდე, ჩანთა მხარზე გადავიკიდე და მანქანიდან სწრაფად გადმოვედი...

ჩემდა გასაკვირად, სახლის პატრონი კიბის თავში, თავის ჩვეულ „პოსტზე“ არ დამხდვა, რამაც გამახარა, რადგან ახლა ყველა ჩემი აზრი და ფიქრი მხოლოდ კომპიუტერ-მონსტრს დასტრიალებდა: „უცბად უნდა შევიდე და ძლიერი დარტყმით ჯერ მონიტორი, ის ცალთვალა ეშმაკი უნდა ვაქციო ნამსხვრევებად და შემდეგ „დედამამიშვილებიც“ ზედ მივაყოლო! სულ ნამცეცებად უნდა ვაქციო ყველაფერი და სხვადასხვა ნაგავსაყრელზე მიმოვფანტო“...

ოთახში კი არ შევედი, შევევარი. მონიტორის ეკრანი ანთებული დამხვდა, კომპიუტერი ძველებურად მელოდა... ჩანთიდან ურო ამოვიღე და მონსტრს მთელი ძალით მოვუქნიე, მაგრამ ხელი ჰაერში გამოშვდა, რადგან ეკრანის მენამულ ფონზე ლურჯი ასოებით უმაღ საშინელი მუქარა გამოიკვეთა: „როგორც კი ძიმიე ლითონის საგანს დაარტყამ, ავტომატურად მკვლეელი გახდები! ეს სურათი კი მაშინვე მსოფლიო ქსელში გავრცელდება!“

წარწერის გაქრობის შემდეგ მთელი ეკრანი გამოსახულებამ დაფარა, რომლის მთავარი გმირიც მე ვიყავი, ხელში ბასრი სკალპელი მეჭირა და საბრალო ნათიას მუცელს ოსტატურად ვუფატრავდი...

ასე უბედურად და მიუსაფრად თავი აქამდე არასდროს მიგრძნია. უკიდურესმა სასონარკვეთილებამ გული ბოლომდე დამითუთქა. ხელი უღონოდ ჩამომივარდა, ურო იატაკზე ხმაურთანად დაეცა, მეც იქვე ჩავჯექი და თავი აკანკალბულ ხელებში ჩავრგე...

თავი რომ ავნიე, ეკრანზე გამოსახულება აღარ იყო. თუმცა შევხედე თუ არა, ეშმაკმა მაშინვე თვალი „ჩამიკრა“: „ვატყობ, მეტად აღარ გჭირდები, მე ხომ უკვე გაგამდიდრე! — კვლავ ლურჯად ალაპლაპდა ეკრანზე სიტყვები. — ასე რომ, უკვე დროა, ჩემი თავი სხვას გადაულოცო“...

მაცივარში კონიაკის სანახევროდ დაცლილი ბოთლი მოვებნე და პირდაპირ მოვიყუდე. სასმელი რამდენიმე ყლუპად ძლივს მეყო. ვიგრძენი, დაცვარული შუბლიდან წამოსულმა ოფლის

წვეთებმა თვალები როგორ ამინვა. ან იქნებ, თავსაც არ ვუტყდებოდი და ეს უკვე ჩემი სრული უსასოობის დასტური — ნამდვილი ცრემლი იყო? ცალთვალა ეშმაკი, ეს საშინელი რკინის გროვა ხომ პირდაპირ ყელში მწვდა!.. ცოცხალი მანიაკი არავის უნახავს, ის მხოლოდ მე აღვწერე (და, თანაც, როგორ ხატოვნად და დამაჯერებლად!) საკუთარ წიგნში. ასე რომ, ცხადად წარმოვიდგენე, რა ამბავი ატყდებოდა, როცა ეკრანზე მწერლის წარმოსახვით შექმნილი მონსტრი კი არა, თავად სკალპელმომარჯვებული მწერალი გამოჩნდებოდა...

ოთახში შებრუნებულს კომპიუტერის აციმციმებულმა ეკრანმა ისევ თავისთან მიმიხმო. უსიტყვოდ დავემორჩილე: რაც უკვე დამმართა, იმაზე უარესი რაღა უნდა ექნა?! ეკრანზე ჩემთვის სრულიად მოულოდნელად თბილისის ქუჩები გამოჩნდა. სიხარულით გული კინაღამ საგულედან ამომიხტა. მალე ჩემი უბანიც გამოჩნდა, შემდეგ — ჩემი სახლიც... აქედან ასიოდე მეტრში სოფიკოს მშობლები ცხოვრობდნენ. მალე მათი სადარბაზოს შესასვლელიც დავმადე. უხილავი კამერა კიბეებს აუყვავა, შემდეგ ბინაშიც შეიჭყიტა.

სასტუმრო ოთახში სუფრა გაეშალათ. სოფიკოს დედა — ჩემი „უსაყვარლესი“ სიდდერყოფილი პატარა გოგოსავით დაცქრიალებდა და ისედაც უხვ სუფრას კიდევ რაღაც-რაღაცებს უმატებდა. კარზე ზარი დარეკეს და ცოტა ხანში ოთახში სტუმრები ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდნენ. მალე მათ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული სოფიკოც შეუერთდათ... ამჯერად გული პირდაპირ ყელში მომეზვინა და ნერწყვი კიდევ და გადავყლაპე: ჩემი ცოლყოფილი კიდევ უფრო გაფურჩქინილ-დამშვენებულიყო, ხელში წითელი ვარდების თაიგული ეჭირა და ვიღაცას ნახად უღიმოდა. სოფიკოს მზერას თვალი გადავყოლე და სუფრის თავში მდგარი ზონზროხა მამაკაცი დავინახე. სიდდერყოფილმა შეიღის ხელი ჩაავლო, ზონზროხასთან პატარა ბავშვივით მიარბენინა და გვერდში ამაყად ამოუყენა. ზონზროხამაც მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი, პანია კოლოფი ამოიღო, ხვნეშით გახსნა და მორცხვად თავდახრილ სოფიკოს მარჯვენა ხელის არათითზე უძვირფასესი ბეჭედი წამოაცვა... ამის შემდეგ გამოსახულება გაქრა და ეკრანზე ახალი წარწერა გამოჩნდა:

— ჰა, როგორია?! — უკვე მერამდენედ მიგებდა ნიშნს ურჩხული.

— ნაიდ შენი!.. — მუშტი გამეტებით ჩავცხე მონიტორს.

— ეგეთები არ იყოს! თორემ იცოდე, მთავარს ველარ გაიგებ! — დამემუქრა მონსტრი.

— რაც გინდა, ის ქენი! — ურჩხულს საბოლოოდ დავენბდი.

კომპიუტერის ეკრანი ისევ აციმციმდა და კვლავ ჩემს მშობლიურ ქალაქში დამაბრუნა. კამერა ახლა მთანმინდის ერთ-ერთ ვინრო ქუჩას აუყვავა და ყვე-



ლაზე უბადრუცი იტალიური ეზოს ბოლომდე გამოღებულ ჭიშკართან შეჩერდა. იქვე სასწრაფო დახმარების მანქანა, მანქანასთან კი რამდენიმე მოქოთქოთე გულხელდაკრეფილი ქალი იდგა. კამერამ მათ ერთი მიანათა, ჭიშკრის გვერდით გაკრულ დაუანგულ ფირნიშზე კი რატომღაც საგანგებოდ შეჩერდა და ქუჩის დასახელება და ნომერი ტვინში თითქოს ლურსმანივით ჩამაჭედა. შემდეგ, ტროტუარიდან ეზოში მოსახვედრად, სამიოდე საფეხური ჩაიარა და ერთ საღებავაცლილ კარზე შეჩერდა. კარი მალევე გაიღო და ზღურბლზე ჯერ მწვანე სამედიცინოტანსაცმლიანი ორი ახალგაზრდა, შემდეგ კი ჭაღარა ქალიც გამოჩნდა.

— რა არის იცით, ქალბატონო?... — ახალგაზრდებიდან ერთ-ერთმა თავი უკმაყოფილოდ გადააქენა. — ჩვენს აქ სირბილს აზრი აღარ აქვს. მკურნალექიმს ურჩიეთ, თქვენი მეუღლე უფრო ძლიერ ტკივილგამაყუჩებელზე გადაიყვანოს, თორემ მალე მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდება და... — სათქმელი აღარა დაასრულა.

ახალგაზრდები „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში ჩასხდნენ და მალე თვალსაც მიეფარნენ. ქალმა კი მუზობლების თანაგრძნობის სიტყვები ბოლომდე უხმოდ მოისმინა და ისევ სახლში შებრუნდა...

ვინრო ბნელ ოთახში, ძველებურ რკინის საწოლზე ჩონჩხად ქცეული ჭაღარა მამაკაცი იწვა და სულს ძლივს-ლა ითქვამდა. მამაკაცს სასთუმალთან შვიდიოდე წლის თოჯინასავით ლამაზი გოგონა უჯდა და ცრემლები ლაპალუბით სცვიოდა.

— გადი და დედაშენს კიდევ ერთხელ დაურეკე! — ქალმა გოგონა ფეხზე წამოაგდო და ავადმყოფს თვითონ მოაჯდა. — თორემ ხვალ-ზეგ მარტო წამლის კი არა, პურის ფულიც აღარ... — მან შემდეგ ხმას დაუნია.

გოგონა ქალს უსიტყვოდ დაემორჩილა, ოთახიდან კიდევ უფრო ვინრო შუშაბანდში გავიდა, მუშაბგადაფარებული მაგიდიდან მობილური ტელეფონი აიღო და ნომერი რამდენჯერმე უშედეგოდ აკრიბა.

— რა ქენი, დარეკე? — შუშაბანდში ქალიც მალევე გამოჩნდა.

— არ მპასუხობს. — ხმა გოგონას ნერვიულად აუკანკალდა.

— არც გიპასუხებს... — ქალმა ნიშნის მოგებით მიუგო. — ახლა უკვე მაგარი ტიპია და რალაში სჭირდება?

— ბებო, გეხვეწები!.. — თვალები ისევ აუწყლიანდა გოგონას. — ეტყობა, დედიკოს ძალიან ბევრი საქმე აქვს...

— აბა-აბა! — დოინჯი შემოიყარა ქალმა, — მთელი საფრანგეთი დედაშენის თარ-

ჯიმობაზეა ჩამოკიდებული. ეგ რომ იქ არ ჩასულიყო, მგონი, დედა-ენაც კი დაეკარგებოდათ!..

— დედიკომ ხომ გვითხა, ხანდახან პრობლემები მაქვს და იმიტომ ვერ გირეკავოთ?..

— დედაშენი თვითონაა პრობლემა! — ხმას აუნია ქალმა. — მამაშენი ყოფილიყო ცოცხალი, აჩვენებდა მაგას საფრანგეთს!.. ქერივი ქალი რომ ერთადერთ შვილსაც სხვას შეატოვებს და თვითონ საზღვარგარეთ წაწალოს მოჰყვება, მისი რალა უნდა იწამო?

— ესე იგი, შენ და ბაბუა სხვები ხართ? — ასლუკუნდა გოგონა.

— ბავშვისთვის დედასთან შედარებით ყველა სხვაა, — თავისას არ იშლიდა ქალი.

თუმცა კედელს მიშტერებული ბავშვი მას უკვე აღარ უსმენდა. კედელზე პატარა ხისჩარჩოიანი სურათი ეკიდა. კამერა კედელს მოუახლოვდა და სურათზე გამოსახული ახალგაზრდა ლამაზი ქალ-ვაჟის სახეები მკაფიოდ გამოაჩინა.

— ღმერთო! — თავზე ორივე ხელი ვიტაცე. — ეს ხომ ნათიაა!..

უეცრად მონიტორის კუთხეში რალაც ციფრები გამოჩნდა.

— ეს რალა ჯანდაბაა? — ახალი საშინელების მოლოდინში ხმამალა ვუყვირე მონსტრს.

— თათიას, უფრო სწორად ბებიამისის მობილურის ნომერია. — ნარწერა ციფრების გვერდით აკიფდა.

— თათია ვინლაა?

— ნათიას შვილი... დაურეკე და მოიკითხე! ხომ იცი, შენი ხმის გაგონება როგორ გაუხარდება!..

— სწორედაც რომ დაურეკავ!

— მაინც რა უნდა უთხრა?

— ეგ შენი ბინძური ტვინის საქმე არ არის! — მობილური ავიღე და მონიტორზე გამოსახული ციფრები ხელისკანკალით ავკრიბე.

— დედიკო რეკავს! — ზარის ხმის გაგონებისთანავე სიახარულით შევივლა გოგონამ და ტელეფონს ეცა:

— დეე, შენა ხარ?

— გამარჯობა, თათია! — ფრანგულად მივესალმე გოგონას.

— თქვენ... თქვენ ვინ ხართ? — თავდაც ფრანგულად მიპასუხა შემცბარმა გოგონამ.

— მე... — ნამით მეც ენა დამება. — დედაშენის კოლეგა ვარ...

— დედიკო სადლაა? — ბავშვს ხმა აუკანკალდა.

— ნათიას ქალაქიდან გასვლა მოულოდნელად მოუხდა, — მეტი დამაჯერებლობისთვის ბავშვს დედის სახელიც ვუხსენე, — ახლა ალბათ, უკვე მთებშია, უცხოელი ტურისტების ჯგუფი წაიყვანა. იქ მობილური ტელეფონი არ იჭერს და ამიტომ შენთან დარეკვა დამავალა...

— მართლა? — ბავშვს თვალები სიხარულით აენთო.

— ჰო... მთხოვა, შენთვის გადმომეცა, რომ ძალიან, ძალიან უყვარხარ... ბებიამენს კი უთხარი, რომ ხვალ ბანკში წავიდეს და ფული აიღოს...

— დედიკომ გამოგვიგზავნა?..

— რა თქმა უნდა!

— ბევრი? — თათიამ იქვე მდგარ სმენად ქცეულ ბებიას ამაყად გადახედა.

— ძალიან ბევრი!.. შენმა დედიკომ ამას წინათ ძალიან დიდი ჰონორარი გამოიმუშავა. — საკუთარი ხმა თავადვე ეღარ ვიცანი...

ჩემი განცხადება „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა. ნაშუადღევს კი უკვე მყიდველი გამოჩნდა, რომელმაც კომპიუტერის დათვალეერების შემდეგ აღტაცება ვერაფრით დამალა. ან კი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ამ მონსტრში მისი მეათედი ფასიც კი არ მოვთხოვე...

ცალთვალა ეშმაკი ჩემი ბინიდან იმ დღესვე გაქრა. ახლა მართლა თავისუფალი ვიყავი და საქართველოში დაბრუნებაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. იქ ხომ უკვე ორი დიდი საქმე — სოფიკოს დაბრუნება და პატარა თათიას გზაზე დაყენება მელოდა... ვინმეს რომ ეკითხა, სხვის ცოლსა და მით უფრო სხვის შვილს ვინ მიგაკარებს ან რა უფლებით ეპოტინებო, პასუხს ვერ გავცემდი. მაგრამ, ის კი ზუსტად ვიცოდი, რომ ამ ორი ადამიანის გვერდით ყოფნა უკვე ჰაერივით მჭირდებოდა...

და კიდევ... უკვე იმაშიც მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ კომპიუტერი-მონსტრი ამიერიდან ვეღარავის მოკლავდა. კაფანდარა ყმანვილი, რომელმაც ჩემგან კომპიუტერი იყიდა, მხოლოდ ბანკის რიგითი თანამშრომელი იყო. ასე რომ, ყველაზე მეტი, რასაც ცალთვალა ეშმაკი ამ შემთხვევაში „მოახერხებდა“, უბრალო კლერკის უდიდეს ქურდ-მილიარდერად გადაქცევა იყო...

დასასრული





# ავს სიავე, სადაც წავა, თან წაჭყვენაო!..

## ინგა ჯაყელი

ამ გვარის ქალებს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ, ჩვენი მხრიდანაც რომ არ მივყავნოთ უნებური ზიანი), ყოველთვის უჭირდათ გათხოვება — ავი და აშარი დიაცების სახელი შორს ჰქონდათ გავარდნილი. სადაც ისინი რძლებად შევიდოდნენ, იმ ოჯახში სიმშვიდე სამარადუამოდ ირღვეოდა: არ იყო ადვილი მათი გულის მოგება. როგორც უნდა გეცადა, უკმაყოფილების გამოხატვის მიზეზს ყოველთვის პოულობდნენ და წავიდაა-ა... სულ ტყუილი იყო მათთან თავის მართლების მცდელობა...

არადა, არც იმ გვარის ქალებივით ლამაზი დადიოდა ვინმე იმ არემარეში: მაღლები, თეთრყრმები, ჯიშინი მკერდით, ცასავით უძირო ლურჯი თვალებით... ზღაპრებში აღწერილი მთარული მზეთუნახავები იყვნენ...

ხალხი ძველი დროიდან შემორჩენილ ლეგენდის მსგავს ამბავსაც კი იჯერებდა და ამტკიცებდა — წყალი არ გაუვაო: თითქოსდა ამ გვარის ერთ-ერთ წინაპარს, სახელგანთქმულ მონადირეს ტყის ალის გულის მოგება მოუხერხებია და ის ალქაჯი შეურთავს ცოლად: ჰოდა, სწორედ იმ ალქაჯისგან ერგოთ მემკვიდრეობად ქალებს როგორც არაბუნებრივი სილამაზე, ასევე უსაშველოდ ჯიუტი და მოუთოკავი ხასიათი...

საცოლედ შეღერებულ ბიჭებს დედები ყველაფერს აფიცებდნენ:

— ოღონდ იმ გვარის ქალს ნუ შეიყვარებთ და თუ გინდა, გადამთიელი იყოს, გარეგნული ნაკლიც ჰქონდეს. სხვას გულში ჩავიკრავთ და ჩვენს ნაწვალზე-მოყვანილ ოჯახს დაუმაღლებლად ჩავაბარებთო!..

დედები კი ჩაიხუტებდნენ, მაგრამ ბიჭებს მაინც იმ ლამაზმანებისკენ გაურბოდათ თვალები და იმ გვარის ქალებისთვის არც გათხოვება ყოფილა ოდესმე პრობლემა...

დიდხანს არც ჩვენი დღევანდელი ამბის გმირი შერჩენია მამის კერას: 16 წლის გათხოვდა ღია და ისედაც დამფრთხალ დედამთილს ისეთი სიმწარე აჩვენა, ცოტა ხანში ჩაალაგა ქალმა ბარგი-ბარხანა და ჯერ მძას სთხოვა თავშესაფარი, მერე იმდენი ქნა, ფული დააგროვა და საზღვარგარეთ გაემგზავრა:

— მირჩენია, სხვისი მონა ვიყო, ვიდრე — ალქაჯიანთ ქალისა!..

ამის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: ღიამ მამამთილსაც კი დაანინკნა თმა და ქმარს ხომ ღერიც არ შეარჩინა:

— ქალმა რა გაგიბედათ, როგორ უპატრონოდ დაგყარათ, თქვენი კაცობისა რა ვთქვა, ხომ არ გგონიათ, ცხელ სადილ-ვახშამს მის ნაცვლად



გაგიკეთებთ, თვალებიც დაგდგომით, საიდანაც გინდათ, მოსამსახურე მომიყვანეთ, თორემ მოგიგდებთ ამ ბაღს და მიგატოვებთ! — ორი თვის ჩვილი ქმარს ხელში შეაჩეჩა.

შვილი შეეცოდა დათას, თორემ ავი ქალი თუ გაექცეოდა, გაუხარდებოდა კიდევაც: უქირავა დამხმარე! ერთი... მეორე... მესამე.

ერთ თვეზე მეტხანს არც ერთი გაუჩერდა. დედამთილისთვის დაგროვილი შხამი სულ იმ უბედურებზე აფრქვია.

ცოლს ხომ ველარ იტანდა დათა და შვილის დანახვაც აღარ შეეძლო მის გადამკიდეს. გაქცევაც დააპირა. დედა კარგა ხანია, უთვლიდა: გზის

ფულს გამოგიგზავნით, ჩამოდით შენ და მამაშენი, აქ ახალი ცხოვრება დაიწყოთო!..

მამა გაამგზავრა კიდევაც, რომ ცოლმა აიტყხა:

— შენ რა უნდა აკეთო იქ, ქალები უფრო სჭირდებათ, მე წავალ ისევ, რომ ფული დავაგროვო!

ჰოდა გაუშვა. საზღვარგარეთ წავლა სულაც არაფერში სჭირდებოდა, მთავარი ის იყო, ცოლს მოშორებოდა. თანაც, შვილი სიდედრმა წაიყვანა: სანამ ჩვილია, გაგიზრდითო!.. (დათას მანამდე ანგელოზად ეჩვენებოდა სიდედრი აშარი ცოლის ფონზე და მის შემდეგ ხომ „დედიკო“ დაუძახა ლამის).

...ორი წლის წინ გაემგზავრა ღია.

ერთი წლის შემდეგ ქმარს შეატყობინა:

— ნუღა დამელოდები და შენს ბედს ენიე, მდიდარ კაცს შეუყვარდი, ცოლობა მთხოვა. ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ!..


სხვა კაცისთვის ამის გაგონება ცის თავზე დამხობის ტოლფასი ამბავი იქნებოდა, დათას კი ლამის გული გაუჩერდა სიხარულით. იმავე საღამოს შეკრიბა მეზობლები და გრძელი სუფრა გაშალა: ცოლის გათხოვება ზარ-ზეიმით აღნიშნა. ოქროს რგოლი მოიხსნა თითიდან და შორს მოისროლა (ოქროც არ დაენანა): ჩემდა თავად აწი ცოლის მომყვანისო!..

შურით შესცქეროდნენ ის კაცები, რომლებიც მასავით გაბრიყვდნენ თავის დროზე და იმ გვარის ქალები ესხდნენ სახლში...

არადა, კიდევ ერთი წელი, ისიც არასრული დასჭირდა იმას, რომ ღიას იმ უცხოელის გაგიჟებაც მოუხერხებინა. შესაბამისად დათას ბედნიერებაც დასრულდა...

გაავებული ქალი რომ ვერაფრით მოთოკა, ამერიკელმა ბილიმ თუ ჯიმიმ (მაპატიეთ, ნამდვილად არ ვიცი მისი სახელი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?!) ღია პოლიციის დაასმინა, როგორც ოჯახური ძალადობის ორგანიზატორი და მისი დეპორტაცია მოითხოვა. ოღონდ დროზე მოეშორებინა თავიდან და საქართველოში მისი დასაბრუნებელი ხარჯებიც კი თავად გასწია. ცოტა ხნის წინ კი ღია მძინარე დათას თავს დილაუთენია დაადგა. დედამისის შვილი იყო და არ შეუშვებდა...

ეს ხომ საქართველოა და არა ამერიკა: დათას წარმოდგენა არა აქვს, თუ თავადაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და შეუძლია, ცოლს უჩივლოს — თანაც, ვისთან ან ვის გაუგზავნოს?! ჰოდა, ახლა თავად ამზადებს ისევ საზღვარგარეთ გასაქცევ საბუთებს — თუ ღიამ გაუშვა, რა თქმა უნდა...



# ძლიერი სუსტი ქარი

## სვეტა კვარაცხელია

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-19

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. სალომეს ადგომის თავი არ ჰქონდა, ამიტომ ვაკოს სთხოვა, ყურმილი აეღო, თავად კი იმის გაანალიზება დაიწყო, სანამდე მივიდოდა მისი ახლახან გაცნობილ მამაკაცთან ურთიერთობა. ერთ რამეში უკვე ღრმად იყო დარწმუნებული — გულგრილობის შენარჩუნება მეტად ალარ შეეძლო. მათი გაცნობის პირველივე წუთებიდან ორივეში ისეთი რაღაც მოხდა, ისეთი ნაპერწკალი გაკრთა, რომელიც ერთმანეთით გატაცებას ძალიან ჰგავდა. ამის აღიარება ახლა აღარ უჭირდა სალომეს და იცოდა, რომ ამ ფაქტს ვეღარსად გაექცეოდა. ბევრს ეცადა, როგორმე მოეშორებინა თავიდან მამაკაცზე ფიქრი, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ეს გატაცება უფრო და უფრო იზრდებოდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ მაცდური გრძნობის წინაშე ორივე უძლური აღმოჩნდებოდა...

მარინა რეკავდა... სალიმ მამაკაცს

კითხვით საესე მზერა მიაპყრო. ღმერთო, რა ლამაზია, განუმეორებლად მიმზიდველი! სანამ საავადმყოფოში ნავიდოდნენ, ვაკომ ტანსაცმელი გამოიცვალა. მას შავი პერანგი და ამავე ფერის შარვალი ეცვა, რაც საოცრად უხდებოდა. ერთდროულად შინაურულადაც გამოიყურებოდა და რაღაც იდუმალადაც, რაც კიდევ უფრო მომაჯადოებელს ხდიდა ისედაც ზესიმიპათიურ მამაკაცს.

— მამიდაშენმა — ამაღამ ვერ მოვალაოოო! — „ახარა“ ვაკომ.

გოგონას გოცები-სგან თვალები გაუფართოვდა.

— რატომო?

— გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა, რომელიც დღეს წამოვიწყე და ხვალ დილით უნდა დავასრულოო.

სალომემ კოპები შეიკრა.

— რა საქმეა ამისთანა, არ უთქვამს?

— იკითხა, გულში კი გაიფიქრა, „ნეტავ, რა თამაშს თამაშობს ეს ქალი?“

— აზრზე არ ვარ, — მხრები აიჩეჩა ვაკომ, — როცა შენი ხელის ამბავი ვუთხარი, შეიცხადა, თუმცა კი ძალიან გაუხარდა, რომ აქ ვარ. მთხოვა, ამაღამ შენთან დავრჩე.

სალიმ წამით პანიკური შიშის შემოტევა განიცადა. ვაკოსთან ერთად, თავი ერთი წუთით წარმოიდგინა, ერთ სახლში, მარტო, მთელი ღამით... ამაზე ფიქრიც კი აუტანელი იყო.

იქნებ ეს სულ სხვა რამის შიში იყო? იქნებ იმის ეშინია, მის გვერდით ცდუნებას ვერ გაუძლებს? გულმა გამალებით დაუწყო ცემა.

— ეს „იდეა“ შენ შესთავაზე, თუ მან „დაგაკვალინა“? — დაინტერესდა სალი და უცერად იგრძნო, ხმა როგორ შესცვლოდა.

ვაკომ ისე უცნაურად შეარხია მხრები და ისე გაუგებრად გაიღიმა, სალომესთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

— განა ეს სულერთი არ არის?

— შენი დახმარება არ მჭირდება, — მტკიცედ წარმოთქვა გოგონამ, — მარტოც გადასარეგად მოვუვლი ჩემს თავს.

— რა თქმა უნდა, არ გჭირდება, — შესაშურად მშვიდად დაეთანხმა მამაკაცი, — მაგრამ იქნებ ამჯერად პატივი დამდო და დამტოვო.

— არანაირი სურვილი არ მაქვს, პატივი დაგდო, — ცივად უპასუხა სალიმ და თვალი თვალში გაუყარა.

გოგონა თავს ისე გრძნობდა, თითქოს ხაფანგში მოამწყვდიეს. ვიღაც მანიპულირებდა მისით, რაც სასტიკად არ მოსწონდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მამიდა შეგნებულად დარჩა მეგობართან ღამის გასათევად, რათა წყვილი მარტო დაეტოვებინა. ალბათ იმისთვის დარეკა, რომ სალი გაეფრთხილებინა, გვიან მოვალე. ხოლო, როცა ვაკო მოუყვა, რაც მოხდა, შინ წამოსვლა მამიდას გადაიფიქრა და მათი „შეწყვილების“ შესაძლო შანსი ხელიდან არ გაუშვა.

— სამწუხაროა, — ჩაილაპარაკა ვაკომ უსიამოვნო ხმით, — იმიტომ, რომ მე მაინც დავრჩები, გინდა შენ ეს, თუ — არა.

მეგობრული ატმოსფერო კვამლივით იფანტებოდა და ამაში ისევე და ისევე, სალომე იყო დამნაშავე. მაგრამ რატომ, რატომ? რატომ ცდილობენ ისინი, განსაზღვრონ სალის ცხოვრება? თავად მას რატომ არა აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი?

გოგონამ ომლეტი ისე შეჭამა, წარბი არ გაუხსნია. მამაკაცი დაჟინებით უმზერდა, მის ყოველ მოძრაობას დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ხანდახან შეფიქრანებული გააქნევდა თავს, თითქოს რაღაც გეგმებს აწყობდა. ჰო, რა თქმა უნდა, მარინა მამიდა და ვაკო მეტს კი არაფერს აკეთებენ მას შემდეგ, რაც სალი ჩამოვიდა. გამუდმებით უწყობენ ხელს ერთმანეთს, რაც შეიძლება, ხშირად შექმნან სიტუაცია, როცა სალომე და ვაკო ერთად რჩებიან. რა თქმა უნდა, არაფერია დამნაშავე იმაში, რომ გოგონამ ხელი იტყინა, მაგრამ მარინა მიხვდა, რომ ამ შემთხვევას მისთვის „სარგებლობის“ მოტანა შეეძლო. მისთვის თუ სალისთვის? განა სალი არ დარჩება ამით მოგებულნი? მამიდა თავისთვის ხომ არ ცდილობს? ძმისშვილის ბედნიერებისთვის იბრძვის, განა თავისთვის!

მამაკაცმა სუფრის ალაგება დაიწყო. სალომე ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო, არა და არ გაუარა წყენამ, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო.

— ახლა ამ ყველაფერს სამზარეულოში გავრბამ და დავრეცხავ. კიდევ რა შემიძლია, შენთვის გავაკეთო? ჩაის ხომ არ დალევ? — „მზარეული“ სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა.

სალიმ თავი გააქნია.

— არაფერი მინდა, დიდი მადლობა. ყველაზე მეტად ის მინდა, მარტო დამტოვო, მაგრამ, ვხედავ, რომ ამის თხოვნას აზრი არ აქვს.

— აბსოლუტური უაზრობა იქნება, გეთანხმები, — გაიღიმა ვაკომ, — ვიცი, რომ აუცილებლად დაგჭირდება. შენ ამნუთას ვერ ხვდები ამას, მაგრამ მალე დარწმუნები, რომ ასეა...

სალომემ უკან გადასწია თავი, სკამის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. როგორც ჩანს, უნდა შეეგუოს



სიტუაციას, სხვა გზა არ არის. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ის არის, რომ მამაკაცმა შეიძლება, სიტუაციით ისარგებლოს... მაგრამ აქამდე არ უცდია მსგავსი რამ და ახლა რა ღმერთი გაუნყრება? მხეცი ხომ არ არის, ქალის სურვილის წინააღმდეგ წავიდეს? აბა, საიდან დაასკვნა სალიმ, რომ ასე მოხდება? არა, ის მას არ აწყენინებს. სალის



საკუთარი თავის უფრო ეშინია, ვიდრე ვაკოსი, ისაა პრობლემა.

— საქმე გაკეთებულია, — მამაკაცი შემობრუნდა და სკამზე დაეშვა, — ძალიან დაღლილი სახე გაქვს, იქნებ აჯობებს, დანვე და დაიძინო? რას იტყვი?

— მართლა დავილაღე, — ამოიხრა გოგონამ, — ჯერ აუზში, მერე საავადმყოფოში...

— სიმართლე გითხრა, მეც დავილაღე, — აღიარა მამაკაცმა, — მგონი, ჯობია, ორივე მოვისვენოთ. უკვე თითქმის შუალამეა.

ვაკო წამოდგა და ხელი გაუნწოდა.

— არ მინდა დახმარება, ჩემით ავადგები, — ჩაიბურტყუნა სალიმ და კვლავ შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

— ეჭვიც არ მეპარება, — ეშმაკურად გაიღიმა ვაკომ, — მაგრამ ისე მომწონს, როცა ჯენტლმენურად ვიქცევი, რომ...

რა უნდა ექნა? ქაჯივით ნივილკივილს ხომ არ დაინწყებდა, ხელი არ მახლოო? მის სიტყვებში ირონია არ შეინიშნებოდა, პირიქით, სრული გულწრფელობა იგრძნობოდა. დახმარებაზე უარის თქმა სისულელე გამოდიოდა. გოგონამ ცალი მხარი აიჩეჩა, ჯანმრთელი ხელი გაუნწოდა მამაკაცს და მანაც წამოაყენა. შემდეგ შეამომნა, ფანჯრები ყველგან იყო თუ არა დახურული და როცა შემოვილით „პროცედურებს“ მორჩა, ორივე ვინრო დერეფანს მდუმარედ გაუყვა.

მარინას სახლში სულ სამი საძინებელი იყო. ყველაზე დიდი თავად მარინას ეკუთვნოდა, მის გვერდით ოთახში სალის ეძინა, ხოლო მესამე, ყველაზე პატარა, მაგრამ ნათელი, სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი. სწორედ ამ საძინებელში მოუწევდა ვაკოს დაძინება.

სალი კართან შეჩერდა.

— ეს ჩემი ოთახია, შენ გვერდით შეხვალ. ღამე მშვიდობისა, ვაკო, დიდი მადლობა ჩემზე ზრუნვისთვის.

მამაკაცის მხერა იმაზე მეტყველებდა, რომ სულაც არ სურდა გოგონასთან განშორება.

— არაფერი მიჭირს, შევძლებ, თავს მივხედო, — მიუხვდა სალი.

— დარწმუნებხარ ხარ? — ვაკოს ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.

ის იყო, სალიმ პასუხის გაცემა დააპირა, რომ მამაკაცი მოულოდნელად წინ გადაიხარა, სალის ტუჩებში მოწყვეტილი აკოცა და გაიღიმა. კოცნა წმინდა მეგობრული იყო, მაგრამ გოგონას წამით მთელ სხეულზე ცეცხლი წაეკიდა. ნერწყვი გადაყლაპა და შეეცადა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს მისმა კოცნამ მასზე „ისე“ სულაც არ იმოქმედა... თუმცა იმდენად სწრაფად შევარდა საძინებელში, ამას არ შეიძლებოდა, ეჭვი არ გამოეწვია. ის აშკარად მიხვდებოდა, როგორ განერვიულდა სალი...

მიხვდა და მიხვდეს! დიდი ამბავი! თავად მას არ უნდა გაეკეთებინა ეს, მით უმეტეს, როცა სახლში მარტონი არიან! ამდენს ვერ უნდა მიმხვდარიყო? სალის ლოყები ეწვოდა, სუნთქვაგახშირებული ერთხანს გაუნძრევლად იდგა კართან, იმის მოლოდინში, როდის მიწყნარდებოდა ვაკოს ფეხის ხმა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქა შვებით.

თავის მიხედვას შევძლებო, ეს არის?! ღმერთო, როგორ გაუძნელდა ტანსაცმლის გახდა! როგორ გაიხსნას ღილები, როცა იგი კაბას ზურგის მხრიდან აქვს დაკერებული? აი, ამას ჰქვია შარში გახვევა! ტანსაცმლიანად მოუწევს დაძინება! ამის გამო ვაკოს ხომ არ დაუძახებს? რას იფიქრებს?..

თურმე წარმოდგენაც არ ჰქონია, რა ძნელი ყოფილა ცალი ხელით რამის გაკეთება. თაბაშირი ღამის თითებამდე ჰქონდა დადებული, ამიტომაც მარჯვენა ხელს ვერანაირად მოიხმარდა. რალა მანაც დაამინც ამ ხელით დაეცა, ბედი არ გინდა? რის ვაი-ვაგლახით გაიხეხა კბილები, მერე სახე ლოსიონით გაიწმინდა, კარი მჭიდროდ მიხურა და ლოგინზე ჩამოჯდა.

უცერად, თითქოს მისი გასაჭირი იგრძნობო, ვაკომ დააკაკუნა.

— აბა, როგორ მიდის შენი წარმატებები? — შემოსძახა გარედან, — დახმარება გჭირდება?

სალი ერთი ნახტომით გაჩნდა კართან და ოდნავ გამოაღო იგი. პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ მამაკაცი გარედან მოაწვია შეღებულ კარს და ოთახში შემოვიდა.

მის კაბაზე ჩამკრეპული ღილების შესხნა ვაკოს მთელი საღამოს განმავლობაში მანიაკურ სურვილად აეკვიცა. მიხვდა, გოგონა თავისით ამას ვერ შეძლებდა, ამიტომ ცოტა შეიცადა, ხელსაყრელ მომენტს დაელოდა და სწორედ მაშინ მიაღწა სალომეს, როცა დაასკვნა, რომ უკვე მოქმედების დრო იყო. იმან, ვინც კაბის ასეთი სტილი მოიფიქრა, იცოდა, რასაც აკეთებდა. სწორედ რომ მამაკაცის სურვილის აღსაძვრელად იყო გათვლილი, მისი სასიამოვნო ტანჯვის გასახანგრძლივებლად. აბა, ვაკო რისი ვაკო იქნებოდა, ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაეშვა?

სალი მისი „შემოჭრის“ მიზეზს მამინვე მიხვდა! მისმა შეშინებულმა გამოხედვამ მიახვედრა მამაკაცი, რომ აწმუთას გოგონას ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა ამ საქმეში მისი დახმარება. უცხო თვალს რომ შეეფასებინა ეს სიტუაცია, იფიქრებდა, მამაკაცმა სპეციალურად სცადა გოგონას შეშინება და ამიტომაც ჩაუსაფრდაო, მაგრამ ვაკოს გამოხედვამ მსგავსი არაფერი იგრძნობოდა. იგი დელიკტურად იღიმოდა მხოლოდ.

— ნებას დამრთავ, დაგეხმარო?

სალიმ ნერვიული მოძრაობით უკან გადადგა ნაბიჯი და რალაც მომენტში ვაკო უკვე ელოდა, რომ გოგონა კატეგორიული უარით გაისტუმრებდა საძინებლიდან... მაგრამ... სალიმ, რომელსაც, სულაც არ სურდა, ღამე ვინრო კაბაში გაეტარებინა, უხერხულად გაიღიმა და თვალები დახარა.

— იცი? არასდროს დავფიქრებულვარ იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, როცა ადამიანს ორი ხელი აქვს. ჩემი თავი სრული ინვალდი მგონია, მაგრამ მე თქვენს განკარგულებაში ვარ, ლამაზო ქალბატონო! მიმსახურეთ! — მამაკაცმა ხუმრობანარევი რევერანსით შესძახა.

— მთელი ექვსი კვირაა, სანამ თაბაშირს მომხსნიან? დღევ და ღამეც? — ჰკითხა გოგონამ და უცებ გააცნობიერა, რომ ფლირტი წამოიწყო.

— თუკი ასეთია შენი სურვილი, ახლავე გადავხედავ ჩემს სამუშაო გრაფიკს და რამეს ვიღონებ...

— რას ამბობ, გეხუმრე, — დანვები აენვა სალის, — სხვა დროს მამიდა დამეხმარება. ცუდია, ახლა აქ რომ არ არის, თორემ შენი შეწუხება არ მომიწევდა.

— ცუდი კი არა, არაჩვეულებრივია!.. მაგრამ ვხედავ, რომ კვლავინდებურად არ მენდობი, — ამოიხვნეშა მამაკაცმა, — განა რამეში შეცდომა დავუშვი? ასეთი უნდობლობა რით დავიმსახურე?

მამაკაცი არ იყო მიჩვეული ქალები-





სგან ასეთ დისტანციას, ახლა ყველაზე მწვავედ გრძნობდა ამას — სწორედ მასთან, სალისთან, მისთვის სანუკვარ ქალთან და ყველაზე მეტად ეს სტკენდა გულს. არადა, უკვე შეუყვარდა იგი... საოცართა შორის ყველაზე საოცარი ქმნილება!

შეუყვარდა! ვაკო მოულოდნელი აღმოჩენისგან ლამის შექანდა. მსგავსი აზრი როგორ მოუვიდა თავში? განა მართლა უყვარს? ხომ არ ცდება? იქნებ ჯერ ადრეა ასეთი დასკვნების გამოტანა? იქნებ მხოლოდ მათ შორის არსებული დისტანცია აფიქრებინებს ამას? როცა ქალი მამაკაცს გაუზრბის, ეს უკანასკნელი უფრო აზარტული ხდება და წარმატების მოსაპოვებლად ხშირად არწმუნებს თავის თავს, რომ შეყვარებულია. იქნებ სწორედ ამ შემთხვევას აქვს ადგილი?..

მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს სალიზე ფიქრს რომ უთმობს? განა ეს არაფერს ნიშნავს? ნუთუ მართლა შეყვარებულია და ჯერ ვერ აცნობიერებს? ფაქტია, რომ სიგჟემდე სურს მისი მოფერება, ყოველ წუთს მის გვერდით ყოფნა, მისი ალერსი, მაგრამ სიყვარული?!

იქნებ ეს ილუზია იმის გამო გაჩნდა, რომ სალომე სხვა ქალებს არ ჰგავს? მის არც ერთ სხვა ქალს არასდროს უცდია, ვაკოსადმი ინტერესი დემალა. სალი სხვა იყო. დროდადრო გოგონა მწარედ უცრუებდა იმედს, რამდენჯერ განხიბულა კიდეც მისი საქციელით, სიტყვებითაც, მაგრამ რაღაც გამოუცნობი ძალა მაინც აიძულებდა, გაეგრძელებინა ურთიერთობა და საბოლოოდ დაეპყრო მისი გული. იქნებ სწორედ ეს „რაღაც“ იყო სიყვარული? იქნებ თავად ქალი მოინებდა მისკენ?

— გენდობი, როგორ არ გენდობი, — თითქოს შორიდან ჩაესმა ვაკოს სალის სიტყვები, — უბრალოდ, ცოტათი მუხუხერხულება, ასეთი რამის თხოვნა რომ მიწევს.

— წარმოიდგინე, რომ შენი მამიდაშვილი ვარ, ან ბიძაშვილი, ან... რა ვიცი... —

სალის სიცილი წასკდა.

— ერთადერთი, რისი წარმოდგენაც არ შემიძლია, სწორედ ეს არის. ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილის ადგილას შენ? არა, არა არ გამოვა! — გადაიკისკისა გოგონამ, — საშინლად დაიმორცხვებდნენ. თუნდაც იმიტომ, რომ არც ისეთი ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. კარგი, კარგი, მოდი, დამეხმარე.

ო-ო-ოოო! რა მარტივი პროცედურაა და რა ძნელად გამოსდის! ვაკოს ხელეები აუცახცახდა, როცა სალის ზურგს შეეხო. ძლივს შეიკავა თავი, რომ თავისკენ არ მოეზიდა და გულში არ ჩაეკრა გოგონა... ის ისეთი მოხდენილი იყო, ნაზი, ქალური, მომაჯადოებელი...

ღიღიები ძალიან პატარა იყო, საღიღიები — ვიწრო. მისი მამაკაცური თითები კი არ იყო ასეთ „სამუშაოს“ მიჩვეული და ძალიან გაუჭირდა მათი

ჩახსნა. გარდა ამისა, სალის სიახლოვე კიდეც უფრო აძნელებდა საქმეს. მისგან ისეთი თავბრუსმომხვევი სურნელი მოდიოდა, ისე ძნელი იყო თავის შეკავება... —

როცა ზედა სამი ღილი გახსნა და ქალს ზურგი ოდნავ მოუშიშვლდა, ვაკოს ფეხები ლამის წაერთვა... წამით ჟინმა წამოუარა, ქალისთვის კაბა ტანზე შემოეხია და თავდავიწყებას მისცემოდა, მაგრამ მხოლოდ წამით... მძლავრად მომუშტა თითები და თავს ძალა დაატანა, ცდუნებას არ აპყოლოდა. როცა ღილები ბოლომდე ჩახსნა, თვალები დახუჭა და სუნთქვა შეიკრა... თავადაც არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა იმწუთას, სალის ხმას რომ არ გამოეყვანა ფიქრებიდან.

— დიდი მადლობა, ვაკო, — გაიგონა მისი ნახევრად ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები.

მოეჩვენა, რომ გოგონას ხმა უკანკალებდა. სალი მოტრიალდა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, რათა კაბა ძირს არ ჩასცურებოდა. ვაკომ მზერა აარიდა, რომ გოგონას მისი სურვილით ანთებული თვალები არ დაენახა. ახლა რომ შეეხედა, მამაკაცი თავის თავზე პასუხს არ აგებდა და ისეთ სისულელეს ჩაიდენდა, რომელსაც ვერასდროს გამოასწორებდა. თუმცა... —

სალი ადგილიდან არ იძვროდა... მამაკაცს მოლოდინით სავსე მზერით მისჩერებოდა... —

რამდენ რამეს ამბობდნენ მისი თვალები... და არც ამბობდნენ... უბრალოდ, ელოდნენ... რაღაცას... ვიღაცას... —

ვაკოს თითები მისგან დამოუკიდებლად ამოქმედდნენ... თეთრი, ქათაქათა მკვრივი მკერდი გამოწვევად იმზირებოდა მხრებზე ჩამოცურებული კაბის მიღმა... როგორ გინდა, არ შეხედო ამ ღვთაებრიობას! ან არ შეეხო?!

შეეხო, აბა, რა ქნა! მონოლილი ვნებისგან პირი გაუშრა, გული მძიმედ და ღრმად უცემდა... ამწუთას იმ მოზარდევით გრძნობდა თავს, პირველ სასიყვარულო „გამოცდას“ რომ აზარებს... შეეშინდა კიდეც, თავი სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაეგდო... ვაითუ, რამე ისე არ გამოუვიდეს... ახლა ნამდვილად არ იყო თავდაჯერებული, რომ ყველაფერს „ხუთიანზე“ მოახერხებდა... სალი როგორ მიიღებს მის სითამამეს? ხელი რომ ჰკრას?.. —

არა, მსგავსი არაფერი მომხდარა. არც კი უცდია წინააღმდეგობის განევა. ხელი არ ჰკრა... —

ვაკომ მძლავრად მოხვია მკლავები. ქალმა ამოიკვნესა და ძალანართმული მიესვენა მის ფართო გულმკერდს. გოგონას თვალებშიც ისეთივე დაუოკებელი სურვილი იკითხებოდა, როგორითაც თავად იყო აღვსილი.

ხელი ჰკრა კი არა, თავადაც გამოი-

წია მისკენ. ვაკოს სისხლმა ტვინში აასხა. უკვე ველარაფერს უხერხებდა თავის თავს... სწრაფი მოძრაობით ქალს ბიუსტ-ჰალტერი გახადა და მის შიშველ მკერდს ხარბად დაენათა... რა მაცდუნებელი და გამომწვევი იყო სალის მკვრივი, ამავდროულად, ფაფუკი მკერდი, ასე ღრმად რომ აუდიოდა ათრთოლებულს... ამწუთას სულაც არ ფიქრობდა იმაზე, ზედმეტი მოსდიოდა თუ — არა. რადგან ქალი თანახმაა, რა უდგას მის სურვილს წინ? არც არაფერი. რა დროს ძმობაზეა ლაპარაკი, როცა ასეთი განძის მფლობელი შეიძლება გახდეს! მამაკაცის ცხელი ტუჩები ხარბად დაენათა ქალის აფორიაქებულ მკერდს... რაღა ღვთაებრივი ნექტარი დაგილევია და რაღა ეს მკერდი გიკოცნია! მისი კანის გემო ეგზოტიკურ ნაყოფს აგონებს. არა, ამისთვის ნამდვილად არ იყო მზად! ასეთ რამეს სწორედ რომ არ მოელოდა.

ქალების მეტი რა ჰყოლია, მაგრამ ასეთი ნეტარება არც ერთთან განუცდია... ალბათ იმიტომ, რომ არასდროს არავინ ჰყვარებია... —

რა ლამაზი ხარ, სალი, — ჩურჩულებდა თავდავიწყებით, — როგორ გამიმართლა, შენ რომ შეგხვდი... —

პასუხად გოგონამ კვლავ დაიკვნესა. მამაკაცი წამით მოსწყდა მის მკერდს და შეხედა... სალის თვალები ამღვრეოდა, გამუქებოდა, როგორც ზღვა მუქდება შტორმის დროს... —

ხვდება კი, რას აკეთებს? ესმის კი,



რა უნდა მოჰყვეს ამ შეხებას? — გაიფიქრა ვაკომ, როცა გოგონამ კოცნაზე კოცნით უპასუხა.

კარგა ხნის წინ უნდოდა, ეკოცნა სალისთვის, მაგრამ ვერ ბედავდა, სულ ეშინოდა, სილა არ დემსახურებინა ასეთი საქციელისთვის, ახლა კი... ის თავად იწვევდა მას. ვაკოც გულმოდგინედ



„იკვლევდა“ მის ტუჩებს და ტკბებოდა ამ ცოცხალ ხნის წინ „აკრძალული ხილით“, თუმცა ქვეშეცნულად იმასაც ხედებოდა, რომ ძალიან არ უნდა გართულიყო, რათა ყველაფერი არ გაეფუჭებინა და სამუდამოდ არ დაეკარგა საოცნებო ქალი. ძალიან, ძალიან, ფრთხილი და მგრძობიარე უნდა ყოფილიყო... და...

თითქოს გოგონა ნაფიქრს მიუხვდაო, უცნაოდ მოაცილა ტუჩები, მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ ტუჩები და არა სხეული... სალიმ თავი მის მხარზე ჩამოადო და მკლავები კისერზე შემოხვია. ვაკომ მისი ცხელი და არეული სუნთქვა ზედ ყურთან იგრძნო... ამნუთას გოგონა ისეთი დამყოლი, ისეთი მსუბუქი იყო, მოუჩვენა, რომ ისინი, ორივენი, ერთი მთელი არსებობს ორ ნაწილს წარმოადგენდნენ, რომლებმაც, როგორც იქნა, იპოვეს ერთმანეთი და ბოლოს და ბოლოს, შეერთდნენ... სწორედ ეს შეგრძნება აკლდა მას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში... ნეტავ, იცოდნენ მაინც, სალი თუ გრძნობს იმავეს?..

ახლა კი დროა, შეჩერდეს. გაგრძელება არ შეიძლება, თორემ ყველაფერს გააფუჭებს.

მამაკაცმა ნებისყოფა მოიკრიბა, უხალისოდ ჩამოაღებინა გოგონას კისერზე მოხვეული მკლავები და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— დანარჩენს შენით მოახერხებ? — ძლივს ამოთქვა მამაკაცმა ემოციებისგან დახშული ხმით.

შეცბუნებულმა სალიმ უხმოდ დაუქინა თავი. კაბა ძირს ჩაცურებოდა, უკვე იატაკზე ეფინა, მის ფეხებთან. შიშველ სხეულს მხოლოდ თეთრი, ვინრო ბიკინი უფარავდა... თუმცა, არც უცდია სიშიშვლის დაფარვა, გაბრუნებული იდგა ერთ ადგილას, ოდნავ წინ გადახრილი. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ვაკოს, მისთვის მზერა აერიდებინა. ისიც საკმარისი იყო, რისი უფლებაც გოგონამ მისცა. სწორედ მისი „ნებართვით“ გადააბიჯა მამაკაცმა „დადგენილ საზღვრებს“, თორემ ამას თავისი სურვილით როდი გაბედავდა!

საკმარისია, რაც მოხდა! მეტის უფლებას თავს ვეღარ მისცემდა, ეს აუცილებელი პირობა იყო, რომელიც არ უნდა დაერღვია.

— მაშინ სასიამოვნო ღამეს გისურვებ. თუ დაგჭირდებ, იცი, სადაც უნდა მომძებნო. უბრალოდ, კედელზე მომიკაუსუნე და აქ გაეჩნდები.

— კარგი, — ოდნავ გასაგონად დაიჩურჩულა გოგონამ.

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო, თვალი მოეწყვიტა ამ სრულყოფილებებისთვის, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა კარამდე დარჩენილი მანძილის გავლა ისე, რომ უკან არ მოეხედა. მაგრამ მაინც მოხებდა, როგორც კი გარეთ გავიდა, უბრალოდ, სხვანაირად არ შეეძლო. სალი ისევ ისე იდგა,

როგორც დატოვა, ერთხელაც არ შერხეულა.

— კარგად ხარ? — შეშფოთებული დაეკითხა მამაკაცი. შეეშინდა, ვაითუ, მომხდარმა თავზარი დასცა გოგონას, ჩემი მოფერებით ტრავმირებული ხომ არ დარჩაო.

სალიმ რამდენჯერმე სწრაფად დაუქინა თავი, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოხურავდა მამაკაცი კარს. მის თვალეში ამნუთას მხოლოდ ერთი რამ იკითხებოდა — დამტოვე მარტო, რათა გავერკვე საკუთარ თავში, რათა საბოლოოდ შევეგუო იმას, რაც ჩავიდინე...

ვაკომ უხმაუროდ გაიხურა კარი და ერთხანს იქვე შედგა, რათა აზრები მოეკრიბა. დარწმუნებული იყო, რომ სალი ახლა უკვე ადვილად მიხედავდა თავის თავს და მისი დახმარება აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ... ძალიან, ძალიან უნდოდა, გოგონას არ ენანა ის, რაც რამდენიმე წუთის წინ მოხდა.

ცოცხალ ხნის შემდეგ ჩუმი ხმები შემოესმა საძინებლიდან... გოგონა მსუბუქი ნაბიჯებით მიმოდიოდა, ალბათ დასაძინებლად თუ ემზადებოდა... როგორც ჩანს, ღამის პერანგი ჩაიცვა, — გაიფიქრა ვაკომ. თვალწინ დაუდგა მისი შიშველი სხეული და მაჯისცემა კვლავ გაუშვირდა. გაბრაზებულმა გადააქინა თავი, ოთახს მოშორდა და დერეფანს არეული ნაბიჯებით გაუყვა.

სალის შუალამისას გამოეღვიძა და გაოფილილი სწრაფად წამოჯდა საწოლზე. რა ხმაურია? შემოესმა, თუ მართლა რაღაც მოხდა? აი, კიდევ! ვინმე ხომ არ შემოიჭრა სახლში? მისდა უნებურად, როცა ხმაური კვლავ განმეორდა, მთელი ხმით შეიკვლა. წამიც არ გასულა, რომ კარი ფართოდ გაიღო და ოთახში ვაკო შემოიჭრა. მამაკაცმა შუქი აანთო.

— რა მოხდა?

— რაღაც ხმაური გავიგონე, თითქოს კარი თუ ფანჯარა გაჯახუნდა, მერე კი მინის მსხვრევის ხმაც მომესმა. ვინმე ხომ არ შემოიპარა?

სალის არათუ სხეული, ხმაც უკანკალებდა, თან თვალს არ აშორებდა ვაკოს დაუწუნებელ მკლავებს. მამაკაცი ნელს ზევით შიშველი იყო. რა სულელია, იმხელა ხმაზე იყვირა, თუ ვინმე მართლა იყო სახლში შემოპარული, უკვე კარგა შორს იქნებოდა გაქცეული!

ვაკოს სიცილი აუტყდა.

— არავინ შემოპარულა, ნუ გეშინია. როგორც ჩანს, მე შეგაშინე. ვერაფრით დავიძინე, ამიტომ აივანზე გავვიდი, ცოცხალი კონიაკი დავლიე. როცა შემოვბრუნდი, ორპირმა ქარმა კარი მიაჯახუნა. ვიფიქრე, კარს დავიჭერ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი და ჭიქა ხელიდან გამივარდა. სამწუხაროდ, დაიმსხვრა...

სალი დაიჯღანა, რითაც გამოსახა, რა სულელი ვარო. მისი მიმიკები რომ შეამჩნია, ვაკომ სასწრაფოდ დასძინა.

— მაგრამ შენ ხომ არ იცოდი, რა

მოხდა. ჩემი ბრალია, მეტი სიფრთხილე უნდა გამოემჩინა. გატყევილი ჭიქისთვის მომხვდება მარინასგან, მომინევს ახლის ყიდვა, — ბოლოს გაიხურა.

„კი, როგორ არა! მამიდა ერთ სიტყვასაც არ გეტყვის. შენ ხომ მისი „ლუბიმიკი“ ხარ. და კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებს, თუ ოცნებას აუსრულებ“, — გაიფიქრა სალიმ, — „მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ამ საღამოს მოხდა, უფრო გაგიადვილებათ ორივეს მიზნის მიღწევა“.

წელან, ვაკო რომ გავიდა, სალი მალევე დანვა, მაგრამ დაძინება ვერა და ვერ მოახერხა. ვითომ სწორად მოიქცა? აუკვიატა მომხდარზე ფიქრი. აკი მეგობრები ვიყოთო, რატომ მისცა უფლება, მოჰფერებოდა? რაში დასჭირდა ეს „ინტიმური ალერსის სეანსი“?

პასუხი მარტივი იყო. მას უნდოდა, ასე მომხდარიყო. როცა ვაკომ მისი კაბის ღილების შესხსნა დაიწყო, მაშინვე წარმოიდგინა, რომ მამაკაცი ზუსტად იმას გააკეთებდა, რაც გააკეთა. ის კი არა, მეტსაც ელოდა... ეგონა, ვაკო სიამოვნებით დაეუფლებოდა მას, ბოლომდე მიიყვანდა საქმეს. მას რომ ეს მოესურვებინა, სალი არც კი შეეცდებოდა მის შეჩერებას.

არა, არა, შეეყვარებული წამდვილად არ არის, მაგრამ ის ისეთი მაგარი მამაკაცია, ისეთი სასურველი, რომ ახლოსაც რომ დგას, სალის თავებრუ მაშინაც კი ეხვევა. მისმა შეხებამ და კოცნამ კი მთლად მოადუნა, ერთიანად დაშალა, სულის სიღრმემდე აათრთოლა. ახლაც კი, როცა იცის, რომ ის მეორე ოთახშია, მაინც სურვილისგან იწვის.

— ხომ არ მიბრაზდები, სალი? დამშვიდდი თუ ვერა? — მამაკაცი მოილუშა, დამნაშავესავით შესცქეროდა გოგონას.

ჰო, ვერ მშვიდდება, მაგრამ ატყევილი ხმაურის გამო კი არა, იმის გამო, ვაკომ მისი სულის სიმები რომ შეარხია. „შენთან მინდა დანოლა. მინდა, შენ გვეუთვნოდე. მინდა, გეფერებოდე, გოცნიდე და შენც ამასვე აკეთებდე“, — გაიფიქრა, მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა.


— სიზმარს ვხედავდი, რომ ხმაურმა გამაღვიძა. თითქოს ნაბიჯების ხმა მომესმა. შემდეგ კი მინის მსხვრევის ხმაც გავიგონე... დანარჩენი შენც იცი...

— მამაკაცი... ცდილობდი, უხმაუროდ შემოქმედა, მაგრამ ხომ იცი, ღამის სიჩუმეში ჩქამიც კი განსაკუთრებულად ხმამაღლა ისმის.

რატომ ვერ დაიძინე? სალის გამო? მასაც სურდა, ის, რაც მოხდა, გაგრძელებულიყო? ორივე ცალ-ცალკე ოთახში იწვა, მაგრამ მათი სხეულები ჯიუტად მიიწვედნენ ერთმანეთისკენ? როდის-როდის სალის მაინც ჩაეძინა, მან კი ნახევარი ღამე აივანზე გაატარა? სალიზე ფიქრობდა და იმიტომ? იმიტომ, იმიტომ...

კარგია, რომ ჯერ კიდევ არ გათენებულა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

— ამ შუალამისას რამ მოგიყვანა? — დავითმა თვალები მოიფშვინა ანას დანახვისას. — შუალამს გადაცდა უკვე. — გაგაღვიძე? მარტო ხარ? — დაუკითხავად არ შევიდა ქალი.

— კი, მარტო ვარ, მოდი, — მამაკაცმა გზა დაუთმო, თავად სხვა ოთახში გავიდა და მაისური გადაიცვა.

— დავით, რჩევა მჭირდება, — ანა დივანზე მოკალათებულიყო, ტელევიზორი ჩაერთო და პულტით არხიდან არხზე „გადარბოდა“.

— რა ხდება, ახალია რამე? — მეტ-ნაკლებად. გახსოვს, ერთმა გაზეთმა ჩემი სურათი რომ დაბეჭდა და ჟურნალისტმა სტატიაც დაურთო? — კი, მახსოვს.

— ჰოდა, ის ჟურნალისტი არ მემუცება, მირეკავს და ინტერვიუს მთხოვს.

— მერე, მიეცი და დაგანებებს თავს.

— ხომ გახსოვს, იმ სტატიამი ჩემი მანქანის ნომერს განიხილავდა და გაკვრით ისიც თქვა, ამ ქალს შურისძიება აქვს გამიზნული და ვისზეა გაბრაზებული, ამას მომავალი გვიჩვენებსო? — კი, ეგვეც მახსოვს.

— ჰოდა, სულაც არ მანყობს, რომ ასეთ ინფორმაციას ავრცელებს. მით უმეტეს, ახლა, როცა საბლიანის გაცნობა მოვახერხე და ალბათ სულ მალე მართლა დადგება შურისძიების ჟამი.

— ანა, გონიერ გოგო მგონისხარ... რალა დროს სისხლის აღება და შურისძიებაა?! აგერ, შენი შვილი გამოჩნდა — პატარა ანა, რომელსაც დედობა უნდა გაუწიო. ამდენი საქმე გაქვს, შენ კი აგიტყნია ეგ სისხლის აღება და ჯიუტობა.

— დავით, მე ფიცი მაქვს მიცემული.

— მაგრამ ფიცის გატეხა სჯობია სისხლის დაღვრას...

— არა, — ჯიუტად გააქნია თავი ქალმა, — ახლა შენ სულ ტყუილად მელაპარაკები. ნათქვამს მაინც შევასრულებ.

— საბლიანი სად გაციანი? — კარგა ხანს ვდიე და სხვა რომ ვერაფერი გავაწყვე, მანქანით დავეჯახე.

— დაფიქრება გმართებს, ანა, — თავი გააქნია დავითმა, — ციხეში ამოყოფ თავს და მერე ვერაფერი გიშვლის. ახლა სხვა დროა, თავს ვერ დაიძვრენ, არც ფული გიშველის. განზრახ მკვლელობის დიდი სასჯელია, მინიმუმ — 15-წლიანი ციხე გემუქრება.

— მაგაზე ნუ იდარდებ, ყველაფერი წინასწარ მაქვს გათვლილი.

— როგორც შენ გეგმავ, ყველაფერი ისე არ წარიმართება.

— მოვრჩით მაგაზე ლაპარაკს, — ხელი აიქნია ანამ, — ჯობს, ის მითხრა, იმ ჟურნალისტს თავი როგორ დავაღწიო.

— ჩემი აზრით, ჯობია, დაუმეგობრდე, ცოტა გაუშინაურდე და არა მგონია, მერე რამე დაგიშავოს. ისე მოიქეცი, რომ მისთვის საჭირო გახდე. ამ შემთხვევაში არ გაგიმეტებს. შეეცდებო, არ განყენინოს და ამ ხრიკით მის მანიპულირებას შეძლებ.

— მართალი ხარ. ახლა ისლა დამრჩენია, რამე მოვიფიქრო. ჯერ ნუგზარს მასზე ინფორმაციას მოვაგროვებინებ და მერე ვნახოთ. ახლა კი ნავალ და შენც მშვიდად დაძინების საშუალებას მოგცემ, — ანამ ბიძას ლოყაზე აკოცა და შინისაკენ გაემართა.

ყველას ეძინა. ფეხაკრებით მივიდა გოგონების ოთახთან, კარი შეაღო და მძინარე ბავშვებს დახედდა. როგორც ჩანს, ძილის წინ თოჯინებით თამაშობდნენ — სათამაშოები ისევ ხელში ჰქონდათ შერჩენილი...

ანამ კარი მიხურა და თავის ოთახში შევიდა. ტელეფონზე ირაკლის საყვედურით სავსე მესიჯი მოსულიყო. მამაკაცი უკმაყოფილებას იმის გამო გამოთქვამდა, რომ რამდენიმე დღე ანა მასთან დარჩენას თავს არიდებდა.

„არაფრის ახსნა-განმარტებას არ ვაპირებ. ერთხელ უკვე ვუთხარი, რომ ანა ჩემთანაა და ამის გამო სხვაგან ვერ დავრჩებოდი. ჰოდა, გამგებმა უნდა გაიგოს. ამდენი საყვედური საჭირო არაა“, — გაიფიქრა ქალმა და ძილს მისცა თავი.

დილით გოგონები თან გაიყოლა. ბელა მასწავლებელთან დატოვა, ანა კი თავისთან იახლა. ვინაიდან იმ დღეს მნიშვნელოვანი საქმე არ ჰქონდა დაგეგმილი, შვილთან ერთად გასვირნება გადაწყვიტა. მთელი დღე ტკბებოდა მასთან ყოფნით. დაავიწყდა კიდეც, რომ ბავშვმა არ იცოდა, მისი ნამდვილი დედა რომ იყო და დედის როლი ისე მიირჩო, თითქოს გოგონა მისი გაზრდილი იყო.

შინ მისულებს კი სიურპრიზი დახვდათ, პატარა ანასთვის — სასიამოვნო, ქალისთვის — ძალზე უსიამოვნო.

გოგონას ბებიას მისი მონახულება გადაუწყვეტია და შინ დაბრუნებულ დედა-შვილს ეთერი სამზარეულოში დახვდა.

გოგონა ბებიისკენ გაიქცა და კისერზე შემოქედო. ანას კი ელდა ეცა. უხერხულად იგრძნო თავი და თვალები სად წაეღო, აღარ იცოდა.

— გამარჯობა, ქალბატონო, — მზერა ვერ გაუსწორა.

— გამარჯობა, ქალბატონო ანა. მე ანას ბებია ვარ.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — მადლიერებით შეხედა ქალს.

— სად იყავი, ბებო? — ბავშვს მიუბრუნდა ეთერი.

— ანა დეიღამ სასეირნოდ წამიყვანა. ბები, აქ როგორ მოგვაგენი? შენთან წამიყვან? — კითხვები დააყარა ბავშვმა.

— მამამენმა მომცა ტელეფონის ნომერი და ისე მოგაგენი. ახლა ვერ წაგიყვან, მამას ჩამოსვლამდე ანა დეიდასთან იქნები, მერე კი 2 კვირით ჩემთან წაგიყვან.

— კარგი, — უცებ დათანხმდა ბავშვი და ბელასთან ერთად, სამზარეულოდან გავიდა.

— როგორ შეგეგუათ ანა? — ეთერმა თვალი თვალში გაუყარა ანას.

— კარგად, ძალიან კარგად, — ნაჩქარევად უპასუხა, მერე ბოდიში მოიხადა და სააბაზანოში შევიდა.

საჭიროზე მეტხანს დაყო შხაპის ქვეშ. უნდოდა, დრო გაეწელა და ეთერთან საურთიერთობოდ ნაკლები დრო დარჩენოდა.

თუმცა მიხვდა, ბოლომდე მაინც ვერ აარიდებდა თავს და გადაწყვიტა, საქმე მოემიზებებინა და შინიდან წასულიყო. მერე ეს აზრით უკუაგდო და ისევ სამზარეულოში შევიდა.

ეთერი გოგონებს ელაპარაკებოდა. ანას შესვლა თითქოს არც შეუმჩნევიანო, არც კი შეუხედავს მისთვის. ქალი მიხვდა, რომ სტუმარი განგებ არიდებდა თვალს. უხერხული სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს ქალი შვილიშვილს დაემშვიდობა და წასასვლელად მოემზადა.

ანამ გაცილება შესთავაზა.

— გმადლობ, ქალბატონო ეთერი, — უთხრა ანამ, როდესაც მანქანა ადგილიდან დაძრა.



— რისთვის მიხდით მადლობას?  
 — იმისთვის, რომ არ შეიმჩნიეთ, ერთმანეთს რომ ვიცნობთ.  
 — მე ბავშვს გაუფრთხილდი, — მოჭრით თქვა ეთერმა.  
 — ჰოდა, სწორედ ამისთვის გიხდით მადლობას.  
 — არაფრის. არ ვიცოდი, თუ ეს ქალი თქვენ იყავით, თორემ არ ჩამოვიდოდი.

— რომელი ქალი?  
 — ვისთანაც რამაზმა ბავშვი დატოვა. მართო ის მითხრა, ჩემს უფროსთან დავტოვე, მივლინებაში ისე წამოვედი; დარეკე, მისამართს თავად მოგცემენ და ბავშვის ნახვა თუ გინდა, პრობლემა არ იქნებაო. არც ის ვიცოდი, რამაზი თქვენთან თუ მუშაობდა.

— ქალბატონო ეთერ, მინდა, გულახდილად დაგელაპარაკოთ. მოსმენის სურვილი თუ გაქვთ?

— მოგისწმეთ, — ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა.

ანამ მანქანა მოხერხებულ ადგილას გააჩერა და ქალისკენ შებრუნდა.

— ქალბატონო ეთერ, მითხარით, რატომ არ გესიამოვნათ, როცა მიხვდით, რომ ანა ჩემთან იყო დატოვებული? რეალური მიზეზი მითხარით, გულახდილად. ასე უფრო იოლი იქნება, ერთმანეთს გაუფრთხილდით.

— ანა ჩემი გაზრდილია... — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა ქალმა.

— ამაზე მე და თქვენ უკვე ვილაპარაკეთ. შეგპირდით, რომ ბავშვს არ წაგართმევთ. ხომ ასე იყო?

— დიახ.

— მოდი, ახლა ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ თავი: შვილი მოგპარეს, გაგიყიდეს, წლების შემდეგ იგებთ, რომ ცოცხალია... რას იზამდით? ნუთუ არ შეეცდებოდით, დაგებრუნებინათ?! ან გენახათ მაინც?! მით უმეტეს, რომ ანას დედა გარდაცვლილი ჰყავს. თქვენი რძლის სიკვდილი თქვენთვის ტრაგედიაა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა შვილთან მიმართებაში ცოტა შეამსუბუქა.

— რამაზმა იცის, ანას დედა რომ ხართ? — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ჰკითხა ეთერმა.

— არა, რამაზმა არ იცის. ვცდილობ, ბავშვთან დავამყარო კონტაქტი და შემდეგ გაუფრთხილ რამაზს. თან მიჭირს ამის თქმა. როგორი სათქმელია?! შესაფერის მომენტს ველოდები. მერე კი აუცილებლად ვეტყვი.

— ანა, რამაზისთვის ამის დამალვა არ არის ლამაზი, ჩემი აზრით. არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ატყუებთ?

— კი, ასე გამოდის. მაგრამ თუ ახლა ეს ტყუილი არ ვთქვი, მერე სიმართლეს ვერ ვეტყვი.

— მე კი მგონია, რომ ცდებით და ამაში თქვენი ახალგაზრდა ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილების არქონაა „დამნაშავე“.

— შესაძლოა, მართალი ხართ და

ამას გვიან მივხვდე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ასე ჯობია.

— მე ვერ მოგცემთ პირობას, რომ საიდუმლოს დიდხანს შეგინახავთ. ჩემს შვილს დაჩაგრულად მივიჩნევ. ის გენდობათ, თქვენ კი ატყუებთ და ცდილობთ, მისი ნდობა ამ გზით მოიპოვოთ. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ, მაგრამ მე ჩემი შვილის ინტერესები მინდა დავიცვა.

— კარგი, წავიდე, — ანამ მანქანა დაძრა და ეთერი რუსთავეში ჩაიყვანა. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. მხოლოდ სახლთან მისულმა დაარღვია დუმილი და ქალს დაემშვიდობა.

შინ დაბრუნებულს უგუნებობა ეტყობოდა. ამას კიდევ საბლიანის ზარიც დაემატა, რომელიც რესტორანში ეპატიჟებოდა. ანა უარს ეუბნებოდა, — დღეს არ მცალიაო, — საქმეს იმიზეზებდა, მაგრამ ის არ ეშვებოდა. როგორც იქნა, ტელეფონი გათიშა და ღრმად ამოიოხრა.

„დღეს ირაკლიც არ გამოჩენილა; როგორც ჩანს, მართლა გამიბრაზდა... ყველას ფერება უნდა, მე კი დავილაღე, ერთხელ მეც მომეფეროს ვინმე და ერთხელ ჩემი სურვილებიც გაითვალისწინონ, რა იქნება?!“ — ფიქრობდა ქალი.

არც უცდია ირაკლისთან დაკავშირება და თავის მართლებას.

შინ მისულს მოეჩვენა, რომ ბელა უხასიათოდ იყო. გოგონას ვერაფერი ათქმევინა. ისიც კი ჰკითხა, ანამ ხომ არ განწყენილია? ბელამ უარის ნიშნად, თავი გააქნია.

— ნავალ, წამოწვევები, — უთხრა დედას და თავის ოთახში გავიდა.

ცოტა ხანში ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა.

უცნობი ნომრიდან უცნობი ქალი რეკავდა და დაჟინებით ითხოვდა შეხვედრას.

ანას მისი ლაპარაკის მანერა არ მოეწონა... ნახევრად მუქარის ტონი, ჩახლჩილი ხმა... მაგრამ შეხვედრავი უწყომანოდ დათანხმდა.

დანიშნულ ადგილას, გამხდარი, ტანდაბალი ქალი ელოდა. ანამ მანქანის გასაჩერებლად ისეთი ადგილი შეარჩია, რომელიც საკმაო სივრცის დათვალისთვის საშუალებას იძლეოდა... კარგა ხანს გარემოს დახვეწით იყო დაკავებული, მაგრამ საექვო ვერაფერი შენიშნა. ქალი, რომელიც მას ელოდა, კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ რაღაცნაირი, ცივი მზერა ჰქონდა. თითქოს შუშის თვალებით უყურებდა ანას.

— ანა ხარ? — „შენობით“ მიმართა.

— კი, — თავი დაუქნია და შეეცადა, არ შემჩნეოდა, როგორ უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ტანში.

— მე ბელას დედა ვარ, — ჩაახველა ქალმა, ალბათ უფრო უხერხულობის დასაფარავად.

— ააა, — სახეზე ღიმილი გამოესახა ქალს, — აი, თურმე რა ყოფილა! რა-შია საქმე?

— ბავშვი უნდა წავიყვანო.

— მართლა?! აქამდე სად იყავი?!

— აქამდე მისთვის არ მეცალა.

— ახლა მოიცალე?.. შენ დედობის უფლება ჩამორთმეული გაქვს და ბავშვს ვერ წაიყვან. მით უმეტეს, რომ ის უკვე ჩემი შვილია — ოფიციალურად.

— წაიყვან! აუცილებლად წაიყვან!

— თითსაც ვერ დააკარებ და ახლოს გაკარებაც არ გაბედავ, იცოდე! — ანამ ხელები მომუშტა.

— მე ვარ დედამისი და წაიყვან!

— ვინ მოგასწავლა ბელას ადგილსამყოფელი? საიდან გაიგე?

— თბილისი პატარა ქალაქია, ყველაფრის დადგენა შეიძლება.

— ამას მე გავარკვევე, მაგრამ როგორც ვხვდები, შენ იმისთვის არ იქნები მოსული, რომ ბავშვი წაიყვანო. ის შენ არაფერში გჭირდება. მართალი ვარ? რა გინდა, მითხარი.

— 50 ათასი დოლარი, — უტეხად უპასუხა ქალმა.

— 50 ათასი იოლი საშოვნელი არ არის და მე მაგდენი ფული არ მაქვს. 5 ათასს მოგცემ — იმ პირობით, რომ სამუდამოდ დაიკარგები ბელასა და ჩემი ცხოვრებიდან.

— არა, — თავი გააქნია ნელიმ, — 20 ათასს „კაპიკიც“ არ დააკლდება.

— არა?! მაშინ, საერთოდ ვერაფერს მიიღებ! ჯობია, რასაც გთავაზობ, აილო და ნახვიდე. თუ არა და, ცუდად დაგამახსოვრებ ამ დღეს შენც და იმასაც, ვინც ეგ იდეა ჩაგანოდა.

— მაგას ვერ გაიგებ, — ნიშნის მოგებით უთხრა ქალმა.

— რას ვერ გაიგებ?.. შენ ასე გგონია?! გოდერძი ქათამაქეს მიწიდანაც ამოვიღებ, თუ დამჭირდება.

გოდერძის სხენებაზე ნელის ფერი ეცვალა. არ ეგონა, ანამ მის შესახებ რაიმე თუ იცოდა. თვალები ჯერ ზევით აატრიალა, მერე — ქვევით და მუჭში ჩაახველა.

— ასე რომ, ქალბატონო ნელი, — დამცინავი ტონი გაურია ანამ, — ჯობია, ჩემს პირობაზე წამოხვიდეთ და ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ რაღაც-რაღაცები... ყველაზე ჭკვიანი გგონიათ თავი?! მე კი ისიც ვიცი, ჩემს მანქანაში მოსასმენი აპარატურა რომ დაამონტაჟეთ. ამაზე რას იტყვით?

— არაფერს, — ქალს ხმა კიდევ უფრო ჩაეხრინნა. ამას აღარ ელოდა.

თუმცა არც ანა იყო დარწმუნებული თავისი ნათქვამის სიმართლეში. უბრალოდ, ახლა გაახსენდა სამრეცხაოში მომხდარი ამბავი და უცებ გოდერძისთან დააკავშირა.

— კარგი, იყოს 5 ათასი, — ჩაილაპარაკა ბოლოს.

— ხვალ ამ დროს დამირეკე და გეტყვი, სად უნდა მოხვიდე ფულის



წასაღებად, — ანა შებრუნდა და მანქანაში ჩაჯდა.

სარკეში უყურებდა, ნელი ქუჩას როგორ გაუყვავა და კარგა ხანს თვალი არ მოაშორა.

მერე მანქანიდან გადმოვიდა და მის კვალს მიჰყვავა.

ნელიმ სკვერი გადაჭრა და შედარებით ჩაბნელებული ქუჩისკენ შეუხვია. ანამ ივარაუდა, რომ სადმე გოდერძი ელოდებოდა. ცოტა ხანში ხმამაღალი ლაპარაკიც მოესმა და კედელს აეკრო.

გოდერძი ნელის ეჩხუბებოდა. ანას სიტყვები კარგად არ ესმოდა, მაგრამ დაახლოებით მიხვდა, რომ ჩხუბის მიზეზი — მცირე თანხაზე დათანხმება იყო.

შინ მისულმა ანამ ბელა თავის ოთახში იხმო. კარგა ხნის „დაკითხვის“ შემდეგ ძლივს ათქმევინა, რომ დედა უკვე 4 დღეა, ქუჩაში ხვდება და ამინებს; ეუბნება, რომ წაიყვანს და უკან აღარ დააბრუნებს.

— რატომ არ მეუბნებოდი? — ანამ თავზე ხელი გადაუსვა გოგონას.

— დედამ მითხრა, თუ შენ რამეს გეტყვოდი, შენც მოგიტაცებდა და მოგკლავდა.

— მარტო იყო დედაშენი, როცა ამას გეუბნებოდა?

— არა, ვილაც კაცი ახლდა. იმ კაცს არ ვიცნობ, მაგრამ ისე მიყურებდა, რომ შემეშინდა...

ანამ ბელა დაამშვიდა და დასაძინებლად გაუშვა. თვითონ კი საფიქრალს მიეცა.

ვისთვის ეკითხა რჩევა, ამაზე ფიქრობდა. მობილური მოძებნა და ირაკლის ნომერი აკრიბა.

— ალო, — მამაკაცს ნამძინარევი ხმა ჰქონდა.

— მჭირდება, იკა, — ჩვეულებრივად უთხრა, არ აგრძნობინა, რომ მასზე ნაწყენი იყო.

— მოდი, სახლში ვარ. თუ არ დაგჭირდი, ისე ხომ არ გაგახსენდება, ვიცი...

— საყვედურისგან თავი ვერ შეიკავა, თუმცა ნათქვამში სიყვარულიც გამოსჭვიოდა...

მომდევნო დღე ანასთვის დაძაბული აღმოჩნდა. დილიდან ათასი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, მაგრამ ყველაზე მეტად სალამოს შესვედრის გამო ნერვიულობდა.

ნელიმ გვიან დარეკა. შესვედრის ადგილი დათქვეს. ადგილზე ჯერ ირაკლი მივიდა, ცოტა ხანში — ანაც.

— ფულს მაშინ მიიღებ, როცა გოდერძის მაჩვენებ, — პირობა ნაუყენა ანამ.

— გოდერძი აქ არ არის, თურქეთშია.

— ვიცი, რომ აქ არის და თანაც, არც ისე შორს. ახლა გვიყურებს კიდევ, დარწმუნებული ვარ. ჰოდა, დაურეკე ან ანიშნე, რომ მოვიდეს.

— არა, — თავი გადააქნია ქალმა.

— მაშინ, კარგად იყავი, — ანა შებრუნდა და მანქანისკენ წავიდა.

ის იყო, ჩაჯდა და კარის მიხურვას აპირებდა, რომ მამაკაცის ხმა შემოესმა.

— მოიცა!

ქალმა მოიხედა. მისკენ მიმავალი გოდერძი დაინახა და კარი აღარ დახურა.

მამაკაცი მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— ფული მოგვეცი და ნავალთ, — უთხრა ხმადაბლა. კბილებში გამოცრა სიტყვები.

— ხელწერილი უნდა მომცე და პირობაც.

— ხელწერილს არ მოგცემ და პირობა მაინტერესებს. რა გინდა, თქვი!

— ეს იქნება პირველი და უკანასკნელი. სხვა დროს ჩემთან ფულზე აღარ მოხვალთ!

— 50 ათასი რომ მოგეცა, მაშინ

აღარ მოვიდოდით, მაგრამ ისე ცოტას გვაძლევ, შენი შენუხება კიდევ მოგვინევს... — საზიზღრად ჩაიცინა კაცმა.

— მაშინ, ვერაფერს მიიღებთ, — ანამ კარის დახურვა სცადა, მაგრამ გოდერძი ისე იდგა, რომ ხელს უშლიდა.

— გაინიე, გამიშვი!

— სად მიდიხარ?! სანამ ფულს არ მოგვეცი, ვერსად წახვალ! — გოდერძიმ მაჯაში ხელი ჩაავლო და ისეთი ძალით მოუჭირა, რომ ქალმა დაიყვირა. მაგრამ უეცრად ირაკლის მუშტი მოხვდა და მოცელილივით ძირს დასცა.

გოდერძი წამიერად გაითიშა. ირაკლიმ კი ხელები თოკით გაუკოჭა და მერე მანქანაში შეაგდო.

— ანა, შენ შინ წადი, — გადმოსძახა ფანჯრიდან და ადგილს მოსწყდა.

ანა უკან მიჰყვავა. ირაკლი ისეთი სისწრაფით მიქროდა, რომ ქალი ძლივს ეწეოდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**14 მაისიდან**

**არსენალი**

№ 10 (105). 14 - 27 მაისი, 2010 წ. სახელმწიფო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

აქტიური კაპიტალიზმის ანტიკრიზისული რეაქცია

კრიზისული კაპიტალიზმის ანტიკრიზისული რეაქცია

საქართველოს ეკონომიკის რეაქცია

საქართველოს ეკონომიკის რეაქცია

საქართველოს ეკონომიკის რეაქცია

საქართველოს ეკონომიკის რეაქცია

**ყველაზე კასური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის**

# გზის გზნიღლები

## მარი ჯაფარიძე

გამარჯობა ყველას, ვინც ახლა ზის, დგას თუ წამოწოლილია და „გზანიღლებს“ კითხულობს. თქვენც ჩივით და მეც ვატყობ, რომ თემის გარეშე გიჭირთ საინტერესო ამბების მოგონება. არადა, მეც ვჯიუტობ და არ მინდა, ჩარჩოში მოგაქციოთ და თემა შემოგათავაზოთ. მოკლედ, ახლა გასწავლით, როგორ უნდა მოიქცეთ, რომ თქვენით მოიფიქროთ ჩემთვის გამოსაგზავნი ამბავი: დაჯექი, თვალეები ჭერს ააპყარი და გონებით წარსულში გადაინაცვლე. გაიხსენე ამბავი, რომელიც სადღაც გაგიგონია და როცა გიყვებოდნენ, კარგად იცინე და გაერთე. ან იქნებ, უცნაურად მოგეჩვენა, არადამაჯერებლად, მაგრამ მოსაუბრე ამტკიცებდა, რომ წამდვილი ამბავია. ვიცი, სოფლებში მოსუცებს უყვართ ანომალიურ მოვლენებზე ლაპარაკი, ძველი, საინტერესო ამბების მოგონება... ააა, გაგახსენდა, სომ, რა უნდა მომწერო?! ჰოდა, ახლა აიღე ტელეფონი ან მიუჯექი კომპიუტერს და ააწკაპუნე... ახლა მაინც ვერ მისაყვედურებთ, — ტელეფონი გამორთული რატომ არისო?! სულ ჩართულია, ბატონო, ჩემი ტელეფონი და მზადაა, თქვენი მესიჯების მისაღებად. აბა თქვენ იცით. თუ ამ ხერხმა არ გაჭრა, კიდევ მაქვს სხვადასხვა თადარიგში და იმასაც გასწავლით. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.



## „ორგზის“ დაავადებული

„ჩემი კორპუსის წინ სტომატოლოგიური კლინიკა მდებარეობს. ერთი შეხედვით, სხვა კლინიკებისგან თითქოს არაფრით გამოირჩევა, მაგრამ ამ ბოლო დროს დამატებითი ფუნქციაც „შეითავსა“ და მტკივან კბილებთან ერთად, აუტკივარ თავებსაც აგატკივებთ. ასეთი არაფერი გაგიგონიათ, ალბათ. არც მე მქონდა გაგონილი და საკუთარი თვალთ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მოგეხსენებათ, ერთი პერიოდი ქარებმა რომ „გაგვანებოვრა“ და მონატრებული სატრფოსავით რა ხშირ-ხშირად დაინო ჩვენს აივნებსა თუ ფანჯრებთან „სერენადების ზუზუნნი“. ჰოდა, მიადგა ზემოთ ხსენებული კლინიკის მიდამოებსაც... სახურავი ჰაერში შეათამაშა და იქაურობას გაეცალა... ნათქვამია, „გაჭირვებულს ქვა აღმართში მიენვეაო“ და ალბათ სწორედ ეს გამოთქმა შეეფერებოდა კლინიკის კიბეზე ამავალ ქალს, რომელიც „ერთგზის“ იყო ავად და ეს ავადმყოფობა „ორგზისად“ შეეცვალა მაშინ, როცა ქარისგან აფრიალებულმა სახურავის ნაგლეჯმა პირდაპირ მისი თავისკენ აიღო გეზი... იღრიალა სანყალმა, მაგრამ რა იღრიალას!.. სულ გადაავინყდა შეხვეული ყბა და მტკივანი კბილი. გამოიძახეს „სასწრაფო“ და გააქანეს. ის სახურავი კი იმ დღესვე შეაკეთეს. ამიტომ უკვე თამამად შეგიძლიათ მიბრძანდეთ და მტკივან კბილზე იმკურნალოთ. SWEET-GIRL“.

## სიზმრების ახსნა

„სიზმრების მრავალნაირი ახსნა არსებობს. ერთ-ერთ სახუმარო ახსნას ძველ წიგნებში გადავანყდი,

# მუროველი ქროხები და სანაქებო რძალი ანუ სეცხლზე ნავთდასხმული



ერთი-ორი ჩემიც მივუმატე და მინდა, თქვენც გაგიზიაროთ... მაშ ასე: სიზმარში ვირი ნახო — შვილი უნივერსიტეტიდან გარიცხონ... ბუღალან ხარირემი — ცოლი თურქეთში გაუშვა, კატა ნახო — თქვენს კორპუსში სანეიდსადგურის თანამშრომელი მოვიდეს... კოდალა ნახო — ცხვირის ოპერაცია გაიკეთო, ვეფხვი ნახო — სიდდერი გესტუმროს... ძროხა — მდიდარი საყვარელი გაიჩინო... კუ ან ლოკოკინა — ფოთი-თბილისის ლამის მატარებლით იმგზავრო. თუთიყუში — პარლამენტში დეპუტატებმა ხმა ამოიღონ... ბაყაყი — მეზობელმა ზედა სართულიდან წყალი ჩამოგიშვას... უგულავა — გასაკეთებელი კიდევ ბევრი გქონდეს... ნოღაიდელი — სინდისმა გილაღატოს... პროვოკატორი — სხვის ყბაში ჩავარდე... „ციგნის“ ბავშვები — შემოსავალი დაკარგო... წითელი ვარდები — პოლიტიკური ნოსტალგია მოგანვეს... თეთრქრემიანი შავი ტორტი ჰალსტუხის ბისკვიტით — სააკაშვილს ობამას მილიონები შემოეჭამოს... კორექტორის ხელით ნაშლილი ნაწერი — არჩევნების შემდეგ იმედი გაგიცრუვდეს... გზანახო — ხუთშაბათ დღეს უქვეყელი რაღაც გაგიხარდეს, დაბოლოს: სიზმრად ეს გზავნილი ნახო — ე.ი. მარიმ ვეტო დამადო... ვარსკვლავთმრიცხველი ლიმონა“.

### „მშრომელი“ ძროხები

„ჩემს კუთხეში (ქალაქს შეგნებულად არ ვასახელებ) თურმე ერთი ზარმაცი ნოდარი ცხოვრობდა, რომელსაც მუშაობა ჭირივით ეზარებოდა. შიმშილით რომ არ დაეხოცა ჯალაბობა, „ვინუფდენში“ ჩავარდნილმა, დათესა სიმინდი და რის ვაი-ვაგლახით მოიწია მოსავალი... სარჩო როგორც კი აიღო, თავი არხეინად დაიგულა და საქონლისთვის ზამთრის მარაგის ჩალის ასაღებად თითიც არ გაანძრია, ხელუხლებლად დატოვა... ეს რომ ნახეს მეზობლებმა, ჩიჩინი დაუნყეს, შიმშილით ჰკლავ შენს ძროხებს, რამ გაგაზარმაცა, ჭამა მათაც ხომ უნდათო და მრავალი ასეთი... ნოტაციების კითხვით თავგაბებრებულმა ნოდარამ ბოსლის კარი გააღო, ძროხებს ყანა დაანახვა და ხელები ფართოდ გაშალა: აგერ, ბატონო, თქვენი ჩალა, გინდ, ზამთრისთვის დაიტოვეთ და გინდ, ახლა ჭამეთო. :) ლიმონა“.

### გადავარდნილი

„ერთი ამბავი მინდა მოგიყვებო,

რომელიც დედაჩემის ახლობელს შეემთხვა. თურმე, ერთ დილას სარეცხს რომ ჰყენდა, ფიქრებში გართული, გადმოვარდნილა მე-6 სართულიდან. მაგრად დამტვრეულა და საბედნიეროდ, გადარჩა. ერთი წელი იწვა საავადმყოფოში, მაგრამ ღვთის წყალობით, განიკურნა და სიარულიც დაიწყო. უნდა გენახათ, გაცეცხლებული ექიმები თურმე თვალებს არ უჯერებდნენ. გავიდა დრო და სახლში განერეს. ერთ ავბედით დღეს დაქალები მისულან მოსანახულებლად. ჭორაობითა და ყავის წრუჭებით გული რომ იჯერეს, ერთ-ერთ დაქალს უკითხავს, როგორ გადავარდიო? ეს საბრალოც მისულა აივანთან და, — აი, ასე, ვფენდი სარეცხსო, — აჩვენა და ისევ გადავარდა და დაიღუპა. პუშკინა“.

### „იელოველები“

„მთელ სკოლაში განსაკუთრებული კლასი მაქვს... ძალიან მეგობრული, მაგრამ გიჟუკა კლასელები მყავს... ჰოდა, დირექციამაც გადაწყვიტა, ჩვენს დასაჭკვიანებლად, კარგი გაკვეთილი მოეცა და მთელ სკოლაში ცნობილი, ეჭვებით შეპყრობილი მასწავლებელი შემოეგზავნა კლასში... მეტი არც ჩემს კლასელებს უნდოდათ და პირველსავე გაკვეთილზე მასწავლებელს დააჯერეს, რომ ჩვენი კლასის ნახევარზე მეტი, იელოველები იყვნენ და ქადაგება დაუნყეს, ასე ვთქვათ, „ჭემმარიტ ღმერთზე“... როგორც იქნა, იმ ქალმა 45 წუთი გაუძლო ჩემი კლასელების შეტევას. კლასიდან გასულმა დანერა განცხადება და იმ დღის შემდეგ, რომც ეხვეწონ და ემუდარონ, ჩვენს კლასში ფეხს აღარ შემოდგამს. იმედი, არ დამბლოკავ, მარ, და არ ჩამიკლავ სურვილს, რომ ვატარო სტატუსი „მგზავნილი“... პალმა21“.

### ალქაჯები

„არა, რა, ვერა და ვერ ვეგუებო ამ „გზას“ უჩემგზავნილოდ (ოო, ეს ეგოიზმი!). კი დაგეწუნუნებოდი, მარი, რატომ არ მიბეჭდავ-მეთქი, მაგრამ რაც არ მომიწერია, რაზე გეწუნუნო?! ეს დღეები ისეთი დაკავებული აღმოვჩნდი, კინაღამ ჩემი „საქმიან-ქალობა“ დავიჯერე. თავის მოსაფხანი დრო აღარ იყო და... კი ვარ ასე, თავმოუფხანელი, მოუცვლელობისგან. ისე გწერ... თუნებას დამრთავთ, გასწავლით, როგორ უნდა დავაფრთხოთ ინკასატორები, გულეები დაუხებთქოთ ხალხს ჩვენ ირგვლივ და დამსახურებულად მივიღოთ გიჟის სტა-

ტუსი. ამბავი ესე, როგორ დავემსგავსოთ ალქაჯს: სანამ გაგვიანდვიდულურმრიცხველიანებდნენ (ვგიჟდები ასეთ სიტყვებზე, სულ დოჩანაშვილის „ბრალია“), მანამდე მრიცხველები, მოკვდავთ ენაზე — „სოჩიკები“ სახლებში გვექონდა. ჰოდა, სახლში, მრიცხველებთან ყოველთვე მოდიოდნენ მოსანახულებლად ინკასატორებიც. ერთ-ერთი ასეთი „მონახულების“ დროს დავაფრთხე ჩემი „მრიცხველის სტუმარი“. ნუ, სახლში მარტო ვიყავით მე და ჩემი დაქალი და... არც მეტი, არც ნაკლები, ყავის ნალექის ნიღბები გაფუკეთეთ ერთმანეთს. მერე წითელი პომადებიც წავისვით (რომელიც გასაოცარ კონტრასტს ქმინდა ყავისგან გაშავებულ სახეებთან). ასე დამშვენებულები ერთმანეთის დანახვისას გულიანად ვხარხარებდით. ამ დროს დარევეს კარზე ზარიც... ბევრი ვიჭიდავეთ თუ ცოტა, კარს ვერ ვაღებდით. რატომღაც ჩაგვეკეტა. ინკასატორს კი ოინი ეგონა და გარედან რაღაცებს გვებუზღუნებოდა. როგორც იქნა, გავალეთ კარი და...

იმის მაგივრად, რომ გაბრაზებულ ინკასატორს დავეცეცხლეთ და ჩემი მრიცხველი მოენახულებინა, ჯერ სახეზე ელვისუსწრაფესად გადაუბრინა მუქნიშნის ფერებმა, მერე კი თავპირისმტვრევით დაემუვა კიბეზე... მე და ჩემმა გაოგნებულმა დაქალმა კი ერთმანეთს გადავხედეთ. მაშინვე მიხვდით, რამაც დააფრთხო საწყალი ინკასატორი. აბა წარმოიდგინეთ, 2 თმაგანწილი, შავისფათიანი და წითელპომადიანი ალქაჯი ჯერ 1 საათი გახვეწინებებს კარის გაღებას და რომ გააღებს, ასე საუცხოოდ გამოიყურება! :)

იმის მერე ჩვენს სახლს მეტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ინკასატორები. კაქტუსი. (ყოფილი ჩუპი“).

### სანაქებო რძალი

„გიამ ერთადერთი ვაჟყაცაი დააქორწინა და დიდებული ქორწილიც გადაუხადა. მანამდე სამეზობლოში ყველა ოჯახის რძალი დანუნებული ჰყავდა. ზოგის სიმალე არ მოეწონა, ზოგის — დიასახლისობა, ზოგს გვარი დაუნუნა და ერთი-ორის პატიოსნებაშიც შეეპარა ეჭვი. ერთადერთმა ვაჟმაც, არ უმტყუნა და უბადლო რძალი მოუყვანა სახლში. ისიც, რძლის ქება-დიდებაში იყო სულ. დანუნებული რძლების პატრონები ხმას ვერ იღებდნენ, როცა გია თავის რძალს ყველაზე მომხიბვლელ და ყოჩაღ რძლად



ბილს. გოგონებმა კი დასტაცეს მის ტანსაცმელს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სახლისკენ მოკურცხლევეს... ტრუსის ამარა დარჩენილი მამაჩემი კი უკან მოსდევს გამწარებული... ნუ, ახლა იმის აღწერას აღარ დავიწყებ, სახლთან მოსულებს მეზობლები რა სახეებით უყურებდნენ, ნახევრად ტიტველ კაცს. ლამის ვარდენასავით გიჟად მიიჩნიეს... სად გადარჩი, მამიიი?!.. სწეეტ-გირლ“.

ვითომ გათხოვილი

„გამარჯობა მარი, პირველად გწერთ და იმედია, არ მანყენინებთ... „გზას“ რაც შეეხება, ძალიან დიდი ხანია, ვკითხვლობ. ახლა, რაც შეეხება თემას: მე და ჩემი დაქალები ოინების მოწყობის დიდოსტატები ვართ. თან ხშირად ერთმანეთს ვუჩაღიჩებთ. მე და ჩემი ორი მეგობარი, თათი და თაკო მათემატიკაზე ერთად დავდივართ. ერთხელ გვიან მოგვინია გაკვეთილიდან გამოსვლა. თათი მალე დაგვშორდა მე და თაკოს და სახლში წავიდა. ჩვენც გადაწყვიტეთ, რალაც გვემამიშუნა. რამდენიმე საათის შემდეგ თაკომ დაურეკა და უთხრა, თითქოს სახლში არ მივსულვარ და ყველა მეძებდა. თან დაამატა, რომ ერთი ჩემი „პაკლო“, რომელიც სამოგზაუროდ იყო, ჩამოვიდა და ბოლოს მასთან ერთად მნახეს... ჰოდა, გაგიჟდა ჩვენი თათი. რა აღარ იფიქრა, სახლშიც ამოვიდა ჩემთან, მაგრამ ეგეც წინასწარ გავთვალეთ. ჩემთან სახლში არავინ იყო და მე მეზობელთან ვრჩებოდი. შეშინებულმა თათულიკამ ჩვენს მეგობარ ბიჭებსაც გააგებინა ჩემი ვითომ მოტაცების ამბავი. ამ ბიჭებს შორის ჩემი შეყვარებულიც იყო. გაგიჟდა ბიჭი, რა უნდა ექნა, ვერ გაიგო... უამრავი ხალხი ჩაერიო საქმეში და ერთად მეძებდნენ. იმ საცოდავ ბიჭსაც მიადგნენ, მაგრამ რაც არ იცოდა, რას ეტყობდა? კარგად მიჟეჟეს ჩვენი ზუკა და

ნამოვიდნენ კიდევ უფრო შეშინებულები... თათიას გული იმდენჯერ წაუვიდა, ერთი ფლაკონი კაპლი შეისუნთქა, მობრუნების დროს. ჩემი სიყვარული ცალკე იჭრიდა ვენებს, რა აზრი აქვს ცხოვრებას თამოს გარეშე... მოკლედ, იმ ღამეს არავის სძინებია, ჩემსა და თაკოს გარდა... მეორე დღეს კი გაბადრული სახით გამოცვცხადდი მეგობრებთან. რეაქციები განსხვავებული იყო — თათი ტიროდა (სიხარულისგან), ცოცხალიაო. ჩემი სიყვარული უაზროდ მიხუტებდა და ღრიალებდა, კიდევ კარგი, არ დაგვარგეო... დანარჩენებიც იცრემლებოდნენ. აი, მაშინ კი შეგვანუხა მე და თაკო ცოტა სინდისმა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერაფერი გამოგვასწორებს. პ.ს. ისე, ტყუილი მალე ამიხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩემმა სიცოცხლემ მომიტაცა. თუმცა, აქაც ოინი მოვუნყე და გამოვიპარე. არ მინდოდა გათხოვება და რა მექნა? გავაბრაზე ჩემი ბიჭი, მაგრამ არ ვნანობ, უკან რომ დავბრუნდი, რადგან წინ სტუდენტობა მელის და გათხოვებას მერეც მოვასწრებ და კიდევ, თათულიკა, მამატიე, სულ რომ სისხლს გიშრობ“.

„შენ ვის უნდა მოუტყ“...

„წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, როცა შუადღის, თაკარა მზისგან ტვინათქვეფილს, ენერგიის აღსადგენად ჩაგეძინება და ამ დროს დაუპატიჟებელი სტუმარი კი არაა, სტუმრები შენს კარზე ბრახუნით მოიტანენ იერიშს, თანაც, როცა თვალების ფშვინებითა და ჩაბურტყუნებული გინებით კარს ალბებ, აღმოჩნდება, რომ ამ სამი სტუმარიდან ერთი საშინლად უკიდებს ენას, მაგრამ მაინც შენი რელიგიური მრწამსის შესარყევად და შენი აზრების რეფორმაციისთვის მზადაა, თავი განიროს და გამოუძინებელი ნერვები და თავისი ცხვირ-პირი საფრთხის ქვეშ დააყენოს. ალბათ მიხვდით, რომ ეს უიღბლო მასპინძელი მე ვიყავი და დაუპატიჟებელი სტუმრები —

იელოვას მონმეები. კართან ოციოდენ წლის, თეთრებში გამოწყობილი, მოქერაო-კულულა და თვალბში სხივავლვარებული, გაცვეთილი ლარნაკივით ფერგახუნებული და „შეთხლებული“ ბიჭი იდგა, გულში ჩახუტებული, მალაპოლიგრაფიული დონის ჟურნალებით. თან 2 გოგო ახლდა, რომელთაც ტრუსის ამარა დარჩენილი, შიშველი სხეულის დანახვაზე (ვინ გაცალა ბატონო, ჩაცმა?), იელოვური თვალბი უხერხულად დახარეს (მერე იტყვიან, სირცხვილი არ აქვთო). მოშორებით, საბირჟაო სკამზე უბნის გოგონები ისხდნენ და ჩემს დანახვაზე ისე ახითხითდნენ, ცხადი იყო, ეს შარა-შარა მოხეტიალე, სხვათა სულთა კონფისკატორები მათ მომიგზავნეს. გამიფრულ სცენარისტებს მუშტი დავუქნიე და იელოვას მონმეების თუ ეშმაკის მოციქულების (საკითხავი აი ეს არის) შეფს დამცინავი შექარითა და თითის მკერდში ტაკებით მივმართე: აბა, რა გნებავს ჯიგარო, მოლექულურ ბიოლოგიაზე და კვანტური ფიზიკის საფუძვლებზე უნდა მესაუბრო თუ მე გესაუბრო თქვენი ტვინნაღრძობი რასკლის ბიოგრაფიის თქვენთვის უცნობ დეტალებზე-მეთქი? სალექციოდ გამზადებულ ბიჭს ტვინში მეტყველები და ემოციების ცენტრებმა ერთმანეთი გადაკვეთეს და საცოდავად, რალაც „აბრაკაბადრა“ იბლუყუნა: — მეე... არაა, ისააა, შენ, უჰ, თქვეენ, იელოვოვო! — ამ ბლუყუნმა ლამის ცოცხალ ბომბად მაქცია: — ბიჭო, შენ გრამატიკის სასწავლებლად გამალვიძე? „დავია“, გამასწარ, ვიდრე შენ და შენი იელოვა დუეტში მიგინებხარო-მეთქი! ბიჭს მოწოლილი სიტყვა ყელში ფხასავით გაეჩხირა და ისეთი ხველება აუტყდა, ჯერ გალურჯდა, მერე განითლდა და გადაფითრების ფაზაში რომ გადავიდა, შევშინდი, იელოვას მაინცდამაინც ჩემი კარიდან არ გადაეყვანა თავისი თვალბდაყვლეპილი მონმე თავის განზომილებაში (თორემ ვეღარც მოვიცილებდი თავიდან იელოვასთან აუდიენციის მსურველ იელოველთა რიგს) და ბიჭს ზურგში — „ალალი, ალალი“-ს ძახილით ზურგში რამდენჯერმე მადიანად ჩაუტყაპუნე. ნახევრად სულმოთქმულმა ბიჭმა ალილუიასავით გამიწვლა: — ძმაო, რას მიტყ... მიტყ... მიტყაპუნებ, მე რომ მოგიტყ... მოგიტყ... ტყ... ამ დროს მეზობლის გოგოს სახლიდან გამოტანილი წყლით სავსე ბოთლი გამოვგლიჯე და ბიჭს თავზე ჩამოვალვივლე, თან წაუთიმითაც: — ბიჭო, შენ ვის უნდა მოუტყ...







„მოზილიზახიში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. სამისოდ, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბოთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



# ტაიმ-აუზი

## 5 დაწყველილი ნაწარმოები

### სიმღერა „ბიხეყმი კვირა“

1932 წელს, მეგობარ გოგონასთან განშორების შემდეგ, უნგრელმა რესო სერეზმა სიმღერა „პირქუში კვირა“ დაწერა. ერთმა მუსიკალურმა კომპანიამ სიმღერა შეიძინა და რამდენიმე რადიომ ააჟღერა კიდეც. აქედან კი უბედურებები დაიწყო. ბერლინში ახალგაზრდა კაცმა რადიოში „პირქუში რადიო“ შეუკვეთა. მოუსმინა და თავი მოიკლა. რომში ერთი ბიჭი ხიდიდან გადახტა. ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ ჩამომხრჩვალ გოგონა აღმოაჩინა, რომელსაც პიანინოზე სიმღერის ნოტები ედო. ნიუ-იორკში სიმღერის დასრულების შემდეგ ბიჭი ფანჯრიდან გადახტა. რამდენიმე თვის შემდეგ ამ ნამუშევრის რადიოთი გაჟღერება აკრძალეს. სერეზმა მეგობარ გოგონასთან შერიგება გადაწყვიტა, მაგრამ შეყვარებული გარდაცვლილი იპოვა, გოგონას ხელში „პირქუში კვირის“ ნოტები ეჭირა.



### ფილმი „ეგზოხისტი“

ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ გარდაიცვალა მეორე-არისხოვანი როლის შემსრულებელი — ჯექ მაკგოურანი, პრემიერის დღეს მთავარ გმირს — მაქს ზუდოვს ძმა მოუკვდა. ლინდა ბლერს (ქალის მთავარი როლის შემსრულებელი) — ბაბუა. ჯეისონ მილერის (მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი) ქალიშვილი ავარიში მოყვა და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. რეჟისორის მდივანი და ასისტენტი ქალები საგიჟეთში მოათავსეს.



### ნახატი „წყლის მხომანები“

კლოდ მონეს „წყლის შროშანები“ 100 წელია ხალხს შიშის ზარს სცემს, — მისი ყველა მფლობელი დაიწვა. პირველი ხანძარი მხატვრის სახელოსნოში, ტილოს დასრულების შემდეგ გაჩნდა. შემდეგ მონმარტრის კაბარე დაიწვა, სადაც „წყლის შროშანები“ ეკიდა. ტილო მეცენატმა ოსკარ შმიტცმა შეიძინა. ერთი წლის შემდეგ მისი სახლი ფერფლად იქცა, მხოლოდ ნახატი გადარჩა. შემდეგ იგი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა შეიძინა, ხანძარი 4 თვის შემდეგ გაჩნდა და ტილოც სერიოზულად დაზიანდა.

### კაპყკყ — ბაკმცის კიმონო

XVII საუკუნეში, იაპონიაში ვაჭურუსი (საბავშვო კიმონო) ყველას ეშინ-

ოდა. იგი პატარა გოგონასთვის შეკერეს, მაგრამ გოგონა მოულოდნელად გარდაიცვალა. ვაჭურუსი გააჩუქეს. შემდეგ მსხვერპლი მელიამ დაგლიჯა. მესამე გოგონა მესმა განგმირა. ამ ფაქტის შემდეგ იაპონელმა მღვდელმა კიმონოს ცეცხლი წაუკიდა, ქალაქი ალმა მოიცვა. ტოკიოს 3/4 დაიწვა, აგრეთვე — სამასი ტაძარი, ხუთასი სასახლე და 9 ათასი სავაჭრო ცენტრი; 100 ათასი ადამიანი დაიღუპა.

### ტყტანხამონის თილისმა

2005 წელს სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებმა ქალბატონმა ტყტანხამონის აკლდამიდან მოპარული სკარაბუუსის თილისმა ეგვიპტეში დააბრუნა. სკარაბუუსი 1922 წელს მოიპარეს. მისი პირველი მფლობელი მეზღვაური იყო. მისი გემი ჩაიძირა და თავადაც დაიღუპა. მისი ქალიშვილი 21 წლის ასაკში ლეიკემიით გარდაიცვალა. მომდევნო მფლობელის ქალიშვილიც 21 წლის ასაკში ლეიკემიით დაიღუპა. მამამისიც ტრაგიკულად აღესრულა. ამის შემდეგ ქალმა თილისმა ეგვიპტეში დააბრუნა.





# დაულაპი მებრძოლები

რუდოლფების ოჯახში ვილმა 22 ბავშვიდან მეოცე იყო. უდღეური დაიბადა და ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. 4 წლის ასაკში გადატანილი ორმხრივი პნევმონიისა და ქუნთრუმის შედეგად მარცხენა ფეხი წაერთვა. 9 წლის ასაკში ფეხიდან რკინის კავი მოიხსნა და 13 წლისა ნორმალურად დადიოდა. ექიმები ამ ფაქტს ჯადოსნურს უწოდებდნენ. შემდეგ სპორტმა გაიტაცა და გადაწყვიტა, მორბენალი გამხდარიყო. ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობდა, წარუმატებლობა არ აზინებდა.



ერთხელ ფინიშთან პირველიც კი მივიდა, საბოლოოდ, ვილმა რუდოლფი ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

1954 წელს სატვირთო მანქანის მძღოლმა და ყველასათვის უცნობმა ელვის პრესლიმ მუსიკალურ პროდიუსერ ჯიმი დენის საკუთარი სიმღერა მოასმენინა. „მაპატიე, მაგრამ შენგან მომღერალი არ გამოვა, უნიჭო ხარ, — უთხრა პროდიუსერმა, — უმჯობესია, თავი ისევ მძღოლობით გაიტანო“. ცოტა ხანში ელვის პრესლი ამერიკის ყველაზე ცნობილი და პოპულარული მომღერალი გახდა.

„ოსკაროსანი“ ვუდი ალენი სცე-

ნარისტი, პროდიუსერი და რეჟისორი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში კინოგანყოფილებაზე ჩაბარებისას ჩაიჭრა. შემდეგ წელს მან ინგლისურის ენის გამოცდაც ვერ ჩააბარა.

1959 წელს „იუნივერსალ ფიქსერის“ კინოსტუდიიდან კლინტ ისტვუდი და ბერტ რეინოლდსი უნიჭობისა და შეუხედაობის გამო დაითხოვეს. ცოტა ხანში ორივე ამერიკის ყველაზე პოპულარული და მაღალანაზღაურებადი მსახიობი გახდა.

„ოსკაროსანი“ ლივ ულმანი ნორვეგიის თეატრალურ ინსტიტუტში უნიჭობის გამო არ მიიღეს.

1876 წელს, ტელეფონის გამოგონების შემდეგ, ალექსანდრე ბელი გავლენიან ამერიკელებს სტუმრობდა და აპარატის ყიდვას სთავაზობდა. „საინტერესო გამოგონებაა — განაცხადა რატერფორდ ხეისიმ (აშშ-ის მე-19 პრეზიდენტი) — მაგრამ ვის რაში დასჭირდება“.

ამერიკელი გამომგონებელი თომას ედისონი სკოლიდან გამოაგდეს, რადგან გონებრივად ჩამორჩენილი იყო. ბიჭს სასკოლო საგნებს დედა ასწავლიდა. ედისონს მეცნიერება იტაცებდა. 10 წლისამ პირველი ქიმიური ლაბორატორია შექმნა. სულ 1300 გამოგონების ავტორია. ელექტრონათურის შექმნას 2000 ექსპერიმენტი დასჭირდა. ერთმა რეპორტიორმა ჰკითხა, რას გრძნობდა გამომგონებელი 1999 წარუმატებლობის დროს, რაზეც ედისონმა უპასუხა: „წარუმატებლობა არ მქონია. ნათურის შექმნას ორი ათასი ექსპერიმენტი დასჭირდა“.

რომან-ვესტერნების შემქმნელმა ლუის ლამურმა 200 მლნ ეგზემპლარის წიგნი გაყიდა. პირველი წიგნის დაბეჭდვაზე კი 350 გამომცემლისგან მიიღო უარი. ლამური პირველი ამერიკელი რომანისტი, რომელმაც ისტორიული რომანების შექმნისთვის ამერიკის კონგრესისგან ოქროს მედალი მიიღო. ■

## განახლებული რუბრიკა

**სიბყვა და საქმის**  
საქმიანი გარეშე **ავტო**

www.saqme.ge

**ავტოგანცხადებები**  
**სიბყვა და საქმის**  
**ხუთშაბათის**  
**ნომერში**



# მწუსარებისა და ბედნიერების ფერები

დანებების შემთხვევაში, ტყვე თეთრი ფერის ალამს აფრიალებს. ის პარლამენტარების ფერიცაა, მაგრამ იაპონიაში, ჩინეთსა და ინდოეთში — უბედურების, ტრაგედიის, ინდოეთში — ავადმყოფობის; წითელი კი ცხოვრებისა და სიყვარულის ფერია. ამიტომ გამოსახავენ სამედიცინო სიმბოლოზე თეთრ ფონზე წითელ ჯვარს. აზიელე-



ბი გაკვირვებულნი არიან, რატომ იცვამს ევროპელი პატარძალი ქორწილში თეთრ კაბას.

წითელი საფრანგეთში არისტოკრატების ფერია, ეგვიპტელებისთვის პირიქით — მწუსარების. საფრანგეთის სამეფო კარზე მოხვედრილი ეგვიპტელები გაცოცხლები იყვნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, ფრანგები რას გლოვობდნენ, რადგანაც წითელი ეგვიპტელებისთვის გლოვის ფერია, ჩინელებისთვის — ბედნიერების. იაპონელები წითლით გაბრაზებასა და მრისხანებას გამოსახავენ. ამიტომაცაა, რომ იაპონური მულტიფილმის გმირები გაბრაზებისას პომიდორივით წითლდებიან.

ამერიკაში სიმხდალესა და ლაჩრობას ყვითლით გამოსახავენ. ჩინელებისთვის ყვითელი (ოქროსფერი) ბედნიერებისა და სიმდიდრის, ხოლო იაპონიაში გრაციოზულობისა და დახვეწილობის, ინდიელებისთვის — წარმატების ფერია.

ამერიკელისთვის მწვანე თავდაცვის ფერია, საფრანგეთში კი დანაშაულს აღნიშნავს.

ევროპელისთვის შავი ფერი



გლოვასა და უბედურებასთან ასოცირდება; აზიელისთვის ბედნიერი ქორწინებისა და სიყვარულის ფერია. ცისფერი ეგვიპტეში კეთილსინდისიერებასა და გულკეთილობას აღნიშნავს, ამერიკაში — მამაცობას (ამიტომაც გამოსახეს ეს ფერი დროშაზე), ხოლო იაპონიაში — მხდალი და ქურდბაცაცა ადამიანების ფერია.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

# რადიომკურნალი

იზოფე შენი მკურნალი  
„ჯალიცობიზ“  
ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს,  
15:30 საათზე  
სალომი  
ლილუაშვილთან  
ერთად





# საფრანგეთი, 1938



ფინალური ტურნირი საფრანგეთში, 1938 წლის 4-19 ივნისს მიმდინარეობდა.

მონაწილეები: შვეიცარია, გერმანია, კუბა, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლანდია, შვედეთი, საფრანგეთი, ბელგია, უნგრეთი, პოლანდიის ვესტ ინდოეთი, იტალია, ნორვეგია, ბრაზილია, პოლონეთი.

გათამაშების სისტემა: მერვედფინალიდან ოლიმპიური სისტემით.

გაიმართა: 18 მატჩი. სულ დაესწრო 483000 მაყურებელი (საშუალოდ, თითო შეხვედრას — 26833).

გავიდა: 84 გოლი (საშუალოდ, 4,67 თითო შეხვედრაში).

საუკეთესო ბომბარდირი: 8 გოლით ლეონიდასი (ბრაზილია).

ფინალი: 19 ივნისი, პარიზის „ოლიმპიკი“, 45000 მაყურებელი.

გოლები: კოლაუსი (6, 35); პიოლა (19, 82); ტიტკოში (8); შაროში (70).

მსაჯი: კაპდევვილი (საფრანგეთი).

იტალია: ოლივერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

უნგრეთი: საბო, პოლგარი, ბირო, შალაი, სიუჩი, ლაზარი, შაში, ვინჩე, შაროში, ჟენგელერი, ტიტკოში.

სიმბოლური ნაკრები: ოლივერი (იტალია), მინელი (შვეიცარია), რავა (იტალია), შალაი (უნგრეთი), ანდრეოლო (იტალია), კოპეცკი (ჩეხ-

ოსლოვაკია), მეაცა (იტალია), პიოლა (იტალია), ბიავატი (იტალია), ლეონიდასი (ბრაზილია), კოლაუსი (იტალია).

## გამარჯვება ან სიკვდილი

1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც საფრანგეთმა უმასპინძლა, პლანეტის ყველა ძლიერი ნაკრების თავმოყრა მაინც არ მოხერხდა. ურუგვაი კვლავაც განაგრძობდა ევროპის ბოიკოტირებას. უფრო მეტიც, ამჯერად ურუგვაელებს არგენტინელებმაც მიჰბაძეს — პირველ რიგში ბრაზილიასთან კონფლიქტის გამო. გარდა ამისა, არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობა ფიფა-ზეც იყო განწყობილი, რომლის სპეციალურმა კომისიამაც ბოლო მომენტში მასპინძელი ქვეყნის შერჩევასთან დაკავშირებით, გადანყვებილება შეცვალა. თავდაპირველად მუნდი-

ალის ჩატარებას არგენტინაში აპირებდნენ, მაგრამ მოგვიანებით, 1936 წელს ბერლინში გამართულ კონგრესზე, მსოფლიოს ჩემპიონატის დედაქალაქად პარიზი გამოაცხადეს. ამითი ფიფა-ს მესვეურებს თავიანთი პრეზიდენტის, ფრანგი ჟიულ რიმეს ღვაწლის დაფასება სურდათ. ამიტომ ისინი რეგლამენტის დარღვევასაც არ მოერიდნენ, რომლის თანახმადაც, მუნდიალი სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში მონაცვლობით უნდა ჩატარებულიყო.

ცხადია, ამის გამო, სამხრეთ-ამერიკელებმა და კერძოდ, არგენტინელებმა თავი შურაცხყოფილად მიიჩნიეს. თანაც, იმხანად მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი, თავდამსხმელი ერიკო ლიდერობდა. ნაკრების ღირსებას ნახევარმცველი, ერნესტო ლაძატი იცავდა, რომელსაც მეტსახელად Pibe de oro-ს („ოქროს ბიჭუნა“) ეძახდნენ.

საფრანგეთში ოქროს მედლებსათვის ბრძოლაში არა 16 (როგორც წესით უნდა ყოფილიყო), არამედ 15 ნაკრები ჩაება. საქმე იმაში გახლდათ, რომ 1938 წელს ფაშისტურმა გერმანიამ ავსტრიის ოკუპაცია მოახდინა. ავსტრიის ნაკრებმა კი, რომელმაც შესარჩევი თამაშები ბრწყინვალედ ჩაატარა, არსებობა შეწყვიტა. მისი მეტოქე — შვედეთის გუნდი შემდეგ წრეში ასპარეზობის გარეშე გავიდა. ამგვარად, მერვედფინალში რვის ნაცვლად, შვიდი მატჩი გაიმართა.

შეხვედრები უკომპრომისო ბრძოლებში მიმდინარეობდა: ხუთ მათგანში საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა, ხოლო ორი მატჩი გადათამაშებით დასრულდა.

ჩემპიონატის ფავორიტებად მიჩნეულმა იტალიისა და ბრაზილიის გუნდებმა დიდი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ მაინც შეძლეს მერვედფინალური ეტაპის გადალახვა. ფეხბურთის სპეციალისტები ბევრს მოელოდნენ გერმანიის ნაკრებისაგან, რომელიც ავსტრიელი ფეხბურთელებით გაძლიერებულიყო. მიუხედავად ამისა, გერმანელებმა პირველივე ტურის შემდეგ დატოვეს ტურნირი და ადგილი შევეიცარიელებს დაუთმეს.





მეოთხედფინალში მსოფლიოს ჩემპიონებმა, იტალიელებმა ტურნირის მასპინძლებს, ფრანგებს სძლიეს (3:1). აღსანიშნავია ის, რომ ამ მატჩში „სკუადრა აძურას“ წარმომადგენლები, თავიანთი ხელისუფლების მითითებით, შავი მაისურებით თამაშობდნენ. იმხანად ხომ იტალიაში მუსოლინის რეჟიმი სუფევდა და შავ ფერსაც განსაკუთრებული დატვირთვა ეძლეოდა. ამასთან, თავად შეხვედრამ უჩვეულოდ კორექტულ ატმოსფერ-

ფიფა-მ არ მიიღო. „ვიდრე ფიფა მსაჯობის პრობლემას არ გადაწყვეტს, სამხრეთამერიკული გუნდები ევროპაში ორგანიზებულ ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ“, — უთქვამს ბრაზილიელთა გუნდის ხელმძღვანელს, სელიუ დე ბარეშს. უფრო მეტიც, აღშფოთებული სამხრეთამერიკელები მესამე ადგილისათვის მატჩის ჩატარების გარეშე აპირებდნენ ტურნირის დატოვებას, მაგრამ ბოლოს ემოციებს მაინც

### სამხრეთამერიკელებმა შაკირა ღაინუნს

შაკირას მიერ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჰიმნის, — Waka Waka – Time for Africa, — შესრულებით სამხრეთამერიკელი ქომბაგები უკმაყოფილონი დარჩნენ. ადგილობრივი რადიოსადგურების ეთერში კოლუმბიელი პოპვარსკვლავის მიერ სამხრეთამერიკულ ჯგუფ Freshlyground-თან ერთად, კამერუნული მუსიკის საფუძველზე ჩანერილი სიმღერა ცოტა ხნის წინ გაჟღერდა. „ის საშინელებაა, — ამბობს ერთ-ერთი სამხრეთამერიკელი გულშემატკივარი, ლინდი მუნონდე, — საინტერესოა, ჩვენი პრეზიდენტი ამასთან დაკავშირებით რამეს აკეთებს?“

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებს ის არ მოეწონათ, რომ მათ კონტინენტზე მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ სიმღერას ლათინურამერიკელი მომღერალი შეასრულებს. გარდა ამისა, მათ უფრო დიდ კონცერტზე მეტი ადგილობრივი შემსრულებლის ხილვას სურთ. კონცერტი 10 ივნისს გაიმართება და მსოფლიოს ჩემპიონატს მიეძღვნება. „მოხარული ვარ, რომ სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა ერთიანდება და ამბობს — ჩვენ საკუთარი შემსრულებლები გვყავს და ეს აფრიკული მსოფლიო პირველობააო. ის მართლაც ჩვენი! ფანტასტიკური ტურნირის ჩატარებას ვაპირებთ და რატომ ვერ ვხედავთ სამხრეთამერიკელებს, რომლებიც ამას ჩვენთვის აკეთებენ?“ — განაცხადა ერთ-ერთი რადიოარხის წარმომადგენელმა, ჯენი კრიუს უილიამსმა.



ოში ჩაიარა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი ბრაზილიელთა და ჩეხოსლოვაკიელთა დაპირისპირებაზე, რომლის მსვლელობის დროსაც მოედანი ბრძოლის ველს უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტულ არენას. ამის შედეგად სამი ფეხბურთელი გააძევეს, ხოლო არაერთმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო. ეს კიდევ არაფერია: ხელმოტეხილი მეკარე პლანიჩკა და ფეხმოტეხილი თავდამსხმელი, ნეედლი საავადმყოფოში მოათავსეს. პაექრობა 1:1 დასრულდა, ხოლო მეორე დღეს, გადათამაშებაში ბრაზილიელებმა იმარჯვეს (2:1).

ნახევარფინალურ ეტაპზე უნგრელებმა შვედებს სძლიეს (5:1), იტალიელთა და ბრაზილიელთა პაექრობას კი დიდი სკანდალი მოჰყვა. თამაში სამხრეთამერიკელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ იტალიის გუნდმა დანინაურება შეძლო (2:1). იმჟამინდელი მასმედიის რეაქციით, „სკუადრა აძურამ“ წინ გასვლა შვეიცარიელი არბიტრის, ვიუტრიჰის დახმარებით მოახერხა, რომელმაც ბრაზილიის ნაკრების კარში სრულიად უსაფუძვლო თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა. შეხვედრის შემდეგ ყვითელმაისურიანებმა ოფიციალური პროტესტი განაცხადეს, მაგრამ

სპორტულმა ჟინმა სძლია: მათ შვედები დაამარცხეს და მესამე ადგილი დაიკავეს (4:2).

ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს იტალიელებმა უნგრელები და ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ მსოფლიო თასს. „დღეს საკუთარი თავით ისეთი კმაყოფილი ვარ, როგორც არასოდეს, რადგან 11 არცთუ ისე ურიგო ბიჭი სიკვდილს გადავარჩინე“, — უთქვამს მატჩის შემდეგ უნგრელთა გოლკიპერ საბოს. მისი ფრაზა უადგილო ნამდვილად არ გახლდათ — ფინალური შეხვედრის წინ, „სკუადრა აძურას“ წარმომადგენლებმა მუსოლინისაგან ტელეგრაფმა მიიღეს, რომელიც მხოლოდ სამი სიტყვისაგან შედგებოდა: „გამარჯვება ან სიკვდილი!“

ტურნირის ბოლოს ბულონის ტყეში მუნდიალის მონაწილეთა პატივსაცემად გამოსათხოვარი სადილი გაიმართა. მასზე ყიულ რიმემ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის შესახებ საკითხი წამოჭრა. ემოციურ დებატებს გადაწყვეტილება არ მოჰყოლია. ამიტომ, ეს თემა მომავლისათვის გადაიდო. მაშინ ხომ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ სულ მალე, თითქმის მთელი ცივილიზებული სამყარო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელ ომში უნდა ჩაბმულიყო...



# დიეგო მსოლოდ რიკალმეს როდი ემდურის

როგორც ჩანს, დიეგო მარადონას მსოლოდ არგენტინის ნაკრების ყოფილ გამთამაშებელ სხუან რომან რიკალმესთან დაძაბული ურთიერთობა არა აქვს. ცოტა ხნის წინ, „ალბისელესტეს“ თავკაცმა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი — ხულიო გრონდონა არაბთა გაერთიანებული საამიროს ნაკრებთან 29 მაისისთვის დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრის გადადების გამო გააკრიტიკა. „ასეთი რამ როგორ უნდა მომხდარიყო? მთავარი მწვრთნელის გარეშე რატომ იღებენ გადაწყვეტილებებს და საერთოდ, რატომ გადაწყვიტა ასე აფფ-ის პრეზიდენტი? მე ხომ შევპირდი ჩემს მოთამაშებს, რომ 24 მაისს კანადასთან დაგეგმილი საშინაო მატჩის შემდეგ დუბაიში გავემგზავრებოდი. რა ვქნათ, ახლა? არაბთა გაერთიანებულ საამიროსთან სპარინგი დაგეგმე და ეს უბრალო ჩანაფიქრი არ იყო. გრონდონამ კი ნაკრებთან ერთად, არაბთა გაერთიანებულ საამიროში 40 სრულიად ზედმეტი ადამიანის გაყოლა მოხვდა“, — ამბობს დიეგო მარადონა, რომელსაც „ალბისე-

ლესტეს“ ფიზიკური მომზადების მწვრთნელ ფერნანდო სინიორინისთან ერთად, ძალიან აშფოთებს ნაკრების მოთამაშეთა მდგომარეობა: „არგენტინის ნაკრების არაერთი მოთამაშისთვის რთული სეზონი იყო. მეორე ნაწილში, თავდამსხმელების შედეგიანობამ იკლო — შეხედეთ მესის, იგუაინს, აგუეროს, ტვეესს. ისინი გადაღლილი ჩანან. ხშირად დაინახავთ იმასაც, მცველებს თუ როგორ ეკეცებათ ფეხები. თანაც, ამ ფონზე ძალიან ბევრი ტრავმირებულია“.

დონ დიეგოს მოსაზრებას იზიარებს ფერნანდო სინიორინიც: „მე და მარადონას გვაშფოთებს ის, რომ ჩვენი მოთამაშეები უბრალოდ ფიზიკურად გამოფიტულნი არიან და მათი მორალური მდგომარეობაც მაინცდამაინც არ არის აღმადრთოვანებელი. მთელი სეზონის განმავლობაში ჩატარებული მატჩებით გამოწვეული დაღლილობა შეიძლება, ფეხბურთელებზე ნეგატიურად აისახოს სამხრეთ აფრიკაში“.


რაც შეეხება არგენტინელთა ბოლო „ათაინს“, სხუან რომან რიკალმეს, იგი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში



გამოსვლას აღარ აპირებს. „ბოკა ხუნიორის“ ნახევარმცველის თქმით, ამისი მიზეზი „ალბისელესტეს“ თავკაცთან კონფლიქტია. რიკალმემ ნაკრების მაისურის ჩაცმაზე უარის მას შემდეგ განაცხადა, რაც მწვრთნელმა ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მისი თამაში საჯაროდ გააკრიტიკა. „დამიჯერეთ, მარადონასთან ჩემი უთანხმოება გაცილებით ადრე დაიწყო. საქმე მართლა კრიტიკაში რომ იყოს, ჩემი მხრიდან ნაკრებზე უარის თქმა უჩვეულო იქნებოდა. კრიტიკამაც ითამაშა თავისი როლი, მაგრამ სხვა პრობლემებიცაა. ვიდრე მარადონა არგენტინის ნაკრებს წვრთნის, „ალბისელესტეს“ ღირსებას ვერ დავიცავ. უკვე აღარ ვწერვიულობ, არ განვიცდი. ის გავაცნობიერე, რომ სწორედ მოვიქცეი. მე და მარადონა ცხოვრებაში სხვადასხვა გზით მივიღვივართ“, — ამბობს რიკალმე.

## მათეუსი წინასწარმეტყველებს

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი ლოთარ მათეუსი, რომელიც ამჟამად უმუშევარია, მიიჩნევს, რომ



მისი ქვეყნის ეროვნული გუნდი ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწევს და ტურნირს მეოთხედფინალურ ეტაპზე, ფაბიო კაპელოს მიერ განწვრთნილ ინგლისის ნაკრებთან დაპირისპირების შედეგად გამოეთიშება. მათეუსის აზრით, ფინალში ინგლისელებიც ვერ გავ-

ლენ, ხოლო მუნდიალის გადამწყვეტ მატჩში ესპანელები ბრაზილიის გუნდს დაამარცხებენ. რაც შეეხება მესამე ადგილისათვის შეხვედრას, აქ ინგლისელები არგენტინელებს სძლევენ. როგორც ცნობილია, მათეუსს ბუნდესნაკრებში გამართულ 150 მატჩში, 23 გოლი აქვს გატანილი. აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ის მწვრთნელად მუშაობდა ვენის „რაპიდში“, ბელგრადის „პარტიზანში“, ბრაზილიურ „ატლეტიკო პარანანსეში“, ავსტრიულ „რედ ბულში“, ებრაულ „მაკაბიში“ და უნგრეთის ნაკრებში.

## დუნეას გარშემო სიუბსხელაბა იწყება

მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოება იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიაში დიდი შფოთის დრო დგება! ყოველი მუნდიალის წინ ბრაზილიელები საყვარელი „სელესაოს“ მთავარი მწვრთნელისგან გუნდში იმ მოთამაშეთა შეყვანას მოითხოვენ, რომლებიც თავად თავკაცს ათვალუნებული ჰყავს. ასე იყო 1970 წლის მუნდიალის წინ, როდესაც სალდანიო იმიტომ დაითხოვეს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, რომ ამ უკანასკნელმა ნაკრებში დარიო არ მიიწვია. ანალოგიურ ფაქტს ჰქონდა ადგილი მეოცე საუკუნის ბოლოსაც. მაშინ მარიო ზაგალომ რომარიოსთან საქმის დაჭერა არ ისურვა, ხოლო გაბოროტებულმა ფეხბურთელმა შურისძიებით მსკოვანი მწვრთნელი, ლამის ქოთანზე მჯდომი შარვალჩახდილი, თავისი ბარის ტუალეტის კარზე დახატა. ამჟამად კი „სანტოსის“ ქომაგები დუნეასგან 18 წლის ნაიმარის ნაკრებში აყვანას მოითხოვენ, თუმცა კვლავ ამოად. GUARDIAN-ი იუწყება, რომ მწვრთნელმა პოლიციას უხმო და ქომაგთაგან პლაკატების დაკეცვა და საპროტესტო სკანდირების შეწყვეტა მოითხოვა. ამასთან, ბრაზილიელთა თავკაცმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ბოლო სტადიაზე გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებს არავინ უნდა ელოდოს.





თამარა დავითაშვილი

# „სულ მიხდოდა, კონსტანტინე გამსახურდიას შორენა კოლონელიძე ვყოფილიყავი...“

თამარა დავითაშვილი პროფესიით ექიმა, მაგრამ რამდენიმე წელია, რაც სანდაზმულთა პანსიონატ „სავანეს“ ხელმძღვანელობს. ახლა შევხვდებით, რადგან წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად არის ჩართული. „ქრისტიან-დემოკრატებს“ სიით მთაწმინდის მაჟორიტარი კანდიდატია. თამარა „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

## პრუდიციის ანტიპოზიტი

— ყველაზე ხშირად რომელი ჟანრის ლიტერატურას კითხულობ?

— ზღაპრებზე ვგვიყვები. კლასიკური ლიტერატურაც ძალიან მიყვარს. „დათა თუთაშხია“ ის წიგნია, რომელსაც თითქმის ყოველ წელს ვუბრუნდები. ეს ნანარმოები 100 წლის შემდეგაც თანამედროვე იქნება...

— პოეზია არ გიყვარს?

— როგორ არ მიყვარს, პირველ რიგში ტერენტი გრანელს დავასახელებ. მართალია, პესიმისტურია, მაგრამ ჩემთვის ძალიან ახლობელია. როცა პოეზიაზე ლაპარაკი, არ შემიძლია, გალაკტიონი და გოგლა ლეონიძეც არ დავასახელო.

— თანამედროვე ავტორებს არ იცნობ?

— გიორგი ზანგურზე ვგვიყვები. მის ლექსებს ყველაზე კარგად ჩემი მეგობარი, რუსთაველის თეატრის მსახიობი — ბაჩო ჩაჩიბაია კითხულობს. როცა ვიკრიბებით, ბაჩოს ვეხვწვები, ზანგურის ერთი ლექსი წამოვიტყუე-მეთქი (იციანის). ძალიან მინდა, გიორგის ვიცნობდე, გარეგნულად როგორია, ისიც არ ვიცი, მაგრამ მის პოეზიაზე შეყვარებული ვარ.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან აღმოგიჩინია ყველაზე მეტი საერთო პიროვნული თვისებები?

— სულ მიხდოდა, კონსტანტინე გამსახურდიას შორენა კოლონელიძე ვყოფილიყავი. მასზე დაუსრულებლად შემიძლია ლაპარაკი, არსაკიძის გარდაცვალების ამბის გაგებითანავე ქარაფიდან ხტება. როცა ამ ეპიზოდს ვკითხულობდი, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სიყვარულისთვის ამის გაკეთებას მეც შევძლებ-მეთქი...

— ქარაფიდან გადახტომისგან ღმერთმა დაგიფაროს... შორენას გრძნობებზე რომ ველაპარაკებო, საკუთარზე არაფერს მეტყვი?

— (იციანის) პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

— შენ უკვე საჯარო პირი ხარ და ამ თემაზე კითხვას არაერთხელ დაგისვამენ. როგორც ვიცი, დაოჯახებული არ ხარ, ახლო მომავალში არ აპირებ?

— ოჯახი ჩემთვის წმინდა რამ არის. ალბათ დაოჯახების გადაწყვეტილებასაც მალე მივიღებ, ამის დრო უკვე ნამდვილად დადგა!

— შეყვარებული რომ ხარ, ამას მგონი, კითხვაც აღარ უნდა...

— (იციანის) მისი ვინაობის დასახელებას ნუ მომთხოვ. საიდუმლოდ დავტოვებ, გეტყვი იმას, რომ 5 შვილის გაჩენას ვაპირებ. აუცილებლად მრავალშვილიანი დედა გავხდები. სხვას ნურაფერს მკითხავ...

— კარგი, დროა, „ერუდიტის“ კითხვარზე გადავიდეთ.

— იმედია, თავს არ შევირცხვენ.

— თამარა, პროფესიით ექიმი ხარ, პირველ კითხვას ამ სფეროდან დაგისვამ.

— რაღა დაგიმალე და, ვენერვიულობ...

— ამ ქვეყანაში ექიმებს კარგ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული არ ეძლეოდა. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?

— ალბათ ჩინეთში, პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— ვინ არის ავტორი მურმან ლებანიძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „გაზაფხული შემოსულა, ლენ“?

— ჯემალ სეფიაშვილი.

— ვინ ასაიდუმლოებდა თავის მეცნიერულ გამოგონებებს, რის გამოც მისმა ნოვატორულმა აღმოჩენებმა ფიზიკის განვითარებაზე გავლენა ვერ მოახდინა?

— არ ვიცი.

— მიგანშნებ. ის გასაიდუმლოების მიზნით, მარჯვნიდან მარცხნივ წერდა. ნაშრომები მისი გარდაცვალებიდან 178 წლის შემდეგ სარკის საშუალებით წაიკითხეს, რის გამოც ამ ხნის განმავლობაში მომხდარი მსგავსი აღმოჩენების ავტორებად სხვები მიიჩნევიან.

— მაინც ვერ გიპასუხებ...

— ლეონარდო და ვინჩი. როგორ იწყება „ვეფხისტყაოსანი“?

— „იყო არაბეთს როსტევეან მეფე ღმრთისაგან სვიანი“.

— დარწმუნებული ხარ?

— არა? აბა, როგორ იწყება (პაუზის შემდეგ)? გამახსენდა: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“... შემდეგ როგორ არის?

— „...გვაქვს უთვალავი ფერთა“...

— „...მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“.

— სოკრატეს აზრით, რა იბადება კამათში? — ჭეშმარიტება.

— დაასახელე ერთმანეთზე მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ იხმარო სიტყვები — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ა.შ.

— როგორ?

— სწორედ ამას გეკითხები.

— უნდა დავფიქრდე (პაუზის შემდეგ), რა გიპასუხო, არ ვიცი.



— გუშინნინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ...  
 — ეს კითხვა მომეწონა (იციინის).  
 — ეს პოეტი 5 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამა ხიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. თბილისში ჩამოსული პოეტი 1924 წელს მწერალთა კავშირის განკარგულებით მცირე ხნით სასტუმრო „გლენტა სახლში“ ცხოვრობდა. 1928 წელს რამდენიმე თვე გაზეთების მკვცავად მუშაობდა. ეს ფაქტი მის დღიურებშიც არის დადასტურებული. დაასახელე იგი.  
 — მსგავსი ამბავი ტერენტი გრანელის ბიოგრაფიაში მაქვს წაკითხული.  
 — სწორი პასუხია. ვინ იყვნენ საფრანგეთში სუფრაჟისტები?  
 — არ ვიცი.  
 — ქალთა მოძრაობის მონაწილენი, რომლებიც ქალებისთვის საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლებების მინიჭებას მოითხოვდნენ. რას უწოდებენ ფშავში ახალდაქორწინებულებს?  
 — ვერ გიპასუხებ.  
 — ახალყოლინი. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, მაცხოვრის მიერ დაწესებულია 7 საიდუმლოება — ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა და...  
 — ქორწინება.  
 — მინერალების გამოცნობა ხდება შემდეგი ნიშნებით — სიმაგრე, ფერი, მონატეხის ხასიათი და...  
 — ვერ გიპასუხებ.  
 — ელვარება. რომელი ქვეყნიდან არიან წარმოშობით ბოშები?  
 — ინდოეთიდან არიან.  
 — „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ვერასდროს გახდება ექიმი“. ვის ეკუთვნის ეს ცნობილი გამონათქვამი — ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენესს თუ არისტოტელესს?  
 — რა თქმა უნდა, ალექსანდრე მაკედონელს. სავარაუდო პასუხები რომ არ გეთქვა, ისედაც ვიცოდე.  
 — ამერიკის ამ პრეზიდენტმა, იმდროინდელი პოლიტიკის პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ილაპარაკე რბილად, მაგრამ ხელში გეჭიროს დიდი კეტი“. დაასახელე ეს პრეზიდენტი.  
 — არ ვიცი.  
 — რუზველტი. რადგან პოლიტიკა ვახსენე, აქვე გკითხავ, არჩევანი „ქრისტიან-დემოკრატებზე“ რატომ გააკეთე?  
 — გიორგი თარგამაძისგან მივიღე შემოთავაზება, რომ მისი გუნდის წევრი გავმხდარიყავი. „ქრისტიან-დემოკრატების“ გვერდით იმიტომ დავდექი, რომ მათი პოლიტიკა გამჭვირვალეა, წინასწარჩვენო დაპირებები — რეალური.  
 — საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში, კვლავ დარჩები თუ არა „საფანეში“?  
 — მინდა, რომ დავრჩე. იმედი მაქვს, პანსიონატის კურატორი, ჯანდაცვის სამინისტრო არ დამსჯის იმისთვის, რომ ოპოზიციაში გადავინაცვლე.  
 — ისევე კითხვარს დავუბრუნდეთ. ადამიანის რომელი უჯრედი გამოყოფს ადრენალინს?  
 — თირკმელზედა ჯირკვალი.  
 — ვინ არის ავტორი ლექსისა — „გოგოვ, განახე ფეხშიშველი“?  
 — ვაჟა-ფშაველა. სწორად მახსოვს?  
 — დიახ. ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია გოგი თუშურაშვილი?

— არ მახსოვს.  
 — „კუყარაჩასი“. „წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგაღვინებსო,/ მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაჰყვები ვინცო,/ ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევენბსო/ შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!/ მე იმ ასაკში არა ვარ ახლა/ და არც იმ ჭკუაზე, ცოლ-შვილს გავეყარო, მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და/ პატარა ციცოვ, უნდა დამემარო!“ — ვინ არის ამ ცნობილი ლექსის ავტორი;  
 — შოთა ნიშნიანიძე ან მუხრან მაჭავარიანი.  
 — ცდები, ამ ლექსის ავტორი მურმან ლებანიძეა. თანამედროვე ქართულთან შედარებით, რამდენით მეტი ასო იყო ძველ ქართულში?  
 — (ფიქრობს) 5-ით.  
 — რა ჰქვია პანტომიმის მსახიობს?  
 — მიმი.  
 — რომელი ქვეყნის იმპერატორი იწოდებოდა კაიზერად?  
 — გერმანიის.  
 — რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?  
 — კაპილარებში.  
 — ცნობილია, რომ სპილოს ძვლისგან არაერთ ნაკეთობას ამზადებენ. ამ მიზნით სპილოს სხეულის რომელ ნაწილს იყენებენ?  
 — მგონი, ეშვებს იყენებენ.  
 — „თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა... ბროწეულის ყვავილივით ყვაოდა... წუთისოფლის სიავემ, დაუნდობლობამ და ბრბოს სისასტიკემ იმსხვერპლა... ერთი მუჭა მინის მიყრა ვერაფერს გაუბედა ამ სილამაზეს“. — რომელი პერსონაჟი ჰყავს ასე აღწერილი გიორგი ლეონიძესს?  
 — მარიტა, რომელიც ფილმში უმშვენიერესმა ლიკა ქაფურაძემ განასახიერა.  
 — ჰიპოკრატეს კრებული შედგება საექიმო ეთიკისა და საექიმო ყოფის წესებისადმი მიძღვნილი ხუთი თხზულებისაგან. ესენია — „კანონი“, „იძულება“, „ექიმზე“, „კეთილშობილურ ქცევაზე“ — დაასახელე მესუთუ თხზულება.  
 — „ფიცი“.  
 — 1937 წელს ქართველმა ერმა საუკეთესო ქართველი პოეტი და პროზაიკოსი დაასახელა. ვინ იყვნენ ისინი?  
 — პოეტი გალაკტიონი იქნებოდა, პროზაიკოსს ვერ დავასახელებ.  
 — კონსტანტინე გამსახურდია. რომში ეს ყვავილი სიმამაცის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ომის დროს, ვინც პირველი შეიტყებოდა მონინააღმდეგის ქალაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს ყვავილი სჭეროდა, ხოლო ვინც დაუმსახურებლად აიღებდა, სენატის გადაწყვეტილებით, ციხეში სვამდნენ. ირანელი პოეტები მას აღმერთებდნენ, ხოლო ინგლისელი რაინდები მისთვის კვდებოდნენ. დაასახელე ეს ყვავილი.  
 — ჩემი აზრით, ვარდზე უნდა იყოს ლაპარაკი.  
 — რა თქმა უნდა. რას უწოდებდნენ ბერძნები თანამემამულესს?  
 — პატრიოტს.  
 — დაბოლოს, დაასრულე სენეკას ცნობილი ფრაზა: „ბედნიერება ადამიანს არასდროს აყენებდა ისეთ სიმაღლეზე, რომ მას არ დასჭირებოდა...“  
 — „...არ დასჭირებოდა მეგობარი“.



# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

- დაასახელეთ ყველაზე დიდი ოპერა მსოფლიოში.
- რა არის „კვართი“?
- რა არის პარმეზანი?
- რა არის „პასატი“?
- რა არის „ყრანი“?
- რით იყო განსაკუთრებული ნოვოსიბირსკელი მეცნიერის, იაკობ მისიურას მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაცია?
- რა დამსახურებისთვის გადასცა ინგლისის დედოფალმა რუს მსახიობ ვასილ ლივანოვს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი?
- დაასახელეთ საყოველთაოდ ცნობილი სერიული მკვლეელი, რომელსაც სამართალდამცველები 12 წლის განმავლობაში ეძებდნენ. ამ დროის მანძილზე მან 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.
- დაასახელეთ რუსი მხატვარი, რომელიც ყველაზე იაფ და ხელმისაწვდომ სახატავ საშუალებად პაპიროსისა და ასანთის წამწვებს თვლიდა. სწორედ ამ მასალით აქვს შექმნილი მას ნიკოლოზ ტოლსტოისა და კორნეი ჩუკოვსკის პორტრეტები.
- ვის ეძახიან მდადეს?
- დაასახელეთ პირველი პროდუქცია, რომელზეც შტრიხკოდი იყო დატანილი.
- ვისთვის ეწოდა ჯაკომო კაზანოვა ერთი პერიოდი შპიონაჟს?

# ანექლოცენი

\* \* \*

არსებობს სამნაირი საჩუქარი: კარგი, ცუდი და წიგნი.



\* \* \*

— ოოხ, — მძიმედ ამოიოხრა ქმარმა, როცა დაინახა, რომ მისი ნასროლი ემალის ჯამი ცოლს საკმაოდ დიდი მანძილით ასცდა, — სადღაა ის დიდებული დრო, როცა ერთმანეთს ფაიფურის თეფშებს ვესროდით.

\* \* \*

— რა უბედურებაა, მესამე სართულზე ვცხოვრობ და ჩემს ბინამდე წყალი არ ამოდის.  
— ერიდება ალბათ!..

\* \* \*

ქმარი ეჩხუბება ცოლს:  
— სულ შენი ბრალია ყველაფერი. მგზავნი ამ მშობელთა კრებაზე და არც კი მეუბნები, რომელ სკოლაში სწავლობს ჩვენი შვილი.

\* \* \*

მატარებლის კუპეში მეგრელი ლამაზი გოგოს პირდაპირ ზის.  
— გოგონა იცით, ჟურნალზე ზიხართ...  
— ვიცი.  
— თუ არ კითხულობთ, მათხოვეთ, რა!

\* \* \*

— არ მესმის ადამიანები წინა საუკუნეებში როგორ ძლებდნენ უინტერნეტოდ.

— აკი ვერც გაძლეს და ყველა გარდაიცვალა!

\* \* \*

ქმარი ამბობს მეოცნებე ხმით:  
— ნეტავ, ახლა ტელევიზორში ეროტიკულ ფილმს უჩვენებდნენ!  
— მე უკეთესად შემძლია, — ეუბნება ცოლი, — აი, შეხედე, ხომ კარგია! რით ვარ ტელევიზორზე ნაკლები!  
— შენ სხვა არსზე ვერ გადაგრთავ!

\* \* \*

დირექტორი ეკითხება მდივანს:  
— რამდენი ნულით იწერება მილიონი?  
— ექვსი ნულით.  
— ნახევარი მილიონი?  
— სამი ნულით!

\* \* \*

— ბრალდებულს ძაძამია, როგორ მიაყენეთ დაზარალებულს შვიდი ჭრილობა?  
— მომეცით დანა და გაჩვენებთ!

\* \* \*

ბიჭიკია ეკითხება მამრად ჩაზმანულ ჭიჭიკიას:  
— ვისია, ბიჭო, მაი შარვალკოსტიუმი?  
— ვისია და პიერ კარდენის, — ამაყად ეუბნება ჭიჭიკია.  
— რაჲა სულ ნათხოვარი უნდა გეცვას, შე უბედურო, — შეეცოდა ბიჭიკიას.

\* \* \*

— თქვენ დღეს გაცილებით უკეთახველებთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.  
— რა თქმა უნდა, ნუხელ მთელი ღამე ვვარჯიშობდი.







\*\*\*

— რაღა ხარ ჭიჭიკია?!...  
— ლომივით!  
— კაი ახლა, ნუ დამიკარგავ ლომებზე წარმოდგენას!..

\*\*\*

ბიზნესმენს უცხოელები ჰყავს სტუმრად ოფისში და მდივანს ეუბნება:  
— მაკა, მე ყავა გამიკეთე, ამ სამ დოცლაპიას კი ჩაი.  
ერთ-ერთი სტუმარს ელიმება:  
— მხოლოდ ორ დოცლაპიას, მე თარჯიმანი ვარ!

\*\*\*

— მამიკო, ფუნთუშა მინდა!  
— მეც მინდა ფუნთუშა, მაგრამ მხოლოდ არყის ფული მაქვს!

\*\*\*

— რა არის 90-60-90?  
— სიჩქარე, როცა პატრული გაიხლოვდება.

\*\*\*

ებრაელი ეკითხება რაბინს:  
— მარხვისას ცოლთან დანოლა თუ შეიძლება?  
— შეიძლება.  
— საყვარელთან?  
— საყვარელთან, არა!  
— რატომ?  
— იმიტომ, რომ მარხვის დროს ებრაელმა სიამოვნება არ უნდა მიიღოს.

\*\*\*

— ძვირფასო, ნახე შენი პერანგი როგორ გათეთრდა! მე იგი „ტიადით“ გავრეცხე!  
— კარგია, მაგრამ მე ის ზოლებიანი უფრო მომწონდა.

\*\*\*

ქალი სამშობიაროში მივიდა. ექიმი ეუბნება:  
— თუ გნებავთ, ახალი მეთოდით გამშობიარებთ.  
— რაში მდგომარეობს ეგ მეთოდი?  
— ტკივილები ბავშვის მამაზე გადავა.

ქალი დათანხმდა. მშობიარობის შემდეგ ქმარს ურეკავს სახლში და ეკითხება:  
— რას შვრებით, როგორ ხართ?  
— ვინ მოგასვენებს, მეზობელმა ყვირილით კინალამ კედლები ჩამოიღო!

\*\*\*

— ყრუ-მუნჯთა საზოგადოების

მისამართს ვერ მიმასწავლით?  
— ჰა?

\*\*\*

სვანს ეკითხებიან:  
— ჭავჭავაძე მოგწონს თუ ვაჟა-ფშაველა?  
— ვაჟა-ფშაველა.  
— რატომ?  
— იმიტომ, რომ მანდ ცალმხრივი მოძრაობაა.

\*\*\*

— მე შოტლანდიელი ვარ!  
— შარვალი რომ გაცვია?  
— ცისფერი შოტლანდიელი ვარ!

\*\*\*

— ჩემი ძალი ჩემსავით ჭკვიანია.  
— უცნაურია, პატრონები ჩვეულებრივ აქებენ ხოლმე საკუთარ ცხოველებს.



# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

### (პასუხები)

1. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერა.
2. „კვართი“ და „პერანგი“ სინონიმებია.
3. იტალიური ყველი, რომელსაც უმეტესად მაკარონის საკაზმად იყენებენ.
4. ტროპიკული ქარი.
5. ძველი სპარსული ფული.
6. იგი მთლიანად ლექსად იყო დანერგილი.
7. შერლოკ ჰოლმსის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.
8. ანდრეი ჩიკოტილო.
9. ივანე რეპინი.
10. პატარძლის მაყარ ქალს.
11. სალექი რეზინი „Wrigley's“.
12. ინკვიზიციისთვის.

# რენიფორსობანა





# ჰოროსკოპი

20-26 მაისი

### ვიზიტი

სამსახურში საქმეები ისე გადაანანილოთ, რომ დასვენებისთვისაც მოიცალოთ. სარემონტო საქმეები უამრავ დროსა და ენერჯის წაგართმევთ. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეუღლისა და შვილების მიმართ. მეგობარი შინაურ ცხოველს ან თევზებს მოგართმევთ.

### კუჩრე

ახალი შემოქმედებითი საქმიანობა მატერიალურ სარგებელსაც მოგიტანთ და — სულიერ სიმშვიდესაც. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, თუნდაც, მანქანის მართვის კურსებზე ჩაენერეთ.

### ტყუპი

სამსახურში მეტი ყურადღებით მოეკიდეთ დაკისრებულ მოვალეობას. დაუფარავი კრედიტები მატერიალურ პრობლემებს შეგიქმნით. მეგობრის დახმარებით დამატებითი შემოსავლის წყარო გაგიჩნდებათ და თქვენი პრობლემებიც თანდათან მოგვარდება.

### კვირისი

თუ მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, ჭორაობას თავი დაანებეთ. მეტი ყურადღება სწავლასა და საქმეებს დაუთმეთ. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ. სტუმრიანობა გაგახალისებთ და განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

### ღიმი

ამ პერიოდში თქვენი ძირითადი საქმიანობა სამსახურებრივი საქმეები და ჯანმრთელობა იქნება. ახალი პროექტების განხორციელება თქვენგან მაქსიმალურ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. დილაობით სუფთა ჰაერზე ივარჯიშეთ და საცურაო აუზს ეწვიეთ.

### ქაღალდი

რომანტიკული პოვნების სისშირემ შესაძლოა, ხელი საქმიანობაში შეგიშალოს. შეეცადეთ, დრო ისე გადაანანილოთ, რომ საქმეები არ გაიფუჭოთ. ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. მშობლების ფინანსური მხარდაჭერით თქვენთვის საჭირო ნივთებს შეიძენთ.

### სახსნი

მთელი კვირის მანძილზე ნათესავეების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. შესაძლოა, უცხოეთიდან ახლობლები გეწვიონ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დასვენების დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ. განმარტოვდით და სამოქმედო გეგმების სია შეადგინეთ.

### ვიზიტი

მოთმინებით აღიჭურვით, რადგან ამ პერიოდში გარშემო მყოფების რჩევა-დარიგებების მოსმენა მოგიწევთ. ეცადეთ, ყველას მოუსმინოთ და თქვენთვის სასარგებლოდ იმოქმედოთ. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

### ვიზიტი

გაუღიანი ნაცნობების წყალობით ახალ სამსახურს დაინწყებთ. მეტი დრო გაატარეთ კოლეგებთან. ყურადღებით მოუსმინეთ მათ რჩევებს. ვალბის ალბას არ გირჩევთ. გართობა ცოტა ხნით გადადეთ, რადგან შესაძლოა, დასვენების დღეებიც სამსახურში გაატაროთ.

### თხილ

კოლეგებთან და მეგობრებთან კონფლიქტებს ვერ აიცილებთ, თუ საკუთარ თავში ეგოიზმსა და დიქტატურას არ ჩაახშობთ. საყვარელ ადამიანს ეჭვიანობით ნუ განაწმენთ. დასვენების დღეებში ბუნებაში განმარტოვდით და საკუთარი საქციელი გააანალიზეთ.

### ვიზიტი

ფინანსური კეთილდღეობა სურვილების ასრულებაში დაგეხმარებათ. ნამოინწყეთ რემონტი. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან და მივიწყებულ ნათესავეებთან ურთიერთობის აღსადგენად. დასვენების დღეებში მეგობრებთან ერთად მხიარულება გელით.

### თხილ

ნუ გამწვავებთ ურთიერთობას კოლეგებთან და მეგობრებთან. ოჯახის წევრები ყველა სურვილს აგისრულებენ, მაგრამ თუ გრძობთ, რომ ყველაფერი ნერვებს გიშლით, უმჯობესია, რამდენიმე ხნით ქალაქარეთ გაემგზავროთ და დაისვენოთ.

## როგორ გადავარჩინოთ დასანებრეპად განიკრული ოჯახი პოლიტიკური პროგნოზი — ვინ გაივარჯებს მერის არჩევნებში



„ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვთ, შიში და უძლურება ეუფლებათ და ამ ყველაფრის ფონზე, ნერვოზი უყალიბდებათ. სამსუხაროდ, მათ

ეჭმები ვერაფერს შეუძლიან. ასეთებს მუშავენ, ნამალზე მეტად ლოცვა უშველის“, — მითხრა ნათელაშვილმა ლია ხუციშვილმა, რომელსაც ეს ნიჭი შთამომავლობით ერგო.

მართლაც, ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ადამიანი უჩივის ნევროზს, უბარაქობას, ოჯახურ პრობლემებს და ა.შ. ახალგაზრდები ოჯახის წევრებს ვერ უგებენ, რაც ჩხუბის მიზეზი ხდება და შემდეგ, ბავშვები სახლიდან გარბიან ან სულაც, თავის მოკვლავ ფიქრობენ... როგორც ქალბატონი ლია ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ სამი ექვსიანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობითა და შელოცვებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან.

— ამ ბოლო დროს ქვეყანაში ძალიან ბევრი უბედურება ხდება. თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— ქვეყანა ცოდეგმა დაამძიმა, ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი ოჯახური ტრაგედია და ა.შ. არსადროს ყოფილა. ჰოდა, ყველაფრის სათავე სწორედ ესაა.

— ვინ და რატომ აკეთებს ჯაღოს?

— ბოროტი, სულით მეძავი ადამიანები. ასევე, არსებობენ მკითხავეები, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე მოანერენ ხელს. ბევრს უთქვამს: ამა და ამ მკითხავემ რაღაც მომცა, სასაფლაოზე უნდა წავიღო და ასეთი რიტუალი შევასრულო. თქვენ რას მიჩვევთ? ასეთებს მოვუწოდებ, მსგავსი რამ არავითარ შემთხვევაში არ გააკეთონ, თორემ ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან დაუბრუნდებათ. ასევე, ძალიან ხშირად ინგრევა ოჯახები და ბიჭებს სხვისი ცოლები მოჰყავთ. როგორ შეიძლება, შენი შვილი მიატოვო და სხვისი შვილი ხელისგულზე ატარო? მაგრამ ასეთებს ეშმაკი ამოძრავებთ. ხალხო, მთავარი რწმენა, ლოცვების კითხვა და ამით ეშმაკი განიდევნება. მოკლედ, თუ თქვენ საყვარელი ადამიანი გაგეცათ, მისი დაბრუნება თქვენს ხელშია — ამისთვის ვილაცისთვის ზიანის მიყენება სულაც არაა საჭირო. არსებობს სპეციალური ლოცვები, რომლითაც გაქცეული ადამიანის მობრუნება შესაძლებელია. და კიდევ, იცოდეთ, დამლუპველი ცოდვა ცინიზმი და ჭორაობა. ჩვენი საქციელი, ადრე თუ გვიან, უკან დაგვიბრუნდება, ამიტომ მხო-

ლოდ სიკეთე თესეთ, დახმარების ხელი გაუწოდეთ გაჭირვებულ ადამიანს.

— პოლიტიკურ პროგნოზებსაც ხომ არ გააკეთებთ?

— მოგეხსენებათ, ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მოსვლა მე ვინინასწარმეტყველე. მიშა მშვილდოსანია და რასაც მიზნად დაისახავს, აუცილებლად გააკეთებს. ის რომ წავიდეს, ჩვენს ქვეყანას სვავეები ჩაიგდებენ ხელში და სულ დავიღუპებით... რაც შეეხება მერის არჩევნებს, მერწმუნეთ, ამ პოსტზე ისევ გიგი უგულავა დარჩება, მას მეტოქე ფაქტობრივად, არ ჰყავს...

— თქვენ ახსენებთ ეკლესიას, ლოცვებს და ამაღროულად, თილისმას...

— მე მორწმუნე ადამიანი ვარ და მოძღვარიც მყავს. მან ჩემი საქმიანობის შესახებ იცის და თავიდან მითხრა, რომ ამ საქმეს უნდა ჩამოვშორებოდი, მაგრამ როცა დავლაპარაკე, მითხრა: რა ვიცი, ყველაფერი უფლის ნებააო. მე ბოროტ საქმეებს არ ვაკეთებ, მხოლოდ ადამიანების დახმარებას ვცდილობ და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

მისამართი: ნახალგოვა (კინოთეატრ „საქართველოსთან“), ქსოფრელის ქუჩა №60 (ყოფილი სტახანოვის ქუჩა). ტელ: 69-60-00; 8(93) 21-52-33 (ჩაწერა წინასწარ).





# საფიქრო კროსვორდი

0	3	2	2	1	ა	რ	2	2	2	2	ა	რ	1	ა	რ	0	2	1	2	1	2	2	0
ა	ს	1	0	2																			0

შევეცხვინე წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოსხმის შემთხვევაში გამოუქვობულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

**01.** ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **02.** პალმის ნაყოფი; **03.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **04.** ადამიანის გრძობა, განცდა, სულიერი მღელვარება; **05.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **06.** გარემოცვა, ბლოკადა; **07.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **08.** სანიმუშო ნაწარმოები, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; **09.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **10.** ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკის სახელწოდება თბილისში; **11.** პლანეტის სინონიმი; **12.** ცხვრის საკრეჭი მაკრატელი; **13.** ებრაელთა მამამთავარი; **14.** მდინარე დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ბერძენები ფაზისს ეძახდნენ; **15.** მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი ხიდის საყრდენა; **16.**

თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი; **17.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **18.** ანსამბლ „ივერიას“ ყოფილი სოლისტი ქალი; **19.** სიმინდის სამშობლო; **20.** დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობათა ერთობლიობა; **21.** შემოქმენარი ყურძენი; **22.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **23.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **24.** ცელქი, მოუსვენარი; **25.** ნაპოლეონის მარშალი; **26.** გზატკეცილი; **27.** სუფთა მოგება ძიუდოში.

**წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**01.** თემიდა; **02.** ქუთაისი; **03.** ვიარა; **04.** ენდემი; **05.** ნუარე; **06.** ალბიონი; **07.** რვალი; **08.** შურდული; **09.** ემისია; **10.** მზალი; **11.** ცერბერი; **12.** დიანა; **13.** აკვანი; **14.** რეიგანი; **15.** ხოსე; **16.** ანგარი; **17.** რეა; **18.** თხუნელა; **19.** აქსიომა; **20.** რინა; **21.** ჩიორა; **22.** ებრაელი; **23.** ვოეგოდა; **24.** ამბიონი; **25.** ნეი; **26.** შვაბრა; **27.** იპონი.

**გამოქვეყნებული უფრედებში იკითხება:**

**01. ან ბარი არამის გაუნწორებიაო**

## იაპონური სენსაშია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

\* მარტივი

7			6		8
	6		2		5
		9		1	4
		7		5	
		6		1	9
2				8	9
		4	1		6
5		2		6	
	3			2	
					5


\* \* საშუალო

		4		7		1
				2	4	
		2		8		6
	3			4		9
6				5		7
2				6	7	
	7		5			3
		5	7			
2				8		9

\* \* \* რთული

	1		8			3
	9		5			
2		7				6
	8			3		1
		2	6	7		3
3		4				6
5				1		9
			4			3
7			6			4

# ფოტოკუჩიონები



**იმისათვის, რომ  
ისარგებლოთ აქციით საჭიროა:**

ა) შეიძინოთ ქვემოთ მოცემულ ტანსაცმლის მატარებლებში შესაბამისი ღირებულების სადღესასწაულო ყოლექცია



რუსთაველის №24; ტელ.: 99 07 73; ჰეიინის №5; ტელ.: 18 40 93  
შეიძინეთ სადღესასწაულო სამოსი 550 ლარიდან



ჰეიინის №5; ტელ.: 72 68 48  
შეიძინეთ მამაკაცის ჰიჯაბი და ჯოსტინაგები 250 ლარიდან



რუსთაველის №26; ტელ.: 99 08 05; ჰეიინის №5; ტელ.: 18 40 94  
შეიძინეთ ქალის თათრული 250 ლარიდან



რუსთაველის №37; ტელ.: 14 41 19  
შეიძინეთ მამაკაცის ჰიჯაბი და ჯოსტინაგები 600 ლარიდან

- ბ) მიიღოთ ფასდაკლების ვაუჩერი
- გ) ისარგებლოთ ფასდაკლების ვაუჩერით თქვენთვის სასურველ მომსახურებასა თუ პროდუქციაზე



საპ. შეთავაზება

**აქცია ძალაშია 31 მაისის ჩათვლით**

თქვენი სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ფასდაკლების ვაუჩერის საჩუქრად გადაცემა თქვენი მეგობრისათვის.



შეიძინეთ თქვენი  
ან თქვენი მეგობრის  
ქორწილის დღისათვის  
სადღესასწაულო ყოლექცია  
და ისარგებლოთ ფასდაკლებით  
სხვადასხვა ობიექტებზე.



**ბიბლუსი**

საუპირობო საჩუქარი

საჩუქარი  
რომელიც  
თაობებს  
დარჩება!

Books  
ყოველშეუთხარაძე  
კითხულობს

ბიბლიის სრული აუდიოვერსია **51** დისკოზე

სპეციალური ფასი ~~139~~ - **70** ლარი

მხოლოდ წიგნის ფესტივალზე **20-21 მაისს**  
თბილისის საკონცერტო დარბაზში (ფილარმონია)

**მხოლოდ „ბიბლუსის“ სტენდზე**

# აქცია!



## 17 მაისი 6 ივნისი

შეიძინე 2ც. 100გ. ნესკაფე კლასიკი, წარმოადგინე მისი 2 მემბრანა საჩუქრების გაცემის ცენტრში და მიიღე 10 000 ექსკლუზიური ჭიქიდან

### 1 საჩუქრად

საჩუქრების გაცემის ცენტრების მისამართები და მუშაობის განრიგი:  
პარასკევი: 17:00 – 21:00 სთ;  
შაბათი-კვირა: 12:00 – 20:00 სთ

1. "XL" - დიდმის მასივი Vკვ., IIIა კორპ.
2. მარჯეთი - მარჯანიშვილის ქ. №30
3. "რაჭა" - გურამიშვილის ქ. №23
4. მარჯეთი - აბაშიძის ქ. №39
5. "MIX" - ყოსტავას ქ. №54
6. "ტიღერი" - ტეონიძის ქ. №6
7. "მარჯეთი 51" - შარტავას ქ. №4
8. "საღვი" - ვაჟა-ფშაველას გამ. №58
9. უნივერსამი - თემქა, IX და X კვ. შორის მღებარე სავაჭრო ცენტრი
10. "მარჯეთი ნუცუბიძის 19" - ნუცუბიძის ქ. №19
11. "ევრაზია" - გლდანი, ხიზანიშვილის ქ. №15
12. "პროგრესი" - ჩოლოყაშვილის ქ. №57ა



დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე: 822 15 70 07 ყოველ დღე 11:00-დან 19:00-მდე ინფორმაციის მიღება უფასოა.

## როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგახილებთ წონაში მატებასაც

- აქოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლის სნიებაში ბალანსიდან
- ხელს უწყობს სნიების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მალან ანეხიის მომახების ფონზე
- წოხამდე დაწყებს სიმსუქნის ჰოხომონი დახბინი და ქოდასტიჩინი
- ოხბანიზმიდან ბაოქაქს ზადეატი სითხე და შინაქები
- აწახიბებს საჭმლის მომნელებად სისხემას

### როდენი



მიღების წინ გავცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ვებსაიტს

მოგვაკითხეთ მისამართზე:  
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28  
ან მიმართეთ „ნოვარაისს“ და  
„პი აი სის“ სააფთიქაო ქსელს,  
როგორც თბილისში, ასევე  
ქუთაისსა და ბათუმში.  
დაგვიკავშირდით ტელ. ნომერზე  
99 00 14; 895308405;  
893 668318; 899 21 02 32  
e-mail - [promoita@mail.ru](mailto:promoita@mail.ru)  
[nikosaniitd@mail.ge](mailto:nikosaniitd@mail.ge)



**18-21**  
**მაისი**  
 წიგნის ფესტივალი  
 თბილისის  
 საკონცერტო დარბაზში  
 (ფილარმონია)

**„კვირის პალიტრის“ კოლექცია**

**„ღიღი მხატვრობი“**

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედეგები და ისტორიები

**წიგნი VII**

**გლიჯო**

**17 - დან - 24 მაისამდე**

მხოლოდ „ჯეიხის პეიჯის“ მეთხვენიხის სვეციალური ფახი 15 ცახი!



**ჩუჩადლაბა**

**I, II, III, IV, V და VI ტომი,  
 წიგნის მალაზიამში მამილვამი!**

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ